

21  
941



სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

# შ რ ო მ ე ბ ი


Т Р У Д Ы

TRAVAUX

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА  
ИМЕНИ СТАЛИНА

DE L'UNIVERSITÉ  
STALINE  
à TBILISSI (Tiflis)

XVIII



სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
Издательство Тбилисского Государственного Университета им. Сталина

თ ბ ი ლ ი ს ი

1941





სტალინის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

# შ რ ო მ ე ბ ი

Т Р У Д Ы

ТБИЛИССКОГО ГОСУДАРСТВЕННОГО  
УНИВЕРСИТЕТА  
ИМЕНИ СТАЛИНА

TRAVAUX

DE L'UNIVERSITÉ  
STALINE  
à TBILISSI (Tiflis)

XVIII

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა  
Издательство Тбилисского Государственного Университета им. Сталина

თ ბ ი ლ შ ი

1941



დაბეჭდა სტალინის საზ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის  
დოც. დ. ყიფიანის განკარგულებით



შ ი ნ ა ა რ ს ი

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი	IX—XXVII
1. კ. კეკელიძე, ძველი ქართული წელიწადი	1
2. ა. შანიძე, თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი და მისი გაუგებარი ადგილები	29
3. გ. ახვლედიანი, ოსური ენის ისტორიისათვის	41
4. არნ. ჩიქობავა, სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სა- ხელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში	47
5. ვ. თოფურია, რ და ნ თანხმოვანთა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნებში	61
6. ს. ჯანაშია, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯე- თის ბაგრატიონთა შესახებ	69
7. П. Ушаков, Хеттская проблема	87
8. Л. М. Меликсет-Беков, „Описание сопредельных с Гру- зиею стран“ второй половины XVIII века	113
9. ს. ყაუხჩიშვილი, ნოსირის ბერძნული წარწერა	141
10. ი. აბულაძე, ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი	149
11. Н. Коиава, Систематизация и критика буржуазных высказы- ваний о всемирных днягах	161
12. გ. ჩიტაია, რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი	185
1940 წ. „შრომების“ საძიებელი	197



## СОДЕРЖАНИЕ

<b>Академик И. А. Джавахишвили</b> . . . . .	<b>IX—XXVII</b>
1. К. Кекелидзе, Год в древней Грузии . . . . .	1
2. А. Шанидзе, К толкованию непонятных мест фрагмента грузинской версии апокрифа „Евангелие Фомы“ . . . . .	29
3. Г. Ахвледиани, К истории осетинского языка . . . . .	41
4. Арн. Чикобава, Один вариант сванского эргативного падежа в связи с принципом „двух основ“ в склонении имен некоторых кавказских языков . . . . .	47
5. В. Топуриа, К вопросу о чередовании согласных R и N в сванских глаголах . . . . .	61
6. С. Джанашиа, Сведения Константина Порфиrogenета о Багратионах Тао-Кларджети . . . . .	69
7. П. Ушаков, Хеттская проблема . . . . .	87
8. Л. М. Меликсет-Бек, „Описание сопредельных с Грузией стран“ второй половины XVIII века . . . . .	113
9. С. Каухчишвили, Греческая надпись из Носири . . . . .	141
10. Илья Абуладзе, К древней рукописи грузинской библии . . . . .	149
11. Н. Коиава, Систематизация и критика буржуазных высказываний о всемирных деньгах . . . . .	161
12. Г. Читая, Овальная подошва рачинского пахотного орудия . . . . .	185
Указатель к „Трудам“ за 1940 г. . . . .	197

## SOMMAIRE

<b>Iv. Djavakhichvili, Membre de l'Académie</b> . . . . .	<b>IX—XXVII</b>
1. C. Kékélidzé, L'année en Géorgie ancienne . . . . .	1
2. A. Chanidzé, De l'interprétation des passages incompréhensibles du fragment de la version géorgienne de l'apocryphe „Évangile de Thomas“ . . . . .	29
3. G. Akhvlédiani, Sur l'histoire de la langue ossète . . . . .	41
4. Arn. Tchikobava, Une variante du cas narratif (érgatif) svané en rapport avec le principe de „deux thèmes“ dans la déclinaison de quelques langues caucasiques . . . . .	47
5. V. Thophouria, Sur la question de l'alternance des consonnes r et n dans les verbes svanes . . . . .	61
6. S. Djanachia, Les renseignements de Constantin Porphyrogénète sur les Bagrations de Tao-Klardjethi . . . . .	69
7. P. Ouchakoff, Le problème hittite: Sur l'origine et les relations réciproques des langues indoeuropéennes et kharthveliennes . . . . .	87
8. L. Mélikset-Bek, „Description des pays limitrophes de la Géorgie“ de la seconde moitié du XVIII siècle . . . . .	113
9. S. Kaoukhtchichvili, A propos d'une inscription grecque de Nossiri . . . . .	141
10. Élias Abuladzé, Sur le manuscrit ancien de la „Bible“ géorgienne . . . . .	149
11. N. Khoiava, Systématisation et critique des opinions des économistes bourgeois sur la monnaie universelle . . . . .	161
12. G. Tschitaia, Die ovale Sohle des Pfluges von Ratscha . . . . .	185




აკადემიკოს  
ივანე ჯავახიშვილის  
ხსოვნას





94.00367490  
812.00101933





**აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი**

**ბიოგრაფია**

ივანე ჯავახიშვილი დაიბადა 1876 წლის 11 აპრილს სოფ. ხოვლეში (ქართლში). საშუალო განათლება მიიღო თბილისის პირველ გიმნაზიაში. ჯერ კიდევ გიმნაზიაში ყოფნის დროს გამოირჩეოდა ის ტოლ-ამხანაგებში ქართული ენისა და საქართველოს წარსულის ცოდნით. გარდა იმისა, რომ საქართველოს წარსულის გაცნობის მიზნით ის თვითონ მოგზაურობდა ხოვლეს მდამოებში და ეცნობოდა ჩვენი წარსულის ძეგლებს, ის თავის ამხანაგებსაც ურჩევდა სათანადო წრეების დაარსებით შესდგომოდნენ ქართველი ერის ცხოვრების შესწავლას და არა ერთი მისი ამხანაგი დიდის მადლობით იგონებს ამას.

1895 წელს, გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ივ. ჯავახიშვილი შედის პეტერბურგის (ლენინგრადის) უნივერსიტეტში აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტზე და ალ. ცაგარლის, ვ. როზენის, ნ. მარის, პ. კოკოვცევის და სხვათა ხელმძღვანელობით იწყებს მუშაობას ქართულ-სომხური ფილოლოგიის (ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით) დარგში. სპეციალურ საგნად ის ირჩევს საქართველოს და სომხეთის ისტორიას. თუ რა ინტენსიური იყო მისი მუშაობა ამ ხნის (1896—1899) განმავლობაში, მოწმობს ის გარემოებაც, რომ უნივერსიტეტის დასრულებისას (1899 წელს) მას თავისუფლად შეეძლო ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, სპარსულ და სირიულ წყაროთა მომარჯვება; თხზულებისათვის „წმინდათა ცხოვრებანი გრიგოლ წერენცის სომხურ სალიტერატურო ძეგლებში“ იგი ოქროს მედლით იქნა დაჯილდოებული; პროფ. ჰარნაკიც, რომელთანაც ის შემდეგ (1901 წელს) ბერლინში მუშაობდა, საგანგებოდ აღნიშნავს მის მკვიდრ ცოდნას სპარსული ენისას (იხ. Sitzungsberichte d. Pr. Ak. 1901. გვ. 876).

1899 წელს ივ. ჯავახიშვილი პეტერბურგის უნივერსიტეტთან იქნა დატოვებული პროფესორობისათვის მოსამზადებლად. უნივერსიტეტივე ავზაუნის მას საზღვარგარეთ სამეცნიერო მუშაობის განსაგრძობად და იგი რამდენსამე ხანს მუშაობს ბერლინში პროფ. ჰარნაკთან. უკანასკნელი მეტად დაინტერესდა ივ. ჯავახიშვილის მუშაობით. თვით ბერლინისათვისაც უჩვეულოდ მოეჩვენა მას ეგოდენი ცოდნა აღმოსავლეთის ფილოლოგიისა და კიდევაც სთხოვა ივ. ჯავახიშვილს, დარჩენილიყო ბერლინში და შესდგომოდა იქ იმ დარგის საძირკველის ჩაყრას, რომლის ხარეში არა თუ მაშინ, დღესაც საგრძნობია ბერლინის უნივერსიტეტში: სახელდობრ, აღმოსავლეთის საქრისტიანო ქვეყნების, შთა შორის





პირველ რიგში საქართველოს ძველი სამწერლობო ძეგლების დამუშავებას სავსებით ქრისტიანული კულტურის საკითხებთან დაკავშირებით, და, საზოგადოდ, ქართული ფილოლოგიის დარგში მუშაობას. ჰარნაკთან მუშაობის შედეგია ივ. ჯავახიშვილის შრომა *Das Martyrium des hl. Eustathius*, რომელიც ჰარნაკის წინადადებით დაიბეჭდა პრუსიის აკადემიის „სხდომათა უწყებაში“ (1901 წ., გვ. 875—902) და რომელსაც დართული აქვს ჰარნაკის წინასიტყვაობა და განმარტებანი. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობითა და დახმარებით კ. შულცემ თარგმნა ქართულიდან გერმანულად „აბო ტფილელის წაშება“, რომელიც დაიბეჭდა ჰარნაკის ტექსტებსა და გამოკვლევებში“ (*Texte und Untersuchungen*, ტ. XIV).

1902 წელს (აპრილიდან ნოემბრამდე) ივ. ჯავახიშვილი პროფ. ნ. მართან ერთად მოგზაურობს სინას მთაზე იქაური ქართული ხელთნაწერების შესასწავლად. მრავალი, მანამდე უცნობი, სამწერლობო ძეგლი იქნა მაშინ ფოტოგრაფიულად გადმოღებული ან გადმოწერილი როგორც ნ. მარის, ისე ივ. ჯავახიშვილის მიერ, და ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას მის შემდეგ არა ერთი გამოცემა მიემატა.

სინას მთის ხელთნაწერების აღწერილობის ერთი ნაწილი, რომელიც შეიცავს ნ. მარის მიერ აღწერილ ძეგლებს, უკვე დაიბეჭდა (1940 წელს), ხოლო მეორე ნაწილი, ივ. ჯავახიშვილის მიერ აღწერილ ძეგლთა შემცველი, მზადდება გამოსაცემად საქართველოს მუზეუმის მიერ. ეს მეორე ნაწილი შეიცავს, გარდა ხელთნაწერთა აღწერილობისა, თვით ძეგლთა სრულ ტექსტებსაც; მათ შორის ისეთი, თავისი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობით ფასდადებული, ძეგლებია, როგორიცაა იოანე-ზოსიმეს „კრებაჲ თთუფთა წელიწდისათაჲ“.

1903 წლის 1 იანვრიდან ივ. ჯავახიშვილი ჩარიცხულ იქნა პეტერბურგის უნივერსიტეტში პრივატ-დოცენტად და ამ დროიდან დაწყებული ვიდრე 1917 წლამდე ჰკითხულობდა ლექციებს ქართველი ერის ისტორიის სხვადასხვა დარგიდან ქართულად და რუსულად. ისტორიის პარალელურად ივ. ჯავახიშვილს სხვა დარგებშიც უნდებოდა მუშაობა, და ეს ბუნებრივიც იყო: ქართველთ-მეტყველება მაშინ წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი, ქართულ-სომხური ფილოლოგიის კათედრით, რომელსაც სათავეში უდგა აკად. ნ. მარი; ერთი კათედრა უნდა გასწვდომოდა ამ დარგის (ქართულ-სომხური ფილოლოგიის) ყველა დისციპლინას. ენასა და მწერლობაში მუშაობას აწარმოებდა თვითონ აკად. ნ. მარი, ხოლო საქართველოს ისტორია და მისი დამხმარე დისციპლინები მინდობილი ჰქონდა ივ. ჯავახიშვილს და მას უნდებოდა მუშაობა, გარდა საქართველოს ისტორიისა, საქართველოს ეკონომიური ისტორიის, ქართული სამართლის ისტორიის, სიძველეთა-მცოდნეობის, დამწერლობათა-მცოდნეობის და სხვა დარგებში. ამიტომაც იყო, რომ ის სტუდენტების დროს, გარდა აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტისა, ისტორიულ-ფილოლოგიურისა და იურიდიული ფაკულტეტების ლექციებს ისმენდა და ამ ფაკულტეტების ზოგიერთ დარგში ინტენსიურადაც მუშაობდა: ის გრძნობდა, რომ მომავალი მუშაობისათვის ზოგად ფილოლოგიური და იურიდიული ცოდნა მისთვის აუცილებლად საჭირო იქნებოდა.



ამავე დროს ივ. ჯავახიშვილს თავისი მუშაობის მეორე მხარეც უკარგავდა ჰქონდა გათვალისწინებული, სახელდობრ ის, რომ მისი სამეცნიერო მუშაობა მკიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ქართველი ერის კულტურის აღორძინების საქმესთან. ამისათვის ძირითად საჭიროებას წარმოადგენდა ქართული მეცნიერებისათვის საფუძვლის ჩაყრა და მომავალი სამეცნიერო კერისათვის მზადება. ამით აიხსნება, რომ ივანე ჯავახიშვილი იმავეთვე ქართულად წერს თავის გამოკვლევებს და პეტერბურგის უნივერსიტეტში რუსულთან ერთად ქართულადაც ჰკითხულობს ლექციებს. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ძნელი საქმე იქნებოდა მაშინდელ თვითმპყრობელურ რუსეთში სახელმწიფო მოხელისათვის, „სანქტ-პეტერბურგის საიმპერატორო უნივერსიტეტის“ პრეზიდენტისათვის უნივერსიტეტის აუდიტორიაში სავალდებულო ლექციების კითხვა ქართულად. მაგრამ ივ. ჯავახიშვილი მანაც განაგრძობდა ამ გზით მოღვაწეობას, რადგან მას კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რაოდენ საჭირო იყო ქართული სამეცნიერო ტრადიციების შესაქმნელად ქართველი სტუდენტებისათვის ქართულად ლექციების კითხვა. ამავ მიზანს ემსახურებოდა „სამეცნიერო წრე“, რომელიც მისი თაოსნობით დაარსდა და მისი ხელმძღვანელობით მუშაობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში; იქ იკითხებოდა ქართულად მოხსენებები მეცნიერების სხვადასხვა დარგიდან (ამ წრეში წაკითხული მოხსენებების ნაწილი უკვე გამოიცა ივ. ჯავახიშვილის რედაქტორობით 1915 წელს).

ივ. ჯავახიშვილის ასეთმა მუშაობამ შეამზადა ნიდაგი ქართული უმაღლესი სასწავლებლის დაარსებისათვის.

ცარიზმის შავზნელ ეპოქაში, როდესაც მეფის სატრაპები ცეცხლითა და მახვილით სდევნიდნენ საქართველოში ყოველივე ქართულს, ივანე ჯავახიშვილი მამაცურად აღმართა ქართული კულტურის დაცვის დროშა და, მიუხედავად ცარიზმის მხრივ დევნა-შევიწროებისა, მიუხედავად იმ დაბრკოლებებისა, რომელთაც მას უქმნიდა მენშევიკების უბადრუკი მთავრობა, შესძლო შემოეკრიბა თავის გარშემო ახალგაზრდა მეცნიერთა ძალები და საძირკველი ჩაუყარა ქართული კულტურის კერას—თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც დღეს ამაყად ატარებს დიდი სტალინის სახელს.

1918 წლის 26 იანვარს გაიხსნა თბილისის (ქართული) უნივერსიტეტი მხოლოდ ერთი ფაკულტეტით (სიბრძნის-მეტყველების) და ამ ფაკულტეტის დეკანად პროფესორთა საბჭოს მიერ ივანე ჯავახიშვილი იქნა არჩეული.

ერთი წლის შემდეგ იგი არჩეულ იქნა უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობაზე. მიუხედავად თანამდებობრივი დატვირთვისა, მას იოტის ოდნავაც არ შეუწინებია თავისი კვლევითი მუშაობა. დღიდან უნივერსიტეტის დაარსებისა და განსაკუთრებით 1921 წლიდან, როდესაც საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობითა და დახმარებით თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა ნორმალური პირობები სამეცნიერო მუშაობისათვის, ივანე ჯავახიშვილი ყოველწლიურად აქვეყნებდა კაპიტალურ ნაშრომებს (ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I და IV წიგნები, ქართული სამართლის ისტორიის სამი ტომი, ისტორიის დახმარების დისციპლინების ოთხი წიგნი, ეკონომიური ისტორიის ორი ტომი, ქართული მუსიკის ისტორია და სხვ.). გარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა





ივ. ჯავახიშვილი მუშაობდა აგრეთვე საქართველოს მუზეუმში, სადაც ხელმძღვანელობდა (1926 წლიდან) ისტორიულ განყოფილებას, და მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში, ხოლო 1937 წლიდან აგრეთვე რუსთაველის მუზეუმში, რომლის დირექტორი იყო ის უკანასკნელ წუთამდე.

შესანიშნავი მეცნიერი დაუღალავად, უდიდესი სიყვართულით მუშაობდა თავისი ქვეყნის ისტორიული ძეგლების შესწავლაზე, ახდენდა უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩენებს, აწარმოებდა არქეოლოგიურ გათხრებს (დმანისი, ბოლნისი, მცხეთა, არმაზი). ამასთანავე იგი მზრუნველობით ზრდიდა მეცნიერთა ახალ კადრებს, უშუალოდ ხელმძღვანელობდა მრავალ მეცნიერულ საქმიანობას.

დიდი მეცნიერის მოღვაწეობა შესაფერისად იყო დაფასებული. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიამ 1939 წელს ივანე ჯავახიშვილი აირჩია თავის ნამდვილ წევრად. პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ნაციონალური მეცნიერული მუშაობისათვის 1938 წელს დააჯილდოვეს იგი შრომის წითელი დროშის ორდენით. საქართველოს მშრომელებმა თავიანთი სიყვარული და ნდობა მეცნიერის მიმართ იმით გამოხატეს, რომ 1938 წელს ერთსულოვნად აირჩიეს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ივანე ჯავახიშვილს აღაფრთოვანებდა პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა, საბჭოთა საქართველოს მშრომელთა პატივისცემა და სიყვარული და იგი გაათქვამებული ენერჯით მუშაობდა.

მაგრამ მას აღარ დასცალდა ბოლომდე მიეყვანა ყველა თავისი განზრახვა. საბრძოლო პოსტზე მოულოდნელად მოუხსრო მას სიკვდილმა, თავისი მეგობრებისა და მოწაფეების თვალწინ 1940 წლის 18 ნოემბერს, საღამოს 10 საათზე, როდესაც ის კითხულობდა სამეცნიერო მოხსენებას თემაზე „ფილოლოგიური მეცნიერების მიზნები და ქართული ლიტერატურული ძეგლები“.



## ს ი ტ შ ვ ა,

**წარმოუთქმული საქ. სსრ სსხ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის  
 მოადგილის ახს. გ. სტურუას მიერ აკადემიკოს  
 ივ. ჯავახიშვილის დაკრძალვაზე**

ამხანაგებო!

ლღეს ჩვენ სამუდამოდ ვემშვიდობებით გამოჩენილ საბჭოთა მეცნიერს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრს, აკადემიკოს ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილს.

ამ შესანიშნავი ადამიანის სიკვდილმა ღრმად დაამწუხრა არა მარტო მისი მრავალრიცხოვანი მეგობრები და მოწაფეები, არამედ აგრეთვე მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების ყველა მუშაკი, მთელი საქართველოს მშრომელნი, რადგან ივანე ჯავახიშვილმა მთელი თავისი ნათელი სიცოცხლე შესწირა ჭეშმარიტი მეცნიერების სამსახურს, მშრომელი ხალხის სამსახურს.

საქართველოს მთავრობისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტის სახელით მე მწუხარებას გამოვთქვამ ამ მძიმე დანაკლისის გამო და უღრმეს თანაგრძნობას ვუცხადებ განსვენებულის ოჯახის წევრებს, მეცნიერებისა და კულტურის მუშაკებს.

ივანე ჯავახიშვილი 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ეწეოდა უაღრესად ნაყოფიერ და სასარგებლო მეცნიერულ მუშაობას. მისი ნიჭი განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა დიდ მეცნიერს შექმნილი ჰქონდა ყოველგვარი პირობები მრავალმხრივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

დიდია ჯავახიშვილის ღვაწლი საბჭოთა ისტორიული მეცნიერების აყვავების საქმეში. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ივანე ჯავახიშვილი არის ქართველი ხალხის — საბჭოთა კავშირის ამ ერთერთი უძველესი ხალხის — მეცნიერული ისტორიის შემქმნელი. დაჯილდოებული იყო რა შესანიშნავი ბუნებრივი ნიჭით, სახელოვანი მეცნიერი დაუღალავად მუშაობდა, იგი უდიდესი სიყვარულით, საქმის ღრმა ცოდნით აგროვებდა და მეცნიერულად ამუშავებდა მშობლიური ქვეყნის ფაქტებით სავსე, მდიდარი ისტორიის მასალებს, ახდენდა ახალ დიდმნიშვნელოვან აღმოჩენებს, ხელმძღვანელობდა და ზრდიდა ახალგაზრდა მეცნიერთა მრავალრიცხოვან კადრებს.

მაგრამ ივანე ჯავახიშვილი თავის ამოცანას ვიწროდ როდი ჰფარგლავდა. იგი, როგორც ნამდვილ მეცნიერს შეჰფერის, მშობლიური ქვეყნის ისტორიასთან ერთად, დიდი სიყვარულით იკვლევდა მეზობელ, მოძმე ხალხთა ისტორიასაც. მისი შრომები ამიერკავკასიის ხალხთა, კერძოდ სომხეთის ხალხის ისტორიაზე ძვირფასი განძია მეცნიერებაში.

ჩვენ ქვეყნის მშრომელნი დიდად აფასებდნენ თავისი გამოჩენილი მეცნიერის მოღვაწეობას. 1938 წელს საქართველოს მშრომელებმა ივანე ჯავა-





ხიშვილი აირჩიეს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. პარტიამ და მთავრობამ იგი დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

მშრომელთა სიყვარულით, პარტიისა და მთავრობის მზრუნველობით აღფრთოვანებული ივანე ჯავახიშვილი უდიდესი ენერჯით განაგრძობდა მეცნიერულ მუშაობას, მაგრამ სიკვდილმა მას მოუსწრო საბრძოლო პოსტზე.

ალარა გვყავს დიდი მეცნიერი, აკადემიკოსი ივანე ალექსანდრეს-ძე ჯავახიშვილი, მაგრამ მის ზსოვნას არასოდეს არ დაივიწყებს მადლიერი საბჭოთა ხალხი.



## ს ი ტ უ ვ ა,

 წარმოთქმული პროფ. ა. შანიძის მიერ აკადემიკოს  
 ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვაზე

 ძმირფასო მასწავლებლო, სახელოვანო მეცნიერო,  
 დიდო ივანე!

მე წილად მხვდა უმძიმესი მოვალეობა: უკანასკნელი სიტყვა ვითხრა სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, იმ უნივერსიტეტისა, რომელსაც შენ ჩაუყარე მკვიდრი საფუძველი.

შენ არაჩვეულებრივი მოვლენა იყავ ჩვენს ცხოვრებაში: შენში თანაბრად შეზავებული იყო ბუნება დიდი მეცნიერისა და დიდი ადამიანისა.

შენ დიდი იყავ, ბუმბერაზი იყავ იშვიათი ნიჭით, გონების გამჭრიახობით, მრავალმხრივი ცოდნით, ენერჯული შრომით, ფართო საქმიანობით, მდგომარეობით, მოვალეობის შეგნებით, მაგრამ ამასთანავე ერთად შენ გამკობდა და გამშვენებდა ბუნებრივი უბრალოება და მეტისმეტი თავმდაბლობა, რომელიც ეგრე ხიბლავდა ყველას, ვისაც კი ერთხელ მაინც რაიმე საქმე ჰქონია შენთან.

მართალია, შენ სუსტი იყავ ფიზიკურად, მაგრამ ძლიერი სულიერად. წლების მანძილზე შენი ჯანმრთელობა საფრთხეში იყო ქრონიკული სნეულებისაგან, მაგრამ შენი ძლიერი ნებისყოფა აყრუებდა მწვავე ტკივილებს და არ აძლევდა მათ საშუალებას, რომ ჩელი შეეშალათ შენი სამეცნიერო და საზოგადოებრივი მუშაობისათვის. ამ მხრივ შენ გმირი იყავ და მისაბაძი მაგალითი ყველასათვის.

შენ სისტემატურად იკვლევდი საქართველოს წარსულს, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეგიწყვეტია ზრუნვა მისი აწმყოსათვის და საქმიანობა მისი ბედნიერი მომავლისათვის.

მგზნებარე მამულიშვილო, შენ გახარებდა და გაფრთოვანებდა ყველაფერი, რაც ხელს უწყობდა მეცნიერების განვითარებას, ხელოვნების გაფუჩჩნასა და ტექნიკის დაუფლებას ჩვენში. ამიტომ იყო, რომ დიდი კმაყოფილებით ჰხედებოდი შენ ახალ-ახალი უმაღლესი სასწავლებლის დაარსებას, საყოველთაო სწავლის გავრცელებასა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ჩვენში.

შენ გახარებდა ყველაფერი, რაც ხელს უწყობდა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად მოღონიერებასა და დაწინაურებას. ამიტომ იყო, რომ აღტაცებით ვგებებოდი ელექტროსადგურებისა და ქარხნების გამრავლებას, კოლხეთის დაბლობის ამოშრობის პრობლემის გადაწყვეტას, იქ ტექნიკურ კულტურათა ბაღნარის შექმნას, სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას ქართლში, ამ



საქართველოს გულში, და სხვა მნიშვნელოვან დადგენილებას პარტიისა და ხელისუფლებისას.

შენ ყველაზე კარგად გესმოდა, რომ იმ ჩანმეტ ტექსტებსა და ახალ საისტორიო წყაროებს, რომლებიც შენ აღმოაჩინე და გამოეც, იმ ძვირფას არქეოლოგიურ გათხრებს, რომელთაც შენ აგრე ოსტატურად ჰხელმძღვანელობდი, ან სხვა სახის სამეცნიერო მუშაობას, რომელსაც შენ აწარმოებდი, იმდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც ისინი, წარსულის შესწავლით და გამოკვლევით, ემსახურებიან აწმყოსა და მომავლის საქმეს, ფართო მასების ინტერესებს.

დიდო მეცნიერო, შენ მრავალი პირველხარისხისგანი გამოკვლევა დაგვიტოვე: „ქართველი ერის ისტორია“, „ქართული სამართლის ისტორია“, „ქართული მუსიკის ისტორია“, „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ და სხვა და სხვა. მაგრამ შენ მიერ გაკეთებულ დიდ საქმეებს შორის ყველაზე დიდია და ძვირფასი ის მეთაურობა, რომელიც შენ იკისრე დიდი სამეცნიერო მოძრაობის დროს, რომელიც მოჰყვა პირველ მსოფლიო ქართველს და რომელმაც ფართო გასაქანი ჰპოვა დიდი ოქტომბრის შემდეგ. ამ მოძრაობის ნაყოფია შენ მიერ საფუძველ-ჩაყრილი უნივერსიტეტი, რომელმაც თავისი წიაღიდან რამდენიმე უმაღლესი სასწავლებელი წარმოშვა.

სხვა რომ არაფერი გაგეკეთებინა რა, ესეც სრულიად საკმარისი იქნებოდა შენი სახელის უკვდავსაყოფად. მაგრამ, ამის გარდა, შენ აღზარდე მრავალი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომლებიც მუდამ კრძალვითა და მადლობით ახსენებენ შენს სახელს.

დიდო ივანე! შენს მოწაფეებად თვლიან თავს არა მარტო ის პირნი, რომელნიც შენი უშუალო ხელმძღვანელობით მუშაობდნენ (ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, ფილოლოგები, ლიტერატურის ისტორიის მკვლევარნი, ხელოვნების ისტორიკოსები, არქეოლოგები ან ეთნოგრაფები), არამედ მეცნიერების სხვა დარგის წარმომადგენლებიც: ბუნებისმეტყველები და სხვანი.

შენ სიფაქიზისა და მეცნიერული სინიღისის განსახიერება იყავ, რითაც შენ დიდი ამაგი დასდევ ბევრს, მრავალს, უამრავს.

ამიტომაც, რომ ყველა პატიოსანი ადამიანის გულში დაისადგურა შენმა უმწიკვლო სახელმა; ამიტომაც, რომ ყველგან ჰპოვე ღრმა სიყვარული და უსაზღვრო პატივისცემა; ამიტომაც, რომ ეგრე დიდი ავტორიტეტი გქონდა ყველას თვალში; ამიტომაც, რომ პარტიამ და ხელისუფლებამ სათანადო ნდობით, მზრუნველობითა და პატივისცემით აგჭურეს და ღირსეულად დააფასეს შენი უზარმაზარი ღვაწლი.

მეცნიერების დიდო ქურუმო! ამიტომაც, რომ როცა ოთხი დღის წინათ, 18 ამ თვეს, საღამოს, ერთი საათისა და 15 წუთის განმავლობაში უაღრესად მნიშვნელოვანი მოხსენების კითხვის დროს არ დაინდე შენებური მარილიანი სიტყვების მოსასმენად მოსული შენი მოწაფეები, მეგობრები და პატივისმცემნი და უეცრად, 9 ს. და 40 წუთზე, ყველას თვალწინ, შესწყვიტე არა მარტო მოხსენების კითხვა, არამედ საუბარი და, ვაი რომ, კეთილშობილი გულისცემაც სამუდამოდ, ყველა იქ მყოფთ ძარღვებში სისხლი გაუშრა, გონება დაეხრა, ყველა შიშის ზარმა აიტანა. კარგად ვიცი, რომ ჩვენში ამ დროს



სტიქიური კატასტროფა, ვთქვით მიწისძვრა, არ ყოფილა. მაგრამ მთელი საზოგადოება შეშფოთდა და შეძრწუნდა. მღელვარებამ მოიცვა მთელი თბილისი, შორს გაისმა გლოვის ზარი.

დაუჯერებელი იყო და დღესაც დაუჯერებელია შენი სიკვდილი. არა, შენისთანა დიდბუნებოვანი ადამიანები არ კვდებიან! შენ მხოლოდ ხორციელად გვეყრები. თორემ შენი ფიქრები და აზრები, შენი ზღვა სიყვარული სამეცნიერო მუშაობისადმი, შენი გამორული თავდადება და ბრძოლა სამართლიანი საქმისათვის, შენი გულის წვა და დაგვა სამშობლოს წარსულის შესწავლისა და მომავლის აყვავებისათვის ანდერძად რჩება შენს საყვარელ უნივერსიტეტში, შენს მოწაფეებში, შენ მიერ აღზრდილ კადრებში, რომელნიც მტკიცე ფიცს სდებენ, რომ პირნათლად შეასრულებენ თავის მოვალეობას.

შავად არის შემოსილი შენი და ჩვენი უნივერსიტეტი, რადგანაც უკანასკნელად გიყურებს თავის დიდ მოტირნახულეს. თუმცა დღეს მზე თბილისის ცაზე კაშკაშებდა, მაგრამ შენი პატივისცემლების გულში, აქ შემოკრებილი საზოგადოების გულში სიბნელეა და წყვდიადი.

შენ, უნივერსიტეტის ფუძემდებელმა, უნივერსიტეტისავე ეზოში ჰპოვე უკანასკნელი და, ამავე დროს, საუკუნო თავშესაფარი, ახლოს იმ დაწესებულებასთან. სადაც შენ ბევრჯერ გინახავს არა მარტო გახარება და აღტაცება, არამედ აგრეთვე დიდი მწუხარებაც.

განისვენე ტკბილად, ძვირფასო მასწავლებლო, შენს გულითად მეგობარ პეტრე მელიქიშვილთან ერთად, რომელიც, შენივე დაყინებული თხოვნის თანახმად, უნივერსიტეტის პირველ რექტორად ბქნა არჩეული.

დიდია ჩვენი დანაკლისი შენი ფიზიკურად მოშორების გამო, მაგრამ ტირილი და გლოვა არ გემართებს, რადგანაც „ტირილითა და გვლევნითა მტერნი არ შეგვიბრალებენ“.

ჩვენ ვალად გვაძევს შეუდრეკლად სიარული იმ ფართო სამეცნიერო გზით, რომელიც შენ პირველად გაჰკაფე ჩვენში. ჩვენ ვალად გვაძევს, მთელი ჩვენი ძალღონე შევალით შენს საყვარელ საქმეს — მეცნიერების აყვავებას და ქვეყნის სამსახურს.

ბევრია შენი მადლიერი, დიდი მასწავლებლო, კერძოდ მეც დიდად დავალებული ვარ შენგან. პირადად შენთვის მე არააოდეს არ მიტყვამს მადლობა იმ დიდი ამაგისათვის, რომელიც შენ გაწეული გაქვს ჩემზე. ამიტომ ჩემს უძვირფასეს მოვალეობად მიმაჩნია, საჯაროდ მოგახსენო უღრმესი მადლობა შენი დედამიწის ზედაპირზე უკანასკნელი ყოფნის წუთებში.

უღრმესად გმადლობ, ძვირფასო მასწავლებლო!

მშვიდობით, დიდი მეცნიერო და დიდი ადამიანო!



# აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ნაშრომთა სია<sup>1</sup>

## I. ქრონოლოგიური საძიებელი

1899.

1. თარგმანი: Мудрость Балавара: ЗВО, 1899, т. 11, стр. 1—48.

1900.

2. საქართველოს სამეფო ტანტის მემკვიდრეები მეფის-ძე დავით და ბატონიშვილი იულიონ: მოამბე, 1900, № 4, განყ. 2, გვ. 1—27.  
3. ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში: მოამბე, 1900, № 5, განყ. 2, გვ. 55—70; № 6, განყ. 2, გვ. 18—50.

1901.

4. ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში: მოამბე, 1901, № 4, განყ. 2, გვ. 1—17.  
5. Проповедническая деятельность ап. Андрея и св. Нины в Грузии: ЖМНП, 1901, № 1, стр. 77—113.  
6. Das Martyrium des heiligen Eustathius von Mzdietha: Sitzungsberichte der Königlich Preussischen Akademie der Wissenschaften, 1901, t. 38, S. 875—90'.

1902.

7. Народные переписи в Грузии: ЗВО, 1902, т. 14, Вып. 1, стр. 01—014.

1904.

8. მამულიშვილობა და მეცნიერება. ტფ. 1904, 52 გვ. ლიტერატურა შენიშვნებში. პირველად დაიბეკდა გაზ. „ცნობის ფურცელში“ 1904, № 2452, გვ. 2—3; № 2458 გვ. 2—3; № 2460, გვ. 2—3; № 2465, გვ. 2—3; № 2466, გვ. 2—3; № 2467, გვ. 2—3.  
9. К истории церковных реформ в древней Грузии (Георгий Афонский): ЖМНП, 1904, № 2, стр. 358—372.  
10. Библи.—Грузия [ანოტირებულია 30 სახელწოდება]: Виз. Врем. 1904, т. 11, вып. 1—2, стр. 323—352.  
11. Библи.—Грузия [ანოტირებულია 21 სახელწოდება]: Виз. Врем. 1904, т. 11, Вып. 3—4, стр. 751—785.

1905.

12. საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია. გადმობეჭდილი „ცნობის ფურცლიდან“. ტფ. 1905. 90, II გვ.

<sup>1</sup> სია შეადგინა ბიბლიოგრაფმა თ. მატკავარძანმა.



პირველად დაიბეჭდა გაზ. „ცნობის ფურცელში“ 1905, № 2856, გვ. 2—4; № 2859, გვ. 2—3; № 2860, გვ. 2—3; № 2862, გვ. 2—3; № 2866, გვ. 1—3.

13. Государственный строй древней Грузии и древней Армении, т. 1. СПб. Акад. наук 1905, 147 стр. (Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии, кн. 8). Литер. в подстр. прим.

## 1906.

14. Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. СПб. Изд-во „Сакартвело“. 1906, 45 стр.

ამ წიგნიდან ნაწყვეტები: „ბრძოლა მთავრობასა და მემამულეებს შორის“ (ივ. ჯავახიშვილის წიგნაკიდან): გლეხი. 1907, № 3, გვ. 3—7; № 4, გვ. 3—9; № 5, გვ. 3—9.

15. უნებობიე მოძღვრების ისტორია საქართველოში: ივერია. 1906, № 10, გვ. 9—11; № 11, გვ. 14—16; № 12, გვ. 12—15; № 13, გვ. 11—14.

16. Библио-Грузия [ანოტირებულია 18 სახელწოდება]: Виз. Врем. 1906, т. 12, вып. 1—4; стр. 426—445.

## 1907.

17. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი. ტფ. 1907. 110, II გვ. პირველად დაიბეჭდა გაზ. „ივერია“-ში, 1906, № 22, გვ. 12—16; № 26, გვ. 10—12.

18. Автокефалия Грузинской церкви: Политическая энциклопедия под ред. Л. З. Слонимского. т. 1. 1907, стр. 46—48.

19. Грузия: Там же, стр. 598—602.

## 1908.

20. ქართველ ერის ისტორია. წიგ. I. ტფ. შ. ი. თუმანიშვილის გამ-ბა. 1908. X, 189 გვ

21. საისტორიო მასალები. პასუხი მ. ჯანაშვილს: საქართველო. 1908, № 10, გვ. 11—14.

22. История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века: ИАН. 1908, 6 серия, № 5, стр. 433—446; № 6, стр. 511—536.

23. Обзор теории и литературы о происхождении грузинского языка: ЖМНП. 1908, № 8, стр. 241—258.

## 1912.

24. Материалы для истории грузинской патристической литературы: Хр. Восток. 1912, т. 1, в. 1, стр. 6—29.

25. К вопросу о времени построения грузинского храма в Атене по вновь обследованным эпиграфическим памятникам: Хр. Восток. 1912, т. 1, в. 3, стр. 277—297.

26. Рец.—(Е. Такайшвили). Материалы по Археологии Кавказа, собр. экспедициями Моск. археол. об-ва. XIII вып. (162+V—XII) в 169 стр. in 4° (Москва, 1909): Хр. Восток. 1912, т. 1, в. 1, стр. 99—104.

27. Рец.—Е. А. Пахомов. Монеты Грузии, ч. 1 (домонгольский период). (Зап. нумизм. отд. имп. Русск. арх. общ. IV в. I тома, 129 стр (СПб. 1910): Хр. Восток. 1912, т. 1, в. 1, стр. 104—114.

## 1913.

28. ქართველ ერის ისტორია. წიგნი I და II ტფ. 1913. V, III, 248 გვ. 15. ჩ. ფ. სურ. ლიტერატურა შენიშვნებში.

29. Слово св. Иоанна Златоуста „о врожденном и predetermined добре и зле“ в древне-грузинском переводе: Хр. Восток. 1913, т. 2, в. 3, стр. 275—280.



30. Грузия.—История Г. Грузинское право. Грузинский язык. Грузинская литература: 1. Древний период. 2. Древне-грузинская историческая литература: Энциклопедический словарь т-ва бр. Гранат. т. XVII, стол. 192—251.

## 1914.

31. ქართველ ერის ისტორია. წიგ. II. ტფ. 1914. 251—708 გვ. 25 ზ. ფ. ილლ დართული აქვს: „საქართველოს რუკა“ და „ბაგრატიონიანთა შთამომავლობითი შტოას ტახულა“. ლიტერატურა შენიშვნებში.

32. Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древне-грузинской литературе: Хр. Восток. 1914, т. 3, в. 1, стр. 17—31.

## 1915.

33. იძულებითი განმარტება ბ. ს. კაკაბაძის უკანასკნელი წერილების გამო: სახ. ფურცელი. 1915. № 276; № 277, გვ. 2—3; № 278, გვ. 2—3.

34. წინასიტყვაობა და რედაქცია:—კრებული. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამოცემა. ტფ. 1915.

## 1916.

35. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა. წიგნი I—ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII სს.). ტფ. 1916, XXXVI, 338, XXV გვ.

36. О знаках препинания при издании древне-грузинских текстов.—Пособия для работ по армяно-грузинской филологии. III. Игр. 1916, стр. 1—12.

## 1917.

37. ქართველ ერის მოკლე ისტორია. წიგნი პირველი, უძველესი დროიდან I ს-მდე ქ. შ. ქუთ. „განათლების“ ამხ. გამ-ბა. 1917. 182, 1 გვ. [კანზე 1918 წ.]

38. Об одном анонимном грузинском историке XIV века: ИАН. 1917, 6 серия, № 17, стр. 1483—1486.

## 1918.

39. ქართველ ერის მოკლე ისტორია. წიგნი მეორე, I—XII ს. ქრ. შ. ქუთ. „განათლების“ ამხ. გამ-ბა. 1918, 96 გვ.

40. ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII სს.: პრომეთე. 1918, № 1, გვ. 35—61.

## 1919.

41. დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის მე-18-ე საუკუნეში. თბ. ქართული კლუბის გამ-ბა. 1919. 64 გვ. ლიტერატურა შენიშვნებში.

42. საქართველოს საზღვრები ისტორიულად და თანამედროვე თვალსაზრისით განხილული. ტფ. 1919. 56 გვ.

43. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი I. ქუთ. თ. მთავრიშვილის ამხ. გამ-ბა. 1919. 218, 2 გვ.

პირველად დაიბეჭდა: „ერი“ 1909, № 1, გვ. 14—16; № 2, გვ. 13—16; „ჩვენი ერი“ 1909, № 1, გვ. 13—16; № 2, გვ. 13—16; „საქ. მოამბე“ 1909, № 1, გვ. 14—16; № 2, გვ. 14—16, № 3, გვ. 13—15. იმავე წელს, ნაწილი დაიბეჭდა კონსპექტის სახით.



## 1920.

44. ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტის მდგომარეობა (პროფ. ივ. ჯავახიშვილის მოხსენება) ბ-ნ სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგს: სან. საქმე, 1920, № 903, გვ. 3.

## 1921.

45. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად. წიგნი I—ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V—XVIII ს.ს.). მეორე შეესებულ გამოცემა. თფ. წერა-კითხვის საზოგ. გამ-ბა № 210. 1921. XXX. 224 გვ.

## 1923.

46. ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (წინასწარი მოხსენება ნიმუშების დართვით): ტფ. უნივ. მოამბე, 1922—23, ტ. 2, გვ. 313—391.

47. გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში: ტფ. უნივ. მოამბე, ტ. 2, გვ. 247—261.

48. ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება: ტფ. უნივ. მოამბე, ტ. 3, გვ. 186—216.

49. რედაქცია—„საქართველოს ისტორიული რუკა“. ტფ. შ. ს. ს. კ. გამოცემა. 1923.

## 1924.

50. ქართველი ერის ისტორია წიგნი მეოთხე, ნაწილი I (XV საუკ.). ტფ. 1924. VIII, 230, [1] გვ. დართული აქვს: „ამ წიგნში განხილული და მოხსენებული ისტორიული ძეგლები და გამოკვლევანი. საკუთარ სახელთა საძიებელი“

პირველად დაიბეჭდა ჟურ. „ჩვენ მეცნიერებაში“, 1923, № 4—5, გვ. 58—63; № 6—7, გვ. 48—79; 1924, № 8, გვ. 25—46; № 9—10, გვ. 14—56; № 11—12; გვ. 15—79.

51. რეცენზია—ს. კაკაბაძის შენიშვნა საისტორიო რუკაზე („საისტორიო მოამბე“ I, გვ. 293—397); ჩვენი მეცნიერება, 1924, № 11—12, გვ. 129.

## 1925.

52. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად. წიგნი III, ნაკვეთი მესამე—ქართული საფას-სახომთა მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია. ტფ. „ჩვენი მეცნიერების“ გამ-ბა 1925, VI, 170, [1] გვ. დართული აქვს: „ამ წიგნში განხილული ან მოხსენებული ისტორიული ძეგლები და გამოკვლევანი“.

ნაწილი პირველად დაიბეჭდა ჟურ. „ჩვენ მეცნიერებაში“, 1924, № 1 (13), გვ. 133—160; № 2 (14), გვ. 17—64; № 3—4 (15—16), გვ. 17—64.

## 1926.

53. ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად. წიგნი III, ნაკვეთი პირველი—ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. ტფ. „ქართული წიგნის“ გამ-ბა. 1926. XIV, 240, 2 ჩ. თ. ტაბულა. დართული აქვს: „საკუთარი სახელების საძიებელი; ტერმინების საძიებელი; ტაბულა 1-ის განმარტება“.

ნაწილი პირველად დაიბეჭდა ჟურ. „ახ კავკასიონში“ 1925, № 1—2, განყ. IV, გვ. 55—99.

54. ისტორიის მიზანი. წყაროები და მეთოდები წინათ და ახლად. წიგნი III, ნაკვეთი მეორე—ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. ტფ. ტფ. უნივ. გამ-ბა. 1926. VI, 200 გვ. დართული აქვს: „საკუთარი სახელების საძიებელი; ტერმინების საძიებელი“.



ნაწილი პირველად დაიბეჭდა ჟურ. „მომომხილველში“. 1926, № 1, გვ. 69—98.

## 1927.

55. წინასიტყვაობა და გამოცემა: „ლაშა გიორგის დროინდელი მემბტიანე“-სი. ტფ. უნ. გამ-ბა. 1927.

## 1928.

56. ქართველ ერის ისტორია. წიგნი I, გამოც. მე-3, შეგს. და გადამუშ. 14 ნახატ. და 9 სურ. ტფ. 1928. X. 375 გვ. დართული აქვს: „ნახატებისა და სურათების საძიებელი; საგეოგრაფიო სახელთა საძიებელი; საკუთარ სახელთა საძიებელი“. ლიტერატურა შენიშვნებში.

57. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი პირველი. ტფ. ტფ. უნივ. გამ-ბა. 1928. X 220 გვ. დართული აქვს: „პირთა სახელების საძიებელი. გეოგრაფიული სახელების საძიებელი; ტერმინებისა და გამონათქვამთა საძიებელი.

58. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი. ტფ. ტფ. უნივ. გამ-ბა. 1928, VIII, 233 გვ. დართული აქვს: „პირთა სახელების საძიებელი; გეოგრაფიული სახელების საძიებელი; ტერმინების საძიებელი“.

## 1929.

59. ქართული სამართლის ისტორია. წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე. ტფ. ტფ. უნივ. გამ-ბა. 1929. XVI, 581 გვ. დართული აქვს: „პირთა სახელების საძიებელი; ქართული ტერმინების საძიებელი. უცხო ტერმინების საძიებელი“.

## 1930.

60. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი პირველი. მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა 21-სურათით და 1 რუკით, ტფ. „ქართული წიგნის“ გამ-ბა. 1930. VII, 428, [1] გვ. 1 ჩ. ფ. „საქართველოს ბოტანიკურ-აგრონომიული არეების რუკა ძველი წყაროების მიხედვით“.

61. თანავტორი—Грузинская ССР, гл. VIII. Исторический очерк: Б.С.Э. т. XIX, 1930, столб. 558—598.

## 1934.

62. საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი მეორე. მეორე, ახლად დაწერილი გამოცემა სურათებით. ტფ. ფედერაცია. 1934. XX, 708 გვ. დართული აქვს: „პირთა სახელების საძიებელი; გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი; ტერმინების საძიებელი“.

63. სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკუნეებში. ტფ. სახ. უნივ. გამ-ბა. 1934. III, 53 გვ.

64. აკად. ნ. მარის ხსოვნას: ბოლშ. კადრებისათვის, 1934, № 21.

## 1935.

65. ბალნეოლოგიური და ინჰალაციური მკურნალობა საქართველოში. ტფ. საქ. კურორტ. და ფიზიოტერაპიის ინ-ტის გამ-ბა. 1935. 39 გვ.

66. ძველი სომხური საისტორიო მწერლობა. წიგნი I. ტფ. სახ. უნივ. გამ-ბა. 1935. XV, 216 გვ. დართული აქვს: „პირთა სახელების საძიებელი. გეოგრაფიული სახელების საძიებელი“.

67. შინამრეწველობისა და წვერილი ხელნაწობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესი: საქ. შინამრეწველი. 1935, № 9, გვ. 2—3. (წერილი ხელმოუწერელია. ი. გ რ ი შ ა - შ ვ ი ლ ის ა და ა. შ ა ნ ი ძ ის ცნობით ავტორი ნამდვილად აკად. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ა).

68. შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზემის გამო: ლიტერატურული მემკვიდრეობა. წ. I, 1935, გვ. 10—18.



1936.

69. *სიკიქსე ჯაკობაძის აიყიასკან ჯარქიანსკი აკათიასკან ზამარ X ე. ს XIII ე. ასკენსკი: ზარქიანსკიან კლასკენსკიე ათაჯარანიიქ კიქ ბანიიქიასკიანსკიიქ ზანსკერბ აკიიქ. I. შხიქრესქრესქი, მსკ., შხიქრისკან ჭიიქ. 1936. 42 სქ.*

1937.

70. ქართველი ერის ისტორიის შესავალი წიგნი მეორე—ქართული და კავკასიური ენების თვდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფ. სსრ კავშირის მეც. აკად. საქ. ფილიალის გამ-ბა. 1937. XVI, 754, [2] გვ. დართული აქვს: „პირთა სახელების საძიებელი; გეოგრაფიული სახელების საძიებელი; ენების სახელწოდებათა საძიებელი; ტერმინების საძიებელი“.

71. ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში: ენიმკი-ს მოამბე. 1937, ტ. 1. გვ. 1—8.

72. შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა: გაზ. კომუნისტი. 1937, № 55, გვ. 3—4.

73. საბჭოთა ინტელიგენცია ხმას მისცემს სტალინური ეპოქის საუკეთესო ადამიანებს: იქვე. 1937, № 283, გვ. 3.

74. რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (საკ. საბჭოთა მწერლების კავშირის V პლენუმზე გაკეთებული მოხსენებიდან), იქვე. 1937, № 298, გვ. 3; ლიტ. საქ. 1938, № 1, გვ. 2.

75. Личность и мировоззрение (შოთა რუსთაველისა): Известия ВЦИК, 1937, № 66, стр. 3.

1938.

76. ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. ტფ. სსრ კავშირის მეც. აკად. საქ. ფილიალის გამ-ბა. 1938. 16 გვ.

პირველად დაიბეჭდა: ენიმკი-ს „მოამბეში“ 1937, ტ. II, გვ. 1—14; იმავე წელს დაიბეჭდა გაზ. „კომუნისტი“, № 153, გვ. 2—3.

77. ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. თბ. „ფედერაცია“. 1938. 382 გვ. 31 სურ. ჩ. ფ.—ლიტერატურა შენიშვნებში.

78. ქართული ძველი წარმართული, საერო და შემდეგ გაჩენილი საეკლესიო მუსიკა და ბრძოლა მათ შორის: მნათობი, 1938, № 6, გვ. 133—140.

79. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთავისათვის: კომუნისტი, 1938, № 122, გვ. 3;

Как создавался университет: Заря Востока. 1938, № 122, стр. 2.

80. მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა: კომუნისტი. 1938, № 292, გვ. 2;

Археологическая экспедиция в Мцхета-Самтавро: Заря Востока. 1938, № 291, стр. 3.

81. Эпос Давид Сасунский близок и родственен всем народам СССР: Коммунист. 1938, № 285, стр. 3.

82. წინასიტყვაობა და რედაქცია:—„შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“. თბ. „ტექნიკა და შრომა“. 1938.

1939.

83. სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ [პარტიის ყრილობის გამო]: ახ. კომუნისტი. 1939, № 57, გვ. 2.



84. Основные историко-этиологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока: Вестник древней истории. 1939, № 4, стр. 30—49.

85. Отражение истории в народном эпосе и народного эпоса в истории: Коммунист. 1939, № 214, стр. 5.

*კომუნისტური ართაგორიდან ძივიქრეკის სკიპი მსჯ. ს. ძივიქრეკის სკიპი კომუნისტური მსჯ.—ჭრასის ქსრქ 1939, № 25.*

## 1940.

86. სოციალისტური მშენებლობის მჭერმეტყველი მლადეებელი [წერილი „კომუნისტის“ არსებობის 20 წლისთავთან დაკავშირებით]: კომუნისტი. 1940, № 126.]

87. დეპუტატ ი. ა. ჯავახიშვილის სიტყვა [საქ. სსრ. სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ]: კომუნისტი, 1940, № 132, გვ. 2;

Речь депутата И. А. Джавахишвили [о бюджете Груз. ССР]: Заря Востока. 1938, № 132, стр. 2.

88. სასარგებლო საქმე [ქართული ნაციონალური სპორტის შესწავლის შესახებ]: ახ. კომუნისტი. 1940, № 208, გვ. 3.

89. წინასიტყვაობა და რედაქცია: ეგნატაშვილი ბერი. ახალი ქართლის ცხოვრება XVIII ს. დამდ. I—ტექსტი. თბ. სსრ კავშირის მეც. აკად. საქ. ფილიალის გამბა. 1940.

## II. ანბანური საძიებელი

აკად. ნ. მარის ხსენება. 64.

ამიერ-კავკასიის კერძო უნივერსიტეტის მდგომარეობა. 44.

ანდრია მოციქულის და წმ. ნინოს მოღვაწეობა საქართველოში. 3.

ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის. 46.

ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება. 48.

ბალნეოლოგიური და ინჰალაციური მკურნალობა საქართველოში. 65.

ბრძოლა მთავრობასა და მემამულეებს შორის. 14.

გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში. 47.

დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის XVIII საუკუნეში. 41.

ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში. 15.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ოცი წლისთავისათვის. 79.

ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია. 76.

იძულებითი განმარტება ბ. ს. კაკაბაძის უკანასკნელი წერილების გამო. 33.

მაშულიშვილობა და მეცნიერება. 8.

მცხეთა-სამთავროს არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობა. 80.

რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა „ვეფხისტყაოსანი“. 74.

საბჭოთა ინტელიგენცია ხმას მისცემს სტალინური ეპოქის საუკეთესო ადამიანებს. 73.

საისტორიო მასალები. პასუხი მ. ჯანაშვილს. 21.

სასარგებლო საქმე [ქართული ნაციონალური სპორტის შესწავლის შესახებ]. 88.

საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი I (გამოცემა 1, 2). 17, 60.

საქართველოს ეკონომიური ისტორია. წიგნი II. 62.

საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია. 12.

საქართველოს საზღვრები. 42.

საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები მეფის ძე დავით და ბატონიშვილი იულიონ. 2.

სიტყვა [საქ. სსრ. ბიუჯეტის შესახებ]. 87.



სოციალისტური მშენებლობის მჭერმეტყველი მალაღებელი [გაზ. „კომუნისტი“-ს ოცი წლისთავი]. 86.

სოციალური ბრძოლის ისტორია საქართველოში IX—XIII საუკ. 63.

სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ. 83.

ქალაქები, საქალაქო წესწყობილება და ცხოვრების ვითარება საქართველოში XVII—XVIII ს.ს. 40.

ქართველ ერის ისტორია. წიგნი I (გამოცემა 1, 2, 3). 20, 28, 56.

ქართველ ერის ისტორია. წიგნი II. 31.

ქართველ ერის ისტორია. წიგნი IV, ნაწ. I. 50.

ქართველ ერის მოკლე ისტორია. წიგნი I. 37.

ქართველ ერის მოკლე ისტორია. წიგნი II. 39.

ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. 70.

ქართული დამწერლობათა მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია. 53.

ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები. 77.

ქართული სამართლის ისტორია. წიგნი I (გამოცემა 1, 2). 43, 57.

ქართული სამართლის ისტორია. წიგნი II, ნაკვ. I. 58.

ქართული სამართლის ისტორია. წიგნი II, ნაკვ. II. 59.

ქართული საფას-სახომთა მცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია. 52.

ქართული სიგელთა-მცოდნეობა ანუ დიპლომატიკა. 54.

ქართული ძველი წარმართული, საერო და შემდეგ გაჩენილი საეკლესიო მუსიკა და ბრძოლა მათ შორის. 78.

შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის მასალების შეგროვების წესი. 67.

შოთა რუსთაველის დაბადების 750 წლისთავის ზეიმის გამო. 68.

შოთა რუსთაველისა და მისი ეპოქის გამოფენა. 72.

ჩვენი ამოცანები ენათმეცნიერებისა და კულტურის ისტორიის სფეროში. 71.

ძველი სომხური საისტორიო მწერლობა. 66.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (გამოცემა 1, 2). 35, 45.

ხალხის აღწერის და შემოსავლის დაეთრები საქართველოში. 4.

Автокефалия грузинской церкви. 18.

Археологическая экспедиция в Мцхета-Самтавро. 80.

Государственный строй древней Грузии и древней Армении. 13.

Грузинская ССР. Исторический очерк. 61.

Грузия. 19.

Грузия. История. Грузинское право. Грузинский язык. Грузинская литература. 30

История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале 7 века. 22.

К вопросу о времени построения грузинского храма в Атене. 25.

К истории церковных реформ в древней Грузии. 9.

Как создавался университет. 79.

Личность и мировоззрение [Шота Руставели]. 75.

Материалы для истории грузинской патристической литературы. 24.

Народные переписи в Грузии. 7.

О знаках препинания при изучении древне-грузинских текстов. 36.

Об одном анонимном грузинском историке XIV века. 38.


Обзор теории и литературы о происхождении грузинского языка. 23.

Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока. 84.

Отражение истории в народном эпосе и народного эпоса в истории. 85.

Политическое и социальное движение в Грузии в XIX в. 14.





- Проповедническая деятельность ап. Андрея и св. Нины в Грузии. 5.  
 Речь [о бюджете Груз. ССР]. 88.  
 Слово св. Иоанна Златоуста „о врожденном и предопределенном добре и зле“ в древне-грузинском переводе. 29.  
 Термины искусств и главнейшие сведения о памятниках искусства и материальной культуры в древне-грузинской литературе. 32.  
 Эпос „Давид Сасунский“ близок и родственен всем народам СССР. 81.  
*სიკიხრე ზოგადიანის მიქაელის ჯარბომსიქის უკომოქკან ნანარ X-ე სე XIII ე. სიქინსინ. 69.*  
*უკომოქკან ართაგილიქე ძიქიქიქის სიქის მიქ სე ძიქიქიქის სიქის უკომოქკან მიქ. 85.*  
 Das Martyrium des heiligen Eustathius von Mzchetha. 6.

რ ე ც ე ნ ზ ი ე ბ ი

- რეც.: ს. კაკაბაძის შენიშვნა საისტორიო რუკაზე. 51.  
 რეც.: [E. Такайшвили]. Материалы по археологии Кавказа. 26.  
 რეც.: Е. А. Пахомов. Монеты Грузии. ч. 1. 27.  
 რეც.: Грузия.—Виз. врём. 1904, т. 11, в. 1—2. 10.  
 რეც.: Грузия.—Виз. врём. 1904, т. 11, в. 3—4. 11.  
 რეც.: Грузия.—Виз. врём. 1906, т. 12, в. 1—4. 16.

თ ა რ გ მ ა ნ ი

Мудрость Балавара. 1.

წინახიტყვაობა და რედაქცია

- ბერი ეგნატაშვილი. ახალი ქართლის ცხოვრება XVIII ს. დამდ. I ტექსტი. 88.  
 „კრებული“. პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრის გამოცემა. 34.  
 ლაშა გიორგის დროინდელი მემბტიანე. 55.  
 საქართველოს ისტორიული რუკა. 49.  
 შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა. 81.

შემოკლებულ სახელწოდებათა განმარტება

ახ. კომუნისტი . . . . .	ახალგაზრდა კომუნისტი.
ახ. კავკასიონი . . . . .	ახალი კავკასიონი.
ბოლშ. კადრებისათვის . . . . .	ბოლშევიკური კადრებისათვის.
ენიმე-ს მოამბე . . . . .	აკად. ნ. მარის სახელგობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე.
ლიტ. საქ. . . . .	ლიტერატურული საქართველო.
საქ. მოამბე . . . . .	საქართველოს მოამბე.
საქ. შინამრეწველი . . . . .	საქართველოს შინამრეწველი.
სახ. საქმე . . . . .	სახალხო საქმე.
სახ. ფურცელი . . . . .	სახალხო ფურცელი.
ტფ. უნივერ. მოამბე . . . . .	ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე.
Виз. Врем. . . . .	Византийский Временник.



ЖМНП . . . . .	Журнал Министерства народного просвещения
ЗВО . . . . .	Записки Восточного отдела имп. Русского археологического общества.
ИАН . . . . .	Известия Академии наук.
Известия ВЦИК . . . . .	Известия Всесоюзного Центрального Исполнительного Комитета.
Хр. Восток . . . . .	Христианский Восток.

ამ შრომების გარდა აღსანიშნავია შემდეგი:

1. აკად. ივ. ჯავახიშვილს, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს, 1897 წელს შეუდგენია ბიბლიოგრაფია საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესახებ გაზ. „ივერიიდან“ (1886—1896 წ.წ.). ეს მასალა დაიბეჭდა ი. ყიფშიძის რედაქტორობით გამოცემულ „ქართულ ბიბლიოგრაფია“-ში. პეტროგრადი. 1916, VIII, 160 გვ.
2. აკად. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით და დახმარებით კ. შულცემ თარგმნა ქართულიდან გერმანულად „აბო ტფილელის წამება“, რომელიც დაიბეჭდა ჰარნაკის ტექსტებსა და გამოკვლევებში (Texte und Untersuchungen, N. Folge, XIII, 4).

აგრეთვე უნდა მოვიხსენიოთ:

3. აკად. ივ. ჯავახიშვილის წერილი: [ნ. გ. ადონცის პროფესორად არჩევის შესახებ გაზ. „საქართველოს“ რედაქციის შემცდარი მსჯელობა და საქმის ნამდვილი განმარტება]—სახალხო ფურცელი. 1916, № 709, გვ. 3—4.

**ღამატებით აღსანიშნავია წიგნები, რომლებიც იბეჭდებოდა და არ გამოცხადდა:**

1. ხალხის აღწერის დავთრები საქართველოში (იბეჭდებოდა პეტერბურგში 1914—15 წ.წ. დაიბეჭდა 10-ოდე თაბახი) არ გამოცხადდა. [ა. შანიძის ცნობა].
2. სპარსული ისტორიული ქრესტომათია (იბეჭდებოდა თბ. სახ. უნივერსიტეტის ლიტოგრაფიაში 1925—26 (?) წწ. თვით ივ. ჯავახიშვილის ხელით გადანაწერის მიხედვით. დაიბეჭდა 112 გვ.). არ გამოცხადდა. [ა. შანიძის ცნობა].





კ. კეკელიძე

ქველი ქართული წელიწადი

ქველი ქართული წელიწადი ჯერ მეცნიერულად შესწავლილი და გარკვეული არაა<sup>1</sup>; საკითხი კი უაღრესად საინტერესო და აქტუალურია არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც: ცნობილია, რომ ჩალხის ეკონომიური, კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო ცხოვრება, წელიწადის მიმოქცევა და მის სეზონებზე ყოფილა ხშირად და არის დამოკიდებული. ამ საკითხის ყოველმხრივ და ეჭვმიუტანლად გარკვევისათვის პირდაპირი და ხელშესახები ცნობები არ მოგვეპოვება, ამიტომ მით უფრო ფრთხილად და ყურადღებით უნდა მოვეპყრათ იმ მასალას, რომლის გამოყენება შესაძლებელი და მოსახერხებელია.

<sup>1</sup> ამიტომ ზედმეტი არ იქნება, ვთქვამთ, გამოქვეყნება წინამდებარე ნარკვევისა; ის წარმოადგენს ერთ-ერთ თავს «ტექნიკური ქრონოლოგიის» კურსიდან, რომელიც ფაქულტატიურად წაკითხული იყო უნივერსიტეტში პირველად 1927-28 აკადემიური წლის შემოდგომის სემესტრში და სპორადულად მერვეც მეორდებოდა (უძველესი ხელნაწერების დათარიღების საკითხთან დაკავშირებით). «საქართველოს მუზეუმის მოამბის» მეექვსე (1929—1930 წ.) და მეშვიდე (1931—1932 წ.) ტომში მოთავსებულია პ. ინგოროყვას საყურადღებო გამოკვლევა («ძველ-ქართული წარმართული კალენდარი»), რომელიც ამ საკითხს ეხება. ძირითადი დებულება გამოკვლევასა ასეთია: ძველ ქართული წელიწადი შედგება 365 დღისაგან (6 თვე 31-დღიანი, 5 თვე—30-იანი, ერთი 29-იანი), თითოეული მისი თვე იწყება და თავდება შესატყვისი რომაული თვის მუდამ ერთსადაიმავე რიცხვში. უკვე ამ ძირითად დებულებაში მოცემულია ისეთი წინააღმდეგობა, რომელიც არყვეს მთელ გამოკვლევას. მართლაც, თუ წელიწადი 365 დღისაგან შედგება, ის მოძრავია; რადგანაც მოძრავი წლის პირობებში თვის დასაწყისი და დასასრული ყოველ ოთხ წელში ერთი დღით იწაცვლებს, ხოლო 120 წლის განმავლობაში ერთი თვით. ვერც ქველი ქართული წელიწადი დასრულდებოდა და დაიწყებოდა შესატყვისი რომაული თვის მუდამ ერთსადაიმავე რიცხვში; წელს რომ ის დაიწყებოდა, ვთქვათ, 1 მაისს, ოთხი წლის შემდეგ დაიწყებოდა 30 აპრილს, 120 წლის შემდეგ 31 მარტს და ასე. მეორე—რამდენადაც გამოკვლევაში ამათუიმ გამონაკარიშებისათვის გამოყენებულია საბა-სულხან ორბელიანის ზოდიაკური სისტემა, უნდა შევნიშნო, რომ საბა მზის შესვლას ვერძის, კუროს და მარჩბივის (ტყუბის) ზოდიაკოში სდებს არა 21 მარტს, 21 აპრილს და 22 მაისს, როგორც მკვლევარს აქვს აღნიშნული (VI, 425, 428), არამედ 20 მარტს, 20 აპრილს და 21 მაისს (ლექსიკონი, გვ. 130, 1928 წ.: «ვერძი თთუესა მარტსა 20 მიითვალავს მხესა, კურო—აპრილისა 20, მარჩბივი მაისსა 21»).



## I

ეჭვი არ არის, თავდაპირველად ქართველთა მოდგმის ტომები, მსგავსად სხვებისა, წელიწადს მთვარის მიმოქცევაზე აგებდნენ, ამიტომ უძველესი ქართული წელიწადი უნდა ყოფილიყო მთვარის წელიწადი. ეს იქიდან ჩანს, რომ მთვარე უძველეს ხანაში მთავარი ღვთაება ყოფილა ქართველებისა, რომელთაც მისი სახელით (თუთა) თვეც (თათუე) აღუნიშნავთ. როგორი იყო სახელწოდება მთვარის თვეებისა და თანმიმდევრობა მათი წელიწადში, ან რომელი თვით იწყებოდა წელიწადი, ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება და ყოველგვარი ძიება ამ დარგში ჯერჯერობით უშედეგოდ დარჩება. ერთი კია, რომ მთვარის წელიწადი ძირითადად ჩვენშიაც იმავე ბაბილონურ-სემური სისტემისა უნდა ყოფილიყო, როგორც ძველს ირანსა და სხვა ქვეყნებში. ის შემოსული უნდა იყოს ჩვენში მთვარის კულტთან ერთად ქარანიდან (ძველი ცენტრი მთვარის კულტისა); ამას გვაფიქრებინებს ქრისტიანულ ხანაში ცნობილი დღეობა თეთრი გიორგისა «გერისთობა», რომელიც სამი სწორისა და თავ-უქმობით გამოიხატება. ქარანელები მთვარის თვის მე-27 დღეს დღესასწაულობდნენ ახალმთვარის დღეობას, როდესაც ისინი მთვარეს მსხვერპლსა სწირავდნენ; გარდა ამისა, აქ დამოწმებულია 27-დღიანი მთვარის დღესასწაული. 27—28-დღიანი დღესასწაულის გამოძახილია ჩვენი ოთხსწორიანი (4×7) მთვარის დღესასწაული, გერისთობად ცნობილი. 28 დღე მაჩვენებელია იმ 28 სადგომისა, რომელსაც მთვარე გაივლის ხოლმე და რომელსაც არაბები «მანძილა-ს» უწოდებდნენ<sup>1</sup>.

შემდეგში მთვარის წელიწადი შეუცვლია ჩვენში მზის წელიწადს; ეს უნდა მომხდარიყო მაშინ, როდესაც ის მოხდა საერთოდ წინააზიაში, განსაკუთრებით კი ირანსა და სომხეთში<sup>2</sup>. ამისი საბუთია თვეთა ძველი ქართული სახელები, რომელთა ნაწილი ირანულ-სომხური წარმოშობის უნდა იყოს. ეს სახელები, რომელნიც წარმართული დროიდან ქრისტიანულშიაც ვადმოსულან, წერილობითი, უმთავრესად ბიბლიურ-ჰაგიოგრაფიული ხასიათის, ძეგლების საშუალებით შემონახულან და შემდეგნაირად გამოითქმიან (ანბანის რიგზე):

1 აპნისი, 2 ახალწლისაჲ. 3 ვარდობისაჲ, 4 თიბისაჲ, 5 ივრიკაჲ, 6 მარიალი, 7 მიჰრაკანი, 8 სთულისაჲ, 9 სურწყნისაჲ, 10 ტირისდენი, 11 ტირისკონი, 12 ქუელთობისაჲ.

ეს სახელები ნაწილობრივ წმინდა ქართულია, ნაწილობრივ კი მათში შემონახულია ან ავესტური, ან სომხური ფორმა შესატყვისი თვეებისა. განვიხილოთ ისინი ცალკულადა.

1. აპნისი არის ნათესაობითი ბრუნვა (თთუე აპნისი, resp. აპნისისაჲ), სახელობითი ბრუნვა იქნება აპანი, რაც იგივე ავესტური აპამ, ფალაური ავან ან ახალ-სპარსული აბან არის (აქედან გამოჰყავთ ებრაული აბ-იც).

<sup>1</sup> F. Ginzel, Handbuch der mathematischen und technischen Chronologie I, 75.

<sup>2</sup> ერთი შეხედულებით, წინააზიაში ეს მოხდა მეზუეთე საუკუნის გასულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე (Ginzel, Handbuch III, 27, 314), მეორე შეხედულებით კი, რომელიც პროფ. ვ. ბოლოტოვს ეკუთვნის (Христ. Чтение 1901 г.), ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში.



ეს სახელი, თუ მის ეტიმოლოგიას მივაქცევთ ყურადღებას<sup>1</sup>, უნდა მივიჩნიოთ იმ თვის სახელის დუბლიკაციად, რომელსაც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, სურწყანი ეწოდება.

2. ახალწლისაჲ (თთუე), სახელობითი ბრუნვა—ახალწელი, არის შესატყვისი ირანული ნავროზისა (ახალი დღე) და თარგმანი სომხური ნავასარდისა (ახალი წელი).

3. ვარდობისაჲ (თთუე) წმიდა ქართული სახელია, რომელიც აღნიშნავს ვარდის ან ზოგადად ყვავილის გაშლის სეზონს; ამიტომაცაა, რომ მას ბიბლიის ძველს ვერსიებში ეწოდება აგრეთვე თვე «ყვავილობისაჲ» (გამოსლვ. XXXIV, 18)<sup>2</sup>. საყურადღებოა, რომ ებრაელების მეორე თვეს, რომელიც დაახლოებით იმავე სეზონში მოდიოდა, ეწოდება «ზიფ», რაც ყვავილთა თვეს ნიშნავს (თთუესა შინა ზიფს, თთუესა მეორესა, 3 მეფ. VI, 37).

4. თიბისაჲ (თთუე), ესეც წმიდა ქართული სახელია, მაჩვენებელი იმ სეზონისა, როდესაც თიბვას აქვს ადგილი; მნიშვნელობით ეს სახელი იგივეა, რაც სომხური «მარგაც» (სიტყვისაგან «მარგ»—მინდორი, ველი).

5. იგრიკაჲ ანუ თთუე იგრიკისაჲ.—ნამდვილი, პირველადი ფორმა ამ სახელისა არის იგრი, resp. იგრისაჲ, როგორც ეს დამოწმებულია ერთს ჰაგიოგრაფიულ ძეგლში (იხ. ქვემოთ მავალითი 18,29). «იგრი» უნდა იყოს მოდიფიკაცია სომხური «არეგ»-ისა, რომელმაც, თავში ა-ი ახმოვანებით, შუაში გ-რ შეზატყვით და ნათესაობითს ბრუნვაში ე ბგერის გამოვარდნით, მოგვცა «იგრისა». ქართულ «იგრიკა»-ს სომხურ «არეგ»-თან აახლოებდა აკად. ბროსეც<sup>3</sup>.

6. მარიალი არის სომხური «მარერ»-ი.

7. მიჰრაკანი ან, უფრო ძველი ფორმა მისი, რომელიც დამოწმებულია ერთს ძეგლში (მავალითი 26),—მეჰრაკანი, მომდინარეობს ავესტურთ Mithra-საგან (მეშვიდე თვე) და უდრის სომხურ «მეჰკეანა»-ს და მის ორეულს, კაპადოკიურ «მითრაკანა»-ს.

8. სთულისაჲ (თთუე) არის წმიდა ქართული სახელი იმ თვისა, რომელშიაც ადგილი ჰქონდა სთველს ან რთველს, ესე იგი ნაყოფის შეგროვებას; იგი მნიშვნელობით იგივეა, რაც სომხური თვე «ქალოც».

9. სურწყანისაჲ (თთუე) არის ნათესაობითი ბრუნვა, სახელობითი უნდა იყოს «სურწყანი». ეს სახელი ორი ნაწილისაგან შედგება: «სურ» და «წყანი», უკანასკნელი უნდა იყოს ახლანდელი «წყალი» (ნ/ლ), ხოლო პირველი,

<sup>1</sup> ძველს ირანულში მდინარისა და წყლის სახელთანაა დაკავშირებული (Ginzel, I, 279).

<sup>2</sup> ხელნ. საქართ. მუხ. № 1207. «ვარდობისა» და «ყვავილობის» თვის შესატყვისად ბიბლიის სხვა ადგილებში იხმარება «თთუე ახალთაჲ» ანუ «ახლისაჲ» (ბაქარის გამოც. გამოსლვ. XIII, 4, XXIII, 15, XXXIV, 18, მეორე შვ. XVI, 1), რაც უდრის ბერძნული ბიბლიის ἐν μηνὶ τῶν νέων, სლავურის—месяц новых плодов, ხოლო ებრაულ ბიბლიაში, აქედან რუსულში-აც, ამ სახელებს უდრის თვის სახელი «ავიე».

<sup>3</sup> Extrait du manuscrit arménien № 114 de la Bibliothèque royale, relatif au calendrier géorgien: Journ. Asiatique X, 171, 530—531.



სურ, იგივე «წყალი» ავესტური ფორმით. ზენდ-ავესტაში, ოცდარვა იაზატებს შორის, ცნობილი იყო «არდავირ—სურ», რაც ნიშნავს «წყარო ზეციური წყლისა»<sup>1</sup>.

10-11. ტირისკონი და ტირისდენი; ეს ორი სახელი ერთად უნდა განვიხილოთ, როგორც, უეჭველია, ერთი ძირისაგან მომდინარე და თან დუბლიკაცია ერთისადამივე სახელწოდებისა. ჯერ შევეცადოთ აღვადგინოთ მათი ნამდვილი სახე, რადგანაც მოყვანილი ფორმით ისინი დამახინჯებული ჩანან. მე ვფიქრობ, რომ უნდა იყოს არა «ტირისკონი», არამედ «ტირისკანი»; ეს დასტურდება ერთ-ერთი ძველით, სადაც გვითხულობთ: «თთუესა ტირისკნისასა» (მაგალ. 38). «ტირისკნისა» არის ნათესაობითი ბრუნვა, სადაც გამოვარდნილია სახელობითისა (სახელობითში რომ «ტირისკონი» ყოფილიყო, ნათესაობითში იქნებოდა «ტირისკნისა»). შემდეგ—უნდა იყოს «ტირისდინი» და არა «ტირისდენი», როგორც ამაში დაგვარწმუნებს ქვემოთმოყვანილი ანალოგია. პირველი ნაწილი ორივე სახელისა «ტირის» არის სახელწოდება ძველი ირანული თვის Tiris<sup>2</sup>, საიდანაც მომდინარეობს როგორც ახალპარსული მეოთხე თვის სახელი «ტირ», ისე კაპადოკიური Tiris—Tṛis—Tēreš და სომხური SPĒ (აქაც მეოთხე თვეა), ასე რომ ქართული «ტირისკანი» და «ტირისდინი» ირანულ-სომხური წარმოშობისაა. დაბოლოება «კანი» (ტირის-კანი) ირანულ-სომხურია, როგორც, მაგალითად, უძველესი ირანული «ფროტი-კან» ანდა შემდეგი დროის «ფროდი-გან» (ბერძნული გამოთქმით ფაიძნიკან), კაპადოკიური «მითრაკან», სომხური «მეჰეკან» და «აჰეკან». მეორე დაბოლოება «დინი» (ტირის-დინი) არის ირანულივე დაბოლოება თვის სახელწოდებისა, მაგალითად, «ფარავარ-დინ». რაც შეეხება იმას, რომ ორს თვეს ქართულში თითქმის ერთიდაიგივე სახელწოდება ჰქონია, ამგვარ მოვლენას ჩვენ სხვა ქვეყანაშიაც ვხვდებით, მაგალითად, სირიული «ტი-შრი პირველი» (დაახლოებით ოქტომბერი) და «ტი-შრი მეორე» (დაახლო. ნოემბერი).

12. ქუეღთობისაჲ (თთუე), ნათესაობითი ბრუნვაა, სახელობითი—ქუეღთობა. ზოგიერთის აზრით, ეს სიტყვა ნაწარმოებია სიტყვისაგან «ქვეღლი», რაც მხნეს, მამაცს, უხვს, მოწყალეს ნიშნავს. მაგრამ ეს რომ ასე არ არის, ჩანს იქიდან, რომ მხნე-მოწყალე არის ქვეღლი, თვე კი—ქუეღ (თობა). ამ სახელის ეტიმოლოგიის გასათვალისწინებლად, პირველ ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ მის პირველ ნაწილს—ქუე, და ამასთან ერთად მხედველობაში უნდა გვქონდეს შემდეგი ვარემოება. ირანული წლის ერთ-ერთი თვე არის «ფარავარდინ», რომელიც წარმოადგენს დიალექტურ დამახინჯებას ნორმალური «ფარავარტ»-ისას. «ფარავარტის» სახელობის დღეობა, ან უფრო სწორად, ფრატაკან-ფროდიგანისა [დღესასწაული τῶν νεφεταῶν—inferorum, ქუესკენელს მყოფთა], აღბირუნის ცნობით, ზარატუსტრას მოძღვრების ერთერთი მთავარი ბურჯი იყო. სხვადასხვა ცვლილების შემდეგ ის შეიქნა «მიცვალეულთა სულების» დღესასწაული, მეთორმეტე თვის უკანასკნელს ხუთს დღესა და

<sup>1</sup> Ginzel, Handbuch der mathemat. und techn. Chronol. I, 279.

<sup>2</sup> Ginzel, III 26.



ხუთდღიან ეპაგომენებში. ეს დღესასწაული იმდენად დამახასიათებელი შეიქნა მეთორმეტე თვისა ჯერ კიდევ ირანულ ნიადაგზე, რომ სომხებსაც მეთორმეტე თვისათვის უწოდებიათ «პროტიცა» [ირანული «ფროტა» უღრის სომხურ «პროტა»-ს, აქედან genet. plur. «პროტიცა», რაც მიცვალებულთა ან ქუეს-კნელში მყოფთა თვეს ნიშნავს<sup>1</sup>. ქართული სახელის პირველი ნახევარი «ქუე» მიგვითითებს, რომ «ქუელთობა» იმავე შინაარსის შემცველი უნდა იყოს [იქნებ შესაძლებელი აღმოჩნდეს მისი დაკავშირება სიტყვებთან: ქუენეთი—ქუელეთი (ნლ), ქუენთობა—ქუელეთობა—ქუელთობისა].

ამრიგად, ახალწლისაჲ, ვარდობისაჲ, თიბისაჲ, სთულისაჲ, ქუელთობისაჲ არის წმიდა ქართული სახელწოდება, შექმნილი მეზობელ ერთა მენოლოგიური ნომენკლატურის მიზანძვით და სასოფლო-სამეურნეო სეზონთან შეფარდებით; ივრი და მარიალი სომხურიდანაა შეთვისებული, აპნისი წმიდა ირანულია, მიპრაკანი, ტირისკანი და ტირისდინი—ირანულ-სომხური, სურწყნისაჲ—ირანულ-ქართული.

ირანულ-სომხური ელემენტები ქართულ თვეთა სახელწოდებაში მაჩვენებელია იმისა, რომ, ამ სახელწოდებისა და, მაშასადამე, თვეთა შემოსვლიდან, ჩვენში დამყარებულია ისეთივე მზის წელიწადი, როგორაც მიღებული იყო მათი შემოსვლისას ირანსა და სომხეთში. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ჩვენს წინაპრებს მტკიცე ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული კავშირი ჰქონდათ წინააზიის იმ ქვეყნებთან, სადაც ასეთი წელიწადი იყო მიღებული. ახლა, მაშასადამე, ისმება საკითხი: როგორი იყო ეს წელიწადი?

## II

სანამ ამ საკითხის განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია ამოწერილ იქნას ლიტერატურული ძეგლებიდან ყველა ის მასალა, რომელიც ძველი ქართული წლის თვეებს შეეხება და რომლის მიგნება მე შევძელი ჩემთვის ხელმისაწვდომ ტექსტებში. მასალა მოტანილი იქნება ანბანის რიგზე დალაგებული თვეების მიხედვით.

### ა. ა პ ა ნ ი

1. «და არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისთაჲ თთუესა აპნისისასა, მერვესა თთუსასა და დღესა ოთხშაბათსა»

შუშანიკის მარტილობა, გამოც. ილ. აბულაძისა, გვ. 46, ს. გორგაძისა, გვ. 22.

2. «მეშჯდესა წელსა სუფევისა კონსტანტინის დიდისა მეფისასა, თთუესა აპნისისა, შეკრბა ერი დიდძალი წარმართთაჲ მდინარესა ზედა, რომელსა პრქვან დანუბი».

კირილე იერუსალიმელის საკითხავი «გამოჩინებისათჳს ჯუარისა», ხელნ. A 19, გვ. 487,

<sup>1</sup> წარმოდგენილი ეტიმოლოგია დადგენილია პროფ. ვ. ბოლოტოვის მიერ, იხ. მისი შრომა—Из истории церкви Сиро-Персидской, Экскурс IV, Календарь персов: Христиан. Чтение, Март, 1901 г. стр. 460-1. G i n z e l-ის აზრით, აქ იგულისხმება მკვდართა სულების (Fravaschi) ზეციდან ქვეყნად ჩამოსვლა (Handbuch I, 278, 288).



95, გვ. 391, 144, გვ. 280<sup>ა</sup>, 1109, ფ. 30<sup>ბ</sup>, სინ.მთის № 83, გვ. 165. № 144-ში ეს საკითხავი დადებულია «თთუესა მისისა ზ», სხვებში კი იანვ. 29-ს.

3. «დღს, რომელი განთენდებოდა პარასკევად, აპნისისა თთუესა სამისა, ჟამსა მას მებაზუმეტესა ინდიქტიონსა, მეათესა მას ვპატონსა [ონორის კეისრისასა], და მეექვსესა მას წელსა თევდოსისა, უფალთა მათ ჩუენთა თვთმპყრობელთა შარავანდელთასა».

«პოვნაჲ წმიდისა სტეფანსისი», H 535, ფ. 51<sup>ა-ბ</sup>, A 19, ფ. 135<sup>ბ</sup>, ათონ. № 57, ფ. 3<sup>ბ</sup>. ორს უკანასკნელში გადამწერის შეცდომით «აპნისისა»-ს მაგიერ იკითხება «აპრილსა». აქ რომ «აპნისი» იქნებოდა და არა «აპრილი», ჩანს ბერძნული და სომხური ტექსტებიდან; ბერძნულში ნათქვამია: *ἦτις ἐστὶν τρίτη μῆσις δεκαετίας* (*Ἄνδρατα ἐρησοισλαμικῆς σταχ-σισαγιάς V, 31, 14*), სომხურშიაც თვის აღმნიშვნელად ნაჩვენებია «ქალოც» (ერევნ. მუზეუმის ხელნ. 1204 წლისა, პერვაშენტზე, გვ. 499, ფ. 2), რაც იმავე ბერძნულ «დეკემბერს» უდრის. ეს მაგალითი მკვეთრად უჩვენებს, რომ «აპნისის» შესატყვისია დეკემბერი და არა იანვარი, მაშასადამე, აპნისი წინ უსწრებდა «სურწყნისს» (ერევნ. ხელნ.-იდან ცნობა მომავლად დოც. ი. აბულაძემ).

### ბ. ახალწლისაჲ

4. იწამნეს წმიდანი მოწამენი აბდონ, სენენ, ქსკსტო, ლავრენტი და ვპოლიტე «უწინარსს სამისა დღისა ახალწლისა», «უწინარსს რვისა დღისა ახალწლისა», «უწინარსს ოთხისა დღისა ახალწლისა», «თთუესა ახალწლისასა».

ხელნ. A 95, გვ. 1207, 1209, 1211, 1212.

### გ. ვ ა რ დ ო ბ ა ა.

5. «და მოვიდეს არეგდ ქალაქად თთუესა მიპრაკნისასა გინა თუ ვარდობისასა»

«ფიზიოლოგი», ნ. მარის გამოცემა, გვ. 13.

6. «და მოუწოდეს მწიგნობარსა პირველსა მას თთუესა ნისანსა, რომელ არს ვარდობისაჲ, კვ მის თთვასასა, და მიუწერეს» (ესთერ VIII, 9).

7. «ჟამსა მას თთვსა ვარდობისასა, რამეთუ თთუესა მას ყუავილობისასა გამოხუედ შენ ქუეყანი თ ეკვაპით» (გამოსლ. XXXIV, 18, ხელნ. № 1207).

8. «ესე თთუე არს ვარდობისაჲ მაისი» (იოანე ზოსიმეს კალენდარი, დასაწყისი მაისისა).

9. «და კუალად ტანჯუაჲ ვარდობისა თთუესა ათცხრამეტსა» (შუშანიკის მარტვილობა, ი. აბულაძის გამოცემა, გვ. 46, ს. გორგაძის 22).

10. «ნეტარმან ელენე დედოფალმან ამცნო მამათა და დედათა აღსრულებად საცსენებელი წმიდისა ჯუარისაჲ თთუესა ვარდობისასა, მეათესა დღესა მისვე თთვასასა, და რავდენნი აღასრულებდენ საცსენებელსა წმიდისა ჯუარისასა ყოველივე ღირს იქმნენ მოღებად ნაწილსა წმიდისა მარიამისასა». «და აღსრულების საცსენებელი წმიდისა ჯუარისაჲ თთუესა ვარდობისასა».

ა. შანიძე, ძველი ქართული ქრესტომათია, გვ. 54. ხელნ. A 95, გვ. 400, 144, გვ. 288, 1109, გვ. 36<sup>ა</sup>.

11. «თთუესა იენისსა კთ. სსენებაჲ წმიდათა მოციქულთა პეტრსსი და პავლსსი პრომეს შინა უწინარსს რვისა დღისა ვარდობისა. წამებაჲ პეტრსსი» - ათონ. № 57, გვ. 29<sup>ა</sup>, სინას მთის № 83, ფ. 174. დედანში წერია არა «იენისსა კთ».





არამედ «დეკემბერსა კჳ», მაგრამ აქ ადგილი აქვს ცნობილსა და გასაგებ პაგიოლოგიულ მეტათეზისს, რაც, თუკინდ, იქიდანაც ჩანს, რომ ტექსტის დასასრულს ვკითხულობთ: «აღსრულა სრბაჲ წმიდათა მოციქულთაჲ ბეტრსი და პავლსი იენისსა ოცდაცხრასა».

დ. თ ი ბ ა ე.

12. პავლეს «მაჯვლითა თავი მოეკუეთა ოცდამეათექუსმეტესა წელსა მაცხოვრისა ვნებასა, კეთილი ღუაწლი მოიღუაწა ჰრომეს შინა მეხუთესა დღესა პანემოსსა, თთუესა, რომელსა პრქჳნ ჰრომეებრ უწინარჳს სამთა კალენდათა იელიოზისათა, რომელ არს თიბისაჲ... თთუესა იენისსა, რომელ არს თიბისაჲ, ოცდამეტხრესა დღესა შევისწაულე ჭეშმარიტად ჟამი იგი წამებისაჲ პავლე მოციქულისაჲ».

სამოციქულოს წინასიტყვაობა, ხელნ. S 1138 და ქუთაისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა.

ე. ი გ რ ი.

13. «და გვრგვზოსან იქმნა აკვლინა პირველსა მას დღესა თთუესა იგრიკისასა».

A 95, გვ. 811<sup>ა</sup>, H 341, გვ. 373.

14. კალენიკემ «კეთილითა მით ძილითა დაიძინა მეორესა დღესა თთუესა იგრიკისასა».

A 95, 813<sup>ბ</sup>, H 341, 377.

15. «მას ჟამსა შეკრბნეს ორასნი იგი ბრძანებითა მეფისაჲთა და მოკუეთეს თავები და აღესრულნეს წმიდანი მემვდესა დღესა თთუესა იგრიკისასა»

A 95, 815<sup>ა</sup>, H 341, 378.

16. «და გვრგვზოსან იქმნნეს ორასნი იგი პირველსა დღესა და ბევრნი მეორესა დღესა თთუესა იგრიკისასა» (A 95, 817<sup>ბ</sup>, H 341, 383, სადაც ნათქვამია: «და გვრგვზოსან იქმნნეს ერთბამად ბევრნი იგი და ორასნი მერვესა დღესა თთუესა იგრიკისასა»).

17. ქრისტეფორეს «აღსრულებაჲ იყო მეთორმეტესა დღესა თთუესა იგრიკისასა დღესა კვრიაკესა».

A 95, 823<sup>ა</sup>. 13-17 მაგალითები ამოღებულია ძველიდან, რომელსაც ეწოდება: «წამებაჲ წმიდისა ქრისტეფორსი და მის თანათა მოწამეთა ბევრთაჲ და ორას და სამთაჲ და ორთა დედათა კალინიკსი და აკვლინასი, რომელნი იწამნეს დღეთა დეკიოზ მეფისათა». ხელნაწერში A 95 ეს ხსენება დადებულია «თთუესა იენისსა ა», სინას მთის ხელნ. № 62, გვ. 38, — «აპრილსა კჳ და იენისსა ა».

18. «სუფევასა დიოკლიტიანსსა და მაქსიმიანსსა მეფეთასა, უწინარჳს ცხრისა დღისა იგრიკისა, რომელ არს მეცხრამეტესა მიჰოკინისასა».

თუესა იენისსა კჳ, წამებაჲ ტრაქოს, პრობოს და ანდრონიკსი, ათონ. № 57, 364<sup>ბ</sup>.

19. «მეთორმეტე დღე თთუესა მის ადარისაჲ, რომელ არს იგრიკაჲ».

ესთერ III, 13, A 570, 93, 646, 395, 51, თავი 1.

20. «მეთასამეტესა თთუესა ადარისასა, რომელ არს იგრიკაჲ».

ესთერ VIII, 12, A 570, 46.

21. «ერთსა მას თთუესა ნისანისასა, ესე არს თთუე იგი იგრიკისაჲ».





ესთერის წიგნის სათაური, A 570, 83, 646, 371. მაგალითები 19-21 იხ. მ. ჯანაშვილი  
 ლის «ნაშრომ»-ში № 3, გვ. 54, 55, 56.

22. «იწამნეს ბიკტორ და სტეფანოზ ოცდარვასა თთუესა იგრიკისასა»  
 (H 341, 356.)

23. «სებასტიანე აღესრულა მეშვდესა აპრილის თთუესა, რომელ არს  
 იგრიკაჲ, დღესა ოთხშაბათსა».

იხ. ჩემი «კიმენი», გვ. 160. ვფიქრობ, «იგრიკაჲ» არის შეცდომა, უნდა იყოს «ვარდო-  
 ბისაჲ».

### ვ. მ ა რ ი ა ლ ი

24. «მეხუთესა მარიალისა თთვსასა მოუწოდა მათ ბკემან».

მარტივობა თევდოროს და ივლიანოსისა, Analecta Bollandiana, t. XLIV fasc.  
 I-II, p. 96.

25. «აღესრულა წმიდაჲ იგი ფილეკტიმონ ათხუთმეტსა. მაისისა თთვსასა,  
 რომელ არს მარიალი, დღესა შაბათსა» (ჩემი «კიმენი», გვ. 160).

დედანში «მაისის» მაგიერ სწერია «მარტისა», მაგრამ ეს უცილობელი შეცდომაა (მა-  
 რიალის მარტში გადმოტანა არავითარი გამოანგარიშებით არ შეიძლება), ქარაგმის არასწორი  
 გახსნის ნიადაგზე წარმომდგარი: მარტისა—მაისისა, განსწავებებს ორი ასო: რტის იძლევა.  
 მართლაც, სომხურ დედანში, საიდანაც მომდინარეობს ქართული თარგმანი ფილეკტიმონის  
 წამებისა, ეს ადგილი ასე იკითხება: «მაისისა თთვსა, რომელ არს მარგრი»

### ზ. მ ი ჰ რ ა კ ა ნ ი

26. «და აღესრულა წამებაჲ მათი (აკკლინა—კალენიკესი) თთუესა მეპრა-  
 კნისასა ოცდახუთსა» (თუესა იენისსა ა წამებაჲ წმიდისა ქრისტეფოროსი და მო-  
 ყუასთა მისთაჲ, ათონ. № 57, 323<sup>b</sup>).

27. «და მოჰკუეთეს თავი მისი (ქრისტეფოროს) თთუესა მიპრაკნისასა  
 ხუთსა, დღესა კკრიაკესა» (იქვე, ათონ. № 57, 328<sup>a</sup>, საქართ. მუხ. Q 535,  
 160<sup>b</sup>, აქ არ არის სიტყვა «ხუთსა»).

28. «რომელსა დღესა სამი იყო ადარ თთვსაჲ, წელსა მეექუსესა შარავან-  
 დედობასა დარეჰისასა, მიპრაკანსა თთუესა ოცდასამსა» (ეზრა VI, 14-15, A  
 570, გვ. 131, A 51-ში მიპრაკნის რიცხვი არაა აღნიშნული, A 471-ში «მიპრა-  
 კნისა ოცდახუთსა»; იხ. მ. ჯანაშვილი, ნაშრომი № 3, გვ. 61).

29. «სუფევასა დიოკლიტიანსსა და მაქსიმიანსსა მეფეთასა, უწინარს  
 ცხრისა დღისა იგრისა, რომელ არს მეცხრამეტესა მიპრაკნისასა, შთაერობასა  
 ნუმერიანოზისსა და მაქსიმოსსა კილიკიას» (ათონ. № 57, 364<sup>b</sup>).

30. «და მოვიდის არეგდ ქალაქად თთუესა მიპრაკნისასა გინა თუ ვარდო-  
 ბისასა».

«ფიზიოლოგი» ნ. მ ა რ ი ს გამოცემა, გვ. 13.

31. «და მოჰკუეთეს თავი მისი (არჩილს) მაკკლითა თთუესა მიპრაკნისასა,  
 რომელ არს მარტი» (ქართლის ცხოვრ., მარიამ დედოფ. ვარიანტი, გვ. 215).

32. «ხოლო წამეს წმიდათა მათ თთუესა მიპრაკნისასა ათექუსმეტსა».

(მარტივობა სპევსიპე-ელასიპე-მელასიპესი, ნ. მ ა რ ი ს გამოცემა: ЗВОРАО, т. XVII,  
 вып. 2—3, стр. 336).



33. «წმიდა თეოდოსია აღესრულა მეთორმეტესა ფებერვალისა თთუჳსა, რომელ არს მიპრაკანი, დღესა კვრიაკესა, ჟამსა მესამესა» ჩემი «კიმენი» გვ. 160.

### მ. ს თ უ ე ლ ი

34. «ესრეთ აღესრულნეს ბევრნი იგი თთუჳსა სთულისასა ოცდახუთსა, დღესა შაფათსა» (ათონ. № 57, 325<sup>b</sup>, H 535, 157<sup>a</sup>).

35. კალისტრატე და მისთანანი «იწამნეს თთუჳსა სთულისასა ოცსა» (H 341, გვ. 801).

36. «და აღესრულა ოცდაექუსსა სთულისასა წმიდა იგი რიფსიმე», A 511.

### თ. ს უ რ წ ყ ა ნ ი

37. «და აღესრულა წმიდა სტეფანი თთუჳსა სურწყნისასა ექუსსა, დღესა პარასკევსა, ჟამსა მეშვდესა» (A 19, 134<sup>a</sup>, 95, გვ. 107, H 535, 49<sup>b</sup>, აქ «ექუსსა» არაა,—ათონ. № 57, ფ. 2 სათაურში ხსენება დადებულია 27 დეკემბერს).

### ი. ტ ი რ ი ს კ ა ნ ი

38. «წელთა მათ სუფევისა ნუმერიანოსისთა და მსაჯულობასა თეოდორსსა, თთუჳსა ტირისკნისასა ოცდახუთსა» (Analecta Bollandiana, t. XXXI, p. 308, ათონ. № 57, გვ. 308; აქ თალალეს წამება დადებულია მაისის 20-ს).

39. «იქმნა წამებაჲ ესე სამგზის სანატრელთა მოწამეთაჲ წელთა დიოკლიტიანესთა ნიკომილია ქალაქსა ტირისკნისასა ხუთსა» (ათონ. № 57, 317<sup>b</sup>, A 95-ში ამ მოწამეთა,—კვპრიანესი და იესტვნასი,—აღსასრული ნაჩვენებია იანვარსა 12, გვ. 800).

### ი ა. ტ ი რ ი ს დ ი ნ ი

40. «თუჳსა ტირისდინსა ექუსსა, დღესა შაბათსა, ქორონიკონსა უკთ... ამათ ჟამთა ფრიად ისურვა წინამძღუარმან გერმანე» (A 256, ფ. 3).

### ი ბ. ქ უ ე ლ თ ო ბ ა

1. «აღესრულა წმიდა იგი ქრისტეს მოწამელ (გულანდუხტი) თთუჳსა ივლისსა, რომელ არს ქუელთობისაჲ, მეცხრესა ინდიკტიონსა» (ათონ. № 57, 368<sup>a</sup>, აქ სწერია «იონიოსსა», უნდა იყო «იოჯნისსა», მართლაც A 95, გვ. 716 კითხულობს «იჯნისსა». «იენისი» შეცდომაა, უნდა იყოს «ივლისი».

42. «წელსა პირველსა დევნულებისა ჩუენისასა, უწინარსს რვისა დღისა ქუელთობისასა, კესარიაჲს პირველი მოწამეთაჲ პალესტინეს გამოჩნდა პროკოპი... ესე დღეს ოთხშაბათი იყო, მერვს ქუელთობისაჲ, უწინარსს რვისა ჟამთა









ეჩვენოს კაცს, ვინაიდან «მოღებად ნაწილსა» (τῆς μέρους) ნიშნავს შეწვენას, დახმარებას; ახრი ამ წინადადების ასეთია: ვინც ჯვარის დღესასწაულს აღასრულებს, ის მიიღებს ღვთისმშობლის მარიაშის დახმარებას, შეწვენას, შევლას. ეს რომ ასეა, შემდეგიდანაც ჩანს: ზოგიერთს ნუსხაში ნაცვლად «წმიდისა მარიაშისა» სწერია: «მოღებად ნაწილსა წმიდათასა» (τῶν ἁγίων) ანდა «ნაწილსა ღმრთისმშობელისა და ყოველთა წმიდათასა» (Bibliotheca hagiogr. Gr. №№ 405, 408), ესე იგი—მიიღებს შეწვენას როგორც ღვთისმშობლის, ისე ყოველთა წმიდათა.

სომხეთის ეკლესია ჯვარის დღესასწაულს იხდის 10 მარერის (Conybeare, Rituale Armenorum, p. 528), მაგრამ ამ თარიღს ჩვენს «ათსა ვარდობისას»-თან არავითარი კავშირი არ აქვს; იმის ასახსნელად უნდა გვახსოვდეს შემდეგი: უძველესი ეორტოლოგიური ტრადიციით, ელენე დედოფლის მიერ ჯვარის პოვნა მოხდა 3 მაისს. შვიდდღიური ლიტურგიკული «შედგოს» თანახმად «ჯანტევება» დღესასწაულისა მოდიოდა ხოლმე 10 მაისს, რომელი დღემც, ძველი პრაქტიკით, ისეთივე დღესასწაული იყო, როგორც თვით სამი მაისი. სომეხმა მთარგმნელმა მექანიკურად დაწერა 10 მარერი, ვინაიდან სომხური «მარერი» ზოგადად მაისს გულისხმობს.

### III

ძველს ირანს, სომხეთს და კაპადოკიაში, აგრეთვე ეგვიპტეშიც, მიღებული იყო მოძრავი წელიწადი, ე. წ. annus vagus, მუდამ და ყოველთვის 365-დღიანი. ეჭვი არ არის, ქართველთა შორისაც ამავე ბუნებისა და ხასიათის უნდა ყოფილიყო მზის წელიწადი. მზის წელიწადი შედგებოდა 12 თვისაგან, რომელთაგან თითოეული შეიცავდა 30 დღეს; წლის გასულს, მეთორმეტესა და პირველ თვეთა შორის, ჩაუმატებდნენ ხოლმე ხუთს დღეს, რომელსაც «ევაგომენები» ეწოდებოდა. მზის მოძრავი წელიწადი, იულიოსის კალენდართან შედარებით, ყოველ ოთხ წელს ერთი დღით იგვიანებდა, ასე რომ 120 წლის შემდეგ თითოეული თვე და თვის რიცხვი ერთი თვით უკან იხევდა. ამას ის უხერხულობა სდევდა თან, რომ ესათვის, ვთქვათ, დღესასწაული ან სახსოვარი ფაქტი თუ მოვლენა ერთხელ რომ ზაფხულში მოვიდოდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ გაზაფხულზე, შემოდგომაზე თუ ზამთარში მოხედებოდა. ეს უხერხულობა სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა დროს შეიგნეს და სხვადასხვანაირად გამოასწორეს. ძველს ირანში, თითქოს ყოველი 120 წლის შემდეგ წელიწადს ემატებოდა ერთი 30-დღიანი თვე, ასე რომ ასეთს წელიწადში ითვლებოდა არა 12, არამედ 13 თვე; მაგრამ ირკვევა, რომ ეს ასე იყო მხოლოდ თეორიაში, სინამდვილეში კი ასეთს ჩამატებას ადგილი არ ჰქონია<sup>1</sup>. სხვებმა კიდევ ეს უხერხულება გამოასწორეს, მგაგესად იულიოსის წლისა, ნაკიანი, 366-დღიანი, წლის შემოღებით, სახელდობრ, ყოველ მეოთხე წელს ხუთდღიან ევაგომენებს მეექვსე დღეს უმატებდნენ, თვეებ კი ისევ 30-დღიანი რჩებოდა. მაგალითად, 238 წლის 2. დეკემბერს ჩვენს წელთაღრიცხვამდე ეგვიპტის ქურუმები ადგენენ (ე. წ. ეანოპის დეკრეტო): «რათა არ მოხდეს ის, რომ დღესასწაული რომელსაც ახლა ზამთარში აქვს ადგილი, შემდეგ ზაფხულში მოვიდეს, ანდა, პირიქით, ზაფხულის დღესასწაული ზამთარში, როგორც ეს ხდებოდა

<sup>1</sup> Ginzel, Handbuch I, 297.





წინათ, ყოველი სამი წლის შემდეგ, მეოთხეში, ხუთს ებაგომენებს ემატებოდეს ბოლმე კიდევ ერთი დღე, როგორც დღესასწაული ვვერგეტ-ღმერთებისა<sup>1</sup>. ამნაირად შეიქნა ეგვიპტური annus vagus-ის მაგიერ მყარი, უძრავი წელიწადი. ალექსანდრიული უძრავი წელიწადი, რომელიც კობტებსა და ეთიოპთა შორის იყო მიღებული, შეიქნა 30 წელს ჩვენ წელთაღრიცხვამდე, იულის კეისრის მიერ ქ. ალექსანდრიის აღების შემდეგ და მის აღსანიშნავად. ყველაზე გვიან უძრავი წელიწადი სომხეთში იქნა შემოღებული, 1116 წელს, იოანე ვანაკანის მიერ ჩატარებული საკალენდრო რეფორმით, რომელიც, უნდა ვიფიქროთ, ამ შემთხვევაში ჰბაძავდა 1079 წელს შემოღებულს ჯელალ-ედინის ერას; უკანასკნელიც ყოველ ოთხ წელში ხუთს ებაგომენებს მიეჭეს უმატებს<sup>2</sup>.

როდის დამყარდა ჩვენში უძრავი წელიწადი, ამის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, იმ მასალებში, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, უკვე უძრავი წელიწადია მოცემული; ვფიქრობ კი, რომ ეს უნდა მომხდარიყო მას შემდეგ, რაც ჩვენი ქვეყანა რომაელთა კულტურულ-პოლიტიკური გავლენის სფეროში მოყვა. საქმე ისაა, რომ ის ქვეყნები, სადაც რომაელები ფეხს იკიდებდნენ, იძულებული ხდებოდნენ ანგარიში გაეწიათ რომაელთა წელიწადისთვის. მართალია, რომაელები მათ ძალით არ ახვევდნენ თავზე თავიანთ კალენდარს, მისი ნონებით, იდებით, კალენდებით და თვეთა რომაული სახელწოდებით, მაგრამ ამას კი სჩადიოდნენ, რომ ადგილობრივ კალენდრებს ასეთსთუისეთს მიმართებაში აყენებდნენ რომაულ კალენდრისადმი. ამიტომ ადგილობრივი მოძრავი წლის მაგიერ შემოაჭკონდათ ამ ქვეყნებში უძრავი წელიწადი. ასე მოხდა, მაგალითად, ეგვიპტეში, ასე მოხდა მცირე აზიაში, კერძოდ ასიაში, ასე უნდა მომხდარიყო უთუოდ ჩვენშიაც. ყოველ შემთხვევაში ქრისტიანობის შემოსვლისას ჩვენში, როგორც ქვემოთ დავინახავთ, უკვე აღმოსავლური ტიპის უძრავი წელიწადია.

როგორი იყო თანმიმდევრობა თვეებისა ძველს ქართულ წელიწადში? სხვა მასალები, გარდა ზემოაღწერილისა, ამ საკითხის გასათვალისწინებლად არ მოგვეპოვება. არის თუ არა ამ მასალებში ნაჩვენები—რომელი თვე რომელს უსწრებს წინ ანდა მისდევს უკან? ასეთს ცნობებს შეიცავს მაგალითები 18, 19, 20, 28, 29, სადაც ნაჩვენებია, რომ მიჰრაკანს მისდევს იგრიკა, 6, 21, რომლებიდანაც ჩანს, რომ იგრიკას მისდევს ვარღობა. ამნაირად, იმის მეტს, რომ მიჰრაკანს მისდევს იგრიკა, იგრიკას კი ვარღობა, ამ მასალებიდან პირდაპირ ვერაფერს ვტყობილობთ.

თვეთა თანმიმდევრობის გარკვევაში დაგვეხმარებოდა, თუ გვეცოდინებოდა—უცხოური კალენდრის (რომაულის, სომხურის, კობტურის და სხვ.) რომელ თვეს უდრიდა ესათუის ქართული თვე. ძნელია ეს შესატყვისობა გარკვეულ იქნას ამათუიმ დღეს დადებული დღესასწაულებითა და წმიდანების სახსენებელით; საქმე ისაა, რომ უმეტეს შემთხვევაში ჩვენ არ მოგვეპოვება ჰაგიოლოგიაში საკონტროლო თარიღები ამ დღესასწაულთა და სახსენებელთა გა-

<sup>1</sup> A. Gutschmid, Kleine Schriften I, 378; Ginzel I, 197—198.

<sup>2</sup> Ginzel I, 300—305.



სარკვევად; ზოგს შემთხვევაში არ იცი, რომელი თვე იგულისხმება ამათუნი ქართული თვის სახელით, ვინაიდან ესათუის დღესასწაული თუ წმიდანი სხვადასხვა თვესა და რიცხვშია ცნობილი. მაგალითად, ჯვარის დღესასწაული (მაგალ. 10) დადებულია 6 მარტს, 1, 3, 7 მაისს, 29 იანვარს, 14 სექტემბერს; სტეფანეს ხსენება (მაგალ. 37) ცნობილია 10, 26, 27 დეკემბერს, 9 იანვარს, 15 სექტემბერს, 14 ოქტომბერს, 2, 3 აგვისტოს. ზოგს შემთხვევაში ვერც ვენდობით ამ მაგალითებში აღნიშნულ შესატყვისობას, რადგანაც, ჩანს, მათი ავტორები არც ისე დახელოვნებულნი ყოფილან უცხოური კალენდარული რედუქციის საქმეში. ეს იქიდანაც ჩანს, რომ არის შემთხვევები, როდესაც ჰაგიოგრაფიულ ძეგლში აღნიშნულია ესათუის რიცხვი ქართული თვისა, ხოლო შემდეგი—დროის რედაქტორს თუ გადამწერს ძეგლის სათაურში გამოუყვანია თანამედროვე ბიზანტიური პრაქტიკის თარიღი. ასე, მაგალითად, სტეფანეს ხსენება ძეგლში ნაჩვენებია 6 სურწყუნისს, სათაურში კი 27 დეკემბერს (მაგალ. 37); სპეციალ-ელასიბე-მელასიბეს მარტვილობაში მათი წამების დღედ, რომელსაც კონსტანტინოპოლის პრაქტიკით 16 იანვარს აქვს მიჩენილი ადგილი, აღნიშნულია მიპრაკნის 16 (მაგალ. 32), ხოლო ერთ-ერთი ნუსხის გადამწერს სათაურში ეს რიცხვი 16 აპრილად მიუღია<sup>1</sup>. ასეთს უნდობლობას ადგილი უნდა ჰქონდეს განსაკუთრებით რომაული კალენდების, იღების და ნონების შემთხვევებში.

როდესაც ლაპარაკია იმის შესახებ, თუ რამდენადაა ნდობის ღირსი ჩვენს მაგალითებში წარმოდგენილი რედუქცია, უნდა გვახსოვდეს, რომ ზოგს შემთხვევაში, მთარგმნელთა უვიცობის გამო, რედუქცია დაუსრულებელია; მაგალითად, ერთ-ერთ ძეგლში ვკითხულობთ: «მიიცვალა წმიდა გრიგორი და ანატოლია ცოლი მისი ათხუთმეტსა იანვრისასა, რომელ არსა»; «რომელ არს» არ აღუნიშნავს, ვინაიდან მას არ სცოდნია—რას უღრიდა ქართულად 15 იანვარი ან სომხური «არაც», რომელიც ნაჩვენებია ამ ადგილას ფილექტიმონის წამების ქართული თარგმანის სომხურ დედანში.

ამნაირად, ჩვენ არ გვაქვს პირდაპირი ლიტერატურული მასალა იმის გასარკვევად, თუ როგორი იყო თანმიმდევრობა თვეებისა ძველს ქართულ წელიწადში. მაგრამ ზოგიერთი მოსაზრების მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეს თანმიმდევრობა იყო ისეთი, როგორც ძველს სომხურ წელიწადში. ამას გვაუქებინებს, პირველ ყოვლისა, ქართული თვეების სახელწოდებათა ეტიმოლოგია, რომელიც, ნაწილობრივ მაინც, ზემოთაც იყო ნაჩვენები და გარკვეული.

სომხურ კალენდარში პირველი თვე იყო «ნავასარდი», ასეთივე უნდა ყოფილიყო ჩვენშიაც «ანალწლისა». მეორე და მესამე სომხური თვეები არის «პორი» და «საჰმი»; ამ სახელების ეტიმოლოგიის გარკვევისას არ შეეცდებით, თუ ვიფიქრებთ,—და ასეთი მოსაზრება კარგახანია გამოთქმულიცაა მეცნიერებრაში (აქარიანის მიერ),—რომ აქ ჩვენ უნდა გვქონდეს ქართული სიტ-

<sup>1</sup> *Analecta Bollandiana*, t. XXXI, p. 307.

<sup>2</sup> *ქ. კეკელიძე*, Keimena, 160.





ყვები «ორი» და «სამი», თან მონაგონარი<sup>1</sup> იმ ეპოქისა, როდესაც სომხურულსა და ქართულს წელიწადში არა მარტო თანმიმდევრობა იყო თვეებისა ერთნაირი, არამედ სახელებიც. მეოთხე სომხური თვე არის «ტრე», რომელსაც, როგორც შემოთ ითქვა, უდრის ქართული «ტირისკანი» (ქართულში უკეთ უნდა იყოს შემონახული პირვანდელი ფორმა ამ სახელისა). მეხუთე სომხური თვე არის «ქალოც», რომლის შესატყვისია «სთულისა». მეექვსე სომხური თვე არის «არაც»; არც ამის ეტიმოლოგიაა გარკვეული, მაგრამ, თუ მხედველობაში გვექნება ის გარემოება, რომ ყველა დანარჩენი ქართული თვე სომხურში პირდაპირ შესატყვისს პოულობს, «არაცის» რიცხვობრივი შესატყვისი უნდა იყოს ქართული «სურწყინისა». მეშვიდე სომხური თვე არის «მეჰკან», რასაც უდრის ქართული «მიჰრაკანი». მერვე სომხური თვე—«არეგ», რაც ქართული იგრიანა. მეცხრე სომხური თვეა «აჰეკან», მისი ქართული შესატყვისი უნდა იყოს «ვარდობა» (საფიქრებელია, რომ თავდაპირველად სომხურში\* «აჰეკან»-ის ნაცვლად იხმარებოდა სახელი «ვარდავარ»). მეათე სომხური თვე არის «მარერი», ქართული «მარიალი». მეთერთმეტე სომხური თვე «მარგაც» ქართულში შემონახულა როგორც «თიბისა». მეთორმეტე სომხური თვე არის «ჰროტიც», რომლის შესატყვისი, როგორც შემოთ იყო ნაჩვენები, უნდა იყოს ქართული «ქუელთობისა».

ამრიგად, ჩვენს თვალწინ იშლება შემდეგი თანმიმდევრობა ქართული თვეებისა: ახალწლისა, ორი, სამი, ტირისკანი, სთუელი, სურწყანი, მიჰრაკანი, იგრი, ვარდობა, მარიალი, თიბისა, ქუელთობა. მაგრამ ასეთი თანმიმდევრობა უნდა გეჰქონოდა მაშინ, როდესაც ჩვენში მოძრავი წელიწადი არსებობდა და თვეთა სეზონურ შესატყვისობას ყურადღება ვერ ექცეოდა. მას შემდეგ, რაც ჩვენში უძრავი წელიწადი დამკვიდრდა, აუცილებელი უნდა გამხდარიყო თვეების შეფარდება, მათი მნიშვნელობის მიხედვით, წლის სეზონებისადმი. ვინაიდან პირველმა თვემ ისეთი ადგილი დაიკავა, რომ, სეზონური თვალსაზრისით, შეუძლებელი გახდა, ყოველ შემთხვევაში, «სთუელი» მეხუთე ადგილზე დარჩენილიყო, ის გაემოვიდა იმ ადგილას, რომელიც წინათ «ორი»-ს ეკუთვნოდა. ეს, თუგინდ, იქიდანაც ჩანს, რომ 36 მაგალითის «სთუელს» სომხურ დედანში უდრის «ჰორი»<sup>2</sup>. რადგანაც გამართლება სახელებისა «ორი», «სამი» მაშინ შე-

<sup>1</sup> ეს მონაგონარი პარალელს პოულობს ძველ ებრაელთა ცხოვრებაში. ბაბილონის ტყვეობის წინახანაში ებრაელები თავიანთი წლის თვეებს, საგანგებო სახელებს მაგიერ, აღნიშნავდნენ ასე: თვე პირველი, მეორე, მეოთხე და ასე. გამრჩაკლის შეადგენდა ოთხი თვე, რომელთაც, რიცხობრივს გარდა, საგნობრივი სახელიც ჰქონდა, ესენია: პირველი თვე—ავივ (გამსე XIII, 4, მეორესჯულ. XVI), მეორე თვე—ზიფ, თვე ყვავილებისა (3 მეფ. VI, 1, 37), მეშვიდე თვე—ეთანი, თვე «ნაკადთა» (მესამე მეფეთა XIII, 2), მერვე თვე—ბულე, თვე წვიმებისა (3 მეფ. VI, 38). შეად. ქართული სეზონური სახელწოდებანი თვეებისა: სთულისა, ვარდობისა, თიბისა; იქნებ ზეზონური იყოს «სურწყინისა» და «აპნისი» და პარალელური ებრაული სახელწოდებისა: თვე წყლისა «ნაკადისა» და «წვიმებისა»! თუმცა ასეთი პარალელი შეიძლება მოიძებნოს ძველ ირანულშიც, სადაც Tir დაკავშირებულია წვიმებ ან პერიოდთან, ხოლო Apam—მდინარეებთან და წყლებთან (Glnzel, I, 279).

<sup>2</sup> იხ. აგათანგელოზის ისტორიის კრიტიკული გამოცემა, 1909 წლ., გვ. 112.



იძლებოდა, თუ მათ მიერ აღნიშნულ თვეებს მართლა მეორე და მესამე თვედელი ეკავებოდა, ამის შემდეგ ეს სახელებიც დაიკარგა. ასე რომ ამ თვეების შემდეგ «ტირისკანსა» (მესამე თვე) და «სურწყანსა» (მეექვსე თვე) შუა საჭირო შეიქნა ორი თვისათვის სახელის მოძებნა. სწორედ ამ დროს და ამ მიზეზით უნდა მომხდარიყო დუბლიკაცია აღნიშნული (მესამე და მეექვსე) თვეებისა: მეოთხე ადგილი დაუკავებია «ტირისდინს», მეხუთე კი «აპანს». ამის შემდეგ უძრავი წლის თვეების თანმიმდევრობა ასეთი შეიქნა: ახალწლისაჲ, სთულისაჲ, ტირისკანი, ტირისდინი, აპნისი, სურწყანისი, მიპრაკანი, ივრი, ვარდობისაჲ, მარიალი, თიბისაჲ, ქუელთობისაჲ.

მეორე საბუთს ამ ჰიპოთეზის სასარგებლოდ ჩვენ გვაძლევს ის ტრადიცია თვეების სახელწოდებისა და მათი თანმიმდევრობისა, რომელიც შემოუნახავს თავის «ლექსიკონში» ქართული ძველი კულტურისა და სიძველეების დრმა მკოდნეს სულხან-საბა ორბელიანს, სახელდობრ: აპანი, სურწყანისი, მიპრაკანი, ივრიკა, ვარდობისა, მარიალი, თიბისა, ქუელთობისა, ახალწლისა, სთულისა, ტირისკანი, ტირისდინი, მართალია, თვეები აქ დალაგებულია რომაული კალენდრის რიგზე (იანვარი-დეკემბერი), მაგრამ ეს თანმიმდევრობის საკითხისათვის სულერთია, ვიმეორებ—თანმიმდევრობისა და არა შესატყვისობისათვის. საბა იწყებს თვლას აპანიდან, რომელსაც ის იანვრად სთვლის, ვინაიდან მის დროს წელიწადს იანვრით იწყებდნენ; თავდაპირველად ეს, რასაკვირველია, ასე არ იყო. ახლა, მაშასადამე, მივადექით საკითხს იმის შესახებ, თუ რომელი თვით იწყებოდა და როდის ძველი ქართული წელიწადი ამგვარი საკითხის დასმა შესაძლებელია მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს უძრავ წელიწადთან, მოძრავს (365-დღიან) წელიწადში კი დასაწყისად შეიძლება იყოს გარკვეული, მუდამ ერთიდაიგივე, თვე, რომელიც ერთსადაიმავე დროს არ იწყება ყოველ წელს; როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, წელს რომ ის რომაული თვის ერთი რომელიმე რიცხვით იწყება, ოთხი წლის შემდეგ ერთი რიცხვით ადრე დაიწყება, 120 წლის შემდეგ—ერთი თვით ადრე.

IV

სახელწოდება «ახალწლისაჲ» თავისთავად გვაფიქრებინებს, რომ წელიწადი ამ თვით იწყებოდა; საძიებელია მხოლოდ—რა თვე იყო «ახალწლისაჲ», რომაული წლის რომელ თვეს უდრიდა ის? ამის გათვალისწინება შესაძლებელია მე-4 მაგალითის დანმარებით; აქ აღნიშნულია, რომ აბდონ და სენენი, რომელთა ხსენება ჰაგიოგოგოლიაში 30 იელისს არის დადებული, იწამნეს «უწინარეს სამისა დლისა ახალწლისა». მაშასადამე, თვე «ახალწლისაჲ» არის ის რომაული თვე, რომლის «სამი დლის უწინარესი» (კალენდები) 30 იელისს მოდიოდა, ესე იგი—ავვისტო. ესევე უნდა ითქვას ქსისტოს და ლავრენტის შესახებ: მათი ხსენება რომაულ-ბიზანტიური პრაქტიკით დადებულია 6 და 10 ავვისტოს, რომელთაც უდრის ჩვენი მაგალითის «უწინარეს რვისა—ოთხისა» დლისა, «იდებით», რასაკვირველია, გამოანგარიშებული. ასე რომ ამ მაგალითის მიხედვით, ავვისტოს პირველი ნახევარი ქართულ «ახალწლის» თვეში მოდის. საძიებელია მხოლოდ





«ახალწლის» დღესასწაული, ან პირველი რიცხვი ამ თვისა, აგვისტოს რიცხვს უდრიდა. ამ შემთხვევაში გასაღებს გვაძლევს ხელში ნინოს «ცხოვრების» უძველესი, შატბერდულ-ჭელიშური, ვარიანტი.

სხვა ერთა წარსულიდან ვიცით, რომ ახალწელს ან პირველი თვის პირველ დღეს ადგილი ჰქონია მთავარი ღვთაების სახელობის დღესასწაულს, რომელსაც ჩვეულებრივ დიდი ზემით იხდიდნენ ხოლმე. ასე, მაგალითად, ეგვიპტელთა პირველი თვე (ჰამზუ იყო თვე მათი მთავარი ღვთაების თოთისა; სპარსეთის ისტორიის აქამენიდთა პერიოდში პირველი თვე იყო Dadwao (Datuso), Δαδωισσα, თვე შენოქმედი-ღმერთის სახელობისა; მეორე (არშაკიდთა) პერიოდში—ფარვარდინმაჰ, თვე ფრავარტისა, მესამე (სასანიდთა) პერიოდში—ათარმაჰ, თვე წმიდა ცეცხლისა. სომეხთა მთავარი ღმერთი, «მამა ყოველთა ღმერთთა», «შემოქმედი ცისა და ქუეყანისა», «ნაყოფთა მომცემელი», იყო არამაზდი<sup>1</sup>, ჩვენებურად—არამაზი. როგორც ჩანს გრიგოლ არშაკუნის მიერ სომხური ლექციონარის შესახებ 690 წელს დაწერილი კომენტარებიდან, ნავასარდის ან «ახალიწლის» პირველ დღეს სომხებს სკოდნიათ დიდი დღესასწაული არამაზდისა<sup>2</sup>. სომეხ ისტორიკოსთა (აგათანგელე, მოსე ხორენელი) «ამანორი»—«მფარველი ნაყოფთა» და «თავშესაფარის მომცემელი» (ვანატურ), რომლის დღესასწაული 1 ნავასარდს იწყებოდა და ექვს დღეს გრძელდებოდა, ცალკე, განსხვავებული ღვთაება კი არ არის<sup>3</sup>, არამედ ეპითეტია იმავე არამაზდისა და ნიშნავს: «ღმერთი ახალი წლისა»—ასე რომ სომხებს ახალწელიწადს სკოდნიათ არამაზდის დღესასწაული, რომელიც 1 ნავასარდს იწყებოდა და ექვს დღეს გრძელდებოდა. ექვს დღეს გრძელდებოდა ძველი ირანული ახალწლის დღესასწაულიც<sup>4</sup>.

უეჭველია, ანალოგიურ მოვლენას ადგილი ექნებოდა ქართველთა შორისაც. ნინოს შატბერდულ ჭელიშურ «ცხოვრებაში» გადმოცემულია ერთი ეპიზოდი, რომლის მთლიანად მოყვანა საჭიროა ჩვენი საკითხისათვის.

«და იყო დღესა ერთსა აღიძრნეს ერნი ძლიერნი და ურიცხუნი სიმაგალითა, მით ქალაქით (ურბნისით) წარმავალნი დიდად ქალაქად მცხეთად, რომელი იყო საჯდომი დიდთა მეფეთაჲ, ვაჭრობად და ლოცვად არამაზ, ღმრთისა მათისა. ხოლო მე წარვჰყევ მათ თანა და მივიწიენით ქალაქად მცხეთად, წილით მოგუთას, კიდსა ზედა, და ვდევით მუნ და ვხედევდით ცეცხლის-მსახურსა მას ერსა, და მოგუებასა და ცთომასა-მათსა ზედა ვტიროდე... ხვალისაგან იყო ჯმაჲ ოხრისაჲ და საყურისაჲ, და გამოვიდოდა ერი ურიცხვ, ვითარცა ყუავილნი [ვე]ლისანი, ზარნი და საშინელნი გამოვიდოდეს, ხოლო მეფეს არლასადა შეძრულ იყო. და ვითარცა ჟამ-სცა ჟამმან, სივლტოლაჲ და მიმოდამალვაჲ იყო ყოვლისა კაცისაჲ და შეივლტოდა ყოველი კაცი საფარველსა ქუეშს, რამეთუ გამო-სადმე-ვიდოდა ნანა დედუფალი და ვითარცა განვლო ნანა დედოფალიმან,

<sup>1</sup> Н. Эмин, Исследования и статьи по армянской истории и археологии, стр. 15, Москва 1896 г.

<sup>2</sup> F. Conybeare, *Rituale Armenorum*, p. 510, Oxford, 1905.

<sup>3</sup> Н. Эмин, цит. сочинение, стр. 29-30.

<sup>4</sup> Ginzel, *Handbuch I*, 288-9.





მაშინღა ნელიად-ნელიად გამოვიდოდა. ყოველი ერი, და შეამკვეს ცხოველი  
ყოველი სამოსლითა თითობირითა და ფურცლითა. და იწყო ყოველმან ერმან  
ქებად მეფისა. და მაშინ გამოვიდა მირეან მეფე თუალთ-შეუდგამითა ხილვითა  
და ვჰკითხე ჰურთისა დედაკაცსა, თუ რაა არს ესე? და მან მრქუა: ღმერთი  
ღმერთთა მათთთაა უწყეს მათ, არმაზ, რომელ არაა არს სხუაჲ, გარეშე კერ-  
ბი. ხოლო მე წარვედ ხილვად არმაზისა, და აღივსნეს მთანი იგი დროშითა და  
ერითა, ვირთარცა ყუაფილითა; ხოლო მე შეუსწრვე ციხედ არმაზად და დავედგ  
ახლოს კერბისა მის, ნაპრალსა ზღუდისასა, და ვხედვედი საკრკველბათა და სა-  
შინელსა, რომელი თქუმად ენითა ვერ ეგების... და ვიხილე: აჰა დგა კაცი  
ერთი სპილენძისაჲ და ტანსა მისსა ეცუა ჯაჰკ ოქროსაჲ და [თავსა მისსა  
ედგა] ჩაფხუტი ოქროსაჲ და სამგარნი [ოქროსანივე] ესხნეს [და თუალნი,  
ვითარცა] ფრცხილი და ბივრიტი, და წელსა მისსა აქუნდა კრმალი ლესული,  
რომელი ბრწყინვიდა და იქცეოდა კელსა შინა რეცა თუ: რომელი შეეხებინ,  
თავი თვისი სიკუდიდ განიწირის და იტყუნ: ვაჲ თუ და-სადა-ვაკლო რაჲ დიდე-  
ბასა დიდისა ღმერთისა არმაზისა... და შიშით თაყუანისცემდეს ყოველნი... და  
მარჯულ მისა დგა კერბი ოქროსაჲ და სახელი მისი გაცი, და მარცხლ მისა  
კერბი ვეცხლისაჲ და სახელი მისი გა... ესენი იცოდეს ცისა და ქუეყანისა  
შემოქმედად... და ვითარცა წამისყოფაჲ თუალისაჲ იყო, დასავალით ქარნი და  
ჰაერნი შეიძრნეს და კმა სცეს ქუხილთა კმითა საზარელითა, და ანდა ღრუ-  
ბელი მოწრათ... მაშინ ივლტოდა ყოველი კაცი სოფლად და ქალაქად. და  
მეყს მოიწია რისხვისა იგი ღრუბელი და მოიღო სეტყუაჲ, ლიტრისა სწორი,  
მას აღვილსა ოდენ და დაღეწა კერბნი იგი ქარმან სასტიკმან და შთაყარნა  
იგი კლდესა, რომელსა იგი თქუნცა ჰხედველით... და ვითარცა დასცხრა რი-  
სხვაჲ იგი, გამოვედ კლდისა მისგან ნაპრალისა და ვბოვე თუალი იგი ბივ-  
რიტი, აღვიდე და წარმოვედ წინაკერძო დასასრულსა მის კლდისასა, სადა  
ძუელ ქალაქი ყოფილიყო... და ვილოცვედი მუნ ექუს დღს. ოდეს იგი გამო-  
ხუდით სიმრავლს ერისაჲ და ეძიებდით ღმერთთა მათ, რომელთა ვნებაჲ დაჰ-  
ბადეს, და არა ჰპოენით, მაშინ მე მუნ ვიყავ. რამეთუ [თთუჲ იყო მეექუსს და]  
დღს იყო მეექუსს თთუსა მის, ოდეს იგი ევმანუგელ თაბორს მამისა ხატი აჩუ-  
ენა თავთა მათ ცხოველთა და თავთა მათ მიცვალებულთა<sup>1</sup>.

ამ ამონაწერში მოცემულია აღწერილობა იმ დიდი ზეიმისა და დღესასწა-  
ულისა, რომელსაც ქართველები უხდიდნენ არმაზს, ღმერთსა «ღმერთთა მათ-  
თასაჲ», «შემოქმედსა ცისა და ქუეყანისასა» (ისეთივე ეპითეტებია, როგორც  
სომეხთა არამიზდისა). არმაზის დღესასწაული, როგორც ჩანს ამ აღწერილო-  
ბიდან, იწყებოდა მეექვსე თვის (მარტიდან) მეექვსე დღეს, ესე იგი—ექვს აგ-  
ვისტოს, ვინაიდან კერპების დაღეწვა მომხდარა 6 აგვისტოს<sup>2</sup>, ქრისტიანი  
მემატინისა და მისი დროის პრაქტიკით, ფერისცვალების დღესასწაულს. გრძელ-

<sup>1</sup> Е. Такайшвили, Описание рукописей II, 750—756.

<sup>2</sup> ლეონტი მროველის სიტყვითაც «ოდეს იქმნა კერპთა შემუსრვა, იყო თუე მარტით-  
გან მეექუსე, აგვისტოსი, და დღე მეექუსე, რომელსა შინა ფერი იცუალა ქრისტემან» (ქართ-  
ლის ცხოვრება, მარიამ დედოფლ. ვარიანტი, გვ. 74).





დებოდა ეს დღესასწაული ექვს დღეს, ამით აიხსნება, რომ ნინო, თვითონ ამბობს, ექვს დღეს დარჩენილა იქ და არ მოშორებია იმ ადგილს, რადგანაც, უნდა ვიფიქროთ, ეს დრო და ადგილი მას საუკეთესოდ მიუჩინებია პროპაგანდის გასაწევად შეშინებულსა და თავისი ღმერთების სიძლიერეში დაეჭვებულ ხალხში. აქედან ნათელია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ისეთსავე დღესასწაულთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა სომეხთა შორის პირველს ნავასარდს, ანდა ირანელთა შორის ძველად ნავროზობას, ესე იგი — ახალი წლის დასაწყისთან.

ამგვარად ირკვევა, რომ თვე «ახალწლისაჲ» ანუ ახალი წელიწადი ქართლში 6 აგვისტოს იწყებოდა. დაახლოებით აგვისტოშივე მოდიოდა სხვა მეზობელ ერთა ახალი წელიწადიც: ალექსანდრიული «მესორი» 29 აგვისტოს სომხური ნავასარდი, იოანე დიაკონის რეფორმის შემდეგ, 11 აგვისტოს. ახლა ადგილი გასარკვევია სხვა თვეების შედგენილობა და შესატყვისობა; ამისათვის მხედველობაში უნდა გვქონდეს პრინციპი მზის წლისა, რომელიც მიღებული იყო ირანსა, ეგვიპტესა, სომხეთსა და კაპადოკიაში, სახელდობრ: თვე შედგება 30 დღისაგან, მეთორმეტე თვის შემდეგ, ახალი წლის დამდევამდე — 5 დღე ეპაგომენები (ნაკიან წელიწადში 6). ამ პრინციპის მიხედვით ძველი ქართული წელიწადი, მისი შედგენილობა და ხასიათი შემდგენიარად წარმოგვიდგება.

№№	თვე	როდის იწყება	როდის თავდება
I	ახალწლისაჲ	6 აგვისტო	4 სექტემბერი.
II	სთულისაჲ	5 სექტემბერი	4 ოქტომბერი
III	ტირისკანი	5 ოქტომბერი	3 ნოემბერი
IV	ტირისდინი	4 ნოემბერი	3 დეკემბერი.
V	აპნისი	4 დეკემბერი	2 იანვარი
VI	სურწყნისი	3 იანვარი	1 თებერვალი.
VII	მიჰრაკანი	2 თებერვალი	3 მარტი.
VIII	იგრიკა	4 მარტი	2 აპრილი
IX	ვარდობისაჲ	3 აპრილი	2 მაისი.
X	მარიალი	3 მაისი	1 ივნისი.
XI	თიბისაჲ	2 ივნისი	1 ივლისი.
XII	ქუელთობისაჲ ეპაგომენები	2 ივლისი	31 ივლისი
		1 აგვისტო	5 აგვისტო.

შეიძლება თუ არა კონტროლი აქ მოცემული სურათისა? შეიძლება. პირველ ყოვლისა სხვა ერთა თვეებთან შეფარდებით. მიჰრაკანი, როგორც დავინახეთ, მოდის თებერვალში, მე-33 მაგალითით 12 თებერვალი მიჰრაკანშია. მე-28 მაგალითით 23 მიჰრაკანისა უდრის სამს ადარს, მაშასადამე, მიჰრაკანი, ამ ანგარიშით, მოდის 11 შაბათ—10 ადარში, ესე იგი, 350 წლის ებრაული კალენდრით, 30 იანვარ—28 თებერვალში დაახლოებით. იგრი, რომელიც, ჩვენი გამოანგარიშებით, მარტში მოდის, 19, 20, 21 მაგალითების მიხედვით ხედება 11 ადარ—10 ნისანს შორის, რაც, იმავე ებრაული კალენდრით, უდრის დაახლო-



ებით 1—29 მარტს. ვარდობისაჲ, რომელიც ჩვენი ანგარიშით, აპრილის 11-ს შეესაბამება, მეექვსე-მეშვიდე მაგალითების მიხედვით, 11 ნისან—10 ზიფს შორის მოდის, რაც 359 წლის ებრაული კალენდრით უდრის დაახლოებით 20 მარტ—28 აპრილს; ამიტომაცაა, რომ ვარდობას მე-7 მაგალითში «ყუაეილობა» ეწოდება, ის უდრის (განსაკუთრებით «ვეადარ» წელიწადში) ებრაულ «ზიფს», რომელიც ყუაეილობა თვეს ნიშნავს. მე-5 მაგალითში ვარდობა აღებულია «ფიზიოლოგის» სომხური ტექსტის მიხედვით (წ. მარის გამოცემა, გვ. 13), ეგვიპტური «ფარმუთის» შესატყვისად, რომელიც აპრილში მოდიოდა. მარიალი, ჩვენი ანგარიშით, მაისში ხვდება, მე-2 მაგალითითაც 15 მაისი მარიალშია ნაჩვენები. «თიბისაჲ», რომელიც ჩვენი ანგარიშით ივნისს უდრის, მე-12 მაგალითით აღებულია როგორც ივნისის შესატყვისი. «ქუელთობისაჲ», რომელიც ჩვენი ანგარიშით, ივლისს უდრის, მე-41 მაგალითითაც ივლისში მოდის; მერვე რიცხვი «ქუელთობისა», მე-42 მაგალითით, არის ამ თვის «იდთა» რვა დღით უწინარესი (1+1—8=8) დღე. მე-4 მაგალითით თვე «ახალწლისაჲ», როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, გულისხმობს აგვისტოს. მე-3 მაგალითში აღნიშნული «ანისი» ბერძნულ დედანში დეკემბრადაა სახელდებული, ხოლო სომხურში «ქალოც»-ად, რაც იმავე ბერძნული დეკემბრის შესატყვისადაა აღებული. მე-35 მაგალითით კალისტრატეს წამება დადებულია «სთულის», ესე იგი მეორე თვეში, ისე, როგორც ამას ვხედავთ მიაი მარტვილობის სომხურ ტექსტში [«თთუესა ჰორისასა»], ესევე უნდა ვთქვათ რიფსიმეს წამების შესახებაც (მაგალ. 36).

თვეთა რიცხვების ზუსტი დამთხვევა ამ მაგალითებში ძნელი მოსალოდნელია, ვინაიდან ამისათვის რედუქტორებს ძალა არ შესწევდათ, ამიტომ არის შემოხვევა, როდესაც ესათუის ქართული თვე აღებულია უმეტესადაა როგორც შესატყვისი ამათუიმ რომაული თვისა. მაგალითად, მე 4 მაგალითში «ახალწლისაჲ» ნაგულისხმევია აგვისტოს შესატყვისად უმეტესადაა, ვინაიდან უწინარესს სამისა დღისა ახალწლისა» უდრის 20 ივლისს. მიუხედავად ამისა, ჩვენს მაგალითებში გვაქვს შემთხვევები თვეთა რიცხვების ზუსტი დამთხვევისაც, რაც ჩვენს გამოანგარიშებას უნდა ადასტუებდეს. ასეთებია:

1. ზემოთ, მეათე მაგალითის განმარტებისას, ჩვენ ვნახეთ უკვე, რომ ვარდობის ათია რიცხვი, ჩვენი გამოანგარიშებით აპრილის 12, გადმოგვცემს ასიანური «არტემიზიის» 20 რიცხვს, რაც ბერძნულშიაც გადმოტანილი ყოფილა აპრილის 12-ად (ცამეტის მაგიერ, ნაჩვენები მიზეზით).

2. მე-36 მაგალითში რიფსიმეს მარტვილობა დადებულია «ოცდაექუსსა სთულისასა», რაც ძველის სათაურში რედუცირებულია 30 სექტემბრად; მართლაც, 29 «სთულისაჲ» ჩვენი გამოანგარიშებით გვაძლევს 30 სექტემბერს.

3. მე-37 მაგალითში ნათქვამია: «აღესრულა წმიდაჲ სტეფანი თთუესა სურწყინისასა ექუსსა დღესა», ესე იგი, ჩვენი გამოანგარიშებით, 8 იანვარს. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ნათი იმ ეორტალოგიური პრაქტიკისა, რომელიც სტეფანეს ხსენებას ქრისტეს შობის დღესასწაულს უკავშირებდა. რომსა და მისი პრაქტიკის მიმდევარ ქვეყნებში, სადაც შობას 25 დეკემბერს დღესასწაულობდნენ, სტეფანეს ხსენება მეორე დღეს, 26 დეკემბერს, იყო დადებული (ამისი კვალი დარჩენილა სინას მთის «მოაველთავში» 884 წლისა), ხოლო აღმოსავლეთის იმ





ერეკნული

ქვეყნებში, სადაც შობას 6 იანვარს დღესასწაულობდნენ, სტეფანეს ხსენებას მხოლოდ ორე დღეს, 7 იანვარს ასრულებდნენ. ამიტომია, რომ სომხურს უძველეს ლექციონარში, რომელშიაც შობა 6 იანვარსა დადებული, 7 იანვარს ნაჩვენებია სტეფანეს ხსენება მისი სახელობის ტაძარში და მისი აღსასრულის შემცველი საკითხავები<sup>1</sup>. შემდეგში გარკვეული მიზეზების გამო, სტეფანეს ხსენება დაიღო შობის არა მეორე დღეს, არამედ მესამეს, ამიტომ რომაულ-ბიზანტიური პრაქტიკით, ეს ხსენება გადატანილ იქნა 27 დეკემბერს, ხოლო აღმოსავლეთში, ამის შესაბამისად, ის უნდა შესრულებულიყო 8 იანვარს. უკანასკნელის კვალი გვაქვს ქართულ მაგალითში.

მოყვანილი ფაქტები, ვფიქრობ, საკმარისია ძველი ქართული წლის იმ სურათის გასამართლებლად, რომელიც ზემოთ არის წარმოდგენილი.

#### V

ჩვენ მიერ მოყვანილ მაგალითებში არის ისეთებიც, რომელნიც ამ სურათის მთლიანობას თითქოს არღვევენ. საქმე ისაა, რომ ზოგიერთი ქართული თვე რომაული ორი სხვადასხვა თვის შესატყვისადაა ნაჩვენები; მაგალითად, აპნისი დეკემბერშიაც არის (მაგ. 3) და იანვარშიც (მაგ. 2), ვარდობა—აპრილშიც (5, 6, 7) და მაისშიც (8, 9), ივრი—მარტშიც (18, 19, 21) და აპრილშიც (13—17, 22—23)<sup>2</sup>, მიჰრაკანი—თებერვალშიც (18, 19, 28, 29, 33) და მარტშიც (31). ეს გარემოება წელიწადის მოძრავე ხასიათს ხომ არ უჩვენებს? არა, რასაკვირველია. ეს რომ მოძრაობით იყოს გამოწვეული, მაშინ აპნისი ნაჩვენები იქნებოდა დეკემბერსა და ნოემბერში, ვარდობა აპრილსა და მარტში, ივრი მარტსა და თებერვალში, მიჰრაკანი თებერვალსა და იანვარში, და არა ისე, როგორც ნაჩვენებია. თან ყურადღება უნდა მივაქციოთ შემდეგს გარემოებას. გულანდუხტის მარტვილობა (მაგალ., 41), რომელსაც ადგილი ჰქონდა მეფრიკი კეისრის მეცხრე წელს, ინდიქტონსა ცხრასა, ესე იგი 591 წელს, დაიწერა მეექვსე საუკუნის გასულს, ქართულად ის, მაშასადამე, ითარგმნებოდა არაუადრეს მეშვიდე საუკუნის ნახევრისა. ქრისტიანობის მიღებისას ჩვენში ახალი წელი იწყებოდა, როგორც ვნახეთ, 6 აგვისტოს, მაშასადამე, აგვისტოს წელიწადი ჩვენში მოსალოდნელია მხოლოდ ისეთს ტექსტებში, რომლებიც ნათარგმნია 120 წლის განმავლობაში ქრისტიანობის მიღებიდან, ესე იგი—არაუგვიანეს, ყოველ შემთხვევაში, მეხუთე საუკუნის მიწურულისა. ამის შემდეგ, მოძრავე წელიწადის პირობებში, მოსალოდნელია არა აგვისტოს, არამედ ივლისის წელიწადი; და

<sup>1</sup> F. Conybeare, *Rituale Armenorum*, p. 517.

<sup>2</sup> მე-22 მაგალითში ნათქვამია: «იწამნეს ბიკტორ და სტეფანოზ ოცდარვასა თთუესა ივრიკისასა»; აქ «ივრიკა» აღებულია როგორც შესატყვისი ეგვიპტური «ფარმუთისა» (7 მარტი-25 აპრილი), ვინაიდან ბიკტორისა და სტეფანოზის (უფრო სწორად სტეფანიდასი) ხსენება კობტურადაც 28 ფარმუთს ყოფილა დადებული (იხ. проф. В. Болотов, *Из церковной истории Египта*, стр. 335). დარწმუნებულს იმაში, რომ «ფარმუთი» ივრიკაა, მთარგმნელს თუ რედაქტორს (ბერძნულს თუ ქართულ ნიადაგზე) მექანიკურად გადმოუწერია რიცხვი 28.





თუ აგვისტოს წელიწადს ჩვენ ვხედავთ გულანდუხტის მარტივლობაში, რომ წელიწადი უძრავი იყო.

მაშ რაშია საქმე? საქმე ისაა, რომ ქრისტიანობის შემოღების შემდეგ ჩვენში დარჩა ძველებური აგვისტოს წელიწადი, რომელმაც გამოყენება პოვა ლიტერატურულს, კერძოდ ჰავიოგრაფიულ, ძეგლებში. მაგრამ ამასთან ერთად ქრისტიანობამ ჩვენში გზა გაუკაფა მეორე სისტემის წელიწადს—სექტემბრისას ან ინდიქტურს, რომელიც წელიწადს 1 სექტემბრიდან იწყებდა. ამ წელიწადის არსებობა რომისა და საბერძნეთის სამყაროში მეოთხე საუკუნეში დამოწმებულია ამბროსი მედიოლანელის და ათანასი ალექსანდრიელის თხზულებებით, აგრეთვე მეხუთე საუკუნის ერთი კობტური ქადაგებით. ამის შემდეგ ზოგი ანგარიშობდა ჩვენში ძველებურად, აგვისტოს წელიწადის გამოყენებით, ზოგი კიდევ ახლებურად, სექტემბრის ან ინდიქტური წლის მიხედვით; ამით აიხსნება, რომ ესათუის ქართული თვე (სახელები თვეებისა ინდიქტურ წელიწადშიაც ძველებური იხმარებოდა თავდაპირველად) ორის სხვადასხვა რომაული თვის შესატყვისადაა ნაჩვენები ზოგიერთს ძეგლში<sup>1</sup>.

სექტემბრის ან ინდიქტური წლის განმტკიცებას ხელი შეუწყო ჩვენში თვეთა რომაული სახელების (იანვარი-დეკემბერი) შემოღებამ. როდის მოხდა ეს?

თუ მხედველობაში გვექნება «შუშანიკის მარტივობა», შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში სკოდნიათ ჩვენში რომაული სახელები თვეებისა. საქმე ისაა, რომ, როგორც ამ ძეგლშია აღნიშნული, შუშანიკის აღსასრული ან გარდაცვალება მომხდარა «თთუესა ოკდონბერსა ათშვდმეტსა, საქსენგებულსა წმიდათა მათ და სანატრელთა მოწამეთა კობზან და დამიანსსთა»<sup>2</sup>. აქ პირდაპირაა დასახელებული თვე ოკდონბერი. მაგრამ აპრიორულად შეიძლება ითქვას, რომ რაღაც გაუგებრობასთან ვვაქვს საქმე: მეხუთე საუკუნეში ქართლში შეუძლებელი იყო თვეთა რომაული სახელის ხმარება, ვინაიდან მაშინ თვით საბერძნეთშიაც კი არ ესმოდათ ის ხეირიანად და ჩვეულებრივ სირომაკედონურად სთარგმნიდნენ ხოლმე. ასე, მაგალითად, იოანე ოქროპირის ქადაგებაში ქრისტეს შობის დღესასწაულზე ნათქვამია: «და უკუეთუ დასასრულსა გორპიოზ თთუსასა, რომელ არს სექდენბერი, მუცლად ილო ელისაბედ, ვითარცა ესე ჩანს, მერმე მით თთუთა მიითუალენ თთუენი იგი შემდგომნი, აწ ესე იყენს თთუენი იგი: ვიპერპერეტის, რომელ არს ოკდონბერი, დიოს ნოენბერი, აპელერს დეკენბერი, ავდზნიოს იანვარი, პერეტეოს ფებარვალი, დვსტროს მარტი. ამის შექჟუსისა თთუსა შემდგომად დააბა მარია მუცლადღება. აწ ცხრათა ამით თთუეთა ვთუალვიდეთ და მოვიდეთ დღენდელსა ამას დღესა. და რამეთუ არს დასაბამი თთუსა მის მიდგომისაჲ ქსანდიკოსი, რომელ არს აპრილი, და შე-

<sup>1</sup> ინდიქტური სისტემის წელიწადში თვე «ახალწლისაჲ» უკვე ზუსტად და უმეტნაკლოდ უდრის რომაულ სექტემბერს, «სთულისაჲ» ოქტომბერს და ა. შ. ამ შესატყვისობის მაჩვენებელია, თუ გნებავთ, პირველი მაგალითი: «და არს დასაბამი ტანჯვათა მათ წმიდისა შუშანიკისათაჲ თთუესა აპნისისასა, მერვესა თთუსასა და დღესა ოთხშაბათსა». აქ აპნისი აღებულია იანვრის ზუსტ შესატყვისად; ეს იქიდანა ჩანს, რომ 469 წელს, როდესაც დაიწყო შუშანიკის ტანჯვა, 8 იანვარი მართლაც ოთხშაბათ დღეს მოდიოდა.

<sup>2</sup> ილ. აბულაძის გამოცემა, გვ. 46, ს. გორგაძის გამ. გვ. 22—23.





ქართული

უღვს მას არტემესეოსი, რომელ არს მაისი, დესიოსი იენისი, პანემეოსი ლეოსი, ლოგოსი ავსტოსი, გორპიოსი სეკლენბერი, ვიპერპერეტიოსი ოკლონბერი, დიოსიოსი ნოენბერი, აპელეოსი ესე დეკენბერი, რომელსა ზედა ვდგათ და ვჰყოფთ შობასა უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესასა<sup>1</sup>. ანდა მეორე ქადაგებაში იმავე დღესასწაულზე: «რამეთუ ეხარა მარიამს თთუესა დვსტროასასა ოკლახუთსა, რომელ არს მარტი, ხოლო იწყო მუცლადღებაჲ ქსანდიკოსითგან, რომელ არს აპრილი»<sup>2</sup>. შუშანიკის მარტვილობაში ორჯერ ნახმარია ძველი ქართული სახელი თვისა: აპნისი (მაგ. 1) და ვარდობისაჲ (მაგ. 9), რალა მესამე შემთხვევაში უნდა ეხმარა მის ავტორს არა ქართული, არამედ რომაული სახელი—ოკლონბერი? ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს შემდეგი დროის შესწორება—გლოსა, რომელიც მათე საუკუნეზე ადრე ვერ წარმოდგებოდა. გლოსატორი, რომელსაც ძველი სახელები თვეებისა და მათი შესატყვისობა აღარ ესმოდა, ჩანს, მექანიკურად მოქცეულა: დედანში თვის რიცხვი აუცილებლივ 17 ყოფილა, რომელიც იმა-საც მექანიკურად გადმოუწერია და მიუკუთვნებია რომაული ოქტომბრისათვის. რა თვე უნდა ყოფილიყო დედანში? უეჭველია «სთულისაჲ»; ამას ადასტურებს სომხური ვრცელი რედაქცია შუშანიკის მარტვილობისა, რომელიც ქართულიდან მომდინარეობს. აქ ნათქვამია: «დღესასწაული დიდი აღასრულეს, დღე აღსრულებისა წმიდისა შუშანიკისა, ათჩვიდმეტსა ქალოც თვისასა»<sup>3</sup>. «ქალოც» არის მეხუთე თვე სომხური წლისა, მაგრამ სომხური რედაქციის ავტორიც, ჩანს, დიდად ვერ ერკვეოდა ქართულ სახელებში: ქართველთა «სთულისაჲ» მას მიუღია სომხურ «ქალოც» თვედ, რადგანაც «ქალოც» წარმოდგება «ქალ» ძირისაგან, აქედან «ქალელ»—სთვლობა, ნაყოფის, მოსავლის შეკრება. ამ მოსაზრებით მას «სთულისაჲ» გაუიგივებია «ქალოცთან», ხოლო რიცხვი 17 მექანიკურად გადმოუწერია.

ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში რომაული სახელები თვეებისა გვხვდება მერვე საუკუნის გასულიდან, პირველად აზო ტფილელის მარტვილობაში (786—790 წ.), მაგრამ შემოსვლით ისინი უფრო ადრე უნდა იყვნენ შემოსულინი. მათი შემოსვლა დაკავშირებული უნდა იყოს იმ ხანასთან, როდესაც ჩვენში იწყება დასავლური, ბიზანტიური ორიენტაციის ძიება, იმ ორიენტაციის, რომელიც შეიქნა მიზენი სომეხ-ქართველთა კულტურულ-ეკლესიური ერთობის რღვევისა, ესე იგი მეშვიდე საუკუნის დამდეგიდან. განსაკუთრებით ვადაძმე-ყვეტი როლი ამ შემთხვევაში უნდა ეთამაშნა ირაკლი კეისრის ომებს სპარსეთთან, როდესაც ჩვენი ქვეყანა ბიზანტიელთა საომარ ბაზად იქცა და როდესაც ჩვენში მძლავრად შემოჭრილმა ბიზანტიურმა კულტურამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა აღმოსავლეთის კულტურულ ტრადიციებს. ცნობილია ე. წ. წყისის ლაპიდარული წარწერა, რომელიც ასე იკითხება:

ესე ჯუარი ქრისტსი მე, კოსტანტი, ძემან  
სტეთანსმან და გულასმან,

<sup>1</sup> ხელნ. A 19, გვ. 30—32, 95, გვ. 36—37.

<sup>2</sup> ხელ. A 19, გვ. 55, 95, გვ. 62. Migne PG. t. 49, col. 358.

<sup>3</sup> ილ. აბულაძის გამოცემა, გვ. 46.



აღუპმართე სახელ-  
 სა მცხეთისა ჯუარისსა, ნასყი-  
 დესა ქუყანასა ზედა,  
 შაპრამანსა ა, სალოცავად ჩუენ-  
 და, ცოლისა და შვილისა.  
 ნოენბერსა იჴ. ამენ<sup>1</sup>.

თუ ამ წარწერაში სიტყვები «ნოენბერსა იჴ» შემდეგ არაა ამოკრილი სტრიქონის თავისუფალ ადგილზე სიტყვა «ამენა»-ის წინ<sup>2</sup>, რომელი სახელი თვისა მართლაც მეშვიდე საუკუნის დამდეგს ჩანს ჩვენში შემოსულად, ვინაიდან «შაპრამანი ა» ნოემბრის 17 მიდიოდა 616—619 წლებში.

ამ დროიდან, ესე იგი მეშვიდე საუკუნის დამდეგიდან, თანდათან დავიწყებას ეძლევა თვეთა ძველი სახელები, თუმცა ხმარებიდან ისინი იმწამსვე არ გამოდიან; როგორც მონაგონარი და გარდანაშთი, ისინი მეთექვსმეტე საუკუნეშია ცი გვხვდებიან (მაგალ. 8, 31). თავდაპირველად, რათა ახალშემოსული რომაული სახელები თვეთა გასაგები ყოფილიყო მასისათვის, მათ ძეგლებში უმატებდნენ, განმარტების სახით, ძველს ქართულ სახელსაც. ამ გარდამავალ ხანას ეკუთვნის ის გლოსები, რომელთაც ვხედავთ 8, 23, 25, 31, 33, 41 მაგალითებში.

რომაული თვეების შემოსვლასთან დაკავშირებით თანდათან პრაქტიკიდან გადის აგვისტოს წელიწადი და მის ადგილს საბოლოოდ იკაიებს სექტემბრის, ინდიქტური, წელიწადი, როგორც სამოქალაქო წელიწადი; ვამბობ «როგორც სამოქალაქო» იმიტომ, რომ სამოქალაქო წელიწადთან ერთად ჩვენში ცნობილი იყო საგანგებო საეკლესიო წელიწადი, ე. წ. ეორტალოგიური, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნემდე უწყვეტად მომსახურებდას საღვთისმსახურო მოთხოვნილებასა და პრაქტიკას<sup>3</sup>.

## VI

ასეთია საქმის მდგომარეობა მეცხრე საუკუნის დამდეგამდე. მეცხრე საუკუნის დაახლოებით პირველი მეხუთედიდან, ე. წ. ქორონიკული წელთაღრიცხვის შემოსვლასთან დაკავშირებით, ჩვენში შემოდის მარტის წელიწადი, რომელიც 1 მარტიდან იწყება.

1 მარტი ურყევი საფუძველია 532-წლიანი ქორონიკონისა, როგორც ქართულის, ისე უცხოურისაც; და თუ ძეგლებში საქმე სხვანაირადაა წარმოდგენილი, ეს უთუოდ ან გადამწერის შეცდომაა, ან ქორონიკონის გამოყვანისა, რომელსაც მისი აზრი და ბუნება არ სცოდნია. ასე, მაგალითად, როდესაც

<sup>1</sup> პ რ ო ფ. ა. შ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ქრესტომათია ლექსიკონითურთ, გვ. 25, 108.

<sup>2</sup> ამას გვაფიქრებინებს როგორც კონტექსტი, რომელშიაც მოცემულია სიტყვები «ნოენბერსა ა», ისე მოხაზულება იმ ასოებისა, რომლითაც გამოყვანილია აღნიშნული სიტყვები.

<sup>3</sup> ამ საეკლესიო, ეორტალოგიური წელიწადის შესახებ ახლა იხ. კ. კეკელიძე, ქართული ერა და ეორტალოგიური წელიწადი, «ენიკია»-ს მოამბე, ტ. V-VI, გვ. 85-101, განსაკუთრ. გვ. 94-101.





ერთ-ერთი «სვინაქსრის» მინაწერში ვპოულობთ, რომ მისი გადაწერა «თთუესა დეკენბერსა ექუსსა, ქორონიკონსა სკჯ» და გაუთავებიათ «თთუესა იგ-ენისსა იბ, ქორონიკონსა სკჯ»<sup>1</sup>, ჩვენ შეგვიძლია უარფყოთ ეს ცნობა, ვინაიდან შეუძლებელია დაეწყოთ წიგნის გადაწერა სკჯ ქორონიკონის დეკემბერში და გაეთავებიათ იმავე ქორონიკონის იგნისში (პირიქით კი შეიძლება). ქორონიკონი რომ მარტის წელიწადს გულისხმობს, ამის შემოწმებაც შეიძლება. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა 1125 წლის იანვარში, მემბტიანე კი ამბობს, რომ მისი გარდაცვალებისას იყო «თუე იანვარი კდ და დღე შაბათი, ოდეს ქორონიკონი იყო ტმდ»<sup>2</sup>. მაშასადამე, თუ 24 იანვარი 1125 წლის ტმდ ქორონიკონში მოდიოდა, იმეტომ, რომ უკანასკნელი გულისხმობს მარტის და არა იანვრის წელიწადს, ამიტომ, როდესაც მემბტიანე ამბობს, მაგალითად, რომ ლაშა გიორგი გარდაიცვალა 18 იანვარს, ქორონიკონსა უმბ, დღესა ოთხშაბათსა, ეს ნიშნავს, რომ ნამდვილად ის გარდაიცვალა არა 1222 წელს, არამედ 1223 წელს, როდესაც ოთხშაბათი მართლაც 18 იანვარს მოდიოდა.

უძველესი ცნობა მარტის წლის შესახებ ჩვენში მოგვეპოება ნინოს «ცხოვრების» ჭელიშურ რედაქციაში; აქ ნათქვამია: «რამეთუ თთუე იყო მეექუსე და დღე იყო მეექუსე თთვსა მის, ოდეს იგი ევმანუელ თაბორს მამისა ხატი უჩვენა»<sup>3</sup>; ესე იგი, ფერისცვალების დღე, 6 აგვისტო, აქ მიჩნეულია მეექვსე თვედ, მაშასადამე, წლის დასაწყისად ნავარაუდევია მარტი. მართალია, ამ «ცხოვრების» შატბერდულ რედაქციაში ეს დეტალი მიჩქმალულია, ვინაიდან იქ არაა სიტყვები «თთუე იყო მეექუსე», მაგრამ ჭელიშური რედაქციის სისწორე თვით შატბერდულის სხვა ადგილიდან მქლავნდება. მართლაც, აქ ნინო გადმოგვცემს: «რიფსიმე დედოფალი და გაიანე დედა-მძუძე და ორმეოცდა ათი სული წარმოვემართენით თთუესა პირველსა ათხუთმეტსა და მოვედით არეთა სომხითისათა სამოთხესა მას თრდატ მეფისასა. იგინი მოიკლნეს მუნ თთუესა პირველსა ოცდაათსა დღესა, ზოლო მე დავშით ეკალთა შინა ვარდისათა, რამეთუ ვარდი და ნუში ყუაოდა მას ჟამსა»<sup>4</sup>. თუ ამ «პირველ თვეში» ვარდი და ნუში ყუაოდა, პირველ თვედ მიჩნეულ უნდა იქნას არა სექტემბერი, მით უმეტეს არა იანვარი, არამედ გაზაფხულის ერთ-ერთი თვე, უფრო გარკვევით—მარტი. საქმე ისაა; რომ თრდატ მეფის სამოთხიდან «თუესა მეოთხესა» ნინო წამოსულა ჯავახეთისაკენ; როდესაც მას დაუნახავს, რომ «დღეთა ზაფხულისათა» ჯავახეთის მთები დადარული იყო «თოვლითა სასტიკითა», შეშინებულა<sup>5</sup>. აქედან ჩანს, რომ «მეოთხე თვე» წლისა ყოფილა ზაფხულში, უკეთ რომ ვთქვათ—იგნისში, როგორც ეს აღუნიშნავს კიდევაც პირდაპირ ლეონტი მროველს<sup>6</sup>, ასე რომ, ამ იანვარიშით, წლის დასაწყისად მარტია აღებული.

<sup>1</sup> ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, აღექსანდრე მეფის გამეფების თარიღი, გვ. 6.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 334.

<sup>3</sup> E. Такайшвили, Описание рукописей II, 756.

<sup>4</sup> ibid. 746—7.

<sup>5</sup> ibid. 748.

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 67.





ამრიგად, მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც იწერებოდა ეს კალიბდებოდა ნინოს «ცხოვრების» უძველესი რედაქცია, წლის დასაწყისად ჩვენში მარტი ითვლებოდა. მარტის წლის შემოსვლის შემდეგ სექტემბრის წელიწადი განაგრძობს მის გვერდით არსებობას მეთათე საუკუნის ნახევარამდე, ხოლო მეთათე საუკუნის ნახევრიდან, როდესაც უძველესი საეკლესიო-ეორტალოგიური, აღმოსავლური ტიპის, წელიწადი ბიზანტიურმა პრაქტიკამ დაიწყო, ის იკავებს საეკლესიო წლის ადგილს. პირველად სექტემბრის წელიწადი, როგორც საეკლესიო, ჩვენ გვხვდება იოანე-ზოსიმეს კალენდარში, სადაც პირველი სექტემბრის ქვეშ წერია: «გურგანი წელიწადისა მოქცევისაა»<sup>1</sup>. განამტკიცა ის ჩვენში ექვთიმე ათონელმა; მან გადმოთარგმნა შემოკლებული «სვინაქსარი» კონსტანტინეპოლის ეკლესიისა, რომელშიაც წელიწადი პირველ სექტემბერს იწყება. ამდროიდან ჩვენშიაც საღვთისმსახურო წიგნები მინეონის ტიპისა პირველი სექტემბრიდან იწყება.

მარტის წელიწადი, როგორც სამოქალაქო, არსებობს ჩვენში დაახლოებით მეთათე საუკუნის მეორე ნახევარამდე, ამდროიდან ის ხმარებიდან იდევნება იანვრის წელიწადით და ქორონიკონური წელიწადის საფუძვლად რჩება მხოლოდ. იანვრის წლის კვალს იოანე-ზოსიმეს კალენდარში ვამჩნევთ, აქ თვეები დალაგებულია იანვრიდან დეკემბრამდე. უფრო მკვეთრად ეს წარმოდგენილია მიქელ მოდრეკილის «იადგარსა»<sup>2</sup> და «იერუსალიმის კანონის» იმ რედაქციაში, რომელიც გადაწერილია მეთერთმეტე საუკუნის პირველ ნახევარში (ქართული ხელნაწ. პარიზის საჯარო წიგნთსაცავისა № 3). ორსავე ძეგლში პირველი იანვრის ქვეშ ნათქვამია: «წელიწადის თავი». მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში მარტის წელიწადი იმდენადაა დავიწყებული, რომ ლეონტი მროველს, რომელმაც გადააკეთა ნინოს «ცხოვრების» შატბერდულ-ჰელიშური რედაქცია, საჭიროდ დაუნახავს ამ ძეგლიდან ზემომოყვანილ ციტატებში სიტყვებს: «თუე მიექუსუ», «თუესა მეოთხესა» მიუმატოს გლოსა «მარტითგან»<sup>3</sup>, რაც ძველ რედაქციაში საჭირო არ იყო, რადგანაც იქ თვეების თვლა ისედაც მარტიდან იწყებოდა.

იანვრის წელიწადს დიდხანს უხდება ბრძოლა ცხოვრებაში განმტკიცებისათვის; ასე, მაგალითად, აბუსერიძე ტბელი 1233 წელს დაწერილ «ასურული კნკლოსის» განმარტებაში ამბობს: «დადაცათუ დასაბამად წელიწადისა (იგულისხმება—საეკლესიოსი) დადგომად სეკდენბრისა დადებულ არს, გარნა ესევითარისა სათუალავისა გამოძიებისათს და ამის ყოვლისათს, რომლისა წერასა შინა ვართ, იანვარსა დაწყება დადებულ არს წელიწადისა დასაბამად»<sup>4</sup>. «ხელმწიფის კარის ვარიგებიდან» ვტყობილობთ, რომ მეთოთხმეტე საუკუნეში იან-

<sup>1</sup> მეთათე საუკუნის ხელნაწერში № 65 (ნ. მარის კატალოგი, № 44 ცაგარლის), რომელიც იმავე იოანე სინელს გადაუწერია, აგრეთვე ვკითხულობთ: «სეკდემბერსა ა გურგანი წელიწადისა სიტკობით მოქცევა (H. Marr, Описание грузинских рукописей синайского монастыря, стр. 143).

<sup>2</sup> პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 5.

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 67, 74.

<sup>4</sup> Brosset, Études de chronologie technique, p. 29.





ვრის წელიწადს მტკიცედ გაუდგამს ფეხი. საქმე ისაა, რომ ეს ძეგლი «წელიწადის თავის» ცერემონიის აღწერით და «წელიწადის თავის» იგულისხმება ზამთრის პერიოდს «თვედრობამდის» (უკანასკნელი მოდის ხოლმე თებერვალ-მარტში), ან უკეთ—პირველი იანვარი, ვინაიდან «წელიწადის თავის» დღესასწაულის შემდეგ ძეგლი შენიშნავს: «აწ განცხადება ვთქუათ, დიდი დღესასწაული», რომელიც, როგორც ცნობილია, 6 იანვარს მოდის. როგორც ვხედავთ, იანვრის წელიწადი ყველაზე ადრე შემოსულა და დამყარებულა საქართველოში სხვა საქრისტიანო ქვეყნებთან შედარებით, როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთისა.

### ა მ რ ი გ ა / დ :

1. უძველესი ქართული წელიწადი იყო მთვარის წელიწადი ბაბილონურ-სემურის სისტემისა.
2. მთვარის წელიწადი შეუცვლია ჩვენში მზის მოძრავე წელიწადს, დაახლოებით იმავე ხანებში, როდესაც ეს მოხდა ირანს, სომხეთს, კაპადოკიასა და საერთოდ მთელ წინააზიაში.
3. რომაელთა პოლიტიკურ-კულტურული გავლენის დამყარების შემდეგ ჩვენში მზის მოძრავე წელიწადი შეიცვალა უძრავით.
4. უძველესი, წარმართული დროის სახელწოდება ქართული თვეებისა, რომელიც ნაწილობრივ ირანულ-სომხურ-კაპადოკიური წარმოშობისაა, გადმოვიდა ქრისტიანულ ხანაშიაც და ბატონობდა მეშვიდე საუკუნის დამდეგამდე, მერე თანდათან რომაული სახელწოდებით იცვლება.
5. ქართული უძრავი წელიწადი წარმართული დროისა იწყებოდა 6 აგვისტოს, თითოეული თვე ამ წლისა შედგებოდა 30 დღისაგან, ბოლოში მას ემატებოდა ხუთდღიანი (ნაკიან წელიწადში 6-დღიანი) ეპაგომენები; აგვისტოს წელიწადი ხმარებაში იყო მეშვიდე საუკუნემდე, დაახლოებით 8-რაკლი კეისრის სპარსეთში გალაშქრებამდე.
6. ქრისტიანობის დამყარებასთან ერთად ჩვენში შემოდის ბიზანტიიდან სექტემბრის ან ინდიქტური წელიწადი, რომელშიაც ქართული თვეები ზუსტად, უმეტესაქლოდ ემთხვევიან შესაფერ რომაულ თვეებს. ეს წელიწადი, აგვისტოს წლის ხმარებიდან გამოსვლის შემდეგ, მეცხრე საუკუნის დამდეგამდე ერთადერთი სამოქალაქო წელიწადია ჩვენში.
7. მეცხრე საუკუნის დამდეგიდან, სექტემბრის წელიწადთან ერთად, ფეხს იკიდებს, ქორონიკული წელთაღრიცხვის შემოსვლასთან დაკავშირებით, მარტის წელიწადი, რომელიც ხმარებაშია მეათე საუკუნის ნახევრამდე.
8. მეათე საუკუნის ნახევრიდან ჩვენში თანდათან მყარდება იანვრის წელიწადი, რომელიც საბოლოო ბატონობას XIV საუკუნეში პოულობს.
9. სამოქალაქო წელიწადთან ერთად და მის პარალელურად, ქრისტიანობის ხანაში, ჩვენში არსებობდა საეკლესიო წელიწადი: მეათე საუკუნის ნახევრამდე—აღმოსავლური ტიპის ეორტალოგიური, ხოლო მას შემდეგ—სექტემბრის.





10. სექტემბრის წელიწადი ქრისტიანობის შემოსვლიდან მეთექვსმეტე საუკუნემდე იყო სამოქალაქო (აგვისტოსა და მარტის წელთან ერთად), ხოლო მეთექვსმეტე საუკუნიდან ის იქცა ბიზანტიური ტიპის საეკლესიო წელიწადად.

К. Кекелидзе

## Год в древней Грузии

(Резюме)

Система древне-грузинского года научно пока мало изучена; это обстоятельство остро дает о себе знать при уяснении отдельных исторических проблем, в частности историко-литературных: датировка древнейших письменных памятников во многом зависит от осведомленности в характере древне-грузинского года.

По доступным в настоящее время материалам вопрос представляется в следующем виде:

1. Древнейший грузинский год был лунный, вавилонско-семитической системы.

2. Лунный год в Грузии заменен был подвижным солнечным годом; это произошло приблизительно тогда, когда и в Иране, Армении, Каппадокии, вообще в передней Азии.

3. После утверждения в Грузии культурно-политического влияния римлян подвижной солнечный год был заменен неподвижным.

4. Древнейшее, языческое название грузинских месяцев, будучи частью ирано-армяно-каппадокийского происхождения, перешло и в христианскую эпоху, причем оно господствовало до начала VII столетия, с какого времени постепенно заменяется римскими названиями месяцев.

5. Неподвижный солнечный год в языческую эпоху начинался 6 августа (по римскому исчислению); каждый месяц этого года состоял из 30 дней, в конце года к нему присоединялись пятидневные (в высокосы—шестидневные) эпагомены. Августовский год в употреблении был в Грузии до VII столетия, приблизительно до персидских походов византийского императора Ираклия.

6. Вместе с христианством в Грузию из Византии проникает Сентябрьский или индиктовый год, в котором грузинские месяцы находят точное соответствие с римскими месяцами. Этот год, после выхода из употребления Августовского года, является единственным гражданским годом в Грузии до начала девятого века.

7. С начала девятого века, вместе с Сентябрьским годом, вследствие оформления летосчисления по Великому Индиктиону, в Грузии







ა. შანიძე

თომას სახარების აპოკრიფის ქართული ვერსიის ნაწყვეტი  
და მისი გაუგებარი აღვილები<sup>1</sup>.

„ძველი ქართული ძეგლების გამოცემის საქმე სათანადო სიმაღლეზე არა დგახ“

(აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის უკანასკნელი  
მოხსენებიდან 18/XI 1940).

ძველი ქართული სასულიერო მწერლობის კარგა მოზრდილ დარგს წარ-  
მოადგენს ე. წ. აპოკრიფები, ანუ ძველისა და ახალი აღთქმის „დაფარული“  
წიგნები (სხვანაირად: „დაუბეჭდველი“ წიგნები), რომელთაც დიდი გასაგალი  
ჰქონდათ ხალხში, მაგრამ, რადგანაც ისინი ხშირად მწვალებლურ აზრებს ავრ-  
ცელებდნენ, ამიტომ ეკლესიის ოფიციალურ პრაქტიკაში მიუღებლად ითვლე-  
ბოდნენ<sup>2</sup>. ცნობილია, მაგ., აპოკრიფული ნაწერების სია, რომელიც ექვთიმე  
მთაწმიდელს შეუდგენია თევდორე საბაწმიდელის შემდეგი შეკითხვის გამო:  
„გვედრები შენ, ღმერთ-შემოხილო მამაო, მათუყე, თუ რომელი წიგნი არიან,  
რომელთა იგი წმიდა კათოლიკე ეკლესია არა შეიწყნარებს“. ექვთიმე მთა-  
წმიდელს თავის საპასუხო წერილში ავრცობდა, რომ ასეთი ზასიათის შეკითხვა მისი  
მამის იოანეს სიცოცხლეშიც მიჰსვლია სტეფანე ქყონდილისაგან<sup>3</sup>, და, სხვათა  
შორის, სწერს თევდორე ხუცესს: „და სხუად (sc. წიგნი) რამე, რომელსა  
შინა წერილ არს, თუ თომას სახარებაო, იგიცა უცხოვე არს ეკლესიისა-  
გან“, და ცოტა ქვემოთ: „სხუად არს წიგნი სიყრმე უფლისა და არცა  
იგი შეწყნარებულ არს“ (var. „არცა მასა შეიწყნარებს“)<sup>4</sup>. ამგვარად, ექვთიმეს სი-  
ის მიხედვით „თომას სახარება“ და „სიყრმე უფლისა“ სხვადასხვა თხზულებაა,

<sup>1</sup> ეს წერილი ამგვარად წარმოიშვა: ასპირანტებთან ძველ ქართულში მუშაობის დროს  
ვარჩევდით „სიყრმე უფლისა“ აპოკრიფის ტექსტს („კიმენში“ მოთავსებული ნაწყვეტის მიხედ-  
ვით). რამდენიმე ადგილის წაკითხვა ეჭვებს იწვევდა. შემოწმების შემდეგ დაისვა საკითხი  
საზოგადოდ ტექსტის ხელახლა გამოცემის შესახებ.

<sup>2</sup> კ. კეკელიძე, ქართული ლიტ. ისტ. I, 1923, 462—496.

<sup>3</sup> მსგავსი შეკითხვა სხვა დროს კიდევ დიდი ბერის გიორგისაგანაც (ქყონდილისაგან?)  
მიჰსვლია ექვთიმეს ამით აიხსნება, რომ პასუხი სხვა რედაქციითაც არის ცნობილი (თ. შორო-  
დანია, ქრონიკები, II, 82—88; კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ. I, 1923, 467—468).

<sup>4</sup> საბინინი, საქ. სამოთხე, 1882, 432—433.





მაშინ როდესაც ნამდვილად „სიყრმე უფლისა“ იგივე თომას სახარებელს<sup>1</sup> ეწოდებოდა. გნოსტიკურ ელემენტებს შეიცავს<sup>1</sup>.

„უფლის სიყრმის“ ძველი ქართული ვერსია<sup>2</sup> ნაწყვეტის სახით არის შემონახული და ისიც ერთად-ერთ ხელნაწერში (№ 95 A)<sup>3</sup> მიუხედავად ამისა, ეს აპოკრიფი კარგად ცნობილი ძეგლია: პირველად იგი თავისუფლად თარგმნარუსულად ალ. ხახანაშვილმა და თარგმანი გამოაქვეყნა თავის ქართ. ლიტერატურის ისტორიის ნარკვევებში<sup>4</sup>. შემდეგ თვით ტექსტიც გამოიცა: ლ. მელიქსეთ-ბეგმა დაბეჭდა ის Xp. B.-ის VI ტომში<sup>5</sup> და კ. ქეკელიძემ თავის „კიმენში“<sup>6</sup>. ამათგან „კიმენი“ უწინ გამოაქვეყნდა, სახელდობრ, 1918 წ.; მაგრამ, მაგნი, Xp. B.-ის მეექვსე ტომი უფრო ადრეც დაიბეჭდა, ოღონდ ამას გამოსვლა დაავგვიანდა (გამოქვეყნდა 1922 წ.). ორივე მკვლევრის მიერ გამოცემული ტექსტი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არის დაბეჭდვებული.

როგორც ერთს გამოცემაში, ისე მეორეში მოიპოვება შეცდომით წაკითხული ან სრულიად ამოუკითხავი ადგილები, გაუგებარი სიტყვები და შეუფერებელი ფორმები, რაც აუცილებელს ხდის ტექსტის ხელახლა გამოცემას.

ძველი ენობრივად მრავალმხრივ არის საყურადღებო. აღვნიშნოთ უმთავრესი მოვლენები:

1. თავშივე ნათქვამია: „ლაპრობასა იკითხონ ესე საკითხავი“. ჩვეულებრივ იწერებოდა ძველად „ლამპრობა“. მაგრამ ამ შემთხვევაში უბრალო შეცდომა არ უნდა იყოს. როგორც ჩანს, მშ ჯგუფის გავლენით წინამძვალ ა ცხვირისმიერ ბგერად იქცა. ამის გამო მ, რომელიც მარცვალს ხურავდა, ალბათ ხმოვნის ცხვირისმიერობაში გაითქვიფა და აღარ იყო საფუძველი მისი დაწერისათვის.

2. ამ ძეგლში 2 მკვიდრია ა-ზე გათავებულ სახელებში: ყრმაჲ ერთი 26, ყრმაჲ იგი 25, 29, ეგე ყრმაჲ 33, სიტყუაჲ ესე 45, მამაჲ 59 და სხვ. ამიტომ, როცა დასაწყისში გვაქვს: „ყრმა-ლა იყო, ხუთ წლად მოდგებოდა იესუ“, აქ „ყრმა“ წრფელობითის ფორმად უნდა ვიგულისხმოთ (იესუ ყრმა-ლა იყო), ეს კიდევ უფრო გვაფიქრებინებს, რომ 2 ასო ჯერ კიდევ მტკიცეა და იგი იწერება ძველი ქართ. ნორმების მიხედვით ა-ზე გათავებული სახელების შემდეგ. ამ მხრივ ერთად-ერთი დამაფიქრებელი გამონაკლისია: „ხატი და სახელი პირვე-

C. A. Жебелев, Евангелия канонические и апокрифические. П.—град 1919, стр. 91—94.

<sup>1</sup> ა. ხახანაშვილის ცნობით, დოსითეოს ნეკრესელს (XVIII ს.) უთარგმნია სომხურიდან სხვადასხვა აპოკრიფი და მათ შორის „სიყრმე უფლისა“ (Очерки по ист. груз. слов., Вып. 3—II, 1901, стр. 40A), მაგრამ არ ასახელებს ხელნაწერს, რომელშიაც ის გვხვდება. თუ ცნობა სწორია, მაინც ის „სიყრმე უფლისა“ შედარებით ახალი თარგმანია და ჩვენი წერილის საგანს არ შეადგენს.

<sup>2</sup> Очерки по истории груз. слов II, М. 1897, стр. 319—321.

<sup>3</sup> Фрагмент грузинской версии „Детства Христа“: Xp. B., т. VI (1917—1920), стр. 315—320.

<sup>4</sup> ქართ. ჰაგ. ძეგლები. ნაწ. პირველი, კიმენი. ტ. I, 1918, გვ. 115—117.



ლისაჲ მის წერილისაჲ“ 93, სადაც ა ზედმეტია „პირველისაჲ“ ფორმაში, რადგანაც იგი ბოლოში უნდა იყოს და არის კიდევ („პირველისა მის წერილისაჲ“). მაგრამ ეს, ალბათ, უბრალო ლაფსუსია.

ა მკვიდრად ჩანს აგრეთვე ო-ზე გათავებულ ფუძეებთან: რტოჲ ძეწნისაჲ 20, რტოჲთურთ 24 (შდრ. აგრეთვე უფროჲს 72).

ბ. ეგევე ვერ ითქმის მ ასოს შესახებ. თუ ძველისძველ ძეგლებში ეს ასო ეჲ ჯგუფს უდრიდა და, მაშასადამე, ის დიფთონგს გადმოგვცემდა, ამ ძეგლში მერყეობაა: არის შემთხვევები, როცა, თითქო, ძველი ნორმებია დაცული: ღღჲ იგი 6, ესევითარი საქმჲ 10, 100, მოწაჲჲ 107, მაგრამ ძალიან დამაფიქრებელია სხვა ადგილები, სადაც მ უკვე უფრო მონოფთონგია და ე-ს უდრის: გარემჲ 55 (შდრ. წინაშე 14, 75), ზაქჲ 97 (შდრ. ზაქე 46, 78, 81), საქმჲ არიან 31, ფერად საფასჲ 95. ორ უკანასკნელ შემთხვევაში წრფელობითის ფორმაა მოსალოდნელი: საქმე არიან, ფერად საფასე. ამას უნდა დავსძინოთ, რომ ე-ზე გათავებულ საკუთარ სახელთა ნათესაობითი ე გვაქვს, როგორც ამას გვიჩვენებს ნაგენიტივარი ზედსართავეები: ქრისტეს-ი (სათაურში), ესე წყლით რღუნისა მის წინა ნოვესა (=ნოვესსა=ნოვესსა) ყოფილ არს 104. თუ ამასთანავე ერთად უურადლებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ უფროობითი ხარისხის ფორმათა სუფიქსურ მაწარმოებელში ე არის და არა მ (უმეტეს 60, ულბილესად 77, უშემძლებელეს 85), შეიძლება დავასკვნათ, რომ მ ამ ძეგლში აღარ იხმარება ეჲ ჯგუფის გადმოსაცემად, არამედ იგი ე ზგერის გადმომცემია, ოღონდ მისი ხმარება ტრადიციულად შემონახულია ზოგიერთ ფორმაში და ანალოგიურად გავრცელებულია სხვა ფორმებში.

4. ქ ნიშანი, დამოუკიდებელი ხმარებული, ამ ძეგლში ორი ფუნქციის მატარებელია:

ა) პირველ ყოვლისა ის გადმოგვცემს უი ჯგუფისაგან წარმომდგარ ბგერას: ქჲსასა ზედა 4, ჩჩჲლსა 5, -თჲს (რადასათჲს 12, 36, ბეტადასათჲსცა 92), თჲსთა 18, თჲთ 19, მიხჲღე 27 (მიხჲიღე, მიხვიღე-საგან), დაგიკჲრღების 70, დამიკჲრღების 84, დაკჲრღებული 98, ეტჲრთა 104, შევიმთხჲე 100. მაგრამ ამასთანავე ერთად

ბ) ხშირია შემთხვევები, რომ იგივე ასო უმარცვლო უნს გადმოგვცემდეს. მართალია, ამ ძეგლში უმარცვლო უ ზოგჯერ არაფრით განსხვავდება მარცვლიანი უ-საგან (მოძღუარი 81, 83, მოძღუარსა 47, მოძღუართაგან 66, სიტუათასა 98, მოკუდა 29 და სხვ.), მაგრამ თითხმეტოდვე შემთხვევაში უმარცვლო უ-სთვის ასოა გამოყენებული: სხჲანიცა 7 (=სხჲანიცა; შდრ. სხჲათა 67), მკჲდრისანი 32 (=მკჲდრისანი), სიტჲჲანი 38 (=სიტჲჲანი), სიტჲჲად 70 (=სიტჲჲად), მოძღჲრებაჲ 58 (=მოძღჲრებაჲ), მღღელთმოძღჲრისაჲ 19 (=მღღელთმოძღჲრისაჲ), მოყჲსათაჲ 47 (=მოყჲსათაჲ), უსჲმიდა 79 (=უსჲმიდა), აქჲნდა 94 (=აქჲნდა), გარქჲ 71 (=გარქჲ), წყლით რღჲნისა 103 (=წყლით რღჲნისა), შესჲკლებულ 105 (=შესჲკლებულ), ეჲჲნიან 87 (=ეჲჲნიან), ჯჲჲრისა 102 (შდრ. ჯჲჲრისა 59).

5. „აღუმაღლდე“ ფორმაში (61) პირვ. პირის ნიშანი ე უმარცვლო უ-დ არის ქცეული. ოღონდ აქ ამისი მიზეზი იმდენად არ არის ზმნისწინის დ, რამ-





დენადაც დაკარგული პრეფიქსი მესამე პირისა შ: აღჭუმალღდე (ხანჭუმალღდე) ნებოლა: აღხუმალღდე).

6. ა-ზე გათავებულ სახელთაგან „აღფა“ და „ბეტა“ არ იკვეცენ ფუძის ბოლოკიდურ ხმოვანს: აღფაფთგან 82, 89, ბეტაფათგსცა 92.

7. ებიანი მრავლობითია წარმოდგენილი შემდეგ სიტყვებში: ტბორები 21, ტბორებსა 3, სირები 14, სირებად 6, ამას კაცებსა 37.

8. საყურადღებოა ხარისხის წარმოება მიმლეობისაგან: უშემძღებელეს 85.

9. ძველი ტრადიციების მაჩვენებლებია: მწრაფლ 18, არა მიხილავს ჩუენ 69 (ნაშთია ექსკლუზივისა).

10. საყურადღებოა პარალელური ფორმა ტბორი 3 (ტბორ-ის გვერდით: ტბორად-ტბორად 4).

11. სინტაქსიდან აღსანიშნავია:

a) პირდაპირი და ირიბი ობიექტის ხმარება ვითარებითში დასმულ მას-ღართან, რომელსაც ინფინიტივის მნიშვნელობა ენიჭება: იწყო იესუ კითხვად ხატი და სახელი პირველისაჲ მის წერილისაჲ 93, წარვიდა მწრაფლ თხრობად მეგობართა თვსთა 18, მოძღუარსა მიცემაღ 47.

b) შეუფერებელია ხა ამ წინადადებაში: წინაშე მათ ყოველთასა 14.

c) სხვადასხვა პირის ფორმაა რთული წინადადების ნაწილებში: „რომელთა ეგე აღფაჲ არა იცით, ბეტასა მას ვითარმე ასწავებედ? (90—91). მოსალოდნელი იყო ორგანვე მეორე პირის ფორმა (რომელთა ეგე აღფაჲ არა იცით, ბეტასა მას ვითარმე ასწავებთ?), ან ორგანვე მესამისა (რომელთა იგი აღფაჲ არა იციან, ბეტასა მას ვითარმე ასწავებუდ?).

12. ძველში გვხვდება პირველი ასოს (აღფას) მოხაზულობასთან დაკავშირებული ტერმინები: სამ-კედელ-ი, წარმატებულ-ი, იქცევს-ი, ზე-უკუნ კეცილ-ი, მიმოქცეულ-ი, კვკვრის სახე<sup>2</sup>, ფერად საფასე და მართლიად შობილ-ი (94—96). მათი მნიშვნელობის დადგენა შესაძლებელი იქნება დედნის მოშველების შემთხვევაში; ბერძნული ვერსია (პარიზული ხელნაწერი) მხოლოდ შორეულ მსგავსებას შეიცავს.

13. არავითარ ექვს არ იწვევს ოშ, რომელიც ანბანის უკანასკნელი ასოს სახელია და ასეთ ფრაზაში გვხვდება: „და იწყო იესუ სიტყუად წერილისა მის ყოვლისა აღფაჲთგან მიოჰამდე დიდითა გამოძიებითა“ (99—90). „მიოჰამდე“ ისეა ნაწარმოები, როგორც „მიუქუნისამდე“: მი-ოშ-ა(დ)მდე. კონტექსტიდან ჩანს, რომ აქ ოშ აღფას უპირისპირდება: „აღფაჲთგან მიოჰამდე“. ამიტომ შეიძლება გვეფიქრა, რომ იგია ბერძნული ანბანის უკანასკნელი ასოს სახელი, ისე როგორც „აღფა“ არის მისი პირველი ასოს სახელი. ასეთ გაგებას აძლიერებს ის გარემოება, რომ ძველში ბეტაც არის მოხსენებული (ბერძნული

<sup>1</sup> გაჭირდებოდა „აღჭუმალღდე“ ფორმა თხრობითად გაგვეგო უწყვეტის მნიშვნელობით, როგორც ეს ძველისძველ ძეგლებში გვხვდება.

<sup>2</sup> სიტყვა მოცემულია მრავლობითის ფორმით: კვკვრის სახებ, რაიცა ასე უნდა წავიკითხოთ: კვკვრის (ან: კუკურის) სახებ.



ფორმით). მაგრამ უნდა მოვიგონოთ, რომ ქართული ანბანის უკანასკნელი ოცნიერი კ-ს (რომელიც დღეს ასე იწერება: ჰ) ძველად ოჰ ჰრქმევია, როგორც ეს ჩანს იმ ქართული ანბანიდან, რომელიც ერთს მე-15 საუკუნის სომხურ ხელნაწერშია შემონახული სხვა ერების ანბანებთან ერთად (ბერძნულთან, სირიულთან, ლათინურთან, ალბანურთან, კობტურთან, არაბულთან) და რომელიც წარმოშობით უთუოდ ძველია (მე-10-11 ს.ს.)<sup>1</sup>. აქედან ცხადია, რომ გამორიცხულია ნ. მარის მიერ ნავარაუდები ფორმა ჰოე („მიჰომდე“, ან „მი-ჰოე-მდე“)<sup>2</sup>.

განსაკუთრებით უნდა შეგვიჩვენოს ორ ადგილზე, რომელთა გამორკვევამაც ამ წერილის დაწერა გამოიწვია:

1. როდესაც დიბეჰდა ლ. მელიქსეთ-ბეგის მიერ დამზადებული ტექსტი, Xp. B-ის ერთ-ერთი რედაქტორი ნ. მარი იძულებული გახდა, კარგა მოზრდილი კრიტიკა დაერთო, სადაც ის ორიოდ სიტყვით ა. ხახანაშვილის თარგმანსაც შეეხო<sup>3</sup>. ნ. მარს აფიქრებდა ზოგიერთი ადგილის წაკითხვა. С особенным сомнением приходится признать, წერდა, სხვათა შორის, განსვენებული აკადემიკოსი, — что нет уверенности в правильности чтений ვუზიან (87 სქოლ.), მიღზხა (76 სქოლ.), კუყრის საცებ (95 სქოლ.)<sup>4</sup>, чтобы исходить от них при их толковании. უკანასკნელი სიტყვა ასეთ ფრაზაში ჰქონდა მოქცეული ლ. მელიქსეთ-ბეგს: „ვითარცა რვალი ოხრეს და ვითარცა წინწილნი ვუზიან“. ეს წინადადება, როგორც ნ. მარმა შენიშნა, წარმოადგენს პავლეს ეპისტოლეთა ერთი ადგილის გადაკეთებას (I კორ. 13, 1): „ვიქმენ, ვითარცა რვალი, რომელი ოხრინ და ვითარცა წინწილანი რაა გმობედ“<sup>5</sup>. ნ. მარი შეეცადა გაუგებარი ადგილის გააზრინებას: сомнительное чтение უზიან могло бы быть искажением ебниан = *ϕυνην* гудят в качестве синонима глагола гмობედ звучат: глагол ебниан в значении «гудеть» от ебани гусли наличен в следующей главе того же текста: I Кор. 14, 7.

აღნიშნული შესწორება ნ. მარისა, უთუოდ, გონება-მახვილია: მართლაც, დამოწმებულ ადგილას იკითხება: „ეგრევე უსულოთა მათ კმა გამოსციან: ანუ თუ ნესტუმან, ანუ ებანმან; უკუეთუ გამოცხადებად სიტყუთაჲ მათ ვერ გამოსცენ, ვითარემ საცნაურ იყოს სტჯნაჲ იგი ანუ ებნაჲ“<sup>6</sup>. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი შესწორებაც არ ჰშველის საქმეს.

კ. კეკელიძემ სხვა ვარიანტი მოგვცა აქ: „ვითარცა რვალი ოხრის და ვითარცა წინწილნი იუზიან“. თითქო აქ უფრო კარგად არის საქმეო, მაგრამ საქმის ნამდვილი ვითარება სულ სხვაა მაინც.

ორივე გამომცემელი ერთნაირად კითხულობენ საცილობელ სიტყვას, პირ-

<sup>1</sup> ა. შანიძე, Новооткрытый алфавит кавказских албацев и его значение для науки: Известия ИЯИМК, т. IV (1938), стр. 21.

<sup>2</sup> რეცენზიაში მელიქსეთ-ბეგის წერილზე: Xp. B. VI, 345.


<sup>3</sup> О фрагменте грвз. версии „Детство Христа“: Xp. B. VI, 343—347.

<sup>4</sup> ნ. მარის დამოწმებული ადგილების ჩვენება აქ გადმოყვანილია ამ გამოცემის სტრიქონებზე.

<sup>5</sup> ასე იკითხება ხელნაწერებში (№ 1138 A და 407 A).

<sup>6</sup> ამოღებულია № 1138 ხელნაწერიდან (დაბეჰდილში ცოტა სხვაგვარად იკითხება).





ველი ასოს გარდა, რომელიც ლ. მელიქსეთ-ბეგისთვის ვაჭარის მფლობელის კელიძისთვის კი ი (ვეჟნიან M, იუჟნიან K). უეჭველია, აქ გვაქვს არა ვ ან ი, არამედ ე. მაგრამ ეს არ კმარა. შეცდომით წაუკითხავთ მათ მეორე ასოც, რომელიც უოუოდ უ არის, და არა ყ. მელიქსეთ-ბეგს, როგორც ჩანს, უანის თავი ენისთვის მიუკუთვნებია, რის გამოც პირველი ასო ვინაღ ქცეულა, მეორე კი ყარად. დედანთან შემოწმების გარეშეც არ არის ძნე-ლი გარყვნილი ადგილის აღდგენა, თუ ძველი გრაფიკის თავისებურებას გა-ვითვალისწინებთ, თორემ ხელნაწერში ჩახედვისას ხომ აშკარაა, თუ როგორ უნდა გაიზარტოს ფრაზა. იქ რომ „ვეჟნიან“. სწერია ამაში ექვი არაა. არც იმაშია ექვი, რომ აქ უ უმარცვლო უ-ს. გადმოგვცემს. მაშასადამე, ეჟნიან = ეჟუნიან (ეჟუნიან). „ეჟუნიან“ ნასახელარი ზმნაა, ის „ეჟუან“-ისაგან არის ნა-წარმოები და ამას ნიშნავს: ეჟვანივით ჟღერენ.

2. როცა ასპირანტებთან ძველ ქართულში მუშაობის დროს აღნიშნული აპოკრიფის ენას ვარჩევდით, ჩემი ყურადღება მიიპყრო უცნაურად წარმოდგე-ნილმა წინადადება: „რომელთა ეგე აღფაჲ არა იცით, ბეტასა მას ვითარმე ასწავებდენ? ვანსა მიმართეთ პირველად აღფაჲ ესე, მაშინლა მრწმენეს ბეტაჲ-სათჳსცა, რასა იგი იტყოდით“ (90—92). ჩემთვის აშკარა იყო, რომ ტექსტი ცუდად იყო დაბეჭდილი. ვფიქრობდი და, რომ საქმე ნაძღვეზე მივარდნილი-ყო, უთუოდ არ დავიხვედდი, რომ ხელნაწერში იქნებოდა ვან-სამე-მართეთ, ე. ი. ვფიქრობდი, რომ, ჯერ ერთი, არეულია ერთმანეთში ნუსხურის (ან მრგლო-ვანის) ი და ე და მეორე ვაკვეთილია ზმნასა და ზმნისწინს შორის ჩასმული ნა-წილაკი-მეთქი<sup>1</sup>. თურმე, ნუ იტყვით, სანაძღეოს წავაგებდი, რადგანაც ხელნა-წერში სხვა წერებულა: ვან- და -მიმართეთ. უნდა შევნიშნო მაინც, რომ ლ. მე-ლიქსეთ-ბეგის წაკითხვა უფრო ახლოა დედანთან, თუმცა შეცდომისაგან ვერც მას დაუზღვევია თავი: „ვანლა მიმართით“.

არავინ შეჰხვებია „თომას სახარების“ ქართ. ვერსიის სხვა ვერსიებთან ურ-თიერთობის საკითხს და უნდა შევნიშნო შემდეგი: „თომას სახარების“ აპო-კრიფის რამდენიმე ვერსია გამოსცა კ. ტიშენდორფმა მის მიერ გამოქვეყ-ნებულ აპოკრიფულ სახარებათა კრებულში, სახელდობრ: ბერძნული (ორი რედ., A და B), ლათინური და არაბული ვერსიები (ეს უკანასკნელი ლათინური თარ-გმანის მიხედვით), თანაც ბერძნული A რედაქციის ტექსტთან უჩვენა ვარიანტუ-ლი განსხვავებანი სირიული ვერსიისა (ესეც ლათინური თარგმანის მიხედვით)<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ამგვარი მაგალითთა თეიმურაზ I-ის ნათარგმნ „იოსებ ზილიხანის“ ერთი ადგილი (71): „მეფეს აცნობეს: ვაჭარნი მოვინმოვიდეს რებული“. იგივე ტაეები გამოკვლევაში (გვ. 251) ასეა დამოწმებული: „მეფეს აცნობეს: ვაჭარნი მოვინ-მოვიდეს რებული“.

(თეიმურაზ I-ის თხზულებათა სრული კრებული ა. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რე-დაქციით, 1934). აშკარაა, რომ ადგილი ასე უნდა შესწორდეს:

მეფეს აცნობეს: ვაჭარნი მო-ვინმე-ვიდეს რებული.

<sup>2</sup> C. Tischendorf, Evangelia apocrypha. Lpz. 1876, pp. 140—157 (ბერძნ. A რედ.), 158—163 (ბერძნ. B რედ.), 164—180 (ლათ.), 181—209 (არაბ.).

<sup>3</sup> რომ უფრო ნათელი იყოს საქმის ვითარება, ქართული ტექსტი ამ გამოცემაში მგ ბერძნული A ტექსტის ტიშენდორფისეული გამოცემის მიხედვით დავყავი თავებად. რადგანაც ქართული თარგმანი იმ ბერძნულისაგან არ მომდინარეობს, ამიტომ ეს დაყოფა მიახლოებითაა.





ქართული ტექსტი მთლიანად მოღწეული არ არის, — მას თითქმის ნაბეჭდი ნაწილი აქვს, — მაგრამ რაც მოღწეულია, მისი შედარება აღნიშნულ ვერსიებთან ცხად-პყობს, რომ ის ყველაზე უფრო ახლო სირიულთან დგას. მართალია, ბერძნული A ტექსტი (განსაკუთრებით პარიზული ხელნაწერისა), არაბულ და ლათინურ ვერსიებთან შედარებით, მეტ სიახლოვეს იჩენს ქართულთან, მაგრამ თვით ბერძნულსაგან ქართული და სირიული ტექსტები საკმაოდ განსხვავდებიან. მართლაც:

ა) სირიულ ტექსტს, ქართულსავეთ, აკლია შესავალი (ტიშენდორფის მიერ I თავად გამოყოფილი), სადაც იკითხება: „გაუწყო თქვენ მე, თომა ისრაელი-ტელმან“ და სხვ.

ბ) ქართულში მეორე თავის ბოლოს იკითხება: „იხილა რაჲ ესე ერთმან ფარისეველმან, შეწყუდნა და დავარდა და მერმე წარვიდა მწრავლ თხრობად მეგობართა თვსთა“. აგრევე ყოფილა სირიულშიაც, როგორც ეს ჩანს ტიშენდორფის შენიშვნიდან, მაშინ როდესაც ბერძნულში შესატყვის ადგილას ფარი-სეველის ნაცვლად ჰურიანი (Ἰουδαίου) იკითხება და მეგობართა ნაცვლად — მთავართა (τῶν πρῶτων);

გ) მე-3 თავის ბოლოს სირიულში, ქართულის მსგავსად, გამოტოვებული ყოფილა ბერძნულის ოთხი ნაბეჭდი სტრიქონის შესაბამისი ტექსტი;

დ) მე-5 თავში სირიული, ქართულის მსგავსად, ტოვებს ადგილებს;

ე) მე-6 და მე-7 თავების შესაბამისი ადგილები საკმაოდ განსხვავდება სირიულში ბერძნულსაგანო, ამბობს ტიშენდორფი. ქართულშიც დიდხს განსხვავება.

ზოგ რამეში ქართული ბერძნულს უკერს მხარს და არა სირიულს. მაგალითად, მე-3 თავში ქართულსა და ბერძნულ ტექსტებში იკითხება „იოსების თანა“ (20). სირიულში კი ამის ნაცვლად ყოფილა „იესუს თანა“.

მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ ქართული ტექსტი (რომელიც, უნდა შენიშნოთ, საზოგადოდ ვერ არის თარგმნილი გამართულად) სირიულთან დგას ახლოს, პირდაპირ მისგან არ უნდა მიმდინარეობდეს.

ერთი ეპიზოდს იესოს სიყრმის წიგნის სომხური ვერსიიდან დამოწმებული აქვს შარდენს თავის სპარსეთში მოგზაურობის წიგნი<sup>1</sup>. ეს ეპიზოდი ენება სწორედ ასოთა სწავლებას. აქ გვითხულობთ: როცა იესო სკოლაში გაეზაგნეს ანბანის სასწავლად, მასწავლებელს უნდოდა ეთქმევიებინა ა. ის კი შეჩერდა და უთხრა მასწავლებელს: ჯერ მასწავლეთ, თუ რატომ არის ასე გაკეთებული პირველი ასო ანბანისაო. მასწავლებელმა ეს მას ყბედობაში ჩამოართო. (იესომ) უთხრა: არას გიპასუხებ, სანამ არ მეტყვიოთ, თუ რატომ არის პირველი ასო ასე გაკეთებულიო. მასწავლებელი გაჯავრდა. იესომ უთხრა: მე თვითონ გასწავლი თქვენ: ანბანის პირველი ასო შექმნილია სამი პერპენდიკულარი ხაზისაგან ერთ დიამეტრულ ხაზზე, რომ გვასწავს, რომ ყველაფრის დასაბამი არის სამგვამოვანი არსება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Voyage de Mr. le Chevalier Chardin en Perse et en autres lieux de l'Orient, t. X, Amst. 1711, pp. 26—27.

<sup>2</sup> შარდენი შენიშნავს: სომხური ა ისეა გაკეთებული, თითქმის როგორც ვადმობრუნებული m (შარდენს მხედველობაში აქვს, უთუოდ, ნუსხური ა).





როგორც ვხედავთ, აქ კიდევ არის რაღაც შორეული მსგავსებანი ქართულ ეგრისთან, მაგრამ სულ სხვა რედაქციაა წარმოდგენილი ახალი აღთქმის სომხურ აპოკრიფთა კრებულში, რომელიც გამოსცეს 1898 წ.<sup>1</sup>.  
 აი თვით ძეგლიც<sup>2</sup>.

## სიყარვ უფლისა ჩუენისა იესუ ჭრისტისნი

ლაპრობასა<sup>3</sup> იკითხონ ესე საკითხავი

### ბ

5 ყრმა-ლა იყო, ხუთ წლად მოდგებოდა იესუ. მისრულ იყო და იმ-  
 ღერდა იგი წარსავალსა თანა წყალთა და ნაკადულთასა, მოზღუდვიდა და  
 შეაყენებდა, და იქმოდა ტბოვრებსა<sup>4</sup>. და მოვიდის მერმე, გარდაუტევის  
 და დასწმენდ წყალსა მას ქუშასა ზედა და ტბორად-ტბორად განწმედილსა  
 მას დაჰკრებდა. მერმე აღმოიღებნ თიჯასა მას ჩჩულსა განწმედილისა მის-  
 გან. და შექმნა იგი სირებად თორმეჯად. და იყო დღე იგი შაბათი და  
 სხვანიცა მრავალნი ყრმანი იმღერდეს მის თანა.

10 და რაჟამს იხილა ერთმან ჰურიათაჯანმან, რამეთუ იგი ყრმათა თანა  
 ამას იქმოდა, მიიმართა იოსებისა, მამისა მშისსა, და მიიყვანა და უჩუენა მას  
 იგი და ეტყოდა: „კეთილ-მე არსა დღესა შაბათსა ესევეთარი საქმე — გა-  
 მოსახვად მფრინველთა ამათ თიჯისაგან?“

15 და მოვიდა იოსებ, ჰრისხვიდა მას და ჰრქუა: „რადასათჳს იქმ შენ ამას  
 დღესა შაბათსა?“ ხოლო მას ვითარცა ესმა ესე, იწყო კელთა ურთიერ-  
 თას შეტყუელებად და აღაფრინვა სირები იგი წინაშე მათ ყოველთასა და  
 ჰრქუა: „ფრინველით<sup>5</sup> და მომიჯსენეთ მე ცხოველი“. და რომელ იგი სი-  
 რები აღფრინდა, წარვიდეს წვილით.

იხილა რად ესე ერთმან ფარისეველმან, შეწყუდნა და დავარდა და  
 მერმე წარვიდა მწრათლ თხრობად მეგობართა თჳსთა.

### ბ

20 მაშინ ძე ანაასი, მღღელთმოდჯრისაჲ, რამეთუ იგიცა თვთ მოსრულ  
 იყო იოსების თანა და მუნქუესვე მოიღო მან რტოდ ძეწნისაჲ და გარდა-  
 ასხა ტბორები იგი წყალთაჲ, რომელ იგი შეეკრიბა იესუს, და შესაკრებე-  
 ლი იგი წყალთაჲ განაჯმო.

<sup>1</sup> *Քանդարան հայկական ձին և նոր կտակարանաց. Բ. Անկառն գիրք նոր կտակարանաց.* ვენა 1893.

<sup>2</sup> გამოცემაში გახსნილია ქარაგვები. ამას გარდა, პირველ გამოცემელთა წანაკითხი ნაჩვენებია სქოლიოებში მათ-მათი გვარია ინიციალების მიხედვით: K (კეკელიძე), M (მელიქსეთ-ბეგი).

<sup>3</sup> ლამპრობასა K. <sup>4</sup> ტბორებსა K. <sup>5</sup> ფრინველთ M.



25 იხილა რაჲ იესუ, რაჲ იგი ყო მან, ჰრქუა: „ჰ ძელო, ჰ ხეო<sup>1</sup> რტო-  
 თურთ განწმელო, შემწუარო ბუნითურთ ძალითა მით სულისა იონაჲსი-  
 თა!“ და ყრმაჲ იგი მეყსეულად დავარდა განწმელი.

დ

მერმე იესუ მივიდოდა<sup>2</sup> იოსების თანა. მოვიდოდა ყრმაჲ ერთი და  
 ეკუთა მგარსა მისსა<sup>3</sup>. განრისხნა იესუ და ჰრქუა: „ნუ მიხვდე გზასა მა-  
 გას შენსა!“ და მეყსეულად მუნქუესვე დავარდა და მოკუდა ყრმაჲ იგი.

30 დიდადებოა აღიღეს რომელნი იგი მუნ დგეს და იტყოდეს: „ვინაჲ-  
 მე არს ჩუენდა ყრმაჲ ესე შობილი, რამეთუ ყოველნი სიტყუანი მაგისნი  
 საქმე არიან?“

35 მოვიდეს და მოადგეს სახლეულნი მის მკვდრისანი<sup>4</sup> იოსებს და ეტყო-  
 დეს: „უკუეთუ ეგე ყრმაჲ შენ თანა იყოს, ვერ ეგების შენი ჩუენ შორის  
 ცხოვრებოა. აწ ასწავე მას, რაჲთა აკურთხევედეს ყოველთა, და არა სწყვე-  
 დეს“.

ე

მაშინ წარმოდგა იოსებ, ასწავებდა მას და ეტყოდა: „რაჲსათჳს ბო-  
 როტსა იტყოდე, რამეთუ ამას კაცებსა ვსძულთ ჩუენ?“

40 იწყო სიტყუად იესუ ყრმამან მან და ჰრქუა: „ჯერად გონიერ არიან  
 სიტყუანი ეგე<sup>5</sup> შენნი. მე ვიცი შვილთა მაგათო<sup>6</sup> კუალსა დგინებოა“. და  
 მერმე იწყო ესრე სიტყუად: „წყევლა ღათუ<sup>7</sup> არა შეიწყნარონ, ტანჯვაჲ  
 შე-ვე-იწყნარონ“. მასვე ჟამსა, რომელნი იგი ჰბასრობდეს, ერთბაჲად და-  
 ბრმეს<sup>8</sup>, ხოლო იოსებ ვითარ იხილა, განრისხნა და უბყრა ყური მისი და  
 ჰჭიდა. ხოლო მან მიჰხედა და ჰრქუა იოსებს: „აჲ კმა არს შენდა ძიებოა  
 ჩემი და პოვნოა. შენ აწ მიზეზით მეცნიერებოა ველთა აღგიღებდეს“.

ვ

45 ზაქეს ვისმე ესმოდა სიტყუაჲ ესე, რასა იგი ეტყოდა იოსებს, და ჰრქუა  
 იოსებს ზაქე: „ეგვეითარისა მაგის ყრმისა, ფიცხლისა და ურიდისაჲ, არა  
 გნებავსა<sup>9</sup> მოძღუარსა მიცემად<sup>10</sup>, რაჲთა ისწაოს სიყუარული მოყვასთაჲ და  
 თავისა ყოფაჲ მოხუცებულთაჲ და ძიებოა აეროვნისა პირისაჲ მოხუცებულ-  
 თაჲსა, რაჲთა თჳსთა მათცა შვილთა მოწყალეობა აგოს შეწყნარებად და  
 50 სწავლად მათა?“ და თქუა<sup>11</sup> იოსებ: „ვინმე შეუძლოს ეგვეითარისა ამის ყრმი-  
 სა შეწყნარებოა და სწავლაჲ? ნუმცა მცირისა რაჲს ჯერისაჲ<sup>12</sup> შეგირაცხი-  
 ეს ეგე“<sup>13</sup>.

55 მიუგო მას ყრმამან მან და ჰრქუა: „მაგათ სიტყუათაგან, მოძღუარ,  
 რომელთა ეგე<sup>13</sup> აწ იტყვ, მე უცხოად შემირაცხიეს თავი ჩემი, რამეთუ  
 გარეშე არს თქუენსა და შინაგან თქუენდა, რამეთუ არა ვითარ ჳორცთა

<sup>1</sup> ძეო M. <sup>2</sup> მოვიდოდა K. <sup>3</sup> მისისი M. <sup>4</sup> მკვდრისანი K. <sup>5</sup> იგი M. <sup>6</sup> -მაგათ თა-  
 ნა(?). <sup>7</sup> წყევალა თუ KM. <sup>8</sup> დაბრმდეს K. <sup>9</sup> გნებავს K. <sup>10</sup> მოცემად K. <sup>11</sup> ჰრქუა K.  
<sup>12</sup> = ჳუარისაჲ? <sup>13</sup> იგი M.





აზნაურებად რაამე არს ჩემ თანა, ხოლო შენ ეგერა შჯულსა<sup>1</sup> რამეთუ შობასა მას შენსა<sup>2</sup> მუნქუეს ვლევ და შენ<sup>3</sup>, ვინ უწყის, ჰგონებდე, ვითარმედ მამაა ვარ, რაათა ჰპოო მოძღვრებად ძისაგან<sup>4</sup>, რომელი იგი არა სადა ვინ უწყოდა სხუამან, ვერცა ასწავის სხუასა<sup>5</sup>. და ჯუარსა მას, რომელსა<sup>6</sup> შენ სახელ სდევ, აღიღო იგი<sup>7</sup> შენ, ვისი არს შეილი ეგე, რამეთუ უმეტეს აღუმაღლდე, მითხარ-ლა ნიში იგი ნათესავისა მის შენისაჲ, ვინ არს, ვითარ იგი უწყიან? მე მარტომან უწყი და თქუენ არა უწყით<sup>8</sup>, ვინაჲ ყოფილ ხართ, ანუ რავდენ ჟამ ყოფად ხართ<sup>9</sup>.

ხოლო ივინი დგეს ეგრეთ დაკრვებულნი და ჳმითა მალლითა დაღადებდეს და იტყოდეს: „მრავალი ესე სმენაჲ და ახალი ხილუაჲ და ესე-ვითარი ესე სიტყუაჲ არასადა მასმიეს არცა მოძღუართაგან, და არცა ფარისეველთაგან, და არცა სხუათა ნათესავთაგან, ვინაჲ ყოფილ არს ესე, რამეთუ ხუთი წელი არღა აღსრულებულ არს ამისი<sup>9</sup> და იხილეთ-ღა<sup>10</sup>, ვითარ იგი ჳმობს ესე! ესევითარი არა მიხილავს ჩუენ ყრმაჲ“.

მერმე იწყო სიტყუად და თქუა: „დაგიკრდების ანუ უფრო ურწმუნო ხართ, რომელსა გეტყვ თქუენ, რამეთუ გარქვ თქუენ ოდესმე, რაჲ შობილ ხართ, უფროჲს უწყი მე თქუენსა, ვიხილე მე და მესმა ჳმაჲ“.

ხოლო მათ ვითარცა ესმა ჳმაჲ ესე, პირი დაიკრეს და სიტყუაჲ ვერ შეუძლეს თქუამად.

წარდგა იესუ მათ წინაშე და თქუა: „გლალობდი<sup>11</sup> მე თქუენ, რამეთუ თქუენ დიდებასა<sup>12</sup> ავინებთ, რამეთუ ხართვე უშჯულო გონებითა თქუენითა“. ხოლო მან ვითარ ესრეთ უღბილესად იწყო სიტყუად მათა, და ჰრქუა ზაქე მოძღუარმან იოსებს: „მე-ღა მომეც ყრმაჲ ეგე და მე ვასწაო მაგას, რაჲ წეს იყოს სწავლად მაგისა“. და თავსა ჳელსა უსჯმიდა და მიიყვანა<sup>13</sup>

იგი სამწიგნობრედ და შევიდა და დაღუმნა ყრმაჲ იგი<sup>14</sup>.


ხოლო მოძღუარი იგი ზაქე მრავალ გზის მასვე წერილსა ასწავებდა და იწყო აღფაჲთგან სწავლად მისა მეორედ და აქცია<sup>15</sup> მოგებად მისა და იგი დუმნა. მერმე განრისხნა მოძღუარი იგი და სცა ჳელითა თავსა მისსა.

მიუგო ყრმამან მან და ჰრქუა: „განუზომელად დამიკრდების<sup>16</sup> სწავლად უსწავლელთა. მე უშემძლებელეს ვარ თქუამად, ვიდრე შენ<sup>17</sup>, რომელსა ეგე<sup>18</sup> შენ იტყვ: «ვითარცა რვალი ოხრის<sup>19</sup>, და ვითარცა წინწილნი ეჯზნიან<sup>20</sup>, რამეთუ არა მოაჳსენებენ ჳმასა სიტყვს მოგონებისასა და არცა გონებასა მის გულის ჳმის ყოფად ძალისა“.

და იწყო იესუ სიტყუად წერილისა მის ყოელისა აღფაჲთგან მი-  
ოჰამდე დიდითა გამოძიებითა. მერმე თქუა: „რომელთა ეგე აღფაჲ არა

<sup>1</sup> სჯულთა M. <sup>2</sup> ენასა M. <sup>3</sup> შდ (= შემდგომად) K. <sup>4</sup> მისაგან K. <sup>5</sup> ათი სიტყვა (რომელი იგი... სხუასა) K-ს სულ გამოტოვებული აქვს; — აღარ იკითხებათ; M-ს კი ასეთი სახით აქვს წარმოდგენილი: „რომელი იგი არა სადა ვინ! უწყოდა სხუა მათსავე, რომელიცა ასწავის სხუასა“. <sup>6</sup> რომელს M. <sup>7</sup> აღიღო ეგე M (K-ს ეს ორი სიტყვა აკლია). <sup>8</sup> უწყით M. <sup>9</sup> ამის K. <sup>10</sup> იხილეთღა K. <sup>11</sup> ეს სიტყვა კარგად არა ჩანს, მაგრამ სხვაგვარად მისი ჳკითხვა, თითქო, არ შეიძლება. M-ს აქ ამოუკითხავს: |||ობდი, K-ს კი: |||ობდი. <sup>12</sup> მიღბსა M. <sup>13</sup> მოიყვანა K. <sup>14</sup> ყრმაჲ იგიყრმაჲ M. <sup>15</sup> დააქცია KM. <sup>16</sup> დამიკრდების M. <sup>17</sup> ვიდრეგან M. <sup>18</sup> რომელსა იგი M. <sup>19</sup> ოხრის M. <sup>20</sup> ეჯზნიან M, იჯზნიან K. \*





იცით, ბეტასა მას ვითარმე ასწავებდელ? <sup>1</sup> გან-ლა-მიმარტეთ <sup>2</sup> პირველად  
 ალფაჲ ესე, მაშინლა მრწმენეს თქუენი ბეტაჲსათჳსცა, რასა იგი იტყოდით“.

და იწყო იესუ კითხვად ხატი და სახელი პირველისაჲ მის წერილი-  
 საჲ, რამეთუ აქუნდა მას სახელებ: სამ-კედლებ <sup>3</sup>, წარმატებულებ, იქცევისებ,  
 95 ზე-უქუნ კეცილებ, მიმოქეულებ, კჳკჳრის სახებ <sup>4</sup>, ფერად საფასჲ, მართ-  
 ლიად შობილ <sup>5</sup>.

ზ

ხოლო ზაქჲ, მოძღუარი იგი მისი, დგა დაკრვებული ეგოდენსა მას  
 სახელისდებასა, მეცნიერებასა <sup>6</sup>, ხატ-შუენიერებასა მას, საკრველებასა სი-  
 100 ტყუათასა <sup>7</sup>, ვმითა მილითა ლაღადებდა და იტყოდა: „ვაჲ ჩემდა, რამეთუ  
 თავით თჳსით ესევითარი საქმჲ შევიმთხვე! განმაშორეთ ჩემგან, გვედრები  
 თქუენ, რამეთუ ჯერვე არა არს მაგისი ქუეყანასა <sup>8</sup> ზედა სლვაჲ <sup>9</sup>, ჭეშმა-  
 რიტად ღირს არს ესე ღიდისა მის ჯჳრისა. ამან ცეცხლსაცა <sup>10</sup> მას შეუძ-  
 ლოს შეწუვად. მე ესრე მგონიეს, ვითარმედ ესე წყლით რღვნისა <sup>11</sup> მის  
 105 წინა ნოვესა ყოფილ არს. რაჲმე საშოჲ ყოფილ არს, რომელსა ეტჳრთა  
 ეგე? ანუ რაჲმე ყოფილ არს <sup>12</sup> იგი დედაჲ <sup>13</sup> რომელსა ეპყრა ესე წმიდაჲ?  
 შესვლებულ ვარ [და ვერ] <sup>14</sup> დაუთმობ, გონებასა გარდასრულ ვარ. შევი-  
 ტყუე თავით თჳსით, სიცბილი შემედვა. მე ესრე ვჳგონებდ, ვითარმედ მო-  
 წაფჲ შემოვიყვანე სახიდ ჩემდა“...

(აქ ხელნაწერი წყდება)

А. Шанидзе

К толкованию непонятных мест фрагмента грузинской версии апокрифа „Евангелие Фомы“

(Р е з ю м е)

Фрагмент, сохранный единственной рукописью (№ 95 А, XI в.) под заглавием „Детство господа нашего И. Христа“, издавался дважды: проф. А. Меликсет-Бековым (Хр. Восток, VI, 1917—1920, стр. 315—320) и проф. К. Кекелидзе (Кекелидзе, т. I, 1918, стр. 115—117)

<sup>1</sup> ვითარმე ასწავებდელ ვარ მე ასწავებდა მ. <sup>2</sup> განლა მიმარტით მ, განსა მიმართეთ კ. <sup>3</sup> სახელებ: სამ-კედლებ სახელებსა მკედლებ მ. <sup>4</sup> კჳკჳრის საცებ მ. <sup>5</sup> შობით მ. <sup>6</sup> ეს სიტყვა არ მოეპოვება მ-ს. <sup>7</sup> ეს სიტყვაჲ აკლია მ-ს. <sup>8</sup> ქუეყნისა მ. <sup>9</sup> ზედასლვაჲ მ (ერთად). <sup>10</sup> ცეცხლისაცა მ. <sup>11</sup> წყლითრღუნისა მ, წყლითრღვნისა კ. <sup>12</sup> ყოფილი არს მ. <sup>13</sup> დედაჲ მ. <sup>14</sup> ფრჩხილებში ჩასმული „და ვერ“ ჩამატებულია ტექსტში. თითქოს ეს ჩამატება ძველია და შემდეგ არის განახლებული (ნაკვალევი ჩანს ძველი მელნით ჩაწერილი ასოებისა). მ-ს აკლია.





Неправильно прочитанные места текста, напечатанного в „Хр. Восток“<sup>1</sup> вызвали в свое время резкую критику Н. Я. Марра (Хр. В. VI, 343—347). Некоторые места не были поняты и в другом издании, чем и вызван вопрос о переиздании всего текста. Здесь даны исправления неправильно или даже вовсе не вычитанных мест рукописи. Кроме того, устанавливается, что „Детство Христа“ есть „Евангелие Фомы“, которое значится в списке апокрифических книг Евфимия Святогорца (сконч. в 1028 г.), неприемлемых для православной церкви<sup>1</sup>. Дается также анализ главнейших орфографических и грамматических явлений памятника и высказывается мнение, что груз. текст фрагмента ближе стоит к сирийской версии, судя по разночтениям, приводимым К. Тишендорфом в своем издании апокрифических евангелий.

<sup>1</sup> Малое распространение апокрifa в Грузии объясняется, вероятно, внесением его в Евфимиевский список.



გ. ახვლედიანი

ოსური ენის ისტორიისათვის

III. ხშულთა დიხიმილაციური გამუღერება ოსურ ენაში

1. ოსურმა, წარმოშობით ირანულმა ენამ, საერთოდ შეითვისა კავკასიურ ენათა ბგერითი სისტემა და, ასე ვთქვათ, ფონეტიკურად „კავკასიურდა“; ეს მოწმობს ოსური ენის შეგუების ხანგრძლივ პროცესს კავკასიურ ენობრივ სინამდვილესთან; კერძოდ, ოსურმა დიდი რაოდენობით შეითვისა ლექსიკური მასალა მასთან ხანგრძლივ მეზობლობაში მყოფ სხვადასხვა კავკასიურ ენათაგან. ოსურ ენაში შესულ უცხოურ სიტყვათა შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი რაოდენობრივ უჭირავს კავკასიურ ენათაგან შესულთ—საკუთრივ კავკასიური ენებისას ან მათი შუალობით. „65% (слов в осетинском языке) неизвестного происхождения, т. е. того, что напрашивается в своем массовом составе на происхождение из яфетических языков“ (ოსური ენის სიტყვათა 65% უცნობი წარმოშობისაა, ე. ი. ისეთისა, რომ ძალაუნებურად აფიქრებინებს კაცს საერთოდ მათს წარმოშობილობას იაფეტურ (იგულისხმე—კავკასიურ, გ. ა.) ენათაგან<sup>1</sup>;

აქ ჩვენი მიზანია, შევამჩნიოთ და დავადგინოთ ქართულიდან ოსურ ენაში ნასესხებობათა ფონეტიკური გაფორმების თანმიმდევრობა და კანონზომიერება, სახელდობრ „კავკასიურ“ ყელხშულთა ანუ აბრუბტივთა და ფშვინვიერ თანხმოვანთა შემცველი ნასესხები სიტყვების მიმართ.

შევნიშნავ აქვე წინასწარ, რომ მხედველობაში მაქვს უმთავრესად ისეთი ნასესხებობანი, რომელნიც გავრცელებულია ოსურში საერთოდ და არა მხოლოდ სამხრეთ ოსეთის დიალექტებში, სადაც განსაკუთრებით ბევრია უახლესი ნასესხები სიტყვები<sup>2</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ოსური ენის ბგერითი სისტემა საერთოდ ძალიან ახლოა ქართული ენის ბგერითს სისტემასთან, განსხვავება

<sup>1</sup> Н. Я. Марр, Ossetica—Japhetica, II, ИАИ, 1927. стр. 434, რომელშიც მითითებულია ე. ი. აბაევის მოხსენებაზე „Некоторые замечания о лексическом составе осетинского языка“.

<sup>2</sup> ამის შესახებ იხ. В. Абаев, О языке южных осетин. Языки Северного Кавказа и Дагестана, сб. I, 1935, გვ. 93—95.





მინც არის მათ შორის: ოსურ ენას აქვს ქართულის ყველა ბგერა ამისა, შემდეგი: s ā, s ə ხმოვნები, ჟ j, ჯ y ნახევარხმოვნები, ფ f და ნახევრად-აბრუპტივები π, τ, ჯ და სხვ.<sup>1</sup>

ოსურ ბგერათა გადმოსაცემად გამოყენებულია ქართული ასოები და, მათ გვერდით, თბილისის ენიმქი-ის მიერ ხმარებული ტრანსკრიფცია. ოსური ენის ნახევრად-აბრუპტივთა გამოსახატავად ვიყენებთ ვ. აბაევის მიერ (იხ. მისი Общие элементы в языке осетин, балкарцев и карачаевцев, 1933, გვ. 71—89) უკვე ხმარებულ ბერძნულ ასოებს დიაკრიტიკული ნიშნებით.

უნდა ვიფიქროთ, რომ ოსური ენა თავის უფრო ძველ საფეხურზე მეტად განსხვავდებოდა ბგერითი შედგენილობის მხრივ ქართულისაგან—უმთავრესად იმით, რომ ოსურს, როგორც ირანულ ენას, არ უნდა ჰქონოდა იმთავითვე აბრუპტივები და სრულფეხიანი თანხმოვნები<sup>2</sup>. ესენი შეეთვისა ოსურმა კავკასიური ენების ხანგრძლივი გარემოცვის პირობებში—დიდი რაოდენობით ლექსიკური სესხების საფუძველზე: ამის გამო დროთა განმავლობაში აბრუპტივები ისე ძლიერად დაინერგა ოსური ენის ბგერით სისტემაში, რომ შესაძლებელი შეიქნა მათი წარმოთქმა ირანული ფენის ოსურ სიტყვებშიც. თანდათანობით ადაპტაციის ეს პროცესი შედგებოდა, ჩვენი აზრით, ოსურ ენაში აბრუპტივთა და ასპირატთა დისიმილაციურ გამქდერებაში.

<sup>1</sup> როდესაც ამ ორი ბგერითი სისტემის შედარებაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში ვგაქვს, რა თქმა უნდა, მათი ფონემატიკური შედგენილობა, და არა მრავალგვარი ნუნასი ბგერათოკომპლექსებში და დიალექტობრივ არსებული ბგერები, როგორცაა, მაგ., ფარინგალური ასპირატი (ჟჟ) ძველი ქართულისა და ცალკეული დიალექტების, სხვათა შორის, ასეთივე ბგერა შევამჩნიე ოსური ენის დიგორული დიალექტის ცალკეულ სიტყვებში (ლავანს ლავანს, ხამკოთი ხამკოთი)

<sup>2</sup> ვ. აბაევის მოსაზრება, რომ „ოსური ენის ირანული ფენისათვის იმთავითვე უცხო იყო ფეხიანი სრულები“ („Четыре ряда смычных согласных в осетинском“, 1926, стр. 6—7), მიმაჩნია სრულიად მართებულად, მაგრამ არ ვეთანხმები მას, თითქოს ოსური ენის „მეოთხე რიგის“ სრულები სრულიად არა ფეხიანი იყოს (გვ. 6). ჩემი დაკვირვებით, ფეხიანა მათ აქვთ, მაგრამ მინიმალური; მათ მე ამიერიდან ნახევრად-აბრუპტივებს (ანუ ნახევრად-მკვეთებს) ვეძახი. თვით ამ ტერმინისათვის საჭიროა შევინიშნო შემდეგი: ე. წ. „კავკასიური“ სრულებისათვის, როგორცაა, მაგ., ქართ. პ ტ — p t, წ ჭ — tʃ dʒ ემბრობდით ტერმინს „მკვეთები“, რუსულად იხმარებოდა „смычно-гортанные“—„ყელსრულები“, ხოლო ფრანგულად (Rousselot, Principes de phonétique expérimentale. II, 866)—avulsives. ეს უკანასკნელი არ გავრცელდა; რუსული ტერმინი არ გამოხატავს სინამდვილეს, რამდენადაც „მკვეთები“ შეიძლება წარმოითქვას სანმო სიმების ლიაობისასაც (იხ. „მიმოხილველი“, I, 1926, გვ. 325—29). რაც შეეხება ტერმინს „მკვეთი“, რომელსაც ევალება გამოხატოს აკუსტიკური შთაბეჭდილება სხეულზე თანხმოვანთაგან, უნებრხულია იმით, რომ განუვლებულია მისი თარგმან სხვა ენებზე. ამიტომ მის ნაცვლად ვხმარობთ ტერმინს „აბრუპტივი“ (ლათ. abruptus—მოწყვეტილის, უცვრად მოწყვეტილის მნიშვნელობით), რომლითაც კარგადაა გამოხატული მკვეთის წარმოთქმით-სმენითი ნიშნეულობების ერთობლიობა, სახელდობრ: სშვაში მონაწილე ორგანოთა ერთმანეთისაგან სწრაფად და მოწყვეტილად დაშორება, რაც აღიქმება ტკაცანის სახით. რაც შეეხება „მეოთხე რიგის“ სრულებს, მათ ახასიათებს მინიმალური ფეხიანობა, ისინი უახლოვდებიან აბრუპტივებს. ამიტომ შესაძლებლად დავინახე მათთვის „ნახევრად-აბრუპტივები“ მეწოდებინა.





7. მომყავს ანბანურ რიგზე ქართულიდან ოსურში შესული რამდენიმე სიტყვა, რომლებიც ამჟღავნებენ ამ კანონზომიერებას:

- 1) ირონ. ბარჭი barçi, დიგ. ბარკი barķi—ქართ. პარკი.
- 2) ირონ. ბარგსჭი მარხვა, გლოვა barasçi, დიგ. ბარსკა baraskä—ქართ. პარასკევი.
- 3) ბეტრე beṭre—ქართ. პეტრე.
- 4) ირონ. ბიტნა biṭna, დიგ. ბეტინა beṭina—ქართ. პიტნა.
- 5) ბუტრო buṭro—ქართ. ფუტურო.
- 6) გარაჭი garaçi—ქართ. კარაქი.
- 7) გართამ gärtam—ქართ. ქრთამი.
- 8) დიგ. გეთენ geten, ირონ. ჩეთსნ četän—ქართ. ქათანი.
- 9) გოტოსი goṭosi—ქართ. კოტოში.
- 10) გოცორა gocora—ქართ. ქოჩორა.
- 11) გოწობი goṭobi—ქართ. კოჭობი.
- 12) გუწა ჩინჩხვი guça—ქართ. კუჭი („ფრინველის ფაშვი“—საბა).
- 13) გვგრკო gvarko—ქართ. (კ)რკო.
- 14) დიჭი diçi—ქართ. ტიკი.
- 15) საბანტი sabanṭi—ქართ. საფანტი.
- 16) ირონ. თაბა taba, დიგ. თაბაი tabai—ქართ. ტაფა.
- 17) ირონ. ძგლაკვგ ოლაკვა, დიგ. ძილიკუ ჯილიკუ—ქართ. ქლაკვი.
- 18) ჯირკა ოირკა—ქართ. (რუსულიდან) კირკა.
- 19) ჯიტრი ოიტრი—ქართ. კიტრი.
- 20) ჯუჭი ოუჭი—ქართ. ქუჭი.

ამ ნიმუშების გამრავლება შესაძლებელია არა მხოლოდ ქართულიდან ნასესხები სიტყვებით, არამედ სხვა კავკასიური ენებიდანაც.

წარმოდგენილ მასალაში ნათლად ჩანს შემდეგი ფონეტიკური კანონზომიერების მოქმედება: ნასესხებ სიტყვებში ოსური ენა თავისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე ვერ იტანს ერთ სიტყვაში ორ აბრუპტივს, resp. ორ ასპირატს (აგრეთვე აბრუპტივსა და ასპირატს) და ამიტომ ერთ-ერთ მათგანს ამჟღავნებს ხოლმე. ამ კანონზომიერებას ვუწოდებთ დისიმილაციურ გამჟღავნებას. საყურადღებოა, რომ ჩვეულებრივ მჟღავნება ხოლმე პირველი აბრუპტივი, resp. ასპირატი სიტყვის თავიდან; მაშასადამე, დისიმილაცია რეგრესულია.

3. ბგერათა ასეთს შენაცვლებას საფუძვლად უდევს ტენდენცია—გაიადვილოს მსესხებელმა მისთვის უცხო ბგერის წარმოთქმა დისიმილაციური შენაცვლებით. უნდა ვიფიქროთ, რომ კავკასიურ ენებთან პირვანდელი ურთიერთობის პერიოდში ოსური ენა, ითვისებდა რა კავკასიური ენებიდან ისეთ სიტყვებს, რომლებშიც იყო ოსურისათვის უცხო აბრუპტივები და სრულ-ფშვინვიერი ხშულები, უნაცვლებდა მათ თავისს—წარმოებათ უახლოესს—ხშულებს, მაგრამ, როგორც ჩანს, არა განსაზღვრული თანამიმდევრობით. შემდგომში კი, ორენოვნობის გაძლიერებისას, ოსურში შედის კავ-





კასიური ენებიდან სიტყვები მასობრივად, და ოსური ენა ეგუება და კავკასიურ ბგერათა სწორ წარმოთქმას, კერძოდ—აბრუპტივებისა და ასპირატებისას. ამიტომაც, რომ ქართულიდან ოსურში უკანასკნელ ხანებში შესული ასეთ ხშულებიანი სიტყვები წარმოითქვიან უკვე ადევკატურად, ე. ი. უდისიმილაციოდ; მაგ., სამხრეთ ოსეთში ოსურად უკვე ამოიბნენ პიტნა *pitna*, ტაფა *tafa*, პეტრე *petre* (ძველი ნასესხები: ბიტნა *bitna*, თაბა *taba*, ბეტრე *betre*), კუპრი *kupri*, თეფში *tepsi*, ჭეტი *četi* (ქართ. კეტი) და სხვა [ძველი ნასესხები უნდა ყოფილიყო:—\*გუპრი *gupri*, \*დეფში (ან \*თებში), \*ჯეტი *četi*].

სამართლიანი იქნება აქედან დავასკვნათ, რომ ზემოთ წარმოდგენილი ოცი სიტყვა შეუთვისებია ოსურს ამ სახით ჯერ კიდევ იმ დროს, როცა კავკასიური (კერძოდ ქართულის) ფონეტიკური სისტემის დამკვიდრება ოსურ ენაში მხოლოდ იწყებოდა, ან, ყოველ შემთხვევაში, დამთავრებული არ იყო.

ოსური ბგერითი სისტემის ადაპტაციის პროცესს კავკასიურისასთან ჩვენ გყრფთ სამ პერიოდად:

პირველი პერიოდია ინდიფერენტულ-თანამიმდევრო წარმოთქმის პერიოდი კავკასიურ აბრუპტივთა და ასპირატთა ოსურ ენაში; შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ამ პერიოდში ერთაბრუპტივიანი ან ერთასპირატიანი სიტყვები წარმოითქმოდნენ ოსურში მჟღერი ხშულით ან ნახევრად-აბრუპტივით, უფრო ხშირად კი—ამ უკანასკნელით. მაგ., ქართ. ტარო და თარო (ორივეა შესული ოსურში!) ოსურად წარმოითქმოდა ერთნაირად: ან *tarō* (უფრო ხშირად), ან \**darō* (უფრო იშვიათად). რაც შეეხება ორაბრუპტივიან, resp. ორასპირატიან სიტყვათა წარმოთქმას, შეგვიძლია ვივარაუდოთ შეტი თანამიმდევრობა ასეთ სიტყვათა წარმოთქმაში, რამდენადაც დისიმილაციური პროცესი უკვე ისახებოდა: აქ, ალბათ, შენაცვლება უპირატესად ხდებოდა მჟღერი ხშულით.

მეორე პერიოდია თანამიმდევრობითი რეგრესული დისიმილაციური გამჟღერების პერიოდი ოსურისათვის ჯერ კიდევ უცხო ხშულების შემცველ სიტყვაში, რის გადანაშთსაც წარმოადგენს ზემოთ მოყვანილი მასალა (1-20 ნიმუში); ამავე პერიოდში შესაძლოა არსებულებოდა, აგრეთვე გადანაშთის სახით, პირველი პერიოდის შემთხვევებიც.

მესამე პერიოდია ნასესხები სიტყვების ადევკატური წარმოთქმის პერიოდი, რომელსაც შეიძლება ეწოდოს აგრეთვე ძველ ნასესხებთა კორექციის პერიოდს, მაგ. დღევანდელი ოსური წარმოთქმა სამხრეთ ოსეთში: პიტნა *pitna*, ტაფა *tafa*, პეტრე *petre* და სხვა.

დისიმილაციური გამჟღერების ცალკეული ნიმუშები (აბრუპტივთა, მაგრამ არა ასპირატთა) აღინიშნა (მოხსენების გამო კამათში) აგრეთვე ქართველურ ენებშიც პროფ. ა. შანიძის პროფ. ვ. თოფურიას და დოც. ს. ჟღენტის მიერ, [ხევსურ. გურკო, მთიულ. ბატარა, ბატრონი (შეად. მეგრ. პატონი), ჭაბუკი, შეად. ძვ. ქართ. ჭაბუკი, სვან. ჯაჭარ (<ქართ. ჭაჭები)].

გამოსარკვევია, თუ რამდენად (და როდინდელ) კანონზომიერ მოვლენას წარმოადგენს ეს შემთხვევები ქართველურ ენებში.



Г. АХВЕДИАНИ

## К истории осетинского языка

### III. Диссимилятивное озвончение смычных в осетинском языке

#### Резюме

1. Автор сопоставляет фонетическую систему осетинского языка с грузинской. Указывается большее различие между ними в прошлом и доказывается постепенная адаптация осетинского языка к звуковой системе кавказских языков, в частности — грузинского.

2. В результате анализа ряда заимствованных из грузинского слов, содержащих в грузинском по два смычно-гортанных или же по два придыхательных смычных, автор устанавливает закономерное регрессивно-диссимилятивное озвончение смычно-гортанного и придыхательного в осетинском.

3. Так как новейшие заимствования с аналогичным консонантным составом отражаются в осетинском адекватно, автор находит возможным допустить три ступени в процессе фонетической адаптации осетинского языка к звуковой системе кавказских языков: I — безразлично-последовательного произношения чуждых смычных, II — последовательно регрессивно-диссимилятивного озвончения смычных и III — адекватного отражения звуков дающего языка.

4. Вводятся термины „абруптив“ вместо „смычно-гортанный“ и „полуабруптив“ вместо „смычный 4-го ряда“.



265. ჩიშოვაშა

### სვანური მოთხრობითის ერთი ვარიანტი და სახელთა ბრუნების ორფუძიანობა ზოგ კავკასიურ ენაში

ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა ცენტრალური პრობლემაა ქართ-  
ველური ენებისთვისაც და, საერთოდ, კავკასიურ ენათათვის.

ფართოდ გავრცელებული შეხედულება, — რომ ერგატიული კონსტრუქცია  
პასიური კონსტრუქციაა, — ვარაუდობს, ჯერ ერთი, იმას, რომ ერგატიულ კონ-  
სტრუქციაში მონაწილე გარდამავალი ზმნა პასიურია, მეორეცა და, რომ რეალური  
სუბიექტის გადმოსაცემად ხმარებული ერგატიული ბრუნვა, არის ირიბი ბრუნვა:  
ზმნის პასიურობის მტკიცება და ერგატივის ირიბ ბრუნვად გამოცხადება აქ ში-  
ნაგანს კავშირშია.

რომ ერგატიული კონსტრუქციის მონაწილე გარდამავალი ზმნა არ უნდა  
იყოს პასიური (ე. ი. ენებითი გვარისა), ამის შესახებ შემთხვევა გვექონდა გარ-  
კვეული მოსაზრებანი წარმოგვედგინა რეცენზიაში აკად. ნ. მარის „ძვ. ქარ-  
თულის გრამატიკაზე“, <sup>1</sup> აგრეთვე ჩვენს მოხსენებებში: 1. „პასიურია თუ არა  
ხუნძური გარდამავალი ზმნა“ <sup>2</sup> 2. „ბოლივერსონალიზმის საკითხი ხუნძურში  
ერგატიული კონსტრუქციის პრობლემასთან დაკავშირებით“ <sup>3</sup>; 3. „ერგატიული  
კონსტრუქციის პრობლემა კავკასიურ ენებში: ამ კონსტრუქციის სტაბილური  
და ლაბილური ვარიანტები“ <sup>4</sup>.

საანალიზო მასალად ამ მოხსენებებში ქართული და ხუნძურია გამოყენე-  
ბული. წამოყენებულია დებულება გარდამავალი ზმნის ფუძის ნეიტრალური  
ბუნების შესახებ.

<sup>1</sup> საქართ. საისტ. და საეთნოგრ. საზოგად. მიმომხილველი I (1926), გვ. 294—308.

<sup>2</sup> წაკითხულია დადესტინის ენის, ლიტერ. და ისტორ. სამეც. კვლ. ინსტიტ. სხდომაზე  
22 აპრ. 1940.

<sup>3</sup> წაკითხულია ენიშვის კავკას. ენათა განყოფ. სხდომაზე 16 ოქტ. 1937 წ.

<sup>4</sup> წაკითხულია მეცნ. აკად. საქართვე. ფილიალის პირველ სესიაზე 28 სექტ. 1939 წ.





თუ ეს სწორია, სხვა კავკასიურ ენათა ზმნის ჩვენებითაც უნდა ჩვენთვის ტურდეს; გარდა ამისა, თუ ეს სწორია, ერგატივი, ბუნებრივია, აღმოჩნდეს პირდაპირი და არა ირიბი ბრუნვა.

ქართველური ენებისათვის, ვფიქრობთ, ამის დასაბუთება მოხერხდა: ერგატივი მეორე, ისტორიულად კი—პირველი სახელობითი, —აღმოჩნდა<sup>1</sup>.

უფრო საგულისხმოა, ალბათ, ის, რომ ერგატიული სახელობითთან დაკავშირებული აღმოჩნდა ხუნძურში, სადაც ერგატივს საზიარო ფორმა აქვს მოქმედებით ბრუნვასთან (სხვა მოქმედებითი იქ არ მოიპოვება); მაშასადამე, იგი ირიბი ბრუნვა უნდა იყოს. ირკვევა კი, რომ არ არის: მას სახელობითი ენაცვლება, ერგატივი პირდაპირი ბრუნვის ვარიანტად გვევლინება, ე. ი. იგივე ვითარებაა არსებითად, რაც ქართველურ ენებში (ქართულსა და შვედურ-ქანურში) გვაქვს.

ერგატიული ბრუნვის საკითხი რთულდება ადიღურში: აქ ეს ბრუნვა გარკვევით ირიბი ჩანს. ასე განმარტავენ სპეციალურ ლიტერატურაში, იხ. Яковлев, Краткая грамматика адыгейского языка, გვ. 80: „...имя в склонении имеет две формы—два падежа: прямой и косвенный. „ირიბი“ ბრუნვის ნიშანია—შ—მჷ (მრავლ. ხ'ა-მ, ხ'ა-მჷ).

დოც. გ. როგავა ამ ბრუნვას მიცემითს უწოდებს და მიუთითებს: ეს მიცემითი: 1. ირიბი ობიექტის გამომხატველია ორპირიან გარდაუვალ ზმნასთან; 2. რეალური სუბიექტის გამომხატველია გარდამავალ ზმნასთან; 3. ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციის მქონეა; 4. მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციის მქონეა; 5. ადგილისა და დროის გარემოებათა ფუნქციის მქონეა<sup>2</sup>.

ერთი სიტყვით, ეს მიცემითი ბრუნვა (ნ. იაკოვლევის „ირიბი ბრუნვა“) მიცემითიც არის, ნათესაობითიც, რეალური სუბიექტის ბრუნვაა (ე. ი. მოთხრობითი), გარდა ამისა გარემოებასაც აღნიშნავს.

ამჟამად, მხოლოდ მოქმედებითში მოიპოვება სხვა საშუალება—ჭა ნაწილაკის სახით იარაღის აღსანიშნავად („орудный объект“, ნ. იაკოვლევის ტერმინი რომ ვიხმართ).

წინამდებარე შენიშვნების მიზანია სვანური ენის ჩვენების ნიადაგზე დასვას კითხვა: არის თუ არა აუცილებელი ადიღური ენის ე. წ. „ირიბი ბრუნვა“ მართლა ირიბად მივიჩნიოთ (კერძოდ, მიცემითად), თუ—არსებობს სხვაგვარი შესაძლებლობაც.

სვანურის ჩვენება აქ იმიტომ შეიძლება გამოგვადგეს, რომ, როგორც ეს თავის დროზე სამართლიანად აღნიშნა სიძ. ჯანაშიამ, ადიღური „ირიბი“ ბრუნვის შ' შეთვისებული აქვს სვანურსაც.

<sup>1</sup> არნ. ჩიქთავა, მოთხრობითი ბრუნვის გენეზისისათვის ქართველურ ენებში: უნივერს. შრომები, ტ. X, გვ. 167—185.

<sup>2</sup> გ. როგავა, ქვემო ადიღურის ბრუნვათა საკითხისათვის: ენისკის მოამბე, IV, 22, გვ. 103—111.





რა როლში? მოთხრობითის ნიშნად; ამ ბრუნვას სვანურში ორგანიზებული აწარმოებს: -დ და -მ<sup>1</sup>. ამათგან პირველი ქართულის -ნ-ს (მან, ვინ) ეკვივალენტია და ქართველური ენების კუთვნილებად შეიძლება დაესახოთ<sup>2</sup>.

მეორე ფორმანტი იგვივია, რაც ადილურში ირიბი ბრუნვის ნიშანი. -დ და -მ აფიქსების ხმარების შესახებ შეიძლება შემდეგი ითქვას:

ა. დ-თი წარმოებისას მოთხრობითი და მიმართულებითი ერთმანეთს ხედება, საზიარო ფორმა: დინად=1. ქალიშვილმა, 2. ქალიშვილად...

ბ. მრავლობითში მხოლოდ -დ აფიქსი იხმარება და არა -მ.

გ. მხოლოდობითში -მ აფიქსი ჩვეულებრივია ზედსართავებსა და მიმდევობაში, აგრეთვე ზოგ ნაცვალსახელსა და არსებით სახელებში, როგორც ამას თუმცა ეკვივით, მაგრამ სავსებით სამართლიანად შენიშნავს ზავადსკი (იხ. Свиря. матер. по опис. местн. и плем. Кавказа, т. X, გვ. XXXIII).

აი მაგალითებიც (ზავადსკის პირადიგებებიდან) გვ. XXIX—XLIV.

ალა—„ეს“

ეჯა—„ის“

მა—„რა“

ამნემ—„ამან“

ეჯნემ—„იმან“

იმნემ—„რამ“

ხადა—„რომელი“

ვოშა—„რამდენი“

ხადემ—„რომელმა“

ვოშემ—„რამდენმა“

თოთენე—„თეთრი“

ხოჩა—„კარგი“

თოთენემ[დ]—„თეთრმა“

ხოჩემდ—„კარგმა“

4. „ისტორიულად მ-აფიქსი უსწრებს დ-აფიქსს სვანურში, სვანურისათვის, —უფრო ზუსტად, სვანურის გარკვეული ფენებისათვის, —პირველი უფრო ძველია. ამას მოწმობს ის შემთხვევები, სადაც მოთხრობითში ორივე აფიქსია ერთად გამოყენებული, მ-ცა და დ-ც: ხოხრემდ ესტეიხ—„უმცროსმა უპასუხა“... ამასვე გვაფიქრებინებს მიმართულებითს ბრუნვაში დ-ს დარაჟა მ-ზე: ხოჩამდ (კარვად), ხოლამდ (ცუდად).

5. მ-აფიქსის ადგილს მხოლოდობითს რიცხვში თანდათანობით იკვრს -დ აფიქსი: ასეთი ტენდენცია ცხადად ჩანს სუბსტანტივების ბრუნებაში:

ახლა ჩვეულებრივია -დ-იანი მოთხრობითი:

ხეხედ (ცოლმა), ქაშედ (ქმარმა), კიშხედ (ფეხმა)... ლექსებში კი აქ მ-იანი ვარიანტები დასტურდება; ზეპირ მეტყველებაშიც არის მ-ს კვალი ასეთ შემთხვევაში (მაგალითები იხ. ქვემოთ).

ამჟამად ძნელია იმის თქმა, რომელ კილოში როგორია მ-აფიქსის გამოყენების არე: ბალს-ქვემოური კილოების მასალათა გამოქვეყნების შემდეგ ამ

<sup>1</sup> ღიად ვტოვებთ საკითხს, უძღვის თუ არა ამ მ-ს წინ ხმოვანი. ადილურში თანხმოდანზე დაბოლოებულ ფუძესთან ამ მ-ს წინ ხმოვანი არისო (G. Dumézil); ა და ი. იგი ბრუნვის ნიშნის ნაწილად უნდა მივიჩნიოთ, თუ კი სახელის ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი არ არის, მის წინ შემონახუ უი. აქ პირობით მართლ მ-ს გამოყვოდთ.

<sup>2</sup> იხ. „მოთხრობ. ბრუნვის გენეზისისათვის“, უნივერს. შრომები, X, გვ. 172.





საკითხის ზუსტად გარკვევაც შესაძლებელი იქნება<sup>1</sup>. ამჟამად ის მაინც უნდა იყოს, რომ მ- აფიქსი ყველა კილოში იხმარება მეტ-ნაკლებად.

6. მ- აფიქსი ბევრი მხრით არის საინტერესო; ერთი მისი თვისება კი განსაკუთრებით საგულისხმოა: იგი მოთხრობითის გარდა ნათესაობითსა, მიცემითსა და მიმართულებითშიც მოკვება სახელს. მასთან ნათესაობითში ის უაუოდ გვექნება, თუ მოთხრობითში - მ არის: ნათესაობითი ამ მხრივ ემყარება მოთხრობითს; მიცემითში კი მდგომარეობა უფრო რთულია. აქ ფუძისეული ხმოვნის ალტერნაცია (ე. ი. ფუძის ფლექსია) გამოდის მორფოლოგიურ სარბიეოზე და ბრუნების პროცესი ნათელი არაა: შეიძლება -მ აფიქსიც გვექონდეს და ფუძის ფლექსიაც, შეიძლება -მ- აფიქსი არ აღმოჩნდეს; მაინც ფაქტია მიცემითშიც მ- აფიქსის ხმარების შემთხვევები, მეტადრე ზედსართავებსა და რიგითს რიცხვითს სახელებში. ასე იქნება თუ ისე, მიცემითთან მიმართულებითია დაკავშირებული.

მაგალითები ზავადსკიდან:

მხოლოდობითში:

შ დ რ.:

სახ.	მუხებე—„ძმა“	ხოშა — „უფროსი“	დინა — „ქალიშვილი“
მოთხრ.	მუხებე-მ	ხოშ-ე-მ	დინა-დ
ნათ.	მუხებე-მ-იშ	ხოშ-ეშ-იშ	დინა-შ
მიც.	მუხებ-ა	ხოშ ა-მ	დინა-ს
მიმარ.	მუხებ-ა-დ	ხოშ ა-მ-დ	დინა-დ
მოქმ.	მუხებ-ოშ	ხოშ-ა-მ შუ	დინო-უ-შუ

მრავლობითში:

სახ.	ლახება—„ძმები“	ხოშალ—„უფროსები“	დინალ — „ქალიშვილები“
მოთხრ.	ლახება-დ	ხოშალ-დ	დინალ დ
ნათეს.	ლახება-შ	ხოშალ-ეშ	დინალ-რ-ეშ
მიც.	ლახება-ს	ხოშალ-ს	დინალ-ს
მიმართ.	ლახება-დ	ხოშალ-დ	დინალ-დ

მაგალითები ტექსტებიდან:

თე: თვალი:

თემი შე ისევე გირგვდალე—„შენი თვალის გალაენები („ირგვლივები“) ღვამლარს ხნდახ ლასგრკალედ (ხვ.პ.10)<sup>2</sup>—ყორნებს ჰქონდათ სარკედ“...

<sup>1</sup> პროფ. ვარ. თოფურიცა, მის მიერ ჩაწერილი ბალს-ქვემოური ტექსტების მიხედვით ასკენის, რომ აქ მ-იანი მოთხრობითი უფრო ფართოდაა გამოყენებული, ვინემ ბალს-ზემოურში.

<sup>2</sup> ხვ. პ. = „სვანური პოეზია“, შვკრებილი და ქართულად თარგმნილი ა. შანიძის, ვ. თოფურიას და მ. გუჯეჯიანის მიერ, ენიშკი-ს გამოცემა, 1939 წლ.



**ქვიზე—ქვიშიში** (ქვიზა—ქვიშისა):

ჩაჟილდ ჯეყად ქვიშიში ფერიშ (!) (სვ. პ. 2) „ცხენი გყავდა ქვიშის ფერისა“...

დემ მოშ ხიგჷად ქვიშიში ლიზგეს... (სვ. პ. 130) — „ვერ შეინარჩუნებდით ქვიშის სახლობას (?)“...

**ქვინ—ქვინში** (სული—სულისა):

ქვინში ჭამას ეზარს ჯეჩო (სვ. პ. 14) „სულის რიგს კარგს გიზამ“

**მარე—მარეში** (კაცი—კაცისა):

მარეში ზისხიშვ ლღლფი (სვ. პ. 118) „კაცის სისხლით შეღებილი“...

**ხამ—ხამში** (ლორი—ლორისა):

ამეჩუნ ხამში ჯვეგ ემხვოდ (სვ. პ. 112) — „აქ ლორის კოლტი დამიხვდა“.

**ლარე—ლარეში** (სათიბი—სათიბისა):

ლიყველ მამჷირ დებ-ლარეში (სვ. პ. 110) — „მოშორება მენანება სანა-სათიბისა“.

**ჯან—ჯანში** (ხარი—ხარისა):

ლიყველ მამჷირ ლუსულ მიშგვა, ლუსულ მიშგვა ჯანში თელხიშ (სვ. პ. 110) — „მოშორება მენანება ჩემი ოსურის, ჩემი ოსური ხარის ნახირისა“.

**ტყვე—ტყვეში** (ტყეე—ტყეისა):

ათხე აჯკად ტყვეში ნაფას! (სვ. პ. 86) — „ახლა მოგივიდა ტყვის საფასური“...

**შყაჟე—შყაჟეში** (მწყერი—მწყრისა):

შყაჟეში ქარვან სვა ლოგხვილდა (სვ. პ. 16) — „მწყრის ქარავანი შემოგხვდა“.

**ხეხე—ხეხეში** (ცოლი—ცოლისა):

ღვირ-ღვინქე ხეხეში ლიყვრე! (სვ. პ. 76) — „ნახატ-წარბა ცოლის წოლა“...

**ქიშხ—ქიშხში** (ფეხი—ფეხისა):

ქიშხში ტუფულ მად ჯასედა (სვ. პ. 26) — „ფეხის კანი არ შეგრჩენია“...

ქიშხში ჯიჯვარ ქა ჯიწვანდა (სვ. პ. 26) — „ფეხის ძვლები გიჩნდა“.





ჭიშხმიშ ჩაფლაჩი ქაჯკდგრეხ (სვ. პ. 24) — „ფეხსაცმელი (ფეხსაცმელი) დაგხადეს“.

**შიყ—შიყმიშ** (ზურგი—ზურგისა):

შიყმიშ მესგემ ეჯა ლირიდ (სვ. პ. 54) — „ზურგის შემქცევი ის ვიქნებით“...

შენიშენა. ამჟამად ცოცხალ მეტყველებაში (მაგალ. ბალ-ზემოურში, კერძოდ, მულახურში) ნათესაობითში ჩვეულებრივია ჭიშხიშ (ჭიშხ-დ — მოთხრობითში); ასეთი ნათესაობითი ლექსებშიც გვაქვს:

ათუ ლამად ჭიშხიშ ფხულზრს (სვ. პ. 112) — „(რომ) სიცხე შემედვა ფეხის თითებში“. ეგევე ითქმის სხვა მაგალითების შესახებაც.

**ხეხვიშ || ხეხვიშ** (ცოლისა):

ლიყველ მამქირ ხეხვიშ, გეზლშ (სვ. პ. 110) — „მოშორება მენანება ცოლის, შვილისა...“

**ჯანში || ჯანი** (ხარისა):

ამეჟუ ჯანი ჯვეგ ემხვილ (სვ. პ. 112) — „აქ ხარის ნახირი დამხვდა“.

ზევით გვქონდა: შიყმიშ (ზურგისა); ახლა ჩვეულებრივია შიყი[შ] გვქონდა შყაჟევიშ (მწყურისა) — იმავე ზავადსკის ლექსიკონი იძლევა ნათესაობითს — შყაჟევა“...

**ხოჩა—ხოჩემიშ** (კარგი—კარგისა):

ამბავ უჯვადილ ხოჩემიშ (სვ. პ. 118) — „ამბავი მოგივიდა კარგისა“.

**ხოჩა—ხოჩამ** (კარგს):

ხოჩა ლადელ ხოჩამ ლახებას (სვ. პ. 120) — „გამარჯობა („კარგი დღე“) კარგ ძმებს“...

ხოჩა ჯეყარ ხოჩამ მამზას (სვ. პ. 98) — „კარგი დაგემართა კარგ მამზას“...


ხოჩამ ყიფიანს ადაჯადა (სვ. პ. 12) — „კარგ ყიფიანს წარმოგიტყვამს“...

ხოჩამ ყიფიანს ჩუ ლახუტადა (სვ. პ. 14) — „კარგ ყიფიანს დაეძინა“...

**ხოჩა—ხოჩამდ** (კარგად):

მინ როქე ხოჩამდ ჩუჲ ადგოხშმანს (სვ. პ. 92) — „მათაო კარგად ივანშმესო“.





„(იშაღდახ)... ჩიდ ხოჩამდ გურმაჩი ჭოხან (სვ. პ. 62) — „ირომოღენ ყველაზე უკეთ („კარგად“) გურმაჩი და ჭოხანი“...

მეტად საყურადღებოა ერთი გარემოება, რომელიც ზავადსკის აქვს აღნიშნული: მსაზღვრელად ხმარებული ზედსართავი ერთსა და იმავე ფორმაში, „მიცემითში“, წარმოგვიდგება („Сб. матер. по опис. мест. и плем. Кавк. X, გვ. XLI).

ჩენის დაკვირვებით, ეგვე ითქმის რიგითი და რაოდენობითი რიცხვითი სახელების შესახებაც: ჩანს, მნიშვნელობა აქვს არა მეტყველების ნაწილს, არამედ მსაზღვრელად ხმარებას. ფაქტი სპეციალურ შესწავლას მოითხოვს; აქ საილუსტრაციო მასალით დავეკმაყოფილდებით:

...ლიყველ ხოჩამ მიშგვა ხეხვიშ (სვ. პ. 12)—„მოცილება ჩემი კარგი ცოლისა“.

...აწჰანაღელი ხოშამ თამფშ საფტინ ლეთი (სვ. პ. 102)<sup>1</sup> „(სტუმრებს) აწვევს დიდი აღდგომის შაბათ ღამეს“<sup>1</sup>.

სხვა მაგალითები:

ხოლამ (მიცემ.):

...ადო ხოლამ გზავრობს ჯჩოხ (სვ. პ. 98)—„თორემ ცუდ მგზავრობას ვიზმენ“.

მერმამ (მიცემ.):

მერმამ ლეთის სვა გვაგენახ (სვ. პ. 74)—„მეორე ღამეს მოგვდგომიან...“

შდრ. მოთხრობითი ბრუნვა დამოუკიდებლად ხმარებული იმავე სახელისა:

მერმემ ლახტის ნებგვშ გაღვანს (სვ. პ. 76)—„მეორემ შეუბრუნა შუბლის გაღვანს“...

მეშთხვამ (მიცემ.):

მეშთხვამ ზაფჯი ლატლარ ხოთხა (სვ. პ. 72)—„მეოთხე წელს ლატალელები უშოვია“.

<sup>1</sup> არის შემთხვევა საზღვრულთან სახელობითში მსაზღვრელის ხმარებისა -ამ-ბოლო-სართით:

გოხვიშდამ გეხალ სიგ ჯერდოღე  
შაგ მაჯონა ღერთაღეში (სვ. პ. 100)...  
„ხუთი შვილი შენ გყოლია („გეყოლებოდა“),  
ყველა მსგავსი ღმერთებისა...“

მაგრამ აქ -ამ ბრუნვის დაბოლოება კი არაა, არამედ—ნაწილაკი (პროფ. ვ. თოფუარი ია).





...მეშთხვამ ზაფხვი სვა ათცადახ (სვ. პ. 74)—„მეოთხე პარვიან“...

**არამ—ჩხარამ (მიცემ.):**

...ჟიე ხოშგურა მიჩა სანგარ არამ—ჩხარამ იკულთხანი არამ-ჩხარამ<sup>1</sup> კინჩხარს ხოშდე (სვ. პ. 44)—რვა-ცხრას თავს აყრე-ვინებს“...

**ჩხარამ (მოთხრ.):**

...ჩუ ლაგრმებს ჩხარამ ეცრულდ (სვ. პ. 88)—„დაიქირა ცხრა ეწერელმა“...

**მესმამდ (მიმართულ.):**

მესმამდ ერ ლახტახ მიჩა ჯარშე (სვ. პ. 119—პროზ. ჩანართი)—„მესამედ რომ მოუბრუნდა თავის ჯართ“...

შდრ. იმავე მიმართულებითის მნიშვნელობით ნახმარი მიცემითი:

**მესმამ:**

„ორინ სანჯახ ჟი მიკიდა მესმამ ლიმჩე ლაღლ ვხვეედ (სვ. პ. 64)—„ორჯერ დროშა ამილია მესამედ სიბერის დროს ავიღებ...“

მსგავსადევა გამოყენებული **მაშენამ მაშენამდ**-ის მნიშვნელობით:

...შომეამ მაშენამ მეშაღლახ თოფარ აშხვჟი ათას შყედენხ (სვ. პ. 68)—„...როდესაც ყველაზე მეტად მეომებოდნენ, თოფები ერთად ათასი ვარდებოდა...“

ეს მაგალითები მიცემითისა და მიმართულებითის შინაგან სიახლოვეზე მიუთითებს.

სევანური ბრუნება მეტად რთულია და ამდენადვე მნიშვნელოვანი ქართველურ ენათა ბრუნების ისტორიის თვალსაზრისით.

1. რატომ არა გვაქვს მრავლობითში მ-იანი მოთხრობითი?

2. რა ხასიათისაა ფუძის ალტერნაცია მხოლოლობითის მიცემითში: ფუძის ფლექსია ბრუნვის აღსანიშნავად პირველადია თუ ფონეტიკური პროცესის მორფოლოგიურ გამოყენებასთან გვაქვს საქმე?

3. ფუძის ფლექსია უწყობს მიცემითში მ-ს გამოყენებას თუ პირუკუ: მაშენე—მაშენამ, თოთენე—თოთენამ...

<sup>1</sup> შდრ... ეშდარე მარემ ქა ლნარეკლენ (სვ. პ. 94)—„თორმეტმა კაცმა წინ გაიგდო“.









ბრუნვიანი ფორმა ახალი ფუძის როლში—ესააა -მ-იანი ბრუნვების დაბ-  
ხსიათებელი თავისებური ფაქტი; სახელობითის ფუძეს გვერდით  
უდგას ახალი ფუძე, მეორე ფუძე. თუ მიცემითის დაყვანა მოთხო-  
ბითამდის აღარ მოხერხდება, მაშინ ორი ფუძე კი არა, სამი ფუძე აღმო-  
გვაჩნდება:

1. სახელობითის ფუძე,
2. მოთხობითი, როგორც ფუძე მასზე დამყარებული ნათესაობი-  
ბითისა,
3. მიცემითი, როგორც ფუძე მასზე დამყარებული მიმართულე-  
ბითისა.

ამგვარი ორფუძიანობა (და, მით უფრო, სამფუძიანობა) სხვა ქართველურმა  
ენებმა არ იცის.

მართალია, ჭანურში სახელობითის ნიშანი -ი (მხოლოდობითში) და -ე (მრავ-  
ლობითში) არ ეკვეცება სახელებს, გადაჰყვება სხვა ბრუნვებშიც, მაგრამ ეს ორ-  
ფუძიანობას კი არ ქმნის, არამედ სრული ერთფუძიანობისა და ერთგვარობის  
დამყარების საშუალებად ქცეულა. ეს გასაგებიცაა: ჭანურის ეს მოვლენა ახა-  
ლია, ახალი თვით მეგრული ბრუნვის პროცესთან შედარებითაც კი. სვანურის  
ხსენებული მოვლენა კი ძველის-ძველია ისევე, როგორც თვით -მ აფიქსი.

ორფუძიანობის ხსენებულ ტიპს ვერ გავუთანაბრებთ ქართულიდან ცნო-  
ბილ ორფუძიანობას (უკეთ, — ახალი ფუძის სესხებას):

ის — მან, მას, მის, მიუ...

ისინი — მათ... აქ ბრუნვის ნიშნიანი ფორმა ახალ ფუძედ  
არ გამოდის.

მით უფრო შორსაა ამ ორფუძიანობისაგან ისეთი შემთხვევები, როგორი-  
ცაა: ამბავ-ი, ამბ-ად, ამბ-ის, ამბ-ით: აქ ორფუძიანობა ფონეტიკურმა პროცესმა  
წარმოშვა.

თეთ სვანურისათვის ეს მოვლენა უცხოა მრავლობითში (აღსანიშნავია,  
რომ მხოლოდობითში მ-ს გარეშეც შეიძლება მივიღოთ ორფუძიანობა, — მეორე  
ფუძედ მთელი ბრუნვის ფორმის გამოყენებით: ხეხვ — ხახვ — ხახვდ..., მაგ-  
რამ ამას მაინც შემოწმება ესაჭიროება ფუძის ფლექსიის რაობის თვალსაზრი-  
სით). იგი მარტოოდენ მხოლოდობითში გვაქვს, გვაქვს ნაესხები აფიქსის გამოყე-  
ნებასთან დაკავშირებით.

ხსენებული სახის ორ ფუძიანობა უჩვეულოა ქართველური ენებისათვის,  
მაგრამ იგი ჩვეულებრივიც, ნორმალური, მასთან ძირითადი მნიშვე-  
ნელობის ფაქტია ისეთ კავკასიურ ენაში, როგორიცაა ხუნძური. აქ მრავ-  
ლობითში ყველა სახელი ნათესაობითსა და მიცემითს აწარმოებს მთლიანად  
ერგატივისაგან, ფუძედ ერგატივის გამოყენების გზით.





სახელ. დო-ლ („ისინი“)	ჩუა-ლ („ცხენები“)	ალმალზაბი („ამზნავეები“)
ერგატ. დო-ზ	ჩუა-ზ	ალმალზაბ-ა-ზ
ნათეს. დო-ზ-ულ	ჩუა-ზ-ულ	ალმალზაბ-ა-ზ-ულ
მიცემ. დო-ზ-ი-ე	ჩუა-ზ-ე	ალმალზაბ-ა-ზ-ე

შენიშვნა: ჩრდილო ხუნძურში მრავლობ. ერგატივის -ცა დაბოლოებით წარმოებისას -ცა არ გადაჰყვება შემდეგს ბრუნვებში, მაგრამ -ზ-აღდგება.

მხოლოდობითს რიცხვში ყველა იმ შემთხვევაში, როცა -ს არის გამოყენებული ერგატივის ნიშნად და ლ'ა-ს ხმარების შემთხვევათა აბსოლუტურ უმეტესობაში ერგატივია ფუძე ნათესაობითისა და მიცემითისათვის:

სახელ. დო-უ (ის, იჲ)	დო-ა (ის, იჲა)	დო-ბ (ის, იჲო)	ვაც „მა“	დაც „და“
ერგატ. დო-ს	დო-ლ'ა		ვაცა-ს	დაცა-ლ'ა
ნათეს. დო-ს-ულ	დო-ლ'ა-ულ		ვაცა-ს-ულ	დაცა-ლ'ა-ულ
მიცემ. დო-ს-ი-ა-ე	დო-ლ'ა-ი-ა-ე		ვაცა-ს-ე	დაცა-ლ'ა-ე

ერგატივს ხუნძურში დამოუკიდებელი ფორმა არა აქვს: მისი ფორმა საზიაროა მოქმედებითთან. ერგატივის ფორმას იყენებს ფუძედ ნათესაობითი და მიცემითი კიურულში. დარგულში ერგატივის (==მოქმედებითის) ფუძე საყრდენია მიცემითისა.


ლაკურში ნათესაობითი ასრულებს ერგატივის როლს, და ამ ნათესაობითის ფუძეა გამოყენებული მეორე ფუძედ.

როგორია საქმის ვითარება იმ ენაში, საიდანაც სვანური -მ- არის ნასესხები, —ადილეურ ენაში?

როგორც ზევითაც იყო აღნიშნული, აქ ერთს ბრუნვაში შეთავსებულია მოთხრობითის, მიცემითის, ნათესაობითისა და მოქმედებითის ფუნქციები. ეს ერთი ბრუნვა, როგორც თავში აღვნიშნეთ, ზოგ ავტორს ირიბ ბრუნვად მიაჩნია (ნ. იაკოვლევი), ზოგი — მას მიცემითს უწოდებს (გ. როგავა), ზოგიც — ერგატივს, გარკვეულ შემთხვევებში, და, ობიექტის ბრუნვებს, სხვა შემთხვევებში (G. Dumézil, *Études comparatives sur les langues caucasiennes du nord-ouest. Morphologie*, Paris 1932, გვ. 43—52).

მისი ხმარების მაგალითები (მოგვყავს გ. როგავას წერილიდან — ქვემო-ადილეურის ბრუნვათა საკითხისათვის — ენიმკი-ს მოამბე, IV, გვ. 101 და შემდ.):





ერგატივის (მოთხრობითის) ფუნქციით:

- კალან-მ თხ'გლ'გრ ათხ'გ—„ყმაწვილი წერილს წერს“.
- კალან-მან თხ'გლ'გრ ათხ'გ—„ყმაწვილები წერილს წერენ“.
- კალან-მ თხ'გლ'რ გთხ'ლ—„ყმაწვილმა წერილი დაწერა“.

მიცემითის ფუნქციით:

- კალარ თხ'გლგ-მ შაჰა—„ყმაწვილი წიგნს ეხება“.
- ჰარ ბაჯანმ აცაკან—„ძალი მელას კბენს“...
- შაკჰამ სგჰერ კალან-მ აჯაუჭგ—„მონადირე ირემს ყმაწვილს უკლავს“...

ნათესაობ. ფუნქციით:

- ქოლხოზგ-მ ი-ცუხ'არ ცუდალუხ—„კოლმეურნეობის ხარები კარგი ხარებია“.
- მაი-მ აფარა მაფ—„მაისის პირველი დღე“.

მოქმედებითის ფუნქციით:

- სთუდჰანთგ-მ კანლანმგ-მ რ-ითხ'გლ—„სტუდენტმა კალმით დაწერა“.
- დაუღან დგდგ-მ რანდან—„დავითი სადგისით კერავს“.
- მოქმედებითისათვის ადილეურს შეუძლია ჰა ნაწილაკიც გამოიყენოს:
- სთუდჰანთგმ კანლანმგ-მ-ჰა რ-ითხ'გლ—„სტუდენტმა კალმით დაწერა“.

რაკი ვიცით, ერთის მხრით, ორფუძიანი ბრუნების პრინციპი დაღისტინის ენებიდან, და რაკი ადილეურ მ-ს სვანურში მოთხრობითის გარდა ნათესაობით-სა, მიცემითსა და მოქმედებითშიც ვხვდებით, ბუნებრივად ისმის კითხვა:

ხომ არ დაემთხვა ერთმანეთს ადილეურის მ-იან ბრუნვაში ერგატივი, ნათესაობითი, მიცემითი და მოქმედებითი, ე.ი. ყველა ის ბრუნ-ვა, რაც ამ ერგატივისაგან იყო წარმოებულნი?

რას შეეძლო ეს გამოეწვია? ბრუნვის ნიშანთა მოკვეცას ფონე-ტიკურ ნიჰადაგზე. რომ ადილეური ამ მხრივ მეტად გაღესილია, ექვს გა-რეშეა. მაშასადამე, ადილეურში უნდა გვქონდეს ის სურათი, რასაც მივიღებდით, ხუნძურის ნათესაობითსა და მიცემითს რომ ბრუნვის ნიშანი მოკვეცოდა:

- სახელ. ვაც „ძმა“
- ერგატ. ვაცა-ს
- ნათ. ვაცა-ს-(ულ)
- მიცემ ვაცა-ს-(ე)

} ერგატივი, ნათესაობითი და მიცემითი ერთ-მანეთს დაემთხვეოდა, თუ კი ნათესაობითისა და მიცემითის ბრუნვის ნიშნები მოიკვეცე-ბოდა.



ასევე:

სახელ. მუხებე „ძმა“	} სვანურს ნათესაობითის ნიშანი რომ მოკ-	
მოთხ. მუხებე-მ		} კვეცოდა, ერგატივი და ნათესაობითი ერთი
ნათ. მუხებე-მ-(იშ)		

ადილეურის ნათესაობითში საზღვრულს დართული -ი- (ი-ტუხ:წრ) და მოქმედებითან ზმნაში გამოყენებული -რ- იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ბრუნვათა განვითარებას ადილეურში წინ უსწრებდა ისეთივე მდგომარეობა, როგორც აფხაზურში გვაქვს ამჟამად: ზმნა აღნიშნავდა სათანადო ნაწილაკებით იარაღს, ნაცვალსახელოვანი ნაწილაკი კი — კუთვნილებას. მას შემდეგ, რაც ადილეურს განუვითარდა ბრუნვები, ეს დარჩა ისევე, როგორც ქართულში თანდებული სახელთანაც დამკვიდრდა, თუმცა ზმნაშიც მოიპოვებოდა შესაბამი ნაწილაკი:

ოთახ-ში შე-ვიდა... ოთახით-გან გა-მოვიდა...

თუ ჩვენი ვარაუდი მართალია და ადილეურში ახლანდელი მდგომარეობა ორფუძიანი ბრუნების ნაშთია, ადილეური მ-ბრუნვა ისევე არ შეიძლება იყოს ირიბი ბრუნვა, როგორც არ არის ირიბი ბრუნვა სვანური მოთხრობითი, ხუნძური, კიურული, დარგუული... ერგატივი-მ-ბრუნვა ადილეურისა მისი პირვანდელი ფუნქციით სხვა კავკასიური ენებიდან ცნობილი ერგატივის ვარიანტად მოგვევლინებოდა. ასეთს ვარაუდს სავესებით მხარს უჭერს აფხაზური და ადილეური ზმნის ფუძის ნეიტრალური ბუნება.

Арн. Чикобава

## Один вариант сванского эргативного падежа в связи с принципом „двух основ“ в склонении имен некоторых кавказских языков

(Резюме)

1. В сванском языке флексиями эргативного (повествовательного) падежа служат -d и -m.

Первая из них используется как в единств., так и во множеств. числе; она увязывается с флексией эргат. пад. в грузин. яз. -b -п и является достоянием морфологического инвентаря картвельских языков.





Флексия же -**ვ** -**მ** налицо лишь в единств. числе, характерной особенностью является неравномерным распространением в диалектах сванского языка, причем заметна явная тенденция вытеснения флексии -**ვ** -**მ** флексией -**ღ** -**დ**.

2. Флексия -**ვ** -**მ** удерживается в родительном (часто в дательном и направит.) пад.

Таким образом, форма эргативного падежа выступает в роли основы при образовании родительного (и друг.) пад.: в склонении имен появляется вторая основа, — эргативный падеж, — მუხვბე *muxvbe* „брат“, эргат. მუხვბე-**ვ** *muxvbe-v*, родит. მუხვბე-**მ** *muxvbe-m*, дат. მუხვბე-**მ-იშ** *muxvbe-m-iš*.

3. Такое явление чуждо остальным картвельским языкам (древнегрузин. и новогрузин., чанск. и мегр. диал.). Оно немыслимо при использовании флексии -**ღ** -**დ** и в самом сванском языке.

Но такой принцип склонения имен — нормальное явление в ряде дагестанских языков; напр., в аварском яз. эргативный падеж с флексиями -**ს** -**ს** и -**ლ** 'ა -**ლ** 'ა служит основой родительного и дательного падежей: ვაც *vac* „брат“ — эрг. ვაც-**ს** *vac-s* — род. ვაც-**ს-უღ** *vac-s-ul*, дат. ვაც-**ს-ე** *vac-s-e*...

4. Флексия -**ვ** -**მ** в сванском языке усвоена из адыгейских языков (С. Н. Джанашиа); естественно допустить, что и принцип использования эргативного падежа в качестве основы в сванском яз. восходит к адыгейскому языку.

В адыгейском языке ныне налицо флексия -**ვ** -**მ**; соответствующая падежная форма выполняет функции эргативного, дательного, родительного и творительного падежей. По всей видимости, в этой форме сопали эргативный и образованные из него дательный, родительный и творительный падежи в результате усечения падежных окончаний на фонетической почве („изнашивание“ конечной части слова).

Следовательно, падеж -**ვ** -**მ** является косвенным лишь в функции родит., дательн. и творит. пад.; эргативный же падеж, лежащий в основе данных падежей, так же не может быть признан косвенным падежом, как и эргативный падеж картвельских языков (или аварского языка; об этом последнем — особо).

Такая квалификация эргативного падежа несовместима с толкованием эргативной конструкции, как пассивной, но она вполне согласуется с трактовкой переходных глаголов (эргативной конструкции), как нейтральных по строению своей основы.



### 3. თოფუკია

## რ და ნ თანხმობათა მონაცვლეობისათვის სვანურ ზმნებში

ენათმეცნიერებაში ცნობილია გრამატიკულ პროცესთა ექვსი მთავარი ტიპი. ესენია: აფიქსაცია, ფუძის ფლექსია, სიტყვათწყობა, შერწყმა, რედუბლიკაცია (ფუძის განმეორება) და აქცენტუაცია (მახვილი, ინტონაცია). ჩვეულებრივ ერთ-ერთი ამათგანი ძირითადად დამახასიათებელია ამა თუ იმ ენისა, დანარჩენები კი მეტ-ნაკლებად მოქმედებენ მის პარალელურად; მაგ., ინგლისურში ადგილი აქვს ყველა ზემოდასახელებულ საშუალებას (თუმცა არათანაბრად), ჩინურში გადამწყვეტია სიტყვათწყობა, საკმაოდ ფართოდაა გამოყენებული შერწყმა, ინტონაცია, მაგრამ გამორიცხულია აფიქსაცია; სემიტურ ენებში კი მთავარია ფუძის ფლექსია (ხმოვანთმონაცვლეობა), ხშირია აფიქსაციაც, სამაგიეროდ თითქმის უგულვებელყოფილია შერწყმა<sup>1</sup>.

ქართველურ ენებში გაბატონებულია აფიქსაცია, გარკვეულ როლს ასრულებენ აგრეთვე აქცენტუაცია, განმეორება..., მაგრამ კითხვის ქვეშ დგას ფუძის ფლექსია, როგორც გრამატიკული პროცესი.

ფუძის ფლექსიის ერთი სახეობა — ხმოვანთმონაცვლეობა, რომელსაც ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფუძის დრეკადობასაც ეძახიან, ახასიათებს მთელ რიგ ენებს, პირველ რიგში სემიტურს (ძველ ებრაულს, არაბულს), ინდოევროპულთაგან — ბერძნულს, ინგლისურს, გერმანულს, რუსულს, ზოგიერთ კავკასურ ენასაც და სხვებს.

ქართულში ხმოვანთმონაცვლეობა შენიშნულია მოვედ—მოვიდა<sup>2</sup>სა და ე. წ. ფუძედრეკად (ა. შანიძის ტერმინოლოგიით გრეხილ) ზმნებში, როგორცაა: გრეხს—გრიხს, დრეკს—დრიკა და სხვ. თუ მოვედ—მოვიდა<sup>2</sup>ში, ამ ერთადერთ ზმნაში, სადაც I და II პირის ფუძე (მო-ვედ) განსხვავებულია III პირის ფუძისაგან (მო-ვიდ) ე და ი<sup>3</sup>ს მონაცვლეობით, ფუძის ფლექსია შეიძლება ავხსნათ ფონეტიკური პროცესით, სამაგიეროდ ჯერჯერობით გადაუჭრელი რჩება საკითხი ფუძედრეკად ზმნებში ხმოვანთმონაცვლეობისა. თუ ამ შემთხვევაში ე—ი<sup>3</sup>ს მონაცვლეობა გრამატიკული პროცესია და ეს ასხვავებს I და II სერის ფუძეებს ერთმანეთისაგან (გრეხს—გრიხს), მაშინ გაუგებარია, რა-

<sup>1</sup> Эдуард Сепир, Язык (რუს. თარგმანი), 1934, თავი V.





ტომაა -ი- I სერიის ენებითებში: ი-გრიხ-ება, ი-გლიჯ-ება... თუ ფონეტიკური პროცესია და ექვევა ი'დ მომდევნო ხმოვნის გავლენით (გრიხ-ა, გრიხ-ეს), მაშინაც გაუგებარია, რატომ არ ვრცელდება ეს პროცესი I სერიის ფუძეზე, რომელსაც ერთვის იმავე ხმოვნით დაწყებული სუფიქსი: გრეხ-ენ, გრეხ-ა, გრეხ-ილი... ერთი სიტყვით, ნათლად არ ჩანს, თუ რომელ პროცესთან გვაქვს აქ საქმე; ფონეტიკურთან თუ მორფოლოგიურთან.

მეგრულში მორფოლოგიური დანიშნულების ხმოვანთმონაცვლეობა უნდა გვკონდეს საერთო ძირის შქონე მოქმედებით და ენებით ზმნებსა თუ ნაზმწარ სახელებში, როგორცაა: შქირიტუა 'შრეტა' — შქირატუა 'შრტომა'... ყვეყვ-ერე 'პირშეშუპებული' — ყვიყვი-ინანს 'პირშეშუპებული ადამიანი იმ-ზირება, მოწყენილი გამოიყურება' — ყვაყვ-ირი 'ძალზე სველი'...<sup>1</sup>

სვანურში II ჯგუფის ზმნათა აქტიური და პასიური ფორმები გარჩეულია ერთმანეთისაგან აფიქსებთან ერთად ფუძის ფლექსიით:

დიგე 'აქრობს'	—	დეგნი 'ქრება'
ა-დიგ 'გააქრო'	—	ა-დჰგ (ა-დაგ) 'გაქრა'
კვიშე 'ტეხს'	—	კვეშნი 'ტყდება' და სხვა მრავალი

ასეა ნაზმწარ სახელებშიც:

ლი-კვიშე (-ი- ამოღებულია) 'ტეხა' — ლი-კვეშ 'ტყდომა'

ლნტ. ლგ-ჯიდ 'მოტანილი' — მე-ჯედ-ე 'შოსული' და სხვ.

აქ ყველგან ი გვაქვს მოქმედებითს ფორმებში, ხოლო ე — ენებითებში<sup>2</sup>. ირკვევა, რომ ხმოვანთმონაცვლეობა, როგორც მორფოლოგიური პროცესი, უცხო არ არის მეგრულ-სვანურისათვის.

ფუძის ფლექსიის მეორე სახეობა — თანხმოვანთმონაცვლეობა შედარებით ნაკლებადაა გავრცელებული საზოგადოდ. იგი გვხვდება ინგლისურში, კელტურ ენებში, ფულ ენაში (სუდანშია) და სხვ. მართალია, ქართულსა და მეგრულშიც შეინიშნება თანხმოვანთა შენაცვლება: ადეგ — ადექ, ჰყიდის — ხყიდის... კოჩეფი 'კაცები' — კოჩენს 'კაცებს'... მაგრამ ყველა ეს ფონეტიკური პროცესის შედეგია. ქართული და მეგრული ენები თანხმოვანთმონაცვლეობას, როგორც გრამატიკულ პროცესს, არ იცნობენ.

სვანურში თითხმეტიოდე ზმნა იცვლის ფუძისეულ რ'ს სხვადასხვა დრო-ისა და გვარის ფორმებში ნ'დ და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს თან-ხმოვანთმონაცვლეობა მორფოლოგიურ პროცესს წარმოადგენდეს; მაგ.: აყვრე 'წევს', მაგრამ აყვნე 'აწვენს'; ხამჭირ 'ეზარება', მაგრამ ხამჭინდა 'ეზარებოდა'... ვიდრე ამ მოვლენის ახსნას შევუდგებოდეთ, საჭიროა მოვიგონოთ მორფოლოგიური წარმოების ზოგიერთი წესი.

<sup>1</sup> ფუძედრეკად ზმნებს მეგრულში იკვლევს სტუდ. დავ. ქანტურია. მან ვრცელი მოხსენება წაიკითხა დასახელებულ ზმნათა შესახებ.

<sup>2</sup> ავტორის „ფონეტ. დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ II: „თბ. უნივ. მოამბე“, X, გვ. 295; სვანური ენა. I. ზმნა, გვ. 41 და სხვ.





1. გრძნობის გამოხატველ ზმნებს (verba sentiendi) ნამყოფს უწყვეტად აწარმოებს -გნ, ლშხ. -გნ სუფიქსი:

ხალატ, ლშხ. ხალატ 'უყვარს'—ხალტ-გნ, ლნტ. ხალატ-გნ,  
ლშხ. ხალტ-გნ 'უყვარდა'

ხზხად, ეცერ. ხზხად, ლშხ. ხახად 'უხარია'—ხზხად-გნ, ეცერ. ხზხდ-გნ,  
ლშხ. ხახად-გნ 'უხაროდა'...

2. ვნებითს II სერიაში ახასიათებს -ენ ბოლოსართი, რომელიც ნამყოფს უწყვეტილის III პირში იქცევა ბზ -ან, ეცერ. -ან, ბეჩ.ლნტ. -ან და ლშხ. -ან სახით:

ბზ.	ბქვ.	ლნტ.	ლშხ.	
ათშხი-ან	ოთშხი-ენ	ათშხი-ენ	ოთშხი-ენ	'დავიწვი'
ათშხი-ან	ათშხი-ენ	ათშხი-ენ	ეთშხი-ენ	'დაიწვი'
ადშხი-ან	ეცერ. ადშხი-ან	ბეჩ. ადშხი-ან	ედშხი-ან	'დაიწვა'

3. იძულებითს ფორმას ვიღებთ -უნ სუფიქსის მეშვეობით: ტიხე, ლშხ. ტეხე 'აბრუნებს'—ხა-ტხ-უნ-ე, ლშხ. ხა-ტხ-უნ-ე 'აბრუნებინებს; არწყევს, პირს აღმდინებს'... გარკვეულ პირობებში -უნ რედუცირდება და იღებს -ჟნ სახეს; წინამავალ წყვილბაგისმიერ ბგერასთან -ჟ- იკარგება და რჩება მარტო -ნ. ამ გზითაა მიღებული ბზ. ხამნე (ბქვ-ლნტ. ხამნე) 'აჭამა'. იგი წარმომდგაოია \* ხა-ე-მ-უნ-ე 'საგან'.

4. მათქმურებელი სუფიქსებია -ენ-, -ინ-, -გნ-, -ან-... მათი დართვით გარდაუვალი ზმნა გარდამავალი ხდება, ორპირიანი გარდამავალი გასაზნობრიანდება: ხაბჟა, ლნტ. ხაბაჟა 'ჰგონია'—ხს. ლშხ. ი-ბჟ-ენ-ი 'იგებს'... ხოყიბ 'სცალია'—ი-ყბ-ინ-ე, ლნტ. ი-ყბ-|ინ-ე 'იცილის'... ბზ. ი-გზ-ინლ 'იხმორება'—ა-გზ-გნ-ე 'ჭიმავეს'... მგცხი 'სიცივე'—ბზ. ლი-მცხ-ან-ე 'გაცივება', გად-ან 'ვალი'—ლი-გდ-ან-ე 'ვალება' (მღრ. ხა-გად 'მართებს')<sup>1</sup>...

ყველა აქ დასახელებული ბოლოსართი თავის გამოხატულებას პოვებს -რ მონაცვლე ზმნებში; სახელდობრ:

1. გრძნობის გამოხატველი თუ სხვა მნიშვნელობის ზმნები ბოლოკიდურ -რ'ს ნამყოფს უწყვეტელში ცვლიან -ნ'თი:


ხოშგურ, ლნტ. ხოშკურ 'რცხენია'—ხოშგუნ-და, ლნტ. ხოშკუნ-და  
(|| ხოშკურ-და), ლშხ. ხოშგუნ-და 'რცხენოდა'  
ხამპირ, ლნტ. ხამპირ 'ეზარება'—ხამპინდა, ლშხ. ხამპინ-და,  
ლნტ. ხამპინ-და 'ეზარებოდა'  
ხაჟარ, ლშხ. ხაჟარ 'სწყინდება'—ხაჟან-და, ლშხ. ხაჟან-და 'სწყინდებოდა'  
ხოჟირ 'ეცოდება'—ხოჟინ-და, ლნტ. ხოჟენ-და, ლშხ. ხოჟენ-და<sup>2</sup> 'ეცოდებოდა'

<sup>1</sup> სვანური ენა. I. ზმნა, გვ. 85, 94; 199; 239; 241—2.  
<sup>2</sup> ამ ზმნებს ნამყოფს უწყვეტელის ფუძე გადაჰყვებათ კავშირებით I-ში და II სერიის დრო-კილოებში (ბზ. ხოშგუნ-დენდს 'რცხენოდეს', ხს. ლოხ-შგუნ-და 'შერცხვა'...).









მაგრამ ეს სხვაობები გამოწვეულია მანქტიურებელი -ინ-, -ენ-ს სუფიქსებით. მართლაც:

-ინ- ბოლოსართითაა ნაწარმოები ლიყვენ (← \* ლი-ყვ-ინ-ე). ამას ადასტურებს აყენე, სადაც ა გამოწვეულია ამოდებული -ი-ს მიერ (\* ა-ყვინ-ე); -ინ- კი სრულად შემონახულია წინდებულის ფორმებში: ბზ. ლშხ. ად-ყვინ-ნე, ლნტ. ჩვად-ა-ყვინ-ი 'დააწვენს'; ჩვად-ყვინ-ე ← ლნტ. ჩვად-ა-ყვინ-ე 'დააწვინა' (მდრ. ბზ. ჩვადყურ-და, ლშხ. ჩვადყურ-და ← ლნტ. ჩვადყურ-და, ლხმ. ჩვადყურ-ა 'დაწვა').

-ენ- სუფიქსი აწარმოებს ათნე და იღვენე ზმნებს და ამით ასხვავებს მათ თერა და ღვარა საგან. -ენ- კარგად არის დაცული პრევერბიან ფორმებსა და ლენტეხურის აწმყოში: ლნტ. ათენე 'აჩენს; ამხილებს'; ზს. ლშხ. ან-თენ-ე 'აჩინა; ამხილა; დაბადა'; ბზ. ლშხ. ლობთენ-ნე 'მიუჩენს'; ბზ. ან-თენ-ი, ბქვ. ან-თენ-ისგ 'დაბადებს; გამოაჩენს'... ასევეა: ბზ. ად-ღვენ-ე (ლხმ. ად-ღონ-ე) 'დაიფიცა', ლშხ. ად-ღვენ-ე 'დააფიცა'; ბზ. ად-ღვენ-ი, ლხმ. ად-ღენ-ისგ 'დაიფიცებს' და სხვ.

-გნ- ბოლოსართი უნდა გვეკონდეს ბზ. ლშხ. ლითონე'ში 'სწავლება; ჩვენება', რომელიც უპირისპირდება ლითონი'ს 'სწავლა':

ზს. ლშხ. ითონი 'სწავლობს', ხათონი 'ასწავლის' — ხათონე 'უჩვენებს' ბზ. ან-თენი (← \* ან-ი-თონ-ე) 'ისწავლა' — ან-თენე || ან-თონ-ე 'ასწავლა' უკანასკნელი თონ წარმომდგარი უნდა იყოს თონ + გნ-ისაგან; ოს სიგრძე ო დ გ-ს შერწყმით აიხსნება.

-ან- საწარმოებელ ელემენტს შეიცავენ ბზ. ლშხ. ლი-კვანე 'სროლა' და ლიმშვანე 'გასტუმრება', რომელთაგან ნაწარმოებ ფორმებს შეიძლება დავუპირისპიროთ -ან-ის უქონელი შემთხვევები:

ლშხ. ხაკვარა, ზს. ხაკვრა 'აგდია'; ზს. იკერი 'იგდება' — ბზ. ლშხ. აკვანე 'აგდებს, ისერის'; ბზ. ადკვანე, ბქვ. ადკვანე, ლშხ. ადკვანე 'გაისერის' და სხვ.

(II და III სერიებში -ან- არ გადაჰყვება: ზს. ადკვარ, ლშხ. ადკვარ 'ისროლა'; ხოკვრა 'უსერია' და სხვ.).

ლშხ. ხემშვარ, ზს. ხემშვარ 'ესტუმრება' — ბზ. ლშხ. იმშგვანე, ლხმ. იმშგვანი 'ესტუმრებს' (ვალს...);

ბზ. ლან-მუშგვარ-ან, ლშხ. ლან-მუშგვარ-ან 'ესტუმრა' — ბზ. ად-მუშგვან-ე, ლშხ. ედ-მუშგვან-ე 'გაისტუმრა' და სხვ.

ასეთივე ბოლოსართული წარმოებითი მონაცვლეობა უნდა იყოს ზს. ლინ-წირ, ლშხ. ლიმწირ და ბზ. ლშხ. ლინწეს ('მოხრება') შორის. აწმყოს წრეში -რ-ს შემკველი ფორმებია, მყოფადის წრესა და სხვა დროებში -წარინაია: ზს. ხაწრე || ბზ. ხენწირ (ლშხ. ხაწრე || ხემწირ) 'ერევა' — მყოფადში: ბზ. ან-წინ-ი, ლშხ. ენ-წინ-ი, ლხმ. ათ-წინ-ი 'მოერევა' და სხვ.

ყველა ზემოდასახელებულ თოთხმეტობედ მაგალითში ერთი შეხედვით ჩანს რ და ნ ს მონაცვლეობა და ეს თანხმოვანთ მონაცვლეობა თითქოს შეიძლებოდა გრამატიკულ პროცესად წარმოგვედგინა, მაგრამ სინამდვილეში ირკვევა, რომ საქმე





გვაქვს საწარმოებელ ფორმანტთა დართვასთან და ფუძისებულ დაქარგვასთან, სახელდობრ:

ლმხ. ხომგუნ-და	← * ხომგურ +უნ-და	'რცხვენოდა'
„ ადგან-და	← * ადაგ[არ]+ან-და	'მოკვდა'
ათენე	← * ა-თ[გრ]+უნ-ე	'ასმევს'
იმშგვანე	← * ი-მუშგვ[არ]+ან-ე	'ისტუმრებს'
(ნაწარმოებია სახელისაგან * მუშგვარი → მუშგვრი 'სტუმარი')		
აკვანე	← * ა-კე[არ]+ან-ე	'ისვრის' და სხვა

ეს მოსაზრება გამოთქმული გვქონდა „სევანურ ენაში“<sup>1</sup> სავარაუდოდ. ფორმათა ანალიზმა, საწარმოებელ სუფიქსთა ფუნქციის გამორკვევამ ნათელყო, რომ ვარაუდი სწორია.

დასკვნა. 1. სევანურს თოთხმეტიოდე ზმნაში რ და ნ'ს მონაცვლეობა მოჩვენებითია; ამდენად მას გრამატიკულ პროცესად ვერ მივიჩნევთ. საერთოდ ფუძის ფლექსიის ერთი სახეობა—თანხმოვანთმონაცვლეობა ქართველურ ენათაფვის უცხოა, მეორე სახეობა—ხმოვანთმონაცვლეობა კი სევანურსა და მეგრულში უდაოა, ქართულში—დასამტკიცებელია.

2. რ'სა და ნ'ს ეს მოჩვენებითი მონაცვლეობა წარმომდგარია -ნ-ელემენტთან ბოლოსართთა დართვით და ფუძისეული -რ'ს დაქარგვით. დართულია სუფიქსები—ნამყო უწყვეტელისა -უნ- (ხამკინ-და), ვნებითისა -ენ- (ადგენ-ს), კაუზატივისა -უნ- (ათვენე), მათქმეობისა -ინ- (ადყვინე), -ენ- (ანთენე), -უნ- (ხათონე) და -ან- (ვდმუშგვანე).

3. რ'ს დაქარგვა ფონეტიკური პროცესია, თუ საწარმოებელ აფიქსთა შენაცვლებით გამოწვეული, გამოსარკვევია. ზოგიერთი მაგალითის მიხედვით ჩანს, რომ დაქარგული რ ხმოვნითურთ ძირის კუთვნილებას არ წარმოადგენს და ამდენად საკითხი თითქოს წყდება აფიქსთა შენაცვლების სასარგებლოდ.



В. Топурия


## К вопросу о чередовании согласных R и N в сванских глаголах

### Резюме

1. В 14 сванских глаголах обнаруживается чередование согласных *r* и *n* в качестве грамматического процесса (აყვრე აყვრე ზღვრე—აყვნე აყვნე укладывает; ადგარ ადგარ ადგან ადგან умер...), но это явление кажущееся. Вообще, картвельские языки не знают внутреннего изменения согласных, тогда как перегласовка (чередование гласных) свойственна сванскому и мегрельскому языкам.

2. Кажущееся чередование согласных получено путем прибавления к глаголам суффиксов -გნ- -ჰნ-, -გნ- -ჰნ-, -გნ- -ჰნ-, -გნ- -ჰნ- или -გნ- -ჰნ- и исчезновения исходного -რ -r (напр., ხომგურ + -გნ-და ხოგურ + -ჰნ-და → ხომგურ[რ]-და ხოგურ[რ]-და ему было стыдно и. т. д.).






6. ჯანაშია


**კონსტანტინე კოროპოვნიძის ცნობები  
 ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ**

ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონების შესახებ თხრობას კონსტანტინე იწყებს თავისი თხზულების, „ერთათვის“, მე-45 თავში, რომელიც იწერება თვით ტექსტში ჩართული ქრონოლოგიური ჩვენების თანახმად, მე-10 ინდიქტს 6460 წელს „დასაბამიდან სოფლისა“, ე. ი. 952 წელს ახ. წ. აქ ავტორს მოცემული აქვს დასახელებული ბაგრატიონების გენეალოგია, მოყვანილი აშოტის-ძე ადარნასემდის, რომელსაც კუროპალატობა მიუღია რომეების კეისრის ლეონისაგან (ლეონ VI, ბრძენი, 886—912 წწ.). მთლიანი სახით ამ ადარნასე კუროპალატის გენეალოგია, პორფიროგენეტის თხრობაში წარმოდგენილი, ასეთია:



რომ ადარნასეს წინაპრების შესახებ კონსტანტინეს ცუდი ცნობები ჰქონდა, ეს მის მიერ მოცემული ამ პირთა ქრონოლოგიიდანაც ჩანს. საგვარეულოს მამათმთავარი დავითი და მისი ძმა სპანდიატი იერუსალიმიდან გადმოსახლდნენ სომხეთსა და საქართველოში, კონსტანტინეს მტკიცებით, 400 თუ 500 წლით ადრე მის დრომდე, ესე იგი, ავტორის მიერვე მოცემული თარიღით, 952 წლამდე. მაშასადამე, გადმოსახლება მომხდარა მეხუთე თუ მეექვსე საუკუნის შუა წლებში. ამ მტკიცებას სავსებით ეწინააღმდეგება კონსტანტინესვე ცნობა, ამავე თხრობაში ჩართული, რომ დავითი და სპანდიატი ჰერაკლე კეისრის მოკავშირენი იყვნენ და სწორედ ჰერაკლეს ანტიირანულ ლაშქრობათა წყალობით გაძლიერდნენ, ე. ი., რომ ეს ძმები მეშვიდე საუკუნის დამდეგის პირები იყვნენ. თუნდაც ეს უკანასკნელი პერიოდი მივიჩნიოთ დავითისა და სპანდიატის ცხოვ-





რების ნამდვილ ხანად, მაინც დაუჯერებელია, რომ მეშვიდე საუკუნის განმავლობიდან მეცხრე საუკუნის დამლევამდე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს შორის ოთხი თაობა მოეცათ! ნამდვილად, ადარნასეს წინამორბედი და წინაპარი სამი თაობა, როგორც ვიცით, მარტოოდენ მეცხრე საუკუნის სიგრძეზე თავსდება! ამიტომ ტყუილად აბრკოლებდათ მკვლევრებს კონსტანტინეს შემცდარი ცნობა, თითქოს ადარნასე კუროპალატი აშოტის შვილი ყოფილიყოს (ამ შეცდომის მიღების გამო ბროსე და მარკვარტი ვერ ახერხებდნენ დასახელებული ადარნასეს პიროვნების გარკვევას). არაფერია გასაკვირველი იმაში, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტს არ სცოდნოდა ადარნასე კუროპალატის მამის ნამდვილი სახელი. მაგრამ შესაძლებელია მოცემულ გენეალოგიურ შტოში ერთი შემთხვევითი ხასიათის შეცდომა ვივარაუდოთ, სახელდობრ, რომ სიის პირველსა და მესამე პირებს, რაღაც მიზეზით, ადგილები აქვთ შეცვლილი, და მაშინ ადარნასეს გენეალოგია აღდგება შემდეგი სახით, რომელიც საუსებთეთიანხმება ქართულ ცნობებს (იერუსალიმიდან გადმოსახლების ამბავი მთლად ზღაპარია და აქ ანგარიშგასაწევი არ არის):

აშოტ  
|  
ბაგრატ  
|  
დავით  
|  
ადარნასე

ასე აღდგენილი სია ივსება კონსტანტინეს შემდგომი, უკვე მართებული, ცნობებით, რომელიც უმთავრესად მის თანამედროვე ბაგრატიონებს ეხება და იმავე თხზულების მე-46 თავშია მოცემული.

ეს გენეალოგიური ჩვენებები ქვემოთ იქნება განმარტებული, სადაც განხილული იქნება კონსტანტინე პორფიროგენეტის სხვა რეალურ-ისტორიული ცნობები, რომლებიც ჩვენ არსებითად გვაინტერესებს.

მე-46 თავში, პირველი აბზაციდანვე, კონსტანტინე მოგვითხრობს ერთს უაღრესად საყურადღებო ეპიზოდს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ცხოვრებიდან. რადგანაც ამ მოთხრობაში ცალკე დეტალების გარკვევას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ჩვენ მთლიანად გადმოვცემთ აქ კონსტანტინეს მოთხრობას.

\* \* \*

სუმბატ დიდს, იბერს (ქართველს), ჰყავდა შვილები პანკრატი და დავით მამფალი<sup>1</sup>. პანკრატს ერგო მემკვიდრეობად (εις κληρονομίαν) ადრანუჩე (არტანუჯი), ხოლო დავითს—სხვა ქვეყანა (ადგილ-მამული? ჯაქა). პანკრატს ჰყავდა სამი ძე—ადრანასერი, კურკენი და პატრიკიოზი ასოტი ანუ კისკასი. პანკრატმა გაუყო მათ (διεμέρισεν αὐτοῖς) თავისი ქვეყანა (მამული) და კურკენს ერგო

<sup>1</sup> ტექსტში, ამ ადგილას, „მამფალი“ წარმოდგენილია როგორც მესამე შვილის სახელი. მაგრამ რომ ეს შეცდომაა, ჩანს ავტორისავე შემდგომი ცნობებიდან.



ადრანუჩე. რაკი კურკენი უშვილოდ (*ἄτεχνον*) გადადიოდა (კედებოდა) <sup>კურკენული</sup> (ე. ი. არტანუჯი) დაუტოვა თავის ძმას, ასოტის ანუ კისკასის. უკანასკნელმა სიძედ აირჩია მაგისტროსი კურკენი, რომელმაც, მიაღწია რა ხელისუფლებას (*δυναστεύσας*), ძალით (*ἄσχετον*) წაართვა თავის სიმამრს, ასოტის, ადრანუჩე, და მის მაგიერ მისცა მას „ტიროკასტრონი“ (სიტყვა-სიტყვით — „ყველი-ცინე“) და მდინარე „აჩარას“ (თუ „აჭარას“) ხეობა, რომელიც ესაზღვრება „რომანიას“ (ე. ი. ბიზანტიის იმპერიას) კოლორისთან. პატრიკიოზს ასოტის ანუ კისკასის ცოლად ჰყავდა აბასგის მთავრის (ექსუზიასტის), მაგისტროს გიორგის, და როცა მაგისტროსი კურკენი და მაგისტროსი გიორგი, აბასგის ექსუზიასტე, წაიჩხუბნენ, კურკენიმ, იმის გამო რომ პატრიკიოზი ასოტი აბასგის ექსუზიასტესთან კავშირში იმყოფებოდა, სძლია მას (ე. ი. აშოტს), წაართვა ისიც, რაც ადრანუჩეს ნაცვლად ჰქონდა მისთვის მიცემული და გააგდო კიდევაც. (ასოტი) წავიდა აბასგიაში. ხოლო როცა გარდაიცვალა მაგისტროსი კურკენი, ადრანუჩე ერგო (*ἄσχετον*) მის ცოლს, პატრიკიოზ ასოტ-კისკასის ასულს, როგორც მისი „მამული“ (*δὲ πατρίας*). მაგრამ როცა მაგისტროს კურკენის ქვეყანას იარაღით (*μὲν ἔπαιον*) იყოფდნენ კუროპალატი ასოტი, გიორგი, აბაზგის მთავარი (ექსუზიასტე), და მაგისტროსი პანკრათი, მოხსენებულ კუროპალატის ძმა, ისინი შეუთანხმდნენ ერთმანეთს და თითოეულმა აიღო თავისთან ახლო მდებარე წილი მიწაწყლისა. ადრანუჩე ახლოს იღო სუმბატის მამულთან, იმ სუმბატისა, რომელიც ზემოთდასახელებულ დავითის ძე იყო. მაშინ ამათ ყველამ შეიპყრეს მაგისტროს კურკენის ცოლი, პატრიკიოზ ასოტი-კისკასის ასული, და უთხრეს მას: „შენ, როგორც ქალს, არ შეგიძლია ჰფლობდე ცინეს“ (*ἀρχαίως δὲ τὸ πῦρ ὄψα ὅν ἔσασα: ἄσχετον τὸ ἀσχετον*). სუმბატმა მისცა ქალს ამ ციხის სანაცვლოდ სოფლები (*ἄσχετον*), თვითონ კი აიღო ციხე ადრანუჩე.

საცოდნელია, რომ ამ იბერების (ქართველების) ნათესაობა ასეთია: დავითისა და ადრანასე კუროპალატის, აწინდელ<sup>1</sup> კუროპალატის ასოტის მამის, დედები, ორი ძმის ასულნი იყვნენ, ე. ი. ბიძაშვილებად მოხვედებოდნენ ერთმანეთს. ხოლო სუმბატს დავითის ძეს ცოლად ჰყავდა ასული მაგისტროს პანკრატისა, აწინდელ მაგისტროსის ადრანასის მამისა. როცა ეს ქალი გარდაიცვალა, ადრანასიმ შეირთო სუმბატ დავითის ძის და.

შემდეგ კონსტანტინეს მოთხრობილი აქვს კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც აღწერილ ამბებს ქრონოლოგიურად წინ უსწრებს და თავისი ხასიათითაც რამდენადმე თავისებურია. მაგრამ რადგანაც ამ ეპიზოდის შინაარსი ჩვენი თვალსაზრისით საყურადღებო მასალას შეიცავს და ზემოთმოცემული ცნობის განმარტებისათვის აგრეთვე მიუცილებელია, ჩვენ ვარჩევთ აქვე მოვათავსოთ ბორფიროგენეტის ეს მოთხრობაც. ავტორი ჯერ ქ. არტანუჯს ახასიათებს,

1 *ἀρχαίως*: ამ სიტყვას ზოგი მთარგმნელი (ლასკინი, ჰანი) გადმოსცემს, როგორც „ოდესღაც“, „წინანდელი“ (მაგ., ლასკინი: „некогда“). ასეთი მნიშვნელობა მას მართლაც აქვს. მაგრამ აქ უეჭველია, იგი ნახმარია თავისი მეორე აზრით — „უცხაბან“: „აწინდელი“, როგორც სამართლიანად განმარტავენ ბოროსე და მარკვარტი. ისტორიულად ტექსტის სწორედ ასეთი გაგებაა აუცილებელი.





თითქოს იმის ასახსნელად, თუ რატომ იბრძოდნენ ამ ქალაქისათვის გამოდებით.

ციხე აღრანუჩი, — ამბობს იგი, — ძალიან არის გამაგრებული და როგორც დედაქალაქს („ქვეყნის ქალაქს“, *χώραρχος*), მას დიდი რაბადი აქვს. აქ მოდის საქონელი ტრაპეზუნტიდან, იბერიიდან, აბაზგიიდან, არმენიის მთელი ქვეყნიდან და სირიიდან. ამ სპქონლით აქ მეტად დიდ ვაჭრობას აწარმოებენ.

ციხე აღრანუჩის ქვეყანა ანუ „არზენ“<sup>1</sup> ვრცელია და ნაყოფიერი და წარმოადგენს კლიტეს (გასალებს) იბერიისა, აბაზგიისა და მისხიების (მოსხიების) ქვეყნისათვის.

ნეტარხსენებულმა იმპერატორმა პატრონმა რომანოზმა გაგზავნა პატრიკიოზი და ფლოტის დრუნგარი... კონსტანტი და გაატანა სამაგისტროსო მოსახსნამი (*μαχάριον μαχαιοδράχου*), რათა მაგისტროსად აეზევებინა (დაედგინა) კურკენი იბერი. (ნიკომიდიასი კონსტანტი ხვდება ვინმე ბერს, ავაპიოსს), რომელიც მაშინ, აღთქმის თანახმად, წმინდა ქალაქში მიდიოდა და იბერიაზე გავლით ციხე აღრანუჩისაკენ ყოფილიყო. პატრიკიოზმა ასოტი-კისკასიმ, რომელსაც მტრობა ჰქონდა თავის სიძესთან, კურკენისთან, უთხრა ავაპიოს ბერს: „გაფიცებ ღმერთსა და პატიოსნისა და ცხოველყოფელი ჯვრის ძალას, წადი დედაქალაქში და უთხარი მეფეს, რათა გამოგზავნოს ვინმე, მიიღოს ჩემი ციხე და თავისი ხელისუფლების ქვეშ (*ὑπὸ τοῦ ἐξουσιαίου*) იქონიოს“. (ბერმა შეასრულა ამოტის დავალება). როცა... კონსტანტი ნიკომიდიასი იმყოფებოდა დასახლებული დავალების შესასრულებლად კურკენი იბერის მაგისტროსად განწყობის შესახებ, (მან მეფის ერთი მოხელისგან მიიღო წერილი შემდეგი შინაარსისა): „ჩვენი წმინდა მეფე გიბრძანებს თავი დაანებო ყველა შენს დავალებას და დაუყოვნებლივ წახვიდე პატრიკიოზ ასოტისთან, რომელიც კისკასადაც იწოდება, და მიიღო მისგან მისი ციხე აღრანუჩი, რადგანაც მან ავაპიოს ბერის პირით გამოუცხადა მის უდიდებულესობას, ჩვენს წმინდა მეფეს, რათა ამას გაეგზავნა ვინმე თავის ერთგულ კაცთაგანი, და მიეღო მისგან (ე. ი. ამოტისაგან) მისი ციხე აღრანუჩი. როცა ქალდიასი ჩახვალ, აიყვანე ვინმე ვარგისი არქონტები, რომელთაც გაბედულ და ერთგულ ხალხად მიიჩნევ, შედი და დაიპყარ ეგ ციხე“. (კონსტანტიმ წაიყვანა ქალდიიდან ტურმარქები, არქონტები, და სამასამდე მეომარი) და ჩავიდა იბერიაში. აქ იგი შეაჩერა ნეტარხსენებულმა დავითმა, აწინდელ (*ἀπέναντι*) კუროპალატ ასოტის ძმამ, და უთხრა: „საით გაუგზავნიხარ მეფეს, ან რა დავალებას ასრულებ, რომ ამოდენა ხალხი მოგიყვანია თან?“

მათ ეწინოდათ, რომ, აღრანასი კუროპალატის სიკვდილის გამო, მეფეს კუროპალატად როგორმე არ აეზევებინა კურკენი, რადგანაც ამ დროს აღრანასი კუროპალატის შვილებს, თავისი მამის სიკვდილის შემდეგ, უთანხმოება ჰქონდათ თავის ბიძაშვილთან. კურკენიმ თავისი უმაღლესი მსახური გაუგზავნა

<sup>1</sup> ბროსეს განმარტებით, *Additions et éclaircissements*, p. 149, n. 6, აქ არაბული სიტყვა („ქვეყანა“, „მიწა“) გვაქვს მოცემული. ჩვენ კი გვგონია, რომ „არზენ“ არის „კლარჯეთის“ დამახინჯება — არტანუჯი კლარჯეთის დედაქალაქი იყო.



მეფეს, მდიდარი საჩუქრებით, რათა გამოეთხოვა მისგან კუროპალატობა ან მაგისტროსობა. ამიტომ ამ ოთხმა ძმამ, ადრანასი, კუროპალატის შეილებმა, ეჭვი აიღეს, რომ ის (კონსტანტი) მოვიდა კურკენისათვის კუროპალატობის მისაცემად. მაგრამ კონსტანტი პატრიკიოზმა უპასუხა, რომ იგი მოვიდა ამოდენა ხალხით კურკენისათვის მაგისტროსობის მისაცემად და რომ, ამის შესრულების შემდეგ, იგი დავით მაგისტროსთანაც მივა. კონსტანტი პატრიკიოზს დავითთანაც ჰქონდა მეფის დავალება და საჩუქრები.

ამრიგად კონსტანტი პატრიკიოზი მივიდა კურკენის ქვეყანაში და მიანიჭა მას მაგისტროსის პატივი. შემდეგ შევიდა პატრიკიოზ ასოტი-კისკასის ციხეში, ადრანუში, და გადასცა ასოტის მეფის სიტყვები არა ადრანუხის შესახებ, არამედ სხვა საქმეების გამო. კონსტანტი პატრიკიოზმა უთხრა მას: თუმცა ეს ბრძანება სრულებით არ ეხება ციხე ადრანუხს, მაგრამ რადგანაც ავაპიოს ბერი მოვიდა მეფესთან და გადასცა მას შენი განზრახვა ციხე ადრანუხის შესახებ, ამიტომ (მეფემ) გამომგზავნა, რათა მივიღო ციხე და ჩავაყენო შიგ მოყვანილი ჯარი“. როგორც ნათქვამი იყო, პატრიკიოზს ასოტი-კისკასის მტრობა ჰქონდა თავის სიძესთან, კურკენისთან, და ასოტმა უმჯობესად მიიჩნია თავისი ციხის მეფისათვის გადაცემა. კონსტანტი პატრიკიოზს თან ჰქონდა ალამი (ფლაჰოსა) და გადასცა იგი პატრიკიოზს ასოტი-კისკასის. უკანასკნელმა დაამაგრა ალამი ბუნზე და დაუბრუნა იგი კონსტანტი პატრიკიოზს შემდეგი სიტყვებით: „აღმართე კედელზე, რათა ყველამ იცოდეს, რომ დღეიდან ეს ციხე მეფეს ეკუთვნის“. კონსტანტი პატრიკიოზიც ასე მოიქცა, დროშა აღმართა კედელზე და, ჩვეულების თანახმად, რომეების მეფეთათვის სათანადო წარსატქმელი შეასრულა და ამით ყველას აცნობა, რომ პატრიკიოზმა ასოტი-კისკასიმ ციხე ადრანუხი მეფეს გადასცა (მიუძღვნა). ხოლო დავით დიდმა თავისი ქვეყანა არ მისცა მეფეს, თუმცა იგი აკამფსისისა და მურღულის ოლქებს ესაზღვრება. კონსტანტი პატრიკიოზმა ორი მოხსენებით აცნობა მეფეს: ჯერ (პირველით)—კურკენისათვის მაგისტროსობის გადაცემისა და იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო კურკენიმ მაგისტროსობა და როგორ შეასრულა სათანადო წარსატქმელი მეფისათვის, ხოლო შემდეგ (მეორე მოხსენებით)—იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო ციხე ადრანუხი პატრიკიოზ ასოტი-კისკასისაგან და როგორი ძლიერი უთანხმოება და მტრობა აქვს ასოტი პატრიკიოზს თავის სიძესთან, კურკენი მაგისტროსთან. (იგი სთხოვდა) აგრეთვე მეფეს ჯარის მოშველებას ამ ციხის დასაცავად, და აგრეთვე, თუ შესაძლებელია, სქოლების დომესტიკის გამოგზავნასაც.

როცა ეს გაიგეს, იბერებმა კურკენი მაგისტროსმა და დავით მაგისტროსმა, ასოტი კუროპალატის ძმამ, მეფეს მისწერეს: „თუ მეფობა შენი ამას ჩადის და ჩვენი ქვეყნის (მამულის) შუაგულში შემოდის, მაშინ ჩვენ შენი მეფობის სამსახურიდან (არქ. მისაღთაჲ) გამოვდივართ. ჩვენ სარკინოზებს შევეუერთდებით, იძულებული ვიქნებით ვებრძოლოთ და ვეომოთ რომეებს და ჯარით თავს დავესხათ ადრანუხს, მის ქვეყანასა და თვით რომანიასაც (ბიზანტიას)“. როცა მეფემ ეს ამბავი შეიტყო დასახლებული არქონტების წერილებიდან და თავის მიერ წარგზავნილი კაცებისაგან, შეეშინდა, მართლაც არ შეერთებოდნენ ისინი სარკინოზებს და სპარსეთის ლაშქარი არ შემოეყვანათ რომანიაში, გადა-





თქვა (თავისი მონაწილეობა ამ საქმეში, დაამშვიდა ქართველი მთავრები კონსტანტის საყვედურისა და მუქარის წერილი გაუგზავნა): „ვისი განკარგულებით ჩაიდინე შენ ეგ საქმე? სჯობს გამოხვიდე ციხიდან, წამოიყვანე თან განსვენებული ადრანასი კუროპალატის ძე ასოტი და მოიყვანე იგი აქ, რათა პატრივი ვსკეთ მას მამისეული კუროპალატობის წოდებით“ (τῆν τὴν πατρὸς ἀδελφὸν τὸν καίσαρα πλάττω). ამის მიღების შემდეგ, კონსტანტი პატრიკიოზმა დასტოვა პატრიკიოზი ასოტი-კისკასი მის ციხე-ქალაქ ადრანუში, თითონ კი გამოვიდა იქიდან, წავიდა დავით დიდთან და გადასცა მას ბრძანება, რომელიც მის შესახებ ჰქონდა, და დაბრუნდა. იგი შევიდა იბერიაში და ნახა, რომ იქ, იმავე საქმის გამო, შეკრებილიყვნენ კურკენი მაგისტროსი და დავით მაგისტროსი, ასოტი კუროპალატის ძმა. ამათ კიცხვა და ლანძღვა დაუწყეს კონსტანტი პატრიკიოზს და ეუბნებოდნენ მას: „შენ გულჩახვეული და ბოროტი კაცი ხარ, არ გვაცნობე, რომ გინდა ციხე ადრანუშის დაპყრობა და რომ იგი მეფის უფლებას უნდა დაექვემდებაროს. ჩვენ ამის გამო მოვასხენეთ მეფეს და პასუხად მივიღეთ, რომ მეფემ ამის შესახებ არაფერი არ იცის, არამედ შენ ყოველივე ეს პატრიკიოზ ასოტი-კისკასის ხათრით ჩაიდინე“. ხოლო კონსტანტი პატრიკიოზმა უთხრა მათ, რაც საჭირო იყო თავის გასამართლებლად და წაიყვანა თან ასოტი, ადრანასე კუროპალატის ძე, და ჩაიყვანა იგი დედაქალაქში, სადაც მას მეფემ კუროპალატობა მიანიჭა<sup>1</sup>.

კონსტანტინეს ცნობების გამოყენებისათვის წინასწარ პირობას წარმოადგენს მათი ქრონოლოგიური და რეალურ-ისტორიული განსაზღვრა. ეს თხრობა დიდი ხანია რაც საქართველოს ისტორიის მკვლევართათვის ცნობილია და მათ მიერვე მოცემულაა ცდა დასახელებულ პირთა ვინაობისა და სათანადო დროის განსაზღვრისათვის. ბევრი რამ ამ მხრივ ნათელია და სიძნელესაც არ შეიცავს. ძირითადი მითითებები თვით ავტორს აქვს მოცემული.

განსაკუთრებით დაწვრილებით შეჩერდნენ ამ საკითხზე აკად. მ. ბროსე და ი. მარკვარტი, თავიანთ ზემოთდასახელებულ ნაშრომებში. აღსანიშნავია, რომ ეს მკვლევარნი არა ხელსაყრელ პირობებში იმყოფებოდნენ იმ მხრივ, რომ მათ მხოლოდ „შევსებული ქართლის ცხოვრების“ ცნობები ჰქონდათ და მარიამისეული ნუსხისათვის ჯერ კიდევ ხელი არ მიუწვდებოდათ. ნაწილობრივ, მათი შეკვლოები ამ გარემოებითაც აიხსნება.

ყველაზე მარტივია ადრანასე კუროპალატისა, მისი შვილებისა (რომელთაგანაც კონსტანტინე პორფიროგენეტი ასახელებს აშოტ კუროპალატს, ბაგრატ

<sup>1</sup> Constantinus Porphyrogenitus, De thematibus et De administrando imperio (Corpus scriptorum historiae Byzantinae), Bonnae, 1840, Cap. 45, 46, p. 197—214. თარგმანები: ფრანგული: მ. ბროსესი, Additions et éclaircissements à l'Histoire de la Géorgie, S.-P., 1851, pp. 139—140, 144—152; რუსული: Ган, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, ч. II, стр. 13—14, 25—37; Г. Ласкин, Сочинения К. Багрянородного: „О фемах“ и „О народах“, М. 1899, стр. 162—172; Известия Гос. Академии истории материальной культуры, вып. 91, М.-Л., 1934, стр. 27—34. —იხ. აგრეთვე Marquart, Osteuropäische und ostasiatische Streifzüge, Leipzig 1908, S. 176—184, 425—436.



მაგისტროსსა და დავით მაგისტროსს)<sup>1</sup> და შვილიშვილების<sup>2</sup> ვინაობას აღრანასე კუროპალატი, რა თქმა უნდა, არის ადარნასე, დავით კუროპალატის ძე, კარგად ცნობილი ქართული და სომეხური წყაროებითაც. ის გარემოება, რომ კონსტანტინე მას მხოლოდ „კუროპალატობით“ იხსენიებს, ხოლო საგვარეულო მემკვიდრეობა, სუმბატ დავითის-ძე, მხოლოდ „ქართველთა მეფის“ ტიტულით, ასეთ გაიგივებას არ ეწინააღმდეგება<sup>3</sup>. ის ცნობილი ამბავი, რომ ადარნასემ პირველმა, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის, მიიღო „ქართველთა მეფის“ ტიტული, ჩვენ სხვაგან გვაქვს განხილული.

ამ „მეფობის“ გაჩენა, ასეთი გრძელი პაუზის შემდეგ (მეფობის მოსპობიდან ქართლში მეექვსე საუკუნის ოციან წლებში), თავისთავად ძალიან საინტერესო და მაჩვენებელი მოვლენაა. მაგრამ იგი სრულიადაც არ მოასწავებდა ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის დამკვიდრებული იერარქიული წესის შეცვლას. „მეფის“ გამარჯვებას „კუროპალატზე“, ეს გარემოება არც იმის მოასწავებელი იყო, რომ თვით ადარნასემ ხელი აიღო „მამისეული“ (პორფიროგენეტის ტერმინი რომ ვინმაროთ) კუროპალატობის პატივზე. პირიქით, უნდა ვიფიქროთ, რომ ამ პატივის მოპოება მისთვის სანუკვარ მიზანს შეადგენდა. ადარნასეს მიმართ ეს ან რა გასაკვირი უნდა იყოს, როცა ორი საუკუნის შემდეგაც კუროპალატობას ეძებდნენ „მეფეთა-მეფე“ გურგენი, მისი შვილი, თითქმის საქართველოს უდიდესი ნაწილის მფლობელი, ბაგრატი და მათი მემკვიდრეები. ამიტომ არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ გურგენ კუროპალატის, რომელმაც „მამისეული“ პატივი წაართვა ბაგრატის შთამომავლობას, და ადარნასეს ბრძოლა მარტო მამულის გარშემო კი არ წარმოებდა (რაზედაც სხვა-

<sup>1</sup> ქართული წყაროებით, მას მეოთხე შვილიც ჰყავდა, სუმბატი. მეოთხე შვილის არსებობა იცის პორფიროგენეტმაც (თხრობაში კონსტანტი დრუნგარის მისიის შესახებ), ოღონდ მას ამ ვაჟის სახელი აღნიშნული არა აქვს.

<sup>2</sup> ამათან პორფიროგენეტი იხსენიებს ადარნასეს, ბაგრატის-ძეს, რომელიც 952 წ. მაგისტროსი ყოფილა. ეს ცნობა სავსებით დეტურდება საგვარეულო მატრიანის ჩვენებათა მიხედვით („გარდაიცვალა ბაგრატ მაგისტროსი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა, ქორანიკონსა:—რადე:—[945], და დაუტყვეა ძე თვისი ადარნასე, რომელი შემდგომად მამისა თვისისა [მაშასადამე, 945 წ.] მაგისტროსი იქმნა და შემდგომად მამის ძმათა კუროპალატი იქმნა“. სუმბატ დავითის-ძე, ქ. ცხ. მარ., 350).

<sup>3</sup> ბ რ ო ს ე ს არა აქვს მკაფიო წარმოდგენა ამ ადარნასეზე: მისი აზრით, პორფიროგენეტი ურევს ორ ადარნასეს—მე-45 თავში მოხსენებული უნდა იყოს დავითის-ძე, მაგრამ ეს სათუო რჩება, რადგანაც მისი გენეალოგია განსხვავდება მატრიანში მოცემულისაგანო, დასახ. თხზ., გვ. 145, შენ. 3; მე-46 თ. მოხსენებული-კი, ბ რ ო ს ე ს აზრით, არის ამ ადარნასეს შვილიშვილი, ბაგრატის ძე, იქვე, 150, შენ. 3, რაც ცხადი შეცდომაა. კიდევ უფრო არეულია ბ რ ო ს ე ს გენეალოგია, პორფიროგენეტის ცნობების მიხედვით შედგენილი, იქვე, 154. ბ რ ო ს ე თვითონ ურევს ორ ადარნასეს: უმცროსს, რომელიც გაცვრით მოხსენებულია „იმერთა ნათესაობის“ შესახებ აბზაცში, და მისს პაპას.—მ ა რ კ ვ ა რ ტ ი, დასახ. თხზ., 427—428, 434—436, იმეორებს ამ შეცდომას (ოთხ-შვილიანი ადარნასე კუროპალატი, აშოტ კუროპალატის, ბაგრატ მაგისტროსის და სხვათა მამა, არის ბაგრატ არტანუჯელის ძეო!) და ქართულ მატრიანს აბრალეებს ორი სხვადასხვა ადარნასეს არევის. მ ა რ კ ვ ა რ ტ ი, 428, უსწორებს ბ რ ო ს ე ს შეცდომას, რომელიც პორფიროგენეტის „აწინდელ მაგისტროს ადარნასეს“ აღრევაში მდგომარეობს ადარნასე კუროპალატთან (დავითის ძესთან), და სამართლიანადაც, მაგრამ თითონ კიდევ უფრო ურევს ადარნასეთა საერთო ურთიერთობას.





გან გვექნება საუბარი), არამედ კუროპალატის ხელისუფლების გზით. ბრძოლა ცუდად გათავდა გურგენ კუროპალატისათვის: ომში მიღებული ჭრილობისაგან იგი გარდაიცვალა 891 წ.<sup>1</sup> საფიქრებელი იყო, რომ ადარნასე ახლა მინც ეწეოდა თავის საწადელს. და, მართლაც, მეცხრე საუკუნის დამლევს თუ მეათის დამლევს ადარნასეს კუროპალატობა მიუღია: კონსტანტინე პორფიროგენეტი ამბობს, როგორც ვნახეთ, რომ ადარნასეს ეს პატივი მიანიჭა რომეების მეფემ ლეონმა. აქ ივულისმება კეისარი ლეონ VI ბრძენი, რომელიც მეფობდა 386—912 წწ. მაშასადამე, ადარნასეს კუროპალატობა მიუღია 891 წელსა (გურგენ კუროპალატის მოკვლის თარიღი) და 912 წელს შორის. ამის შემდეგ მისთვის თანაბრად შეიძლებოდა ეწოდებინათ როგორც „მეფე“, ისე „კუროპალატი“. ასეთ მოვლენას ვხედავთ ჩვენ მეათე საუკუნის სომეხი მემპტიანის იოანე დრასხანაკერტელის თხზულებაში, სადაც ეს ადარნასე ხან მოხსენებულია, ზოგადად, როგორც „ქართველთა დიდი მთავარი“ (*მსხ ჯქჰანან ქრყე სარხრესი*)<sup>2</sup>, ხან როგორც „ქართველთა დიდი კურაპალატი“ (*მსხ ლიერაყაყაჰან ქრყე*)<sup>3</sup>, ხან როგორც „ქართველთა მეფე“ (*ქსაყაქირ ქრყე*)<sup>4</sup>. ადარნასე, ქართველთა კუროპალატი (დაახლოებით, მაშასადამე, 891 წლიდან) და ქართველთა მეფე (888 წლიდან), გარდაიცვალა, სუმბატ დავითის ძის ცნობით, ქორანიკონს 143<sup>5</sup>, ე. ი., 923 წ.

ადარნასეს გაკუროპალატებით ეს პატივი კვლავ, და ახლა უკვე საბოლოოდ, დაბრუნდა ბაგრატის შტოში. ისევ გაიმართა მემკვიდრეობის ხაზი, რომლის გამრუდების ერთადერთ შემთხვევას, ამრიგად, გურგენ ადარნასეს-ძის კუროპალატობა წარმოადგენს<sup>6</sup>.

ვინ არიან კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მოხსენებული სხვა პირები?

<sup>1</sup> სუმბატ დავითის-ძე, მარ., 348.

<sup>2</sup> *Յովհաննու Կաթողիկոսի Դրասխանակերտեցիոյ պատմութիւն Հայոց*, მოსკ. გამოც. 1853 წ. (ქვემოთ—დრასხანაკერტელი), გვ. 80.

<sup>3</sup> იქვე, 89, 101, 102. (145), (146).

<sup>4</sup> იქვე, 108, 110, 113, 134, 146, 167, 168.

<sup>5</sup> მარ., 349.

<sup>6</sup> სუმბატ დავითის-ძის ცნობით, აშოტ კეკელას, ადარნასეს ძეს, ჰყავდა შვილი გურგენი, რომელი შემდგომად კურატპალატად დასუეს“ (მარ., 346). კუროპალატად არის აღნიშნული ეს გურგენი აგრეთვე აკად. ივ. ჯავახიშვილის მიერ შედგენილს „ბაგრატიონიანთა შთამომავლობის შტოში“ (იხ. ქართვ. ერის ისტორია, II, დამატ.). მაგრამ ეს აშკარა შეცდომაა მემპტიანისა ან, იქნებ უფრო მეტად, გადამწერისა—მეორე გურგენ კუროპალატისათვის არავითარი ადგილი არ რჩება და შემდეგ იგი არც იხსენიება არსად.

ასეთივე შეცდომაა, როცა ბაგრატ არტანუჯელი და მისი შვილი ადარნასე კუროპალატებად არიან მიჩნეულნი (იხ. „შტო“). ბაგრატი მხოლოდ მამულობით იხსენიება საგვარუფლო მატანიის მიერ, 348—9, ადარნასეს—კი, ამავე მატანიის მიხედვით, არავითარი პატივი არ ჰქონია, 349—350. შეცდომა ადარნასე-ბასილი კლარჯის მიმართ აიხსნება იმით, რომ იგი არეულია ტაოელ ადარნასეში, რომელიც აგრეთვე ბაგრატის, მაგრამ მაგისტროსის და არა მამფლის ძე იყო და ძალით შეამონაზუნეს შვილებმა, სუმბატ, 350—1. შეცდომაა აგრეთვე კუროპალატად მიჩნევა მესამე ადარნასესი, რომელიც იყო მეორის ბიძაშვილი, ძე სუმბატ



ადვილად გამოსაცნობია კონსტანტინეს „სუმბატ დიდი იბერი“<sup>1</sup> და „მისი მთამომავლობა“. კონსტანტინეს ცნობით (იხ. ზემოთ), ამ სუმბატს ჰყოლია ორი ძე—ბაგრატი და დავით მამფალი. გაყოფისას ბაგრატს ჰრგებია არტანუჯი, ხოლო დავითს—რომელიდაც სხვა ქვეყანა. მაშასადამე, სუმბატ დიდი არტანუჯის მფლობელი ყოფილა. ბაგრატ სუმბატის ძეს, კონსტანტინეთი, სამი ვაჟი ჰყოლია: ადარნასე, გურგენი და აშოტი, რომელსაც, ჩანს, მეტსახელად კისკასიც ჰრქმევია. ბაგრატისაგან არტანუჯი გადასულა უშვილო გურგენზე, რომელსაც ეს ციხე-ქალაქი თავისი ძმის აშოტ კისკასისათვის უანდერძებია.

დავით სუმბატის ძეს კიდევ, იმავე კონსტანტინეს ცნობით, ჰყოლია შვილი, სუმბატი. ამ სუმბატის ხელში გადასულა არტანუჯი, როცა არტანუჯის მფლობელნი, ბაგრატის შვილები და მათი სიძე, დახოცილან.

უეჭველია, რომ სუმბატ დიდი იბერი არის საგვარეულო მემკვიდრის „სუმბატ არტანუჯელი“ (აქაც არტანუჯელობა ხაზმოსმითაა აღნიშნული), ძმა ზემოთ მრავალგზის მოხსენებულის გურგენ კუროპალატისა და ძე აშოტ დიდის უფროსი შვილის ადარნასესი<sup>2</sup>. ეს სუმბატი, მისი ძმის გურგენის „კელმწიფობაში“, ანთიპატოს-პატრიკად დაუსვამთ<sup>3</sup>. მას, გარდა ამ ტიტულისა, მამფლის წოდებულებაც ჰქონია. ამის, ისევე როგორც მისი სიკვდილის, და მთამომავლობის შესახებ, მემკვიდრე ამბობს: „მამფალი (ტექსტში შეცდომით „მამფელი“) სუმბატ არტანუჯელი, ძე ადარნასესი, ძისა აშოტ დიდისა, გარდაიცვალა ქორანიკონსა:—რთ:—(889 წ.) და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ მამფალი არტანუჯელი და დავით მამფალი“<sup>3</sup>... ამ პუნქტამდე პორფიროგენეტსა და სუმბატ დავითის ძეს შორის სრული თანხმობაა, გარდა იმისა, რომ საგვარეულო მემკვიდრე ბაგრატსაც ამკობს მამფლის ტიტულით. გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია შეხვედრები ორივე წყაროსი, კერძოდ, სამფლობელოს განსაზღვრისას:


კუროპალატისა (იხ. „შტო“). აქაც იგივე აღრევა გვაქვს, მაგრამ აღრევაში ბრალი უკვე ხელნაწერს მიუძღვის: სუმბატის შვილების ჩამოთვლისას, „დაუტევნა ძენი ორნი, ბაგრატ... და ადარნასე“, ხელნაწერი მექანიკურად აცლის მომდევნო ფრაზას დასაწყის სიტყვას, იმავე პირის სახელს და, ამრიგად, ორს სხვადასხვა ცნობას აერთიანებს. უნდა ყოფილიყო... „ადარნასე, ადარნასე კუროპალატი, ძე ბაგრატ მაგისტროსისა, გარდაიცვალა ქორანიკონსა: რვა:—[961 წ.], რომელი ესე ძეთა შვიაყრეს და მონაზონ ქმნეს, მოკულა უნებლიეთ ფიჩვითა მოსილი და დაუტევნა ძენი ბაგრატ და დავით ერისთავთა-ერისთავი“, 351. მისი შვილების შესახებ ცნობაშიაც ეს ადარნასე კუროპალატად იხსენიება: „გარდაიცვალა ესე ბაგრატ ერისთავთა-ერისთავი, ძე ადარნასე კურატპალატისა, ქორანიკონსა:—რვა:—(966 წ.), ხოლო ძმა მისი დავით კურატპალატი იქმნა დიდად“, იქვე. აქ კიდევ: „გარდაიცვალა დავით დიდი კურატპალატი, ძე ადარნასე კურატპალატისა, ქორანიკონსა:—სვა:—(1001 წ.)“, იქვე, 352. სუმბატის ძე ადარნასე კი არც შემდეგ იხსენიება კუროპალატად. მემკვიდრე ამბობს, 351: „გარდაიცვალა ადარნასე, ძე სუმბატ კუროპალატისა, ძმა ბაგრატ რეგუნისა, ქორანიკონსა:—სვა:—(983 წ.) და დაუტევნა ძე, დავით, მცირე“, ამრიგად, ადარნასეს სახელს ატარებდა ნამდვილად მხოლოდ ორი კუროპალატი: I, „პართველთა მეფე“, გარდ. 923 წ., და II, პირველის შვილიშვილი, ბაგრატ მაგისტროსის ძე, გარდ. 961 წ.

<sup>1</sup> ასე აქვს ეს აღნიშნული მერჩულსაც, გვ. ნთ: „ადარნერსე კელმწიფესა. ესხნეს ძენი გურგენ კუროპალატი და სუმბატ“.

<sup>2</sup> სუმბატ დავითის ძე, მარ., 346.

<sup>3</sup> იქვე, 348. უკანასკნელი სამი სიტყვა დამატებულია თეიმურაზისეულ ნუსხის მიხედვით.





პორფიროგენეტით—არტანუჯი ხედა ბაგრატს, სუმბატითაც—სწორედ ბაგრატი არტანუჯელი.


შემდეგ ამ ბაგრატის შესახებ საგვარეულო მემატიანე გვამცნობს: „გარდაიცვალა ბაგრატ მამფალი არტანუჯელი, ძე სუმბატისი, ქორანიკონსა:—რკთ:—(909 წ.), თუესა აპრილს კ (20), დღესა აღვსებისა, და დაუტენა ძენი ოთხნი: ადარნასე,—რომელი იგი მონაზონ იქმნა და ბასილი სახელ იღვა,—გურგენ ერისთავი, აშოტ და დავით. გარდაიცვალა დავით ერისთავი, ძე ბაგრატ არტანუჯელისა მამფლისა... ქორანიკონსა:—რკს:—(909 წ.) და არა დაუტევა შვილი“<sup>1</sup>. მეოთხე შვილის, დავითის, ქართულ წყაროში მოხსენებით დარღვეული თანხმობა პორფიროგენეტსა და სუმბატს შორის ადვილად აღდგება, თუ ვიფიქრებთ, რომ კონსტანტინემ მამის სიკვდილამდე გარდაცვლილი დავითი არ მოიხსენია იმიტომ, რომ იგი, საზოგადოდ, ამ ამბებს არტანუჯის მემკვიდრეობის ისტორიის თვალსაზრისით უკვირდება. ახალი, მორიგი მოძრაობა კი ამ სფეროში ბაგრატ არტანუჯელის სიკვდილის დღიდან (909 წლის აპრილის 20) იწყებოდა, როცა მემკვიდრეობისაგან დავითი უკვე გამორიცხული იყო. რამდენადმე შორდება აგრეთვე ბიზანტიელ ისტორიკოსს საგვარეულო მემატიანე, როცა დაწილის ძმის გურგენის შვილს ახსენებს: „გარდაიცვალა გურგენ ერისთავი, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქორანიკონსა:—რგ:—(923 წ.) მასვე წელსა შინა, რომელსა შინა ქართველთა მეფე ადარნასე მიიქვალა, და დაუტევა ამან გურგენ ძე, მუცელსა შინა ცოლისა თვისისა, რომელსა ეწოდა გურგენე სახელი მამისა თვისისა“<sup>2</sup>. მაგრამ აქაც, ჩვენ ვფიქრობთ, გაუგებრობა ადვილად აიხსნება: იმავე მემკვიდრეობის ისტორიის თვალსაზრისით, უშვილობა თუ მემკვიდრე შვილის ყოფნა დედის მუცელში, მემკვიდრეობის მფლობელი მამის სიკვდილის მომენტში, დაახლოებით ერთგვარი მნიშვნელობის გარემოებები იყო. პორფიროგენეტი ალბათ ცდება, როცა ამტკიცებს, რომ არტანუჯის გადასვლა გურგენის ხელიდან აშოტ-კისკასის ხელში ნებაყოფლობითი აქტის შედეგი იყო. საფიქრებელია, რომ აქ ადგილი ჰქონდა მიმძლავრებასა და მიტაცებას, რაც არც ისე იშვიათი იყო ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შორის. ეთანხმება სუმბატ დავითის ძე კონსტანტინე პორფიროგენეტს აშოტ-კისკასის უძეობის (და არა უშვილობის!) შესახებ ცნობაში: „გარდაიცვალა აშოტ, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქორანიკონსა.—რნთ:—(939 წ.) თუესა ივნისსა, და არა ესვა ძე“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> აქ სუმბატის ტექსტში დიდი აღრევაა: იქ, სადაც ჩვენ მრავალწერტილი დავსვით, წერია: „ადარნასეს ძისა, გურგენ კურატპალატისა ძმა დიდისა გურგენისი“, რაც, ცხადია, სრული დამახინჯებაა, მარ. 349. აღრევა იზრდება ჭეშმით, როცა მემატიანე მოულოდნელად აცხადებს, რომ „გარდაიცვალა დავით, ძე ბაგრატ არტანუჯელისა, ქორანიკონს რმბ (922 წ.) და დაუტევა ძე მუცელსა შინა ცოლისა თვისისასა, რომელსა იგი ეწოდა ბაგრატ“, იქვე. ასეთი წინააღმდეგობანი ტექსტის დიდ დაზიანებას მოწმობენ, რა თქმა უნდა.

<sup>2</sup> იქვე, 349. ეს გურგენი კვლავ არის მოხსენებული: „გარდაიცვალა გურგენ, ძე გურგენისი, ძისა ბაგრატ მამფლისა, ქორანიკონსა:—რპს:—(968 წ.)“. იქვე 351.

<sup>3</sup> იქვე, 350—მ ა რ კ ვ ა რ ტ ს, დასახ. თხზ., 434, პორფიროგენეტის სუმბატ დიდი სამართლიანად გაგებული ჰყავს, როგორც აშოტ კურატპალატის ძის, ადარნასე უხუცესის, შვილი,





სავსებით ადასტურებს სავგარეულო მატიანე კონსტანტინეს ცნობას და-  
ვით სუმბატის ძის შვილის შესახებაც. ამ მატიანეში ვკითხულობთ: „გარდაი-  
ცვალა მამფალი დავით, ძე სუმბატ არტანუჯელისა, მონაზონობასა შინა, ქორა-  
ნიკონსა:—რგ:—(943 წ.), თვესა ფებერვალსა ოკსა და დაუტევა ძე თჳსი  
სუმბატ, რომელიცჳ იგი დასუეს ერისთავთა-ერისთავად“<sup>1</sup>. შემდეგ, ამ სუმბა-  
ტის შესახებ აქ ნათქვამია: „გარდაიცვალა სუმბატ ერისთავთა-ერისთავი, კაცი  
მართალი, ძე დავით მამფლისა, არტანუჯელი, ქორანიკონსა:—ს(—(988 წ.)“<sup>2</sup>.  
სუმბატის არტანუჯელობით მოხსენიება იმის მოწმობაა, რომ მემატიანემ იცის  
არტანუჯის სუმბატის მფლობელობაში გადასვლის ამბავი.

ყველაზე რთულია აშოტ-კისკასის სიძის, გურგენის, ვინაობის საკითხი.  
სავგარეულო მატიანეში მეათე საუკუნის პირველი ნახევრისათვის ასეთი სახე-  
ლის მქონე რამდენიმე პირია დასახელებული. რომელი მათგანია აშოტის სიძე?  
საკითხის გადასაწყვეტად პორფიროგენეტის რამდენიმე ჩვენებას უნდა დავე-  
ყრდნოთ: 1) ეს გურგენი თავდაპირველად არის ტიროკასტრონისა (ყველის-  
ციხის) და მდ. „აჩარას“ ხეობის პატრონი, 2) იგი კვდება უშვილოდ, ყოველ  
შემთხვევაში, უძეოდ, 3) იგი კვდება, ჩანს, თავისი სიმამრის, აშოტ-კისკასის სი-  
კვდილის (939 წ.) შემდეგ და იმ მომენტზე ადრე, როცა კონსტანტინე პორფი-  
როგენეტი თავის თხრობას ადგენს ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ  
(952 წ.); მეტიც, — გურგენი კვდება აშოტ კუროპალატის ძმაზე, ბაგრატ მაგი-  
სტროსზე, ადრეც, ე. ი., 945 წლის უწინარეს; ანუ, ეს ქრონოლოგიური მი-  
ჯნები რომ დაეფიქროთ, აშოტის სიძე გურგენი გარდაიცვალა, პორფიროგე-  
ნეტის თხრობაში მოცემულ ცნობათა მიხედვით, 939-სა და 945 წლებს შორის.  
ამ ნიშნების მიხედვით, საძიებელი გურგენი არ შეიძლება იყოს ზემოთმოხსენე-  
ბული გურგენ გურგენის ძე, აშოტ-კისკასის დისწული, რომელიც გარდაიცვალა  
968 წ., რომ აღარაფერი ვთქვათ მის მამაზე (გარდაიცვ. 923 წ.), რომელიც  
ყოველმხრივ გამორიცხულა<sup>3</sup>. სავსებით საეჭვოა, რომ ეს იყოს აშოტ კეკე-  
ლას ძე, შეცდომით მოხსენებული კუროპალატობით, რომლის შესახებაც მატია-  
ნეში სხვა არავითარი ცნობა არ შენახულა. ყოველ შემთხვევაში, კონსტანტინე  
პორფიროგენეტის მოთხრობიდან აშკარაა, რომ აშოტ-კისკასის სიძე კუროპა-  
ლატი არ ყოფილა.

დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ პორფიროგენეტის გურგენი არის ქართუ-  
ლი წყაროების გურგენ ერისთავთა-ერისთავი, ძე გურგენ კუროპალატის ძის

მაგრამ სრულიად არეული ჰყავს სუმბატის შთამომავლობა. ბ რ ო ს ე ს ა ც, დასახ. თხზ., 154,  
ეს სუმბატი მიჩნეული ჰყავს პორფიროგენეტის მიერ დასახელებულ ყველა ქართველ ბაგრა-  
ტიონის მამად, რაც, რა თქმა უნდა, სრული გაუგებრობაა.

<sup>1</sup> სუმბატ დავითის-ძე, ქცხ. მარ., 350.

<sup>2</sup> იქვე, 351.

<sup>3</sup> სუმბატ დავითის-ძე მის შესახებ ამბობს: „გარდაიცვალა ბაგრატ მაგისტროსი, ძე  
ადარნასე ქართველთა მეფისა, ქორანიკონსა:—რგ:—(945 წ.), თუესა მარტას“, მარ. 350.

<sup>4</sup> ბ რ ო ს ე კ ი ფიქრობს, დასახ. თხზ., 154 და შენ. 4, რომ სწორედ ეს გურგენ-მამა  
არის აშოტ-კისკასის სიძე; ქართ. მატიანის ცნობა, რომ გურგენს ჰყავდა თანამოსახელე შვი-  
ლი, ერთადერთი წინააღმდეგობაა ორსავე წყაროს შორის!





ადარნასესი<sup>1</sup>. სუმბატ დავითის ძის ცნობები ამ გურგენის შესახებ უდგება კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ მოცემულსა და ზემოთხამოთვლილ ნიშნებს. აი, რას ამბობს მის შესახებ საგვარეულო ანალისტი: „ადარნასე ერისთავთ-ერისთავი, შემდგომად გურგენ მამისა თჳსისა კურატპალატისა, გარდაიცვალა ქორანიკონსა:—რ'იჯ:—(886 წ.) და დაუტევნა ორნი ძენი მცირენი: დავით ერისთავთა-ერისთავი და გურგენ, რომელი შემდგომად მერმე დიდი ერისთავთა-ერისთავი იყო“<sup>2</sup>.

გურგენს ერისთავთ-ერისთავობა მიუღია 918 წელს ან მის მახლობლად: „გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი (ერისთავთ-ერისთავი, გურგენ კუროპალატის ძე) ქორანიკონსა:—რ'ლჳ:—(918 წ.) და არა ესუა შვილი და ამისსა შემდგომად გურგენ, ძმისწული მისი, ძე ადარნასესი, დასუეს ერისთავთა-ერისთავად“<sup>3</sup>. ეს გურგენი მემკვიდრეობით მფლობელი იყო იმ მამულისა, რომელიც ნაჩვენებია კონსტანტინე პორფიროგენეტის მიერ. სუმბატ დავითის ძე მოგვითხრობს, რომ როცა გურგენ კუროპალატმა და მისმა შვილებმა, ე. ი., ამავე წყაროს ცნობით, ადარნასე ერისთავთა-ერისთავმა და აშოტ კუხმა, ერისთავთა-ერისთავმა, ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით—ადარნასე დავითის ძემ ბრძოლა გაუმართეს დავით კუროპალატის მკვლელს, ნასრა გუარამის ძეს და მოჰკლეს იგი კიდეცა ასპინძაში 888 წ., ამის შემდეგ, „ოდეს ნასრი მოიკლა, ქუეყანა ნასრისი დაიპყრეს სხუათა ამათ მთავართა. ხოლო გურგენ კურატპალატი წარვიდა ტაოს კალმახით, მამულით თჳსით, ცხოვრებად შავშეთს და არტანს“<sup>4</sup>, გურგენ კუროპალატი ტაოს კალმახიდან შავშეთსა და არტანში გადმოსახლებულა. ამ პროვინციების დაპყრობის შემდეგ, ჩანს, გურგენისა და მისი შთამომავლობის გაგლენა ნაწილობრივ ვრცელდება ჩრდილოეთით მომიჯნავე თემებზეც—აჭარასა და სამცხე-ჯავახეთზე. ეს ქვეყნები შემდეგ გურგენ კუროპალატის შთამომავლობის ხელშია. ასე, მაგ., იგივე სუმბატი გვიამბობს, რომ „აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ძემან გურგენ კურატპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა და დასვა პირველად ებისკოპოსად სანატრელი სტეფანე“<sup>5</sup>. შავშეთის გარდა გურგენ კუროპალატის შთამომავლობის ხელშია თითქოს კლარჯეთის ერთი ნაწილიც. გ. მერჩულის ცნობით, ხანძთა, მაგ., თითქოს გურგენ კუროპალატის საძვალეა: „გარდაცვალეზისა ჟამსა ანდერძ იყო გურგენ კურატპალატსა ვითარმედ «ნათლის-მამისა ჩემისა [იგულისხმება გრ. ხანძთელი] ძუალთა მახლობლად დამდევით ფერჯთა თანა მისთა... რომელ ყვესცა ეგრძთ. არამედ შემდგომად გურგენ კურატპალატისა ძემან მისმან აშოტ ერისთავთა-ერისთავმან ხანძთას ახალი ეკლესიაჲ დაიწყო წადიერად და ურიცხვ შესაწირავი გარდაჰმატა მას“...

<sup>1</sup> მარკვარტი, დასახ. თხ., 176—7, 179, 184—185, 427, 434, აგრეთვე ამ აზრისაა. ამ იგივეობას მარკვარტი ამყარებს სტეფანე მტბევარის ცნობისა და პორფიროგენეტის ცნობის შეზვედრაზე იმის შესახებ, რომ გურგენი ყველის ციხის პატრონია. სხვა გენეალოგიურ საკითხებსა და ქრონოლოგიაში მარკვარტი აქაც იბნევა.

<sup>2</sup> მარ., 348.

<sup>3</sup> იქვე, 349.

<sup>4</sup> იქვე, 347—348.

<sup>5</sup> იქვე, 349.



შემდეგ, გურგენ ერისთავთა-ერისთავთა, აშოტის ძმისწულმა, „განასტყუა იქნა სიაჲ იგი ახალი ხანძთისაჲ“<sup>1</sup>. ამ ფაქტებს, ისე როგორც გურგენ კუროპალატის შთამომავლობის სხვა ამბებსაც, ჩვენ კარგად ვიცნობთ სხვა წყაროებიდანაც, კერძოდ, დასახელებულ სტეფანე მტბევერის თხზულებიდან („წამებაჲ წმიდისა მოწამისა ვაბრონისი“), რომელიც სწორედ აშოტ ერისთავთ-ერისთავის, ტბეთის აღმაშენებლის, ბრძანებითაა დაწერილი. ამ თხზულებაში (დაწერილია იგი 918 წლის ახლო ხანში) აღნიშნულია, მაგ., რომ „ციხე ყუელებისა“ „იყო გურგენ ერისთავთა-ერისთავსა“<sup>2</sup>. ეს ძლიერი ციხე, რომლის ასაღებად დიდი ჯაფა დასჭირდათ, სტეფანე მტბევერის მიხედვით, სწორედ ზემოთაღნიშნულ თემების მიჯნაზე ძევს და, როგორც ჩანს, მათ იცავს. ამით აიხსნებოდა ამ ციხის მნიშვნელობა და, კერძოდ, არაბთა განსაკუთრებული ყურადღება მისდამი ამ შემთხვევაში. ავტორი გადმოგვცემს, რომ არაბები, რომელთაც გარემოცული ჰქონდათ ყველის ციხე, „ოდესმე გამოეტყვენიან სიმრავლენი იგი ზღუვარსა არტაონისასა და რომელნი პოენიან თივისა მკრებელნი და მსხურტელნი ყანობირისა მათისანი, — რომელნი შიმშილისაგან შიშსა სიკუდილისასა შეურაცხყოფდეს, — შეკრიბნიან მახლობლად ციხესა მას, ვითარცა ცხოვარნი, საჩუწნებლად მათდა, და დაჭრიან ჯორცნი მათნი და სისხლი იგი უბრალე, ვითარცა მსხურტელი სულნელი, შეიწირვოდეს ღუთისა“<sup>3</sup>. ... ე. ი., მორალური ზემოქმედების მოსახდენად ციხოვანებზე, რომელნიც მდგარ წინააღმდეგობას უწყედნენ არაბებს, უკანასკნელნი იჭერდნენ არტაონის თემში მინდვრის სამუშაოებზე გამოსულს, საკვების მაძიებელს, დამშეულ ხალხს და აწამებდნენ მას ციხის კედლებთან. მაშასადამე, ავტორის გეოგრაფიული კონცეფციით, ყველის ციხე, რომელიც გურგენ ერისთავთა-ერისთავს ეკუთვნის, ან თვით არტაონის თემის საზღვრებში მდებარეობს, ან იქვე არტაონის კედლებზე.

შემდეგ მტბევეარი განაგრძობს: „და ურიცხუნი იგი ერნი მართლმადიდებელთანი აჭარას და შავშეთს შეწყუდეულ იყუნეს, რომელნი, ვითარცა მკალნი, მოსჭამდეს ფურცელთა ხეთასა და მწუანილოვანსა ქუცყანისასა. მას ეამსა იქმნა შავშეთი ბაკ მკეც შეუვალ, რამეთუ ეგოდენნი იგი ნათესავნი მახლობლად დგეს, ვითარ სადილობისა გზა ოდენ, რომელთა ქუეყანაჲ ვერ იტყვდა. ღმერთმან არა აუფლა შთასლვად მას შინა“<sup>4</sup> არაბებსაო.

ამრიგად, ყველის ციხის გარემოცვა მეტად მნიშვნელოვანი გარემოება

<sup>1</sup> მე რ ხ უ ლ ი, გვ. ლგ—ლდ. ხანძთა კლარჯეთის მონასტერი იყო: „კლდჳ იგი ხანძთისაჲ უფიცხლჳს არს უფროჲს ყოველთა მათ კლარჯეთისა უდაბნოთა“, იქვე, გვ. ია.

<sup>2</sup> საქ. სამოთხე, 395—396. ჩვენ ციტატები მოგვაქვს დოც. თამ. ლომოურის მიერ დადგენილი ტექსტიდან. გურგენის მოხსენება ავტორის მიერ „ერისთავთა-ერისთავად“ მოწამობს რომ თხზულება იწერება უკვე აშოტის სიკვდილის შემდეგ, რადგანაც ეს პატივი გურგენმა ბიძის გარდაცვალების შემდეგ მიიღო. აშოტის მოხსენება სათაურში აღბათ იმას ნიშნავს, რომ თხზულება შეკვეთილი იყო აშოტის მიერ. მაგრამ ამ უკანასკნელის სიცოცხლეში მისი დაწერა, ჩანს, არ მოესწრო. ადარნაჲ მეფის ხსენება, გაკვრით, ერთ-ერთ ადგილას, ამ ქრონოლოგიისათვის არაფერს გვაძლევს. უფრო საყურადღებოა, რომ აშოტის შესახებ შემდეგ სტეფანეს არაფერი აქვს ნათქვამი.

<sup>3</sup> შეადრ. საქ. სამ., 396.

<sup>4</sup> იქვე.





იყო აჭარა შავშეთისთვისაც, ანუ რამდენადმე რომ გავაფართოვოთ კონსტანტინე პორფიროგენეტის გეოგრაფიული წარმოდგენა, აჭარისწყლის ხეობისა თუ აუზისათვის, და დიდ გავლენასაც ახდენდა მათზე. მაშასადამე, ჩვენ ახლა მეტი საფუძველი ვაქვს ვამტკიცოთ ამ პოლიტიკურ-გეოგრაფიულ ობიექტების ურთიერთ-კავშირი, პორფიროგენეტისა და სუმბატ დავითის ძის ცნობათა სიახლოე, ამ წყაროების აქ აღებულ გურგენთა იგივეობა და, ამასთან ერთად, „ტიროკასტრონ“-ყველისციხის“ არა მარტო ეტიმოლოგიური, არამედ რეალურ-ისტორიული იდენტურობაც.

ამ გურგენის შესახებ საგვარეულო მემკვიდრე, საერთოდ, ძალიან დიდი აზრისაა: გარდა იმისა, რომ თავშივე გურგენი დასახელებულია, როგორც „დიდი ერისთავთა-ერისთავი“, შემდეგ იგი ასეა დახასიათებული: „გარდაიცვალა გურგენ დიდი, ერისთავთა ერისთავი, ძე ადარნასესი, რომელმან უმეტესნი სიმკნენი და ბრძოლანი ქმნა ყოველთა მამათა მისთასა და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი, ქორანიკონსა:—რა:—თუესა თებერვალსა:—იდ:— [941. II. 4]. არა ესუა ძე“<sup>1</sup>. სიმხნე, მებრძოლი ბუნება და სათანადო წარმატებები ჯარგად უღგება კონსტანტინეს ცნობებს, ისევე როგორც ჩვენება უძეობის შესახებ. საკვებით „შეფეურება ჩვენ მიერ ზემოთ მოხაზულს ისტორიულ-ქრონოლოგიურ ჩარჩოს გურგენის სიკვდილის თარიღიც.

გურგენს იცნობს გიორგი მერჩულიც, რომელიც მია შესახებ ისეთივე აზრისაა, როგორც სუმბატი. მერჩულს გურგენი მოხსენებული ჰყავს ხანძთის ახალი ეკლესიის შენების ისტორიაში. ეს ეკლესია, მისი ცნობით, დაუწყია აშოტ ერისთავთა-ერისთავს („კუხს“), გურგენ კურაპალატის ძეს, და დაუმთავრებია ამ აშოტის ძმისწულს, გურგენს: „ხოლო გურგენ, ძმისწული აშოტისი, დიდი იგი ჯელმწიფჳ ფრიადთა ნათესავთაჲ, ღმრთისა მიერ დაჯდა ერისთავთა-ერისთავად. და მან განასრულა ეკლესიაჲ იგი ახალი ხანძთისაჲ“<sup>2</sup>.

ესევე გურგენი იგულისხმება, მარკვარტის სამართლიან იდენტიფიკაციით, ერთს არაბულ ცნობაში, რომელიც X ს. მეორე მესამედს ეკუთვნის და რომელშიაც ნათქვამია, რომ მტკვარი (კურ) დის ქართლის ქვეყნიდან, გურგენის (ჯურჯენ) სამთავროდან<sup>3</sup>. მტკვრის სათავე მოდიოდა მართლაც გურგენ კურაპალატისა და მისი შთამომავლობის, კერძოდ, გურგენ ერისთავთ-ერისთავის სამფლობელოში, რომელიც, როგორც ვნახეთ, საკმაოდ კარგადაა მოხაზული ბიზანტიურ-ქართული წყაროების მიერ.

შემდეგ, რომელიდაც გურგენ ქართველთა მთავარს (ერთს თუ რამდენსამე) იხსენიებს სომეხთა მემკვიდრე იოანე დრასხანაკერტელიც, რომელიც აგრეთვე მეათე საუკუნის ოციან წლებში წერდა. მაგრამ დრასხანაკერტელის ცნობების ანალიზი უფრო რთული საქმეა. პირველად გურგენი აქ იხსენიება 891 წლის მახლობლად: როცა ადარნასემ, ქართველთა დიდმა მთავარმა, მამაზე მგლოვიარე სუმბატს, სომეხთა ბაგრატუნიების წარმომადგე-

<sup>1</sup> ქ. ცხ. მარ., 350.

<sup>2</sup> მერჩული, ლგ—ლდ.

<sup>3</sup> დასახ. თხზულება, 176—177.



წელს, აშოტ I-ის (გარდ. 890—891 წ.) ძეს, სამელოვიარო ტანისაშვილად<sup>1</sup> და სამეფო ჩააცვა, ამით მან სუმბატის ბიძის, აბას სპარაპეტის, კარელის, უდიდესი გულისწყრომა გამოიწვია; აბასმა უკან დაბრუნებული ადარნასე შეიპყრო და მოითხოვა მისგან მძევალი და ორი ციხე, რომელიც ადარნასეს დის ქმრის (*ქსიაკი*) გურგენისათვის წაერთმია<sup>2</sup>. შემდეგ გურგენი დიდ როლს თამაშობს სომეხთა მფლობელის, აშოტ II-ის მეფობაში (915—928 წწ.). გურგენ მთავარი (*ქქსან*), ქართველთა ქვეყნიდან, ფრიად საყვარელი პირია აშოტისა<sup>3</sup>. ეს ქართველთა დიდი მთავარი გურგენი (*ამბ ქქსანს ქლავი ჟიოყენს*) აქტიურად ჰმველის აშოტს მოცილეების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ და მომდევნო ამბებში გურგენი კიდევ უფრო ხშირად იხსენიება, მაგრამ იოანეს ყვავილოვანი და ხელოვნური ენის გამო. ამ თხრობაში დანამდვილებით გზის გარკვევა ძნელი ხდება. აშოტ, სომეხთა მეფე, თავის სენია-მოწინააღმდეგე აშოტ ღვინელთან (იგი აშოტ მეფის ბიძაშვილი იყო) ბრძოლაში დამარცხებული, მიდის „ქართველთა დიდ მთავარ გურგენთან“, რომელიც მას მემველ ჯარს აძლევს<sup>4</sup>. შემდეგ შიაც აშოტ სომეხთა მეფე თავის მოკავშირედ გულისხმობს ქართველთა მთავარს გურგენს, რომელიც აქ აშოტის ძმის, აბას ერისთავთა-ერისთავის სიმამრადაა დასახელებული<sup>5</sup>. მაგრამ ახლა უკვე გურგენი თავისი სიძის, მეფის ძის აბასის მხარეზეა და მასთან ერთად მტრულად ირახმება აშოტის წინააღმდეგ და ვერაგულ სიკვდილსაც უმზადებს მას<sup>6</sup>. ასეთ ამბავს, ცხადია, უნდა გაეფუჭებინა ის სამავალითო მეგობრობა, რომელიც თავიდანვე არსებობდა გურგენსა და აშოტს შორის. ამიტომ ესევე გურგენი უნდა იგულისხმებოდეს მომდევნო თხრობაში, სადაც ნაამბობია, რომ აშოტი მიდის ქართველთა ქვეყანაში, სადაც ქართველთა მეფე ადარნასესთან ერთად თავს ესხმის გურგენ მთავარს. გურგენს კიდევ მეორე მეფე აშოტი და მეფის წულის (ე. ი. მეფე აშოტის) ძმა აბასი (აქ ეს სახელი შეცდომით ნათესაობით ბრუნვის ფორმითაა მოცემული) ესმარებიან. აქ გურგენი ადარნასეს დისწულადაა მოხსენებული<sup>7</sup>. შემდეგ მოსდევს საინტერესო ცნობა რომ ვასაკ გნთუნი, სომეხთა მეფეების ნაცვალი გუგარეთის დაპყრობილ თემებში, ქართველთა მთავარს გურგენს უთმობს დიდ ციხე-ქალაქს სამშვილდეს და სამაგიეროდ ითხოვს გურგენისგან ციხე კრუსტს<sup>8</sup>. დაბოლოს, იოანე დრასხანაკერტელი იხსენიებს „გამრთა ქვეყნის ერისთავთა-ერისთავს“... (*ქქსანს ქქსანსაყ კამქრავ აქსიარქს*) გურგენს, რომლის სამსახურშიაც გადადის აშოტ სომეხთა მეფის ყმა, როგორც ჩანს, უტის თემის მმართველი, ამრამი, მეტსახელად—ცლიკი<sup>8</sup>.

<sup>1</sup> დრასხანაკერტელი, გვ. 81.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 161.

<sup>3</sup> იქვე, 163; შეადრ. გვ. 161—162.

<sup>4</sup> იქვე, 164—165; ამავე მე-165 გვერდზევე დასახელებულია ვინმე გურგენი, მეორე მეფის აშოტის სიმამრი.

<sup>5</sup> იქვე, 165.

<sup>6</sup> იქვე, 167—168.

<sup>7</sup> იქვე, 171—172.

<sup>8</sup> იქვე, 174.





ქართული  
ენების  
სწავლის  
ინსტიტუტი

როგორც უკვე ნათქვამი იყო, იოანეს ცნობების განმარტებას სიძნელე ახლავს, რამაც სათანადო ლიტერატურაშიაც დასტოვა თავისი კვალი. ბროსე ფიქრობს, რომ აქ ყველგან (გარდა პირველი შემთხვევისა, სადაც აბასკარელის დის ქმარი გურგენია დასახელებული<sup>1</sup>, საუბარია აფხაზთა მეფის გიორგის, კონსტანტინეს ძის, შესახებ<sup>2</sup>.


მარკვარტიც ფიქრობს, რომ, უკანასკნელი შემთხვევის გარდა (სადაც გამართა ქვეყნის მთავარია დასახელებული), ყველგან იოანე დრასხანაკერტელი ერთსადიმივე პირზე გვიამბობს და ამ პირში ადვილად გამოიცნობა ბაგრატი არტანუჯელის ძე გურგენ, აშოტ კისკასის ძმა<sup>3</sup>. „გამართა“ მთავარი კი უნდა იყოს იოანე კუროკუასი (სომხ. გურგენ), რომელი სარდალი, ან შესაძლებელია აქ ერისთავთ-ერისთავი გურგენი, აშოტ კისკასის სიძე, ვიგულისხმობთ<sup>4</sup>.

„გამართა“ მთავრის საკითხი უფრო რთულია და მისი გადაწყვეტა არსებობს მასალის მიხედვით ძნელია. რაც შეეხება წინა თხრობის გურგენს, იქ მართლაც, ბროსესი არ იყოს, ორ სხვადასხვა პირთან უნდა გვექნოდეს საქმე. აბასკარელის სიძე გურგენ კუროპალატი უნდა იყოს—ცნობა იმის შესახებ, რომ ადარნასე ქართველთა მეფეს ამ გურგენისათვის ციხეები წაურთმევია, კარგად უდგება სხვა წყაროებიდან ცნობილს ფაქტიურ ისტორიას ამ ეპოქისას: გურგენი ხომ მოიკლა კიდევაც ადარნასესთან ბრძოლაში, სწორედ 891 წ., რომელ წელსაც (ან მომდევნოში) მოხდა აბასისა და ადარნასეს კონფლიქტი. საყურადღებოა დრასხანაკერტელის ცნობაში ის გარემოება, რომ გურგენის ციხეებს აბასი თავის თავის მოითხოვს და არა თავისი სიძისათვის („თაყს ზნა აკაქსნ შარხისინ ვხელით ამიოგან, დირ კაქჯოასხლ ქსლ ღ ზ ჰხიოთ ზიარქსაყ ვხიან ჯიქ“, გვ. 81). ამ გარემოებაში ჩვენ იმის მოწმობას ვხედავთ, რომ გურგენი ამ დროს უკვე ცოცხალი აღარ არის. ქრონოლოგიური დაბრკოლება, მაშასადამე, იხსნება.

აშოტ II სომეხთა მეფის (915—928) თანამედროვე გურგენი კი, ქართველთა დიდი მთავარი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს აშოტ კისკასის სიძე. ამ გურგენის მთელი მოქმედება, აღწერილი დრასხანაკერტელის მიერ, კარგად გამომდინარეობს გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავის ხასიათიდან და მისი მოღვაწეობის პირობებიდან, რომლებსაც ჩვენ საკმაოდ ვიცნობთ სხვა წყაროების საშუალებითაც. მისი მამული (მტკვრის სათავეებში, არტანის და სხვა) უშუალოდ ემიჯნებოდა სომეხთა მეფის სამფლობელოს. ეს ტერიტორიული საბუთი ჩვენ მიერ ნაგულისხმევი იგივეობისათვის უფრო თვალსაჩინო ხდება ვასაკგნთუნის ეპიზოდში: სამშვილდის გადაცემა, ქართველ ბაგრატიონთა შორის, სწორედ ყველის პატრონისათვის იყო ყველაზე უფრო ბუნებრივი და შესაფერისი, რადგანაც სამშვილდის მხარე აღმოსავლეთიდან ემიჯნებოდა გურგენის

<sup>1</sup> დასახ. თხზულება, გვ. 162, შენ. 4.  
<sup>2</sup> იქვე, გვ. 165—171, განსაკუთრებით, 165, შენ. 4.  
<sup>3</sup> მარკვარტი, დასახ. ნაშრომი, 178—184, განსაკუთრებით, 183—184.  
<sup>4</sup> იქვე, 183.





სამფლობელოს. დრასხანაკერტელის გურგენის აქტიურობა, სახელი, ტეტო აგრეთვე გურგენს, აშოტის სიძეს, გვაგულისხმებინებს. ერთადერთი დაბრკოლებაა თითქოს ის გარემოება, რომ დრასხანაკერტელის გურგენს ასული ჰყავს, სომხეთში გათხოვილი, მაშინ როდესაც პორფიროგენეტის გურგენი უშვილოა, ხოლო სუმბატ დავითის-ძე გურგენის ქალზე არაფერს ამბობს. მაგრამ გასათვალისწინებელია, რომ ეს წყაროები ამ შვილიერება-უშვილობაზე სხვადასხვა ქრონოლოგიურ ჩარჩოში და სხვადასხვა შინაარსით ლაპარაკობენ. სომხური წყარო აქ გულისხმობს აღრინდელ პერიოდს, 923 წლის (ადარნასე ქართველთა მეფის სიკვდილის თარიღი) უწინარესს (დრასხანაკერტელს, საერთოდ, თავისი თხრობა მხოლოდ მეთექვსმეტე საუკ. ოციან წლების დამდეგამდე მიჰყავს); ბიზანტიური წყარო ოცი წლით უფრო გვიანდელ ხანას გულისხმობს—იქ გურგენის უშვილობა (არა პირდაპირად აღნიშნული) მოხსენებულია გურგენის გარდაცვალებასთან (941 წ.) დაკავშირებით—ამ დროს გურგენის შვილი (ქალი-შვილი) შეიძლება იყოს მკვდარიც ყოფილიყო.

რაც შეეხება სუმბატ დავითის ძეს, ის ხომ ამბობს გურგენის „უძეობას“ („არა ესუა ძე“), და არა უშვილობას. სუმბატ დავითის ძე კი ამ გამოთქმებს აშკარად არჩევს: ბასილ კლარჯის მონაზონის შესახებ იგი, მაგ., ამბობს: „არა ესუა შვილი“, ხოლო, იქვე, აშოტ სუმბატის ძის შესახებ—„არა ესუა ძე“-ო (გვ. 350), სუმბატ ბაგრატ რეგენის-ძის შესახებაც აქ ნათქვამია: „არა ესუა შვილი“, ხოლო დავით დიდის კურაპალატის შესახებ კი—„არა ესუა ძე“ (გვ. 351—352).

თუ სუმბატ დავითის ძის ცნობები გურგენის ასულის არსებობას არ გამორიცხავენ, სამაგიეროდ მეორე ქართული წყარო, „მატიანე ქართლისაჲ“, პირდაპირ ასახელებს გურგენის ასულს. იქ ნათქვამია, რომ კონსტანტინე აფხაზთა მეფის უმცროსი შვილი „ბაგრატ სიძე იყო გურგენ ერისთავთა-ერისთავისა“. ვარიანტი უმატებს: „ძისა ადარნასე ერისთავთა-ერისთავისა“-ო<sup>1</sup>. ადარნასეს ძე გურგენ სწოვრად აშოტ-კისკასის სიძეა. მართალია, „სიძე“ დის ქმარსაც შეიძლება ნიშნავდეს, მაგრამ ჩვენ ზემოთმოცემულ გაგებისაკენ ვიხრებით, რადგანაც გურგენის და იმავე მატიანის მიერ ქვემოთ არის მოხსენებული, სწორედ დობით: პერეთის მფლობელი იშხანიკი გურგენის დისწული ყოფილა, ე. ი. იშხანიკის დედა, დინარ დედოფალი, გურგენის დაა<sup>2</sup>.

ამგვარად, აღნიშნული მოჩვენებითი წინააღმდეგობაც იხსნება.

<sup>1</sup> ქ. ცხ., მარ., 228.  
<sup>2</sup> იქვე, 229.



П. Ушаков

## ХЕТТСКАЯ ПРОБЛЕМА

### К вопросу о генезисе и взаимоотношениях индоевропейских и картвельских языков

Древнейшая история Грузии может быть освещена только при условии уяснения развития в отдаленные эпохи смежных с нею стран, в особенности областей лежащей к югу и юго-западу от Грузии — Малой Азии.

Вопрос о возникновении и развитии картвельских языков и образовании картвельских народов, проблема родственных связей и исторической эволюции более древних этнических образований на территории Закавказья, — все это не может быть не только разрешено, но и не допускает научного подхода к решению, пока не будет достаточно известна древнейшая история Передней Азии и прежде всего районов, примыкающих к Черному и Каспийскому морям.

Наиболее важно было бы знать лингвистические отношения и историю народов, населявших Малую Азию в третьем, втором и первом тысячелетиях до н. э.

Положение в этом отношении до 1906 года было весьма плачевным. Успехи археологии и истории древнего Востока за вторую половину XIX века, расцвет египтологии и ассириологии ярким светом озарили прошлое Египта, Ассирии и Вавилонии, но Малая Азия являлась белым пятном на карте исторической географии и прошлое ее народов оставалось темным, так как для восстановления его в руках исследователей имелись только скудные и отрывистые сообщения древне-греческих и латинских писателей, да и то только для более близких к началу нашей эры времен. Конечно, исследователи учитывали сверх того указания библии и несистематические и редкие сведения из хроник и надписей на камнях ассирийских и вавилонских царей и египетских фараонов, касающиеся иногда лишь только вскользь стран Сирии и Малой Азии.





Тридцать пять лет тому назад удачные раскопки Гуго Виллема в турецкой деревне Богезкиой в 145 километрах к востоку от Анкары привели к открытию до 20.000 глиняных табличек (и их обломков), исписанных клинописью на языках хеттского круга, и открыли миру хеттскую культуру, о которой древние греки не сохранили никаких воспоминаний. Прочтение новооткрытого архива хеттских царей середины второго тысячелетия до н. э. поставило в порядок дня хеттскую проблему и дало науке богатый материал по древней истории Малой Азии, бросающий свет и на древнейшие судьбы Грузии и прилежащих к ней областей. Раскопки в Богезкиое были возобновлены в 1931 году германским археологом Курт Биттелем, который за восемь лет и добыл еще около 6.000 хеттских клинописных табличек и за одну кампанию 1936 года<sup>1</sup> 280 печатей с хеттскими иероглифическими надписями. Документы хеттского архива оказались составленными на 8 древних языках<sup>2</sup>. Расшифровке надписей на главном хеттском языке, которым написано огромное большинство обнаруженных текстов, как известно, положил начало чешский ученый Бедрих Грозный в 1915 году. За следующие 25 лет изучение хеттских языков сделало крупнейшие успехи. Чрезвычайно обогатилась научная литература по хеттологии в Германии, Франции, США и в других странах. Благодаря этому и в связи с успехами археологии за последнее десятилетие (1929 — 1939 гг.), в особенности после открытия эпиграфических материалов при раскопках в Рас-Шамре<sup>3</sup> (Северная Сирия) древнего города Угарита и разрушенного знаменитым вавилонским царем-законодателем Хаммураби в XIX веке до н. э. культурного центра на среднем течении Евфрата — Мари<sup>4</sup>, движение вперед науки о древнем Востоке получает большой толчок.

Понимание языков хеттского мира до известной степени облегчается возможностью их сравнительного изучения, в связи с более поздними языками Малой и Передней Азии, в частности путем сопоставления с материалами лидийского языка: 54 надписями, найденными на территории бывшей Лидии — в основном раскопками американцев в развалинах

<sup>1</sup> Albrecht Götzke, The present state of Anatolian and Hittite studies: The Haverford Symposium on archaeology, New Haven, 1938, стр. 150.

<sup>2</sup> E. Forrer, Die Inschriften und Sprachen des Hatti-Reiches: ZDMG, 76 Band, 1922, стр. 174—269.

<sup>3</sup> См. W. F. Albright. The present state of Syro-Palestinian archaeology: The Haverford Symposium on archaeology, New Haven, 1938, стр. 1—46, Claude F. A. Schaeffer, Die Stellung Ras Shamra-Ugarits zur Kretischen und Mykenischen Kultur: Jahrbuch des deutschen Archäologischen Institutes, 1937, B. 52, 3—4 H., стр. 139—165.

<sup>4</sup> См. Comptes-rendus de l'Académie des Inscriptions, Paris, 1938 (сентябрь) и статьи Parrot в журнале Syria за последние годы.




 УДК 938.5(04)  
 812.2(04)938.5

Сард в 1910—1913 годах<sup>1</sup>, ликийского, надписи на котором стали известны уже более ста лет тому назад<sup>2</sup>, и с текстами памятников на урартском („халдском“) языке<sup>3</sup>, рассеянных на большом пространстве от Ванского озера до северных пределов Советской Армении. Документы этих трех языков относятся к первому тысячелетию до н. э., а именно: древнейшие урартские на 400 лет моложе наиболее поздних богезкийских надписей, лидийские еще на 400 лет моложе, а ликийские относятся к IV веку до н. э. Однако, в структуре этих трех языков отражены более древние периоды языкового развития. Для этнологии древней Малой Азии значение имеет и изучение двух древнейших языков переднеазиатского мира, распространенных южнее: сумерийского<sup>4</sup> и эламского<sup>5</sup>.

Наиболее крупным достижением восточной филологии является обеспеченная только на основе открытий и фактов хеттологии возможность не изолированного, а сравнительного анализа языков и культур переднеазиатского мира. Из восьми языков, на которых оказались написанными исторические и религиозные тексты архива хеттской столицы города Хаттусаса (Богезкия), два — сумерийский и вавилонский — не связаны с Малой Азией, а их наличие указывает на большое культурное влияние сумерийской цивилизации и вавилонян на далеко лежащие области. Из остальных новооткрытых языков два близко родственны между собою: это индоевропеоподобные языки — хеттский государственный, по предложению Б. Грозного именуемый неситским<sup>6</sup>, и лувийский, схожий с ним, но заключающий в себе еще меньше „индоевро-

<sup>1</sup> Sardis (Publications of the American Society for the excavations of Sardis), vol. VI Lydian inscriptions. Part I by E. Littman. Leyden. 1916. Part II by W. H. Buckler. Leyden. 1924.

<sup>2</sup> W. Deecke, Lykische Studien. Christiania. 1887—1889; Alf Torp, Lykische Beiträge. Christiania. I—V. 1898—1901; F. Bork, Skizze des Lükischen. Königsberg. 1926.

<sup>3</sup> A. H. Sayce, The cuneiform inscriptions of Van; JRAS, London, 1882—1929; C. F. Lehmann-Haupt, Corpus inscriptionum chaldicarum. Berlin. Lieferung I—II. 1928—1935.

<sup>4</sup> Arno Poebel, Grundzüge der Sumerischen Grammatik. Rostock. 1923; Его же Sumerische Studien. Leipzig. 1921; Victor Christian, Der Bau der sumerischen Sprache: Forschungen und Fortschritte, 1932, N. 33.

<sup>5</sup> G. Hüsing, Die elamische Sprachforschung; Memnon B, IV. 1910; Robert Bleichsteiner, Beiträge zur Kenntnis der elamischen Sprache; Anthropos, XXIII B., 1—2 H., 1928.

<sup>6</sup> В надписях язык называется *nasili* и *nesumili*, что выведено, по видимому, из названия города Неса в югозападной части Малой Азии. Ранее Э. Форрер предложил называть язык правящего круга хеттов канзийским или канешским по имени города Канеш, но это название оставлено. Чаще всего этот язык продолжают именовать просто „хеттским“.





пейских“ элементов, чем находят в неситском. Открытие этих двух языков вызвало огромный интерес со стороны лингвистов всех стран, так как хотя в лексике неситского 90 процентов оказались чуждыми предполагаемому праиндоевропейскому словарю, однако, в грамматике черты сходства с индоевропейскими языками значительны. Небольшое число надписей богезкиойского архива составлено на каттийском (hattili) языке. Этот язык, который теперь принято называть протохеттским<sup>1</sup>, носит типичные кавказские черты: он изобилует префиксами и в его фонетике отмечаются специфические кавказские латеральные звуки<sup>2</sup>. На протохеттском языке говорило первоначальное население Хаттусаса и он был распространен как в средней, так и в восточной части Малой Азии. Народ кашки, живший на побережье Черного моря между нынешним расположением городов Синопа и Трапезунда, как утверждает Э. Форрер, говорил на диалекте протохеттского. К протохеттскому был близок и язык древнего народа Восточного Закавказья каспиев, от имени которого возникло название Каспийского моря. В XVIII столетии до н. э. касситы, которых связывают с каспиями, двинувшись на юг, завоевали Вавилон и властвовали там в течение 700 лет. Небольшой материал по касситскому языку, сохранившийся в вавилонских памятниках, не мог дать ясного представления о касситском языке<sup>3</sup>, но в настоящее время вскрываются его родственные связи с протохеттским<sup>4</sup>. Изучение протохеттской культуры и языка имеет огромное значение для вопросов этногенезиса народов Грузии. Не меньшее значение надо признать и за другим этническим элементом хеттской империи: харрийцами или хурритами. Надписи в богезкиойском архиве на харрийском языке (harrili или hurrili) также немногочисленны, но они дополняются материалами из других мест и общее представление о харрийцах и их языке все более и более определяется. На этом языке вели переписку с соседними странами в XIV столетии до н. э. цари Митанни в Северной Месопотамии: как известно, в 90-х годах

<sup>1</sup> A. H. Sayce, *Protohittite*: J. R. As. Soc., 1924, стр. 245—255; R. Bleichsteiner, *Zum Protohittischen*: Berichte des Forschungsinstitutes für Osten und Orient in Wien, III, 1923, стр. 102—106.

<sup>2</sup> A. Smieszek, *Bezdzwieczne I w języku elamickim i protochetyckim*: Rocznik orientalistyczny, 1924, II tom, стр. 145—152.

<sup>3</sup> G. Hüsing, отождествляя касситов с каспиями, признавал их по языку северной ветвью эламитов. (*Der Zagros und seine Völker*). Имя касситского бога солнца (Surias) унаследовали индусы. Шэфтелович пытался представить касситский язык — индогерманским в работе *Die Sprache der Kossäer* (*Z. f. vergl. Sprachforschung*, B. 38—1905). Ср. взгляды Артура Унгнада в его книге *Subartu*, Berlin, 1936, стр. 19.

<sup>4</sup> J. Gelb, *Inscriptions from Alishar and vicinity*. Chicago, 1935, стр. 20, примечание 20. Гельб устанавливает соответствие ряда касситских слов с протохеттскими.





прошлого столетия, при обнаружении в Египте у деревни Телль-Амарны архива фараона XVIII династии Аменхотепа IV в числе других документов найдены два клинописных письма митаннийского правителя Душратты, одно из которых написано на „митаннийском“, т. е., как позднее выяснилось, на харрийском языке<sup>1</sup>. Собственные имена митаннийцев и харрийцев (хурритов) выделяются такими особенностями, что их легко отличить от семитических и шумерийских имен.

Изучая ономастику древнейших шумерийских и вавилонских надписей, исследователи<sup>2</sup> выяснили, что уже в третьем тысячелетии до н. э. в определенных районах от Сирии до Ирана отмечаются такие имена, причем в клинописи они связаны с названием страны „Субарту“, почему для них предложено именование субарейских.

Точно так же культура, позднее представленная хурритами-харрийцами и языки — митаннийский, харрийский и схожие с ними<sup>3</sup> объединяются названием „субарейских“; субарейским языкам приписывается древность, превышающая или не уступающая древности языков шумеров и эламитов. Унгнад различает восточно-субарейские и западно-субарейские языки. К западным относятся хурритские диалекты Сирии: язык, на котором говорили в эпоху Телль-Амарны в городе Катне<sup>4</sup>, и наречие, остатки которого в ряде текстов алфавитной клинописью найдены при начатых в 1929 г. французскими археологами раскопках в Рас-Шамре на побережье Сирии (против острова Кипра), где в XX—XIV вв. до н. э. процветал город со смешанным семитическим и харрийским населением — Угарит. К восточным Унгнад относит языки предполагаемого субарейского населения областей к востоку и юго-востоку от течения реки Тигра.

И. Фридрих категорически утверждает<sup>5</sup>, что, несмотря на некоторые диалектические различия, в дошедших до нас памятниках представлен лишь один язык — „хурритский“ и все субарейцы говорили на одном языке. Фердинанд Борк, наоборот, стремится доказать, что несемитический язык города Угарита надо считать особым, отличным

<sup>1</sup> F. Bork, Die Mitanni-Sprache. Leipzig, 1909; Его же. Der Mitanni-Brief und seine Sprache. Königsberg, 1939.

<sup>2</sup> A. Ungnad, Subartu. Beiträge zur Kulturgeschichte und Völkerkunde Vorderasiens. Berlin, 1936. Подробно останавливается на хурритской проблеме E. A. Speiser в работе Ethnic movements in the Near East in the second millennium B. C. Baltimore, 1933.

<sup>3</sup> C. G. Brandenstein, Zum Churritischen aus den Ras Shamra Texten: ZDMG, 1937, B. 91, H. 3, стр. 555—576; Th. Gaster, A new asianic language. (Gaster Anniversary Volume. London, 1936, стр. 154—172).

<sup>4</sup> F. Bork, Die Sprache von Qatna. Leipzig, 1940. Cp. J. Friedrich, Zur Sprache von Qatna: WZKM, 1940, B. 47, H. 3—4, стр. 202—214.

<sup>5</sup> Johannes Friedrich, Kleine Beiträge zur churritischen Grammatik. Leipzig, 1939, стр. 59.





от митаннийского, языком и дает ему название „укирутского“<sup>1</sup> существование субарейцев и харрийского языка подтверждается как близостью текстов, найденных в Богезкиое и Рас-Шамре, к митаннийскому письму Душратты, так и тем, что везде упоминаются одни и те же боги и ономастика совпадает и по корням, и по окончаниям имен. Что же касается субарейцев-харрийцев, то тут возникает два существенных вопроса: во-первых, распространялась ли субарейская раса на запад, т. е. входили ли харрийцы в состав населения Эгеиды — островов Эгейского моря и Греции, и, во-вторых: откуда явились субарейцы и когда? На второй вопрос Артур Унгнад отвечает утверждением того, что субарейцы — древнейшее исконное население Передней Азии. Эмиль Форрер<sup>2</sup>, напротив, выдвигает гипотезу о приходе харрийцев с востока — из Туркестана или Центральной Азии. Однако, ответ на первый вопрос обусловит разрешение и второго. Следы харрийских влияний имеются и в Греции<sup>3</sup>. Имя древнейшего критского баснословного царя Миноса — судьи в подземном царстве (согласно греческой мифологии) — оказывается субарейским, связанным с именем бога подземного царства у субарейцев *Saman-minuhi*<sup>4</sup>.

Имя главного божества харрийцев Тешуп, Тешуб отразилось в древних городах Греции: *Θέσβη* и *Θέσπις*, а в названии столичного города крито-микенской эпохи Орхомена (*Ορχομενος*), кроме имени бога Мину-хи, выявляется хурритское слово *urhe* — „справедливый, правильный“.

<sup>1</sup> F. Bork, *Das Ukirutische, die unbekannte Sprache von Ras Shamra*. Leipzig, 1938.

На этом укирутском языке написаны хурритские тексты Рас-Шамры азбучной клинописью. Вокабулярный же, содержащий лексический материал харри-митаннийского типа, Борк относит к „катнийскому“ языку. Эти утверждения Борка оспариваются И. Фридрихом (op. cit. стр. 53—58).

<sup>2</sup> E. Forrer, *Stratification des langues et des peuples dans le Proche-Orient préhistorique*: J. A. S. 1930, t. 217, N. 2. Однако, в эпоху хеттской империи, как сам Форрер указывает, страной Харри и родиной харрийцев считалась центральная Сирия, область Амурру, которая в ассирийских вокабуляриях называлась Ари (стр. 235—236).

<sup>3</sup> См. мою статью „Проблема древнейшего населения Малой Азии, Кавказа и Эгеиды“: Вестник Древней Истории, 1939 г., том IV, стр. 50—5.

<sup>4</sup> A. Ungnad, *Subartu*, стр. 67. Боги Напарви и Партахи в древнейших клинообразных надписях отождествляются с Нергалом, а бог Саман-минухи называется всегда рядом с Напарви. Ср. также хурритского бога клятв Munki или Munku (A. Goetze, *Kleinasiens*. München, 1933, стр. 123—125). На книгу Унгнада *Subartu* появилось много рецензий. См. OLZ, 1938, № 12, столбцы 740—746 (рецензия А. Фалькенштейна). Наличие хурритов в Эгеиде подтверждается присутствием их на острове Кипре. Ф. Виллабель признает хурритским имя правительницы этого острова в XI веке до н. э. Хатиба известное по древне-египетским источникам. (Fr. V. Willabel, *Geschichte Vorderasiens und Agyptens von XVI Jahrhundert v. Chr.* Heidelberg, 1927, стр. 133).





Urhi-minu-s<sup>1</sup> значит „справедлив бог Мин“. Имя Minuhi также в именах урартских царей — Менуа. Учитывая эти указания на наличие харрийцев в Эгеиде<sup>2</sup> и факт их роли в северной Сирии у побережья моря в г. Угарите в XV веке до н. э. и на среднем течении Евфрата — за 1900 лет до н. э., где при раскопках в Мари<sup>3</sup> добыто шесть клинописных надписей на хурритском языке, приходится признать, что если харрийцы и проникли в Северную Месопотамию и далее восточнее ее, то движение их шло с запада, а харрийский язык правильнее всего следует признать за эгейско-переднеазиатский и позднейшие эгейские языки ставить с ним в генетическую связь. Исследователи хурритского языка Э. Спейсер и Альбрехт Гетце<sup>4</sup> считают, что известный по памятникам VIII и VII веков до н. э. урартский язык представляет собой только „позднее наречие“ хурритского. Связи урартского с харританнийским признают также Артур Унгнад<sup>5</sup> и И. Фридрих<sup>6</sup>. Но К. Леманн-Хаупт выводил халдов-урартийцев с запада Малой Азии и подчеркивал упоминание в сказаниях ликийцев мифического героя с именем Халда, совпадающим с именем главного бога урартийцев. Надо помнить, что хурриты-субарейцы не распространялись однако ни далеко на восток в сторону Закавказья, ни даже в глубь Малой Азии. Поэтому обнаруженная раскопками 1936 — 1940 годов Б. А. Куфтина в районе Цалки в восточной Грузии бронзовая культура второго тысячелетия до н. э. с богатейшими украшениями и предметами обихода из золота и серебра, с остатками зала в 175 квадратных метров — не может быть отнесена к хурритам, волна которых в середине этого тысячелетия не доходила, как подчеркивает Э. Спейсер<sup>7</sup>, даже до Тепе-Гавра. В западной части Малой Азии границей харрийского расселения

<sup>1</sup> Сравнить имя хеттского царя Urhi-Tesup.

<sup>2</sup> Само название Эгейского моря (и Эгея — *Aegeus* — ипостаси Посейдона) связано с хурритским словом *egi* „водный бассейн“. Этот термин хурритских текстов К. Бранденштейн и И. Фридрих переводят как „источник“, „колодец“. (WZKM, 1940, В. 47, Н. 3—4; I. Friedrich. *Urartaisches*, стр. 194). Сравнить с *egi* имя нимфы источников в древнем Риме *Egeria*, влетевшей в легенду о римском царе Нуме Помпилии. Об Эгее см. статью Wernicke, *Aegeus*; Paulys R. E. В. 1, 1894, Sp. 952—956.

<sup>3</sup> Andre Parrot, *Les fouilles de Mari*: Syria, 1935, t. XVI, стр. 118—140). Х. Пеклер, Древнее государство Мари: Исторический журнал, 1940 г., № 9, стр. 90—98.

<sup>4</sup> *Language*, 1939, v. 15, № 4, стр. 254.

<sup>5</sup> *Subartu*, стр. 164—166.

<sup>6</sup> J. Friedrich, *Kleine Beiträge*, стр. 59—62.

<sup>7</sup> E. A. Speiser, *Excavations at Tepe Gawra*. Philadelphia, 1935, v. I.





Унгнад считает озеро Татта<sup>1</sup>. Впрочем в научной литературе о субарейцах обращено внимание на возможное влияние этого племени на картвелов в виду поразительного сходства образования личных имен у них в сравнении с современными мегрельскими фамилиями<sup>2</sup>. Поэтому можно допустить мысль о том, что на предков картвел в более позднюю эпоху, т. е. в первом тысячелетии до н. э. оказали влияние хурритские племена в качестве господствовавшей некоторое время прослойки, растворившейся в иноязычной среде, но передавшей множество имен подчиненной массе<sup>3</sup>.

Хеттская проблема оказалась чрезвычайно сложной потому, что клинописные документы XIV века до н. э. из Богезкия открыли глазам исследователей запутанность племенных и языковых отношений в Малой Азии уже во втором тысячелетии до н. э., ибо, кроме совершенно несходных между собою харрийского и хаттийского (протохеттского) языков и не оставившего достаточно ясных следов в памятниках балайского (палайского), в хеттском федеративном государстве видное место занимали, как оказалось, два индоевропеоподобных языка: неситский (хеттский государственный) и лувийский. В хеттской клинописи для всех этих пяти языков находим соответствующие точные именованья: *hurlili*, *hattili*, *palaimnili*, *nesumnili* или *nasili* и *luuili*. Как известно, из языков хеттского мира лучше и детальнее всего удалось изучить неситский<sup>4</sup>, название которого Б. Грозный связывает с именем древнего города Малой Азии вблизи озера Татта — *Nesas* или *Nasas*. С именем этого города связаны и имена почитавшихся митанийцами богов *Nasatya*, унаследованных затем от харрийцев индусами, воспринявшими, с другой стороны, от неситов богов Агни (в хеттской клинописи *Ag-ni*) и Варуна (неситское *aguna* — „море“<sup>5</sup>).

Сведения о неситском языке, в виду публикаций с переводом сотен хеттских текстов, за последние десять лет весьма обогатились но-

<sup>1</sup> Subartu, стр. 167. Богиня Хепет города Уда, отождествляемого с *Ydy*, т. е. нынешним Карабунар к югу от озера Татта, указывает на хурритский культовой центр в данном районе.

<sup>2</sup> R. Bleichsteiner, Die Subaräer des alten Orients im Lichte der Japhetitenforschung: Festschrift P. W. Schmidt. Wien. 1928, стр. 1—19; P. M. Parves, Nuzi names. J. of Am. Or. Soc. JAOS, 1938, v. 58, N. 3, стр. 462—471.

<sup>3</sup> Ср. выводы проф. С. Н. Джанашиа в статье უძველესი ეროვნული ცნობა ქართველთა პირველ საცხოვრისს შესახებ მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის სინათლეზე. Известия ИЯИМК, Тбилиси, 1940, т. V—VI, стр. 633—694.

весма многочисленны и места гораздо удобные, вера их христианская и склонна болше верою армянскою, народ весма к воинству мужественной; один год присылает своего человека из болших чиновных людиа послом к нам и просят, чтоб совсем их оттоль снять и поселить в нашем отечестве. Из оных поселени некоторые части от нас в близости и вотдалени, почему с нашей стороны намерение было оных от того места совсем снять и в поход выступить желали, для того однакож оное оставили и от нас им удовольствие совсем происходит; и как в том намерени были, но в тож самое время получили милость все христианство от Всероссийскаго двора, да в том наиболее мнени остались, и стараемся, и когда от Всероссийскаго двора покровительство и милостивое сожаление возсияет, и принять изволит в свою протекцию, то в тож время от сиискаго народа болшую силу мы от них получим, и которой уже в околичности и близости, чтоб от нас дойти известие могло, то оноиже народ, как оне никому не в подданстве, весь на нынешняго супротивника, турка, выступить за подлинно будут от нас соглашены обще на воину.

Сие известие нарошно для его графскаго сиятельства посылаетца об аккуратном известии с нашей стороны.



## П Р И М Е Ч А Н И Я

- 1 Хонткар — турецкий султан.
- 2 «Саатабаго» (საათაბაგო) — букв. «удел атабага» — др. Самцхе или Месхия (провинция Ахалциха), которая поэтому называлась также «Самцхе-Саатабаго» (სამცხე-საათაბაგო). «Ата-баг», герср. «ата-бек» буквально по-турецки означает **отец дома, домовладыца** и, по своему генезису, соответствует греч. «κομαρχ», лат. paterfamilias, перс. «кетхуда», арм. «танутер» и груз. «мамасахлис-и», хотя и по существу отличается от последних, как терминов служивших для обозначения соответствующего института эпохи родового строя и ранне-феодальной формации. Термин «атабаг», герср. «атабек» появляется в Грузии в XIII в. специально для обозначения одного из вельмож при грузинском царском дворе (об отом см. И. Джавахишвили, История грузинского права, на груз. яз., кн. I, ч. I, Тбилиси 1928, стр. 179 — 182). Но «Месхия» стала называться «Саатабаго» с XV века, когда титул «атабаг» был закреплен за представителями рода Джакел-и (ჯაკელი), которые правили этой провинцией до начала XVII века, т. е. до образования т. н. «ахалцихского пашалыка» в составе турецкой империи.
- 3 Трехбунчуковый, т. е. с тремя знаками, от **ოჯღო бунчук**.
- 4 Двухбунчуковый, т. е. с двумя знаками; ср. пред. прим.
- 5 «Бегларбег» (перс.) букв. означает **бек бегларов, глава бегларов**, т. е. то же, что «хан».
- 6 «Кызыльбаш» (перс.) букв. означает **красноголовый**, в смысле перса, персиянина.
- 7 Имеется в виду событие 1751 года.
- 8 **Хамса** — тот же Арцах или Карабаг, по-арабски обозначает **пять**.
- 9 Вернее: **пять**; см. пред. прим.
- 10 Про Аджичалаби см. ჯაბოლივ ცხვობობი, II, 432 (Папуна Орбелиани).
- 11 В подлиннике: «Ялбуза», в смысле Большого Кавказа.
- 12 То же.
- 13 «Раят» — наименование зависимых крестьян.
- 14 См. прим. 11.
- 15 В подлиннике во всех рукописях: ჩუბი სოფელი, что буквально означает **мое селение, моя деревня**.
- 16 Речь идет про иранского шаха Зендской династии, правившего в 1750 — 1779 гг.



## INDEX NOMINUM\*

Абаз [Ша- Шах-*	Баязеты	Дербент*	Картлия
Абас [шах-	Белақан*	Дербент	Ках
Адербеджан*	Белақан	Джара	Кахети*
Адербейджан	Белақанское место*	Джарское ушелье	Кахетинская кре-
Аджи-Чалаб*	Белақанское	Джарцы	пость*
Адрибеджан*	ушелье	Джеваншир	Кахетинская гра-
Акинской хан*	Верхняя Картлия	Джеванширцы	ница*
Алексей (Месхи-	Всероссийский	Джинихское	Кахетинские вла-
швили)	двор*	ушелье	дения*
Алисолтан*	Гавары*	Дживаншир, см.	Кахетинский царь*
Алисултан*	Гелбухские горы*	Джеваншир	Ках[етин]ское и Ка-
Алисултан	Генжа*	Дзурдзук*	хийское царство
Амадан*	Генжинцы*	Дзурдзук	Кахия
Андроников Арге-	Гилян*	Дидоеты*	Кварельская кре-
мий*	Гилян	Дидоия	пость
Арак	Глигви	Ереван	Керим-хан*
Араки*	Глигвы*	Ереванцы	Керим-хан
Арарат	Греческий закон*	Жаванширский на-	Кизикия
Арарацкая гора*	Греческий народ*	род	Кизыльбаши
Армяне*	Греческое испове-	Жаванширы	Кистия
Армяне	дание*	Земо-Картлия, см.	Крым
Армянское владе-	Грузинский диа-	Верхняя Картлия	Крымская граница*
ние*	лект*	Ирак	Кысты*
Армянское цар-	Грузинское цар-	Иракий II*	Куба
ство*	ство*	Иракий II	Куба-хан*
Армянский закон*	Грузины	Иран	Куба-хан
Армянский патри-	Грузи*	Карабах	Кумынкой князь*
арх*	Грузия*	Карагь-Баг*	Кумух
Арцах	Грузия	Карадаг*	Курды
Ахалцих*	Гянджа	Карадах	Лезгинские горы
Ахалцих	Гянджийская стра-	Карс*	Лезгинские силы
Ахалцихский край	на	Карс	Лезгины
Ахалцихцы	Гянджинцы	Картлийское цар-	Магометане
Ахальцих*	Давид-Ректор	ство	Магометанская
Баку*	Дагестан	Делбузинский пол*	вера*
Баку	Делбузинский пол*		Магометанство
Баязет*			Мазандар[ан]
Баязет			

\* Звездочками обозначены те названия, которые упоминаются в 1-й редакции «Описания» по русской версии.





Мазандерань *	Сальяны	Уцмий	Чарелинский *
Месхия	Сирийский народ *		Чаринское место *
Нахичевань	Сирияне	Фарсистан	Чинижское место *
Нахчеван *	Сомехия (Сомхити)		Чеми    Чими
	Сулхав *	Хаджи-Челеб	
Панин Н. И. *	Сулхав	Хамалан	Шаки *
Парсистан *	Сулхавские владения *	Хамзис *	Шакинский хан *
Персидский государь	Сурхай *	Хамс *	Шамаха *
Персичкой государь *	Сурхай	Хамса	Ша-Абаз I *
Персия *	Тавлинской народ *	Хамсийские жители	Шаки *
Персия	Тальское ушелье	Хамские армяне *	Шакинский хан *
Персияне *	Тальпы	Хеви	Шах-Абаз I *
Персияне    Персы	Тараканский народ *	Хевская дорога *	Шах-Абас I
Пшавия	Татары	Хевсуреты *	Шеки
Пшавы	Тбилиси	Хевсурия	Шемаха *
	Телав	Хевы *	Шемаха
Российское государство	Триали	Хорасан *	Шемахинцы
Россия *	Турецкая протекция *	Хорасан	Шираз *
Россия	Турецкое владение *	Христиане	Шираз
	Турецкой солтач *	Христианский народ *	Ширван *
Саатабаго	Турки	Христиане *	Ширван
Саатабаго *	Тушеты *	Хундзах	Ялбуз; см. Эльбрус
Салмас	Тушия	Хунзахинской князь *	Элисо
Салмасис *			Эльбрус
Сальян *	Уцми *	Чалаб [Аджи-*	Эревань *
		Чалаб [Хаджи-	Эристовские владения *





სიმ. შაუხეიშვილი

ნოსტრის ბერძნული წარწერა

I

პროკოპი კესარიელი თავის ნარკვევში De aedificiis იხსენიებს „ლო-  
 სორიონის“ ციხეს, რომელიც იუსტინიანე მეფეს (527—565) აუგია ლაზეთში.

Καὶ φρουρίον δὲ φαίδιμησάτο  
 ἐπὶ Λαζικῆς Ἀοσέριον ὄνομα, καὶ  
 τοὺς ἐν τῇ χῶρᾳ στενωποὺς ἐτει-  
 χίσατο, οὐσπερ Κλεισοῦραξ καλεῖν  
 νεομύκασιν... (aed. III, 7; ed.  
 Hauriy III, 2, p. 99).

ლაზიკის მიწაწყალზეც ააგო  
 [იუსტინიანემ] ერთი ციხე, სახელად  
 ლოსორიონი, და ამ ქვეყანაში  
 ვიწრობებიც გაამაგრა, რომელთაც  
 ჩვეულებრივ, კლისურებს ეძახიან...

იგივე პუნქტი უნდა იგულისხმებოდეს იუსტინიანეს XXXI ნოველაში,  
 სადაც სხვა ციხე-სიმაგრეებს შორის, რომლებიც 532 წლის ზავით ბიზანტიამ  
 უკან დაიბრუნა ირანელებისაგან, დასახელებულია აგრეთვე Ἀύσιρις. ლაზეთში  
 მდებარეობსო — ნათქვამია ნოველაში

Ἀρχαίοπολις τε καὶ Ῥοδόπολις,  
 φρουρία τε μέγιστα καὶ ἀρχαῖαν ἐν  
 οἷς δὴ καὶ τὰ παρ' ἡμῶν ἐστὶν ἐκ  
 Περσῶν ἀναληφθέντα φρουρία Σκά-  
 νδης τε καὶ Σαραπανίς, καὶ τὸ  
 Μου[χ]ίρισιός τε καὶ. Ἀύσιρις,  
 καὶ εἰ τι ἕτερον ἡμῖν ἐν Λαζοῖς  
 ἐκπεπόνηται. (Imp. Iustiniani  
 Novellae, ed. Zachariae a Lin-  
 genthal I, 191 sq.).

არქეოპოლისი და როდოპოლი-  
 სი, უდიდესი და ძველი სიმაგრეე-  
 ბი, აქვე შედის აგრეთვე ჩვენ  
 მიერ სპარსელებისაგან უკან ჩა-  
 მორთმეული სიმაგრეები სკანდისი,  
 სარაპანისი, მუხიურისი და ლკ-  
 სირი და სხვა რამეც, რაც კი  
 ლაზეთში შევიძინეთ.

პროკოპი კესარიელის ხელნაწერებისათვის Ἀοσέριუს-ის ვარიანტები ნაჩვენა





ნები არ არის, ხოლო იუსტინიანეს ნოველისათვის ჩვენთვის საგულისხმოდ წარმოდგენილია შემდეგ ვარიანტებში:  $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$ ,  $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$ ,  $\Lambda\sigma\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$ . უკანასკნელი ვარიანტი  $\Lambda\sigma\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$  უთუოდ ჰგულისხმობს ნათესაობით ბრუნვას წინა სიტყვის ( $M\sigma\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$ ) ანალოგიით; გადამწერს ჰგონებია, რომ როგორც  $\tau\theta M\sigma\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$  ჰგულისხმობდა  $\tau\theta \varphi\sigma\sigma\alpha\epsilon\alpha M\sigma\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$  („მუხირისის ციხე“), ისე მომდევნო გამოთქმაში მოცემული უნდა ყოფილიყო „ლურისის ციხე“. გადამწერი, რასაკვირველია, მართალი არ იყო, რადგან კობულა  $\tau\theta$  იმ ვარაუდით არის ნახმარი, რომ  $\tau\theta M\sigma\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$  („მუხირისის ციხე“) და  $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$  (ლესირი“) დამოუკიდებელი გამოთქმებია და ნაწევარი  $\tau\theta$  მხოლოდ პირველს (მუხირისის) ეკუთვნის და არა ორივეს, ასე რომ მეორე გამოთქმას ნათესაობითი ბრუნვა კი არ ესაჭიროება, არამედ სახელობითი ( $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$ ); ყოველ შემთხვევაში, გადამწერი ნათესაობითს ბრუნვას ჰგულისხმობს. ამგვარადვე მეორე ვარიანტი  $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$  იმავე, ნათესაობითს, ბრუნვას ვარაუდობს, ხოლო  $\epsilon$  არ არის თავის ადგილას: უნდა იყოს  $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$ . მაშასადამე, სამი ვარიანტიდან ორი იძლევა ნათესაობითი ბრუნვის ფორმას  $\Lambda\sigma\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$  და  $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$ , რომელთა სახელობითი ბრუნვა იქნებოდა  $\Lambda\sigma\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$  და  $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$ . რამდენადაც პირველი ვარიანტი  $\sigma\alpha\epsilon\mu\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$  შუაში ხმარობს ( $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$ ) ისევე, როგორც მესამე ( $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$ ), ჩვენ არა გვაქვს საბჭოთი უპირატესობა მეორე ვარიანტს ( $\Lambda\sigma\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$ ) მივცეთ, მით უმეტეს, რომ პროკოპი კესარიელის ვარიანტი ამ ციხე-სიმაგრის სახელწოდებისათვის ( $\Lambda\sigma\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$ )  $\sigma\alpha\epsilon\mu\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$  მარცვალს შუაში იძლევა. მეორე მხრით, ორი ვარიანტის  $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$  წინააღმდეგ ერთი ვარიანტის  $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$ -სი, პროკოპი კესარიელის  $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$  მარცვლის მოშველიების შემდგომ, გვავალებს ჩვენი სიტყვისათვის უპირატესობა მივცეთ  $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$ .

ამგვარად, ჩვენი ციხე-სიმაგრის აღდგენილი ფორმა იქნება  $\Lambda\sigma\alpha\epsilon\rho\alpha\varsigma$  (-ლესირი || ლოსირი<sup>1</sup>; შდ. მუხირისი || მოხირისი).

## II

აკადემიკოსი თ. უსპენსკი თავის დროზე, როდესაც ის იკვლევდა ქორხის შესართავთან მდებარე გონიოს ციხეს, შეეხო პროკოპის „ლოსორიონის“ საკითხს და გამოთქვა მოსაზრება, თითქოს  $\Lambda\sigma\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$  იყოს პოლეოგრაფიულ ნიადაგზე შერყენილი  $A\phi\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$ , რომელიც შემდეგ დროინდელ გონიოს ციხეს უდრის (Ф. Успенский, Старинная крепость в устье Чороха: ИАН 1917, № 2, ვგ. 166). ჩვენ მიერ ზემოთ განხილული ვარიანტები ნათელყოფენ, რომ, ვინაიდან ორი ავტორის ნაწარმოებში მოყვანილი ოთხი სხვადასხვა ფორმა ამ სახელწოდებისა დასაწყისში  $\Lambda$ -ს იძლევა, აქ ძნელია  $\Lambda$ -ს ნაცვლად  $A$  ვიგულისხმოთ; გარდა ამისა  $\Psi$ -ის აღმოცენებისათვის საჭირო იქნებოდა დაგვეშვა, რომ ის ორი ასოთი იწერებოდა ( $\pi\sigma$ ), რაც ბიზანტიური ეპოქისათვის ძნელი საფიქრებელია.

<sup>1</sup> პროკოპი კესარიელის „ლოსორიონ“-ში ხაზგასმული  $\sigma\alpha\epsilon\mu\alpha\rho\sigma\alpha\epsilon\alpha$  ასიმილაციის გზით უნდა იყოს მიღებული.



ლოსიროს შეცვლა აფსარიონით იმიტომაც არის შეუძლებელი, რომ აფსარიონი (თვით თ. უსპენსკის აზრით „გონიო“) ზღვის პირას მდებარეობდა, ლოსირო კი, ბიზანტიელთა აღწერით, შიდა ლაზეთში მდებარეობს. როდესაც იუსტინიანე თავის (535 წ. გამოცემულ) ნოველაში ჩამოთვლის ლაზიკის ადგილებს, ის ამბობს: «აქვე შედის აგრეთვე ჩვენ მიერ სპარსელებისაგან უკან ჩამორთმეული სიმაგრეები: სკანდისი, სარაპანისი, მუხიორისი და ლზსირი». აქ ივულისხმება 532 წლის ზავით უკან დაბრუნებული ციხე-სიმაგრეები. საომარი ოპერაციები ბიზანტიელებსა და ირანელებს შორის 532 წლის ზავის წინა ხანებში წარმოებდა შიდა ლაზეთში და არა ზღვის პირას; ზღვის პირას პირველი იერიშები ირანელებისა დაკავშირებულია 540-იან წლებში პეტრას გარშემო წარმოებულ ბრძოლებთან. 532 წლის ზავის შესახებ მომთხრობელი პროკოპი ამბობს: «რომაელებმა მისცეს სპარსელებს ფარანგიონი და ბოლონის სიმაგრე, და თან ფულიც; ხოლო სპარსელებმა რომაელებს — ლაზიკის სიმაგრეები» (BP I, 23; გეორგიკა II, 33). თუ რა სიმაგრეები იყო ეს, ჩვენ ზედმიწევნით არ ვიცით; 532 წლის წინა ხანებში ირანელების მიერ ლაზეთში დაპყრობილ ციხე-სიმაგრეთაგან პროკოპი კესარიელს ყურადღება აქვს მიქცეული ორზე: სკანდენზე და შორაპანზე, რომლებიც «რომაელებმა დასტოვეს; ისინი ხელთ იგდეს სპარსელებმა» (BP I, 15; გეორგიკა II, 25). მაგრამ ჩვენ ისიც ვიცით, რომ სკანდისა და შორაპანის ადგილზე მტერს გზა ეხსნებოდა, ყოველ შემთხვევაში, აღმოსავლეთ ლაზეთში მთლიანად. იუსტინიანეს ნოველაში მოხსენებული მესამე ციხე *τὸ Μουσείσιον* უნდა იყოს „მუხირისი“, ვინაიდან ამ ხანებში ლაზეთის განთქმულ ადგილთაგან მუხირისის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, როგორც თავისი ეკონომიური ღირებულებით, ისე სტრატეგიული მდებარეობით და, თუ იუსტინიანეს ნოველაში მოხსენებული *τὸ Μουσείσιον* სხვა პუნქტია და არა მუხირისი, მაშინ რატომ აუარა იუსტინიანემ გვერდი მუხირისს. ყოველად წარმოუდგენელია, რომ იუსტინიანეს ლაზეთის მნიშვნელოვან ადგილთა ჩამოთვლისას გამოეტოვებინა მუხირისი.

მაშასადამე, იუსტინიანე თავის ნოველაში იმ მნიშვნელოვან პუნქტებს, რომლებიც ირანელებს სჭერიათ 532 წლის ზავამდე, ჩამოთვლის რიგ-რიგად მოყოლებული იბერიის საზღვრებიდან შიდა ლაზეთისაკენ: სკანდე—შორაპანი—მუხირისი. მეოთხე პუნქტად ამავე ხაზზე დასახელებულია „ლოსირო“, რომელიც რიონის გაყოლებით მდებარე მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტთა რიცხვს უნდა ეკუთვნოდეს, მუხირისის დასავლეთით, როგორც ეს ჩანს იუსტინიანეს მსჯელობის მიმდინარეობიდან. ამ პუნქტის შესახებ 1934 წელს ჩვენ გაკვირით ვწერდით: „ასეთი პუნქტი საგულისხმებელია ან სკანდე-სარაპანისის სასაზღვრო ხაზზე ან შიგნით ლაზიკეში, იქ, სადაც სპარსელ-ბიზანტიელთა საომარი ოპერაციები ხდებოდა; ამ რაიონში არის, მაგალითად, ნოსირო, აბაშასა და ტენურს შუა, რომლის მახლობლად მდებარეობენ საომარი ოპერაციებით საკმაოდ ცნობილი პუნქტები: სამხრეთით *Νησιος*-ისულეთი, ხოლო ჩრდილოეთით *Ἀρχαίοπαισις*-ნოქალაქევი“ (იხ. გეორგიკა II, 18ა). 1936 წლის ივლისში ჩვენ მიერ ადგილობრივ, სოფელ ნოსიროში, ჩატარებულმა მუშაობამ შეგვიძინა ახალი მასალები.



## III

პროფ. გ. ნიორაძის მიერ ჩვენთვის გადმოცემული ცნობით, სოფ. ნოსირში ერთს ადგილობრივ მცხოვრებს უზოვია ბერძნულ-წარწერიანი აგური. ადგილობრივ მცხოვრებ ყარამან ოდიშარიასთან ჩვენ, მართლაც, ვხახეთ აგური, რომელშიაც ამოჭრილია ქვემოთ მოყვანილი წარწერა<sup>1</sup>. ამ წარწერის პოვნის ისტორია შემდეგია: ნოსირის იმ ნაწილში, რომელსაც საოდიშარიო ჰქვია, ოდესღაც ძველი ეკლესია ყოფილა. არავის ახსოვს ის ეკლესია, არც ის, თუ ვის სახელზე იყო ის აგებული, ახსოვთ მხოლოდ მისი დანგრეული კედლები. ოთხმოციოდე წლის წინათ აუგიათ ხის ეკლესია, რომლის შენობა დღესაც დაცულია. 1902 წელს ადგილობრივ მცხოვრებლებს გადაუწყვეტიათ ძველი დანგრეული ეკლესიის ადგილას აგეოთ ახალი ქვიტკირის ეკლესია. ამ მიზნით მათ მოუსუფთავებიათ საჭირო მოედანი, გაუსწორებიათ ნიადაგი, ძველი მთლიანი ქვები გამოუყენებიათ, ხოლო ნატეხები ქვისა და აგურისა სოფლის გზაზე დაუყრიათ (50 ურემი ნატეხი აგური გადაუყრიათ). ამ მუშაობის დროს ერთ აგურზე რაღაც წარწერა შეუნიშნავს ყარამან ოდიშარიას და შეუნახავს ეს აგური, ფრაგმენტულად დაცული. მოსუფთავებულ მოედანზე მცხოვრებლებს დაუწყიათ ახალი შენობის აგება და კიდევაც ამოუყვანიათ კედლები ერთი მეტრის სიმაღლეზე, ხოლო ამასობაში მოუსწრია 1905 წლის რევოლუციის ამბებს და შენობის აგებისათვის თავი გაუნებებიათ (დღესაც იქ დგას ერთი მეტრის სიმაღლის ქვის კედლები).

წარწერა ამოჭრილია კვადრატულ აგურში • (30 cm სიგრძე-სიგანე, 4 cm სისქე), რომელიც დღეს ოთხ ნატეხად არის შენახული (აკლია მეხუთე ნატეხი ქვედა მარცხენა კუთხისა), 12 სტრიქონად.

1. *σταν και ιω. ησ και επι ιριον*
2. *μ<sup>2</sup> οσ σατηρ και τα χρυσα*
3. *μσθ ερχα ερεσμυασ τη δε*
4. *ξιδ σσσ σαηπασσσ με<sup>3</sup> αμσ*
5. *νατε τρισαγχε ξ —*
6. *σεχαρισσσσμε σσσ ιωσ δεσ*


<sup>1</sup> ეს წარწერა შემდეგ სოფ. ნოსირიდან ფოთის მუზეუმში გადაუტანიათ, ხოლო 1939 წელს საქართველოს მუზეუმის საისტორიო განყოფილებაში მოხვედრილა. 1939 წლის 22 აგვისტოს ჩვენ გვწერდა საქ. მუზეუმის საისტორიო განყოფილების გამგე აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი: «ამ წერილთან ერთად გიგზავნით ს. ნოსირთან ნანგრევებში ნაპოვნი ბერძნულ-წარწერიანი დამტვრეული აგურის ფოტო-სურათს. თვით აგური ჩამოიტანა ფოთის მუზეუმის გამგემ, ხოლო სურათი აქ გადავადლებინე. ვთხოვთ წარწერა წაიკითხოთ და მისი გამოკვლევა იკისროთ». დასაძინებლად ის დამრჩენია, რომ განსვენებული აკადემიკოსის თხოვნის შესრულება მის სიცოცხლეში ვერ მოვახერხებ.

<sup>2</sup> შეიძლება იყოს *ν*.

<sup>3</sup> ეს ადგილი გაფუჭებულია; თითქოს სწვრია *μ<sup>2</sup>* (ე. ი. *μ<sup>2</sup>*, ანუ *μ<sup>2</sup>ηρ*), მაგრამ აზრის მიხედვით აქ *μ<sup>2</sup>* უნდა იყოს და, მაშასადამე, ის, რაც ამჟამად ქარაგმას ჰგავს, საუკუნეთა განმავლობაში შემთხვევითი დაზიანების შედეგი უნდა იყოს.



7. του αγιου πεδο σου ιησου χ'σ
8. του κ'σ ημων δι ου εφωτισασ
9. ημασ κα[υ] ελεησασ ημασ αποκα
10. λυψ...                      φερ. τον σου φωσ
11.                                    ντεσ το μηκοσ στη
12.                                    επ πασα



ქართულად: «ოდეს დაჯდები ტახტზე, მაცხოვარო, და გამოიკვლევ ჩემს ფარულ საქმეებს, დამიცავი მე უენი მარჯვენით, უკვდაო და სამეზის წმიდაო, ... გმადლობ შენ, ღმერთო, წმიდისა მიერ ძისა უენისა, იესუ ქრისტესი, უფლისა ჩვენისა, რომლის უემწეობით გაგვინათლე ჩვენ, შეგვიწყალე ჩვენ და გამოგვიცხადე...».





დამწერლობის თვალსაზრისით ამ წარწერაში დამახასიათებელია ΑΔΕΜΣ ასოების მოხაზულობა, რომლის მიხედვით შეიძლება ეს წარწერა VI—VIII საუკუნეებისათვის მიგვეკუთვნებია. მაგრამ, ვინაიდან ამგვარი მოხაზულობის ასოები სხვა დროსაც გვხვდება, ჩვენ ამჟამად ვერაფერს ვიტყვით ზედმიწევნით ამ წარწერის ეპიგრაფიკული ასაკის შესახებ.

ენობრივი თვალსაზრისით კი არის იმის ნიშნები, რომ ეს წარწერა გვიან-ბიზანტიურ ხანას არ შეიძლება ეკუთვნოდეს. მართალია, არის მთელს ბიზანტიურ ეპოქაში შესაძლებელი გვიან-ბერძნული ფორმები *πεδισ* (= *παῖδης*), *απατα* (*απατα*), *εσχαριστισιας* (= *εσχαραστισιας*), მაგრამ ამით გვერდით გვაქვს *σρηπασον* (= *σῆπασον*), რომელშიაც η-ს ხმარება ε-ს ნაცვლად გვიან-ბიზანტიურ ეპოქაში ძნელი წარმოსადგენია. ფორმა *ερεσιας* (= *ἑρῆσας*) აგრეთვე საშუალო ბიზანტიურ ხანაზე მიგვითითებს. დანარჩენი სიტყვების ორთოგრაფია კლასიკური ბერძნულის ნორმებს იცავს.

### III

ერთგვარ დასაყრდენს „ნოსიროს“ ლოკალიზაციისათვის იძლევა შემდეგი გარემოებაც. წარწერა ნაპოვნია ძველი ეკლესიის ნანგრევებში. როგორც ვთქვით, დღეს არავის არ ახსოვს ის ეკლესია, არც ის, თუ ვის სახელობაზე იყო ის აგებული. მაგრამ ის ხის ეკლესია, რომელიც ამ ოთხმოცობადე წლის წინათ აუგიათ დროებით, დღესაც ატარებს წმ. სტეფანეს სახელს. წმ. სტეფანეს სახელობის ტაძრები ჩვენში იშვიათია (შდ. სამაგიეროდ წმ. გიორგის, ღვთისმშობლის, იოანე ნათლისმცემლის და სხვათა სახელობის ტაძრები) და აქ ჩვენს ყურადღებას იპყრობს ის ცნობები, რომლებიც მოცემულია აგათიას ისტორიაში (III, 5; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია III, 52). 554 წელს ონოგურისთან მომხდარი ბრძოლის აღწერის დროს აგათია „ონოგურისის“ სახელის განმარტებას ცდილობს და ამბობს: „ეს სახელი (ე. ი. ონოგურისი) ძველადვე შეერქვა ამ ადგილს შესაძლებელია იმის გამო, რომ ჰუნნები, რომელთაც ონოგურები ეწოდებოდათ, ამ ადგილას შებმთან კოლხებს წარსულ წლებში და დამარცხებულან და ამ გამარჯვების ნიშნად და ძველად ადგილობრივ მცხოვრებლებს ეს სახელი შეურქმევიათ ამ ადგილისათვის. ამჟამად ბევრი ასე კი აღარ უწოდებს, არამედ, რადგან აქ დაფუძნებულია იმ წმიდა სტეფანეს ტაძარი, რომელიც, როგორც ამბობენ, საკუთარი ნებით შეება მტერს საუკეთესო ქრისტიანთა გულისთვის და ჩაქოლილ იქნა მოწინააღმდეგეთა მიერ, მისი სახელი ეწოდა ამ ადგილს“.

აგათიას ამ ცნობიდან ირკვევა, რომ იმ საბრძოლო ხაზზე, სადაც ონოგურისი მდებარეობდა, ყოფილა წმ. სტეფანეს სახელობის ტაძარი, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ მისი სახელი მთელი იმ ადგილისათვის შეურქმევიათ. რომ ახლანდელი სოფელი ნოსირი სწორედ ამ ხაზზე მდებარეობდა, ეს დასტურდება ორი გარემოებით: 1) ონოგურისი წარმოადგენს არქეოპოლისის მიდამოებში საჭირო სასიმაგრო საფარს (გეორგია III, 40, 148), ხოლო არქეოპოლისიდან ჯარის ერთ-ერთი მარშრუტია, ჩვეულებრივ, არქეოპოლისი—ნოსირი—ნესოსი; 2) სოფელ ნოსირში დღესაც არის შენახული კვალი სასიმაგრო კედლებისა სწო-



რედ ეკლესიის (იგულისხმეთ წმ. სტეფანეს სახელობის ტაძრის) შიდაშტოებში. მომავალი არქეოლოგიური გათხრები, უნდა ვიფიქროთ, ამ, VI საუკუნეში მნიშვნელოვან, სტრატეგიულ პუნქტს საბოლოოდ გამოავლენს.

С. Каухчишвили

## Греческая надпись из Носири

(Резюме)

Автор публикует греческую надпись, найденную в сел. Носири (в древней Лазике, в 5 км. от нынешнего районного центра Цхакая), в развалинах церкви св. Стефана. Не датируя надписи точно, автор считает эпиграфические особенности надписи и языковые явления в тексте свойственными средне-византийской эпохе, и в связи с этой надписью дает интерпретацию сведений, имеющих у Прокопия Кесарийского (Da aedif. III, 7) и Юстиниана (XXXI новелла) о крепости Λοβστρίς (Прокопий) и Λόστρις (Юстиниан). Указывая на искажения в этих названиях, автор предлагает восстановить название крепости в форме Λοβστρίς, что соответствует грузинскому „Носири“. Наличие в Носири остатков древних крепостных сооружений и сведения Агафия (III, 5) о существовании в VI веке церкви св. Стефана в районе военных событий по линии Оногурис—Археополис—(Носири)—Несос подтверждает предположения об идентичности Λοβστρίς и Носири.



ილ. აბულაძე

## ქართული ბიბლიის ძველი ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი

ქართული ბიბლიის, კერძოდ ძველი აღთქმის წიგნების, სრული ხელნაწერი კრებული მხოლოდ 978 წლისა გვაქვს. იგი ათონს ინახება, რის გამო მას ათონის ან ათონურ ბიბლიას უწოდებენ; გადაწერილია იგი ოშკს, რისთვისაც ზოგჯერ სამეცნიერო ლიტერატურაში ოშკისა ანუ ოშკურ ბიბლიასაც ეძახიან. ნაწერია ნუსხა-ხუცურად. ტექსტი თავებად არის დაყოფილი, ხოლო მუხლებად კი არა<sup>1</sup>.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში „დავითნს“ ანუ „ფსალმუნთა წიგნს“, რომელიც ბიბლიის გარეშეც გვხვდება და ისიც შემოხსენებულ თარიღიან ბიბლიის ხელნაწერზე აღრინდელიც, სხვა წიგნებიდან ჯერჯერობით მხოლოდ რამდენიმე უძველესი ფრაგმენტია ცნობილი. ისინი მოიპოვა ახლახან განსვენებულმა აკად. ივ. ჯავახიშვილმა 1923 წ., როდესაც მას წილად ხვდა ხანმეტი ტექსტების აღმოჩენა, რამაც, როგორც აღნიშნავენ, მთელი ეპოქა შექმნა ქართული ენის ისტორიის შესწავლის საქმეში. ეს ფრაგმენტები ბიბლიის შემდეგი წიგნებიდანაა: „შექმნათა“ (IX 11—14; 17—19; XVIII 2—3); „იგავნი სოლომონისნი“ (IX 1—4) და „წინასწარმეტყველება იერემიასი“ (XVII 26—27; XVIII 2—8)<sup>2</sup>.

ბიბლიის ძველ ფრაგმენტებს იცნობენ აკად. ნ. მარი და პროფ. მ. ჯავახიშვილი. აკად. ნ. მარმა მის მიერ ეჩმიაძინის ხელნაწერთა შორის მიკვლეული ფრაგმენტი კიდევ გამოაქვეყნა<sup>3</sup>, მაგრამ მისი ნაწყვეტი<sup>4</sup> ნუსხური ხელითაა ნაწერი (письмо церковное строчное) და ამიტომ ოშკის ხელნაწერზე აღრინდელი არცაა მოსალოდნელი. აკად. ნ. მარი, მართალია, არ განსაზღვრავს ხანას, როდესაც უნდა აღმოცენებულყო, დაახლოებით მაინც, ეჩმიაძინის ფრაგმენტული ხელნაწერი, მაგრამ მას იგი ოშკურთან მიმართებით უფრო გვიანდელად უნდა მიაჩნდეს, რასაც მოწმობს მისი ნაკვლევის ისეთი გა-

<sup>1</sup> ქართული წარსული კულტურისა და ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ამ მეტად საგულისხმო ძეგლს გამოსაცემად ამზადებს აკად. ა. შანიძე.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის, ტფილისის უნივერს. მოამბე, II, 1922—1923 წ. გვ. 313—391.

<sup>3</sup> Н. Марр, Эчмиадзинский фрагмент древне-грузинской версии Ветхого Завета: „Хр. Восток“ II, 3, 1914, стр. 378—398.





მოთქმა, როგორცა: „Эчмиадзинский фрагмент (რომელიც ოშკის ხელნაწერის ხელნაწერთაგანია) иногда дает более архаичные чтения, чем О (ე. ი. ოშკური)“ (გვ. 378).

პროფ. მ. ჯანაშვილის მიერ ნახული ფრაგმენტი (ორი ფურცელი) ნაწერი ყოფილა „ასომთავრულით“. მის ფოტო-ტიპიურ გამოცემასაც ჰპირდებოდა განსვენებული მკითხველებს<sup>1</sup>, მაგრამ, რამდენადაც ვიცი, იგი დღემდის გამოქვეყნებული არ უნდა იყოს.

ქართული ძველი ხელნაწერი ბიბლიის რამდენიმე ფურცელი, რომლებიც საფარველ ფურცლებად აღმოაჩნდა საქართველოს მუზეუმის S ფონდის ერთ-ერთ ხელნაწერს—№ 104-ს, რამდენადმე ოშკის ხელნაწერზე უფრო ადრინდელი უნდა იყოს. ეს მოვლენა იმით კი არ მტკიცდება, რომ აღნიშნულ ფურცლებზე რამე თარიღი მოიპოვებოდეს, არამედ ხელით, ნაწერით, ე. ი. პალეოგრაფიული ნიშნებით. ადრინდელობის მაუწყებელი უნდა იყოს, ჩვენი შეხედულებით, დაწერილობის ჯერ თვით სახე,—ტექსტი ასომთავრული (პრგლოვანი) ხუცურიითაა ნაწერი,—და მერმე მისი ორთოგრაფია, რომელიც საკმაოდ ძველი ჩანს; ამ მხრივ ის IX საუკუნის სხვა ხელნაწერებს უფრო ემხრობა, ვიდრე მერმინდელთ<sup>2</sup>.

ტექსტი ეტრატზეა ნაწერი. თითოეულ გვერდზე ორ-ორი სვეტია, სვეტში 25 სტრიქონია. აზვაციას დასაწყისი სიტყვის პირველი ნიშანი დიდი ასოთია ხოლმე გამოყვანილი. როდესაც ეტრატი საფარველ ფურცლად უქცევიათ, მისთვის ნაპირი ჩამოუჭრიათ, რადგან საფარველ ხელნაწერთან მიმართებით იგი უფრო განიერი აღმოჩენილა. ამიტომ ეს დიდად საყურადღებო ტექსტი, რომელიც „რიცხვთა“ წიგნის 24,5—25,14 და 26,41—27,18 ადგილებს შეიცავს, ამაჟამად დეფექტურადაა შენახული.

ზემოთ ხსენებულ ფრაგმენტებში ჩვენი ტექსტის მსგავსს ვერსად ვხვდებით. დღესდღეობით ცნობილ ბიბლიის ქართულ ნუსხათაგან „რიცხვთა“ წიგნი მხოლოდ „მცხეთის ბიბლიას“ (საქართველოს მუზეუმის A ფონდის № 51 ხელნაწერს) და პირველ ნაბეჭდ ქართულ ბიბლიას მოეპოვება. მათთან შედარებისას<sup>3</sup> ჩვენი ტექსტი თითქმის უცვლელად „მცხეთის ბიბლიის“ სათანადო ადგილს შეეხება.

„მცხეთის ბიბლია“, რომელსაც სულხან-საბა ორბელიანის რედაქტორობის ხელი ატყვია, როგორც უკვე შენიშნულია მკვლევართაგან, ოშკის ბიბლიისაგან განსხვავებულ ვერსიას წარმოადგენს. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში შესული ბიბლიის სიტყვები და ზოგჯერ მათ გვერდით ნაჩვენები ადგილები

<sup>1</sup> მ. ჯანაშვილი, ქართული მწერლობა, წიგნი I: მწერლობა X საუკუნემდე, თბ., 1900 წ., გვ. 191—192.

<sup>2</sup> აღნიშნულ ფრაგმენტს იცნობს პროფ. რ. ბლევკიცი. მას თავის ნაშრომში: „О древне-грузинских версиях В. 3-а“ (ИКОМО, вып. VI, Тб., 1921), აღნიშნული აქვს (გვ. 32, შენ. 48), თითქმის ხსენებული ფრაგმენტი 2 ფურცლისაგან შედგებოდეს (?) და X ს-ისა იყოს.

<sup>3</sup> შედარების დროს პირველი ნაბეჭდი ბიბლია ხელთ არ მქონდა, მხოლოდ მისგან გამობეჭდილი თბილისის გამოცემით (1884 წ.) ვხელმძღვანელობდი.



ნაბეჭდ ქართულ ბიბლიაში ხშირად არც მოიპოვება და მოყვანილი ციტატები მრავალ შემთხვევაში არც ხედება ამ ბიბლიის ტექსტს. ამის გამო ჩვენი მეკლერები სულხან-საბას ხელთ არსებულად რაღაც მეტად საგულისხმო ბიბლიის ძველსა და თავისებურ ტექსტს ვარაუდობდნენ. ეს ტექსტი, როგორც ლექსიკონისა და „მცხეთის ბიბლიის“ შეჯერებით ირკვევა, სხვა არა არის რა, თუ არ ეს უკანასკნელი, რომელსაც, როგორც აღვნიშნეთ, საბას ხელი ატყვია.

„მცხეთის ბიბლიას“, რომელიც ხელნაწერი და ნაბეჭდი ნაწილებისაგან შედგება (ძველი აღთქმის ნაბეჭდი ნაწილი „წინასწარმეტყველებით“ იწყება), ახლავს სულხან-საბა ორბელიანის მიერ შედგენილი და მისივე ხელით (მხედრულად) გადაწერილი ე. წ. „სიმფონია“. ხსენებული სიმფონია გამეორებულია უცვლელად პირველ ნაბეჭდ ქართულ ბიბლიაშიც (მოსკოვი, 1713 წ.). შემთხვევა მოგვეცა ერთხელ, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სომხურ წყაროსთან დამოკიდებულების ხასიათის შესწავლის დროს<sup>1</sup>, შევხებოდით ამ „სიმფონიასაც“, რომელსაც საბას ორიგინალურ ნაშრომად მიიჩნევდნენ ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში. საბას „სიმფონია“ სომხურიდან მომდინარე აღმოჩნდა, კერძოდ იმ სომხური ბიბლიიდან, რომელიც ამსტერდამს დაიბეჭდა პირველად, 1669 წელს. ამის შემდეგ ჩვენ საბას მიერ სომხური ბიბლიის გამოყენება „მცხეთის ბიბლიის“ უმთავრესად ტექნიკურად გამართვის მხრით სხვა ნაწილებშიაც შევნიშნეთ. ბიბლიის წიგნების სათაურებში ნახმარი ებრაული სახელწოდებანი, მუხლებად გაკეთა და პარალელური ადგილების ჩვენებანი, რომლებიც აშიებზეა ტექსტთან აღნიშნული, ხსენებული სომხური ბიბლიის შესაბამისად არის შესრულებული, მცირეოდენი კორექტივის შეტანით. ასე, მაგ., როცა ბიბლიის რომელიმე წიგნის ამათუიმ თავის ტექსტი სომხურში ზოგჯერ არათანმიმდევრობით არის მუხლებად დაყოფილი, ე. ი. წინაუქმობას აქვს ადგილი დათმობილი იმისათვის, რომ ხელნაწერებით ნანდერძევი ტექსტი არ გადაეღაგებინათ, საბა ამას არ მისდევს და ტექსტს რიცხვობრივი თანმიმდევრობით ალაგებს<sup>2</sup>.

„მცხეთის ბიბლიას“ ხარვეზებიც მოეპოვება. ეტყობა, სულხან-საბას ხელთ არსებული ძველი ქართული ბიბლიის ნუსხები თუ ნუსხა (რაც ცალკეა შესასწავლი), ამ ადგილებში ნაკლულევანი ყოფილა და რედაქტორს, ახალი ნუსხის მოპოვების იმედით, დანაკლისის შესავსებად სათანადო ადგილები გაუშვია.

რაკი ჩვენი ფრაგმენტის დაუზიანებელი ადგილები თითქმის უცვლელად შეხვდა საბას ნარედაქციები ბიბლიის სათანადო ადგილებს, ამის შემდეგ დაზიანებული და ჩამოჭრილი ადგილების აღსადგენად ჩვენ ეს ბიბლია („მცხეთის ბიბლია“) გამოვიყენეთ. მცირეოდენი წაითხვა-სხვაობანი, რომლებიც უკანასკნელთან მიმართებით ჩვენს ნაწყვეტს (S=სულხან-საბა) აღმოაჩნდა, შენიშვნებში ჩავიტანეთ (S). რაც სხვაობანი აღმოჩნდა ბაქარის ბიბლიასთან (პირველ ნაბეჭდ ქართულ ბიბლიასთან) შედარებით, აგრეთვე აღვნიშნეთ (B=ბაქარ). ამათი

<sup>1</sup> ილია აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის სომხური წყაროები, ტფილისის სახელ-უნივერსიტეტის შრომები III, გვ. 253—270, 1936 წ.

<sup>2</sup> ამის მაგალითი, სხვათა შორის, ჩვენი ფრაგმენტის ფარგალშია გვხვდება (ნ. გვ. 158, შენიშვნა). ზოგიერთი კორექტივის შესახებ სომხურთან მიმართებით საბაც უთითებს „მცხეთის ბიბლიის“ სხვადასხვა ადგილს.





გამოკრების დროს მხედველობაში არ მიგვიღია არც ბაქარისა და არც ნაიკის<sup>1</sup> ერთოვრაფიული სხვაობანი და საკუთარი სახელების დაწერილობათა ნაიკის ხეობა. ჩვენი ნაწყვეტის ტექსტი თავებადა და მუხლებად საბას ბიბლიის მიხედვით დაყავით.

მნიშვნელობა ძველი ხელნაწერი ქართული ბიბლიის ახალი რამდენიმე ფურცლის ტექსტისა მეტად დიდი. ჯერ ერთი, იგი მეტად ძველი დროისაა, — უნდა უსწრებდეს ჩვენამდის მოღწეულ ბიბლიის წიგნთა თარიღიან კრებულს, ე. წ. ოშკურს (978 წლ.). მეორე: ხსენებული ფურცლები ბიბლიიდანაა და არა რომელიმე გამოკრებილი საკითხავების წიგნიდან. ასეთი რომ ყოფილიყო, ამოდენა ტექსტის მანძილზე სადმე აღნიშნული იქნებოდა საკითხავის რიგი ან სათვალავი. ის თავებად (და მუხლებად) დაუყოფელი ბიბლიის „რიცხვთა“ წიგნის ნაწილია. მთავარი მაინც ისაა, რომ საბას, როგორც ეს სხვებსაც შენიშნული ჰქონდათ, ხელთ ჰქონია ქართული ბიბლიის მართლაც ისეთი ვერსია, როგორც ჩვენი ნაწყვეტია.

ამათ ვარდა აღსანიშნავია ისიც, რომ ბაქარის ბიბლიასთან მიმართებით ჩვენი ფრაგმენტის ტექსტი უთუოდ ცალკე ვერსიას წარმოადგენს, მაგრამ იმის დადგენა, იქნება თუ არა ის ასეთსავე თავისებურებას მის გვერდით ძველად არსებული ბიბლიის სხვა ნუსხებთან მიმართებით, ძნელია, რადგან მოღწეულ ძველ ნუსხათაგანს, ოშკურს, ეს წიგნი, როგორც ზემოთ შევნიშნეთ, არ აბადია, ხოლო სხვა ნუსხა თუ ფრაგმენტი ჩვენი წიგნისა ჯერხნობით, ყოველ შემთხვევაში, ჩვენთვის უცნობია.

ენობრივი თვალსაზრისით ჩვენი ტექსტი აგრეთვე არქაულობის შემცველია. აქ, მაგ., გვხვდება „დაშდა“ და არა „დაშთა“, როგორც ეს ჩვეულებრივ სხვაგან ძველ ტექსტებში გვხვდება. სინტაქსიდანაც კიდევ თვალში საცემია შემდეგი წინადადება: „მიიყვანე შენ თანა იძსუ, ძს ნავსნი, კაცსა რომელსა აქუს სული და დაახნე“... აქ, როგორც ეს ბაქარის ბიბლიაშია, თითქოს კაცი უნდა ყოფილიყო, რომელმაც ამხსნელი სიტყვაა „იძსუ-სი“, მაგრამ რადგან მას მოსდევს განმსაზღვრელი დამოკიდებული წინადადება, იგი, ბრუნვის მიხედვით, უკვე ანგარიშს უწყევს ამ წინადადების ზმნას და ამიტომ შეუთანხმებელია ასახსნელ სიტყვასთან (იძსუ ძს ნავსნი). როგორც ჩანს, ეს მოვლენა არქაულია<sup>1</sup>, მას საბა არ ასწორებს, რაც დამახასიათებელია მისთვის, როგორც რედაქტორისათვის, რომელიც ძველი ტექსტების ენობრივ თავისებურებათ იცავს ხოლმე.

ლექსიკიდან, რომელიც აგრეთვე საკმაოდ არქაული ჩანს, აღსანიშნავია სიტყვა — „ბურობანი“: „მალნარნი ბურობანი“ (74,6). საბას ეს სიტყვა „ბორობანი“-ს სახით აქვს წარმოდგენილი ბიბლიაშიც და ლექსიკონშიც. აქ ეს სიტყვა განმარტებულია, როგორც „ხე კეთილჩრდილოანი და მალაღი“. სომხურში შესაბამისად „*հիվանասիր*“-ია (*ყანათაიս հიվანასირი*), რაც საბას განმარტების პირველ ნაწილს („კეთილჩრდილოანს“) კარგად უდგება. დღეს

<sup>1</sup> შდრ. აკად. ა. შანიძე, ძველი ქართული ენა (დამატება სახელმძღვანელოსი „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“), გვ. 311, § 64, 1939 წ. გამოცემა.



ეს სიტყვა ლიტერატურაში არ იხმარება. შეიძლება ის შესცვალა სიტყვა „ბურულ-მა“, რომელიც ტყის მიმართ დღეს ითქმის ხოლმე („დაბურული ტყე“); შესაძლოა იმის წყალობითაც, რომ, უკანასკნელს „ბურობან-თან“ საზიარო აქვს ერთი ნაწილი: „ბურ(ული)“.

ქ ა რ ა მ მ ე ბ ი

არამედ—ა <sup>დ</sup>	ისრაიტელისაჲ—ი <sup>ტ</sup> ტელისაჲ	ღმერთმან—ლ <sup>ნ</sup>
დიდებაჲ—დ <sup>ბ</sup> ჲ	მოციქულთაცა—მ <sup>ტ</sup> ქლთაცა	ღმრთისაჲ—ლ <sup>ა</sup>
ვითარცა—ვ <sup>ა</sup>	მღვდელისამან—მღვდელისმ <sup>ნ</sup>	ღმრთისანი—ღ <sup>თ</sup> ისანი
ზედა—ზ <sup>ა</sup>	უფალი—ო <sup>ი</sup>	ყოველთა—ყ <sup>ლ</sup> თა
თოვთგანი—თ <sup>ვ</sup> თვგ <sup>ნი</sup>	უფალმან—ო <sup>ნ</sup>	ყოველი—ყ <sup>ი</sup>
თქუა—თ <sup>ქ</sup> ა	უფალსა—ო <sup>ა</sup>	ყოველნი—ყ <sup>ლ</sup> ნი
ისრაელ—ი <sup>ტ</sup> ლ	უფლისაჲ—ო <sup>ა</sup>	ყოველისა—ყ <sup>ლ</sup> ისა
ისრაელისა—ი <sup>ტ</sup> ლისა	რამეთუ—რ <sup>თ</sup>	შენ—შ <sup>ნ</sup>
ისრაელისათა—ი <sup>ტ</sup> ლისათა	რომელ—რ <sup>ლ</sup>	შორის—შ <sup>ს</sup>
ისრაელისათაჲ—ი <sup>ტ</sup> ლისათაჲ	რომელთა—რ <sup>ლ</sup> თა	ჩუენ—ჩ <sup>ნ</sup>
ისრაელისანი—ი <sup>ტ</sup> ლისანი	რომელმან—რ <sup>ნ</sup>	ჩუენისათა—ჩ <sup>ნ</sup> ისათა
ისრაელისგან—ი <sup>ტ</sup> ლისგ <sup>ნ</sup>	რომელსა—რ <sup>ლ</sup> სა	ჩუენისაჲ—ჩ <sup>ნ</sup> ისაჲ
ისრაელისათაჲ—ი <sup>ტ</sup> ლისათაჲ	სულთამან—ს <sup>ლ</sup> თამ <sup>ნ</sup>	წინაშე—წ <sup>ე</sup>
ისრაელმან—ი <sup>ტ</sup> ლმ <sup>ნ</sup>	ღმერთი—ღ <sup>ი</sup>	ჰრქუა—ჰ <sup>ქ</sup> ა.
ისრაელსა—ი <sup>ტ</sup> ლსა		

[ რ ი ც ხ უ თ ა ე ]

XXIV	შენნი, იაკობ, საყოფელნი შენნი ისრაელ!* ვითარცა მღვდნარნი ბურობანნი, და ვითარცა სამოთხენი მდინარეთა ზედა, და ვითარცა კარავნი, რომელ აღდგნა უფალმან და არა კაცმან, და ვითარცა ნაძუნი წყლის კიდესა* გამოკდეს კაცი ნათესავისაგან მისისა, და ეუფლოს ნათესავთა მრავალთა, და აღმაღლდეს გოგის მუფუებაჲ, და აღორძნდეს მეუფებაჲ მისი* ღმერთი უძღოდა მას ეგვიპტით, ვითარცა დიდებაჲ მარტორქისაჲ მისი; შეჭამნეს ნათესავნი მტერთა მისთანი, და სიბოხს მათი ტვინითურთ გამოწოოს, და ისრითა.	9	მისითა ესროდის მტერთა* [ინაკ იდგა] და განისუქნა ვითარცა ლოქა. მმან, და ვითარცა [ლექუმან] ლომისამან. [ვინ აღად] გინოს იგი! მაკურთხეველნი შენნი კურთხეულ არიან, [და მწყევარნი შენნი წყეულ არიან!]* და განრისხნა [გულის] წყრომით ბალაკ ბალაქამის ზედა, და შეიტყუებულნი კელნი თვისნი, [და] [ჰრქუა] ბალაკ ბალაკს: წყევად [მტერისა ჩემი]სა მოგზადე [შენ, და] ამა ესერა კურთხევით] აკურთხე [ესე მესამედ]* აწ ივლტოდე [ადგიდ შენ]და, ვთქუ, გადდიდო შენი; აწ აუებულ [გქმნა] შენ უფალმან დიდებისა მისი]გან* და ჰრქუა [ბალაკ ბაკ]ლაკს: არა მოციქულთაცა შენი
6		9	
7		10	
8		11	
		12	





- |   |  |   |  |
|---|--|---|--|
| <p>13</p> <p>14</p> <p>15</p> <p>16</p> <p>17</p> <p>18</p> <p>19</p> <p>20</p> | <p>თა, რომელ მთავლინენ ჩემ-<br/>და, ვარქუ მათი*<br/>[მო-ლათუ-] მცეს ბალაჲ<br/>სახლი თვის ვეც-<br/>ხლითა და ოქრ]ოთაჲ,<br/>[ვერვე შე]უძლო გარ-<br/>[დასლვად] სიტყუასა<br/>[უფლისასა], ყოფად მისა<br/>[კეთილად] ანუ ბოროტ-<br/>[ად თავით] ჩემით, არამედ<br/>[რაგდენი] მრქუას მე<br/>[დმერთმან, ესე ვთქუა* და აწ<br/>[ესე რა] წარვალ მე<br/>[ადგიდ] ჩემდა, მოვედ<br/>[და გახ]რახო შენ,<br/>[რამ უყოს ერ]მან ამან<br/>[ერსა მაგას] შენსა აღ-<br/>[სასრულთა] დღეთა* და<br/>[აღილო] იგავი თვისი და<br/>[თქუა ბალაამ] ძე-<br/>[მან ბეოქრისმან, თქუა<br/>[კაცმა]ნ მან რომელ ქეშმა-<br/>[რიტად] ხედვიდა* ეს]მო-<br/>[დეს სიტ]ყუანი ღმრთისანი,<br/>[და] მეცნიერ იყო მეც-<br/>[ნიერო]ბასა მაღლისასა;<br/>[და ნი]ლვაჲ ღმრთისაჲ იწილა<br/>ძილსა შინა, ზეხილულ<br/>იყვნეს თუალნი მისნი*<br/>უჩუენო მას, და არა<br/>აწ; ვწნატრო და არა<br/>მახლობელად; გამობ-<br/>რწყინდეს ვარსკუ-<br/>ლავი იაკობისგან, და<br/>აღდგეს კაცი ისრაელისა<br/>გან, და მოსრნეს მთა-<br/>ვარნი მოაბისანი, და<br/>წარტყუენნეს ყოველნი<br/>თენი სძთისნი* და იყოს<br/>ელომ სამკვდრებელ-<br/>ად, და იყოს სამკვდ-<br/>რებელად ესავი მტერი<br/>მისი, და ისრაელმან ყოს<br/>ძლიერებით* და აღდგ-<br/>ეს იაკობისგან, და წა-<br/>რწყინდოს განრიწე-<br/>ბული ქალაქით* და იხ-<br/>ილა ამალსკი, და აღ-<br/>ილო იგავი იგი თვისი და<br/>თქუა: დასაბამი წარ-</p> | <p>21</p> <p>22</p> <p>23</p> <p>24</p> <p>25</p> <p>XXV</p> <p>1</p> <p>2</p> <p>3</p> <p>4</p> <p>5</p> | <p>მართთაჲ ამალსკი, <sup>ქარქინულნი</sup><br/>და ნათესავი მათი, <sup>იხსილინი</sup><br/>წარწყმდეს* და იწილა<br/>კინეელი, და აღილო იგ-<br/>ავი თვისი და თქუა:<br/>მტკიცე არს სამკვდრე-<br/>ბელი შენი, და და-თუ-<br/>სდვა კლდესა შინა<br/>ბუღს შენი* დალა-<br/>თუ იყოს ბეორისი<br/>ბუდე ძმაკულები-<br/>სა, ასურასტანელ-<br/>თა წარტყუენონ შენი*<br/>და აღილო იგავი თვისი<br/>და თქუა: მ, მ, ვინ ცხლ-<br/>მდეს, ოდენ დადვას<br/>ესე ღმერთმან* და გამოცდეს<br/>კელთაგან კიტეელ-<br/>თაჲსა, და აკირონ<br/>ასურს; და აკირობ-<br/>დენ ებრაელთა და<br/>იგინი ერთბამად წა-<br/>რწყინდენ* და აღდვა<br/>ბალაამ, წარვიდა, მი-<br/>იქტა ადგიდ თჳსა, და<br/>ბალაჲ წარვიდა თჳსა<br/>-მე: და დაიბანაკა ისრაელმან<br/>სანს, და შე[ივინა ერი]<br/>იგი სიძვად ასუ[ლთა]<br/>თანა მოაბელთა*<br/>და წადეს მათ ნაგებთა]<br/>ზედა კერბთა მათთა[სა, და]<br/>კამა ერმან მან ნა[ზორე]-<br/>ვთა მათთაჲ, და [თაყ]-<br/>უანის სცეს კერ[ბთა]<br/>მათთა* და შეეჩ[უენა]<br/>ისრაელი ბელფეგორ[ს, და გან]-<br/>რისხნა უფალი ისრაელსა [ზედა] და]<br/>პრქუა უფალმან მოსეს: [მოიყ]-<br/>ვანენ ყოველნი მთ[ავარნი]<br/>ერიანი და გან[აქიქენ]<br/>იგინი უფლისა მი[ერ წინაშე]<br/>მზისა, და უკუ[ნ იქცეს]<br/>რისხვაჲ გულ[ის წყრო]-<br/>მისა უფლისაჲ ისრაელის[გან]*<br/>და პრქუა მოსე ნათესაყ]-<br/>თა ისრაელისათა: მ[ოკალნ]<br/>კაცად კაცად[მან სახ]-<br/>ლუული თვისი, რომელ [შეჩუე]-<br/>ნებულ არს ბ[ელფეგო]-</p> |
|---|--|---|--|



6	რისა* და აჰა ე[სერა კა]- ცი ძეთა ისრაელი[სათაჲ], [მთვიდა], მიიყვანა ძმაჲ [თჳსი მადი]ანიტელისა წინაჲჲ [მოსქ]სა, და წინაჲჲ ყოველისა კ[რე]- [ბულისა ძე]თა ისრაელისათაჲ- [სა, ხოლო იგ]ინი ტიროდეს წინაჲჲ [კარ]თა კარვისა მის [სა]წ[ა]მებელი]-		ძმ სალომისი, მთავარი სახლისაჲ ტომისა სემე ონისი...
		XXVI	
7	[სათა]* და იხილა ფინე- [გზ, ძე]მან ელფაზარისმან, [ძისა ა]ჰრონ მღდელისამან; [და აღ]და იგი შორის კრებულ- [სა, მოი]ლო ლახუარი კელ-	41	ბენიამენისნი დასად- დასად მათა, აღზილ- ვისაგან მათისა :მ: და :ჳ: და :ქ:*
8	[თა]* და შევი]და უკუნა [კა]ციისა მის ისრაიტე]- [ლი]სა საცხობელ[სა კე]- [ცისა]სა, და დაგუ[რიმან] [ორ]ნივე იგი, კა[ცი] იგი [ისრაიტელი] და დედაკაცი [იგი სა]შო[ა]თ მისით: და და- [სცბრა] გუჴმა[ი იგი]	42	და ესე ძენი დანის- ნი, დასად დასად მათა სუამ, დასი სუამისი, ესე დასნი დასად დასად მათა* ყოველნი დასნი სუა- მისნი აღზილვისა- გან მათისა სამეო- ცდა-ოთხ-ათას
9	[ძეთა]გან ისრაელისათაჲ* და [იყენეს მო]სრულნი გუჴ- [მასა] მას შინა ოკუ-	43	და ოთხას* ძენი ნეთალიმისნი დასად დასად მათა იასლ, დასი იასლისი გაგნი, დასი გაგნისი* იესი, დასი იესერისი სელოლმ. დასი სელოლ- მისი* ესე დასნი ნეფ[თ]-
10	[და]ოთხ ათას* და ეტყო]- [და უფ]ალი მოსეს და] [ჰრ]ჴუ* ფი[ნე]გზ ძემან ელფ-	48	ალიმისნი აღზილვისა- გან მათისა ორმეოც- ათას და სამას.
11	[აზარისმან, ძი]სა აჰ- რონ მღდელისამან, და- აცბროლო რისხვაჲ ჩემი ძეთაგან ისრაელისათა აღშურებასა შუროსა ჩემისასა მათ შორის, და არა მოესპენ ძე- ნი ისრაელისანი შურსა	49	ესე არს აღზილვაჲ ძე- თა ისრაელისთა[ი ექუსას] ათას და [შვ]დას] და ოცდაათ
12	შინა ჩემსა* ესრე არქჴ: აჰა ესერა მე მივსცემ მას აღოქჴმასა მშე- დობისასა* და იყოს მი- სა და ნათესავისა მისი- სა შემდგომად მისსა აღოქჴმად მღდელობი- საჲ საუკუნს, რამეთუ შუ- რი იძია ღმრთისა მისისაჲ, და ლხინება ყო ძეთა-	50	აღიმისნი აღზილვისა- გან მათისა ორმეოც- ათას და სამას.
13	თჳს ისრაელისათა* ხოლო სახე- ლი კაცისა მის ისრაიტელი- საჲ, წყლულისაჲ მის, რომელ მოკუდა მადიანი- ტელისა თანა, ზამბრი,	51	და ეტყოდა უჴალი [მოსეს და] ჰრჴუ:* ამით განეყოს ჴუჴყანაჲ] იგი დამკვლ[რებად რიცი]- ხვთ სახელ[ვებით *უმრ]- ავლესთაჲ [განამრავ]- ლო სამკვდრებელი მა]- თი თითოეულად: [ვითარცა აღი]- ხილნეს მიეცეს მათ სამ]- კვდრებელი [იგი* წილით] განიყოს [ქჴუ]ყანა[ი იგი] სახელებსა თეს[ლად] თესლადასა ტომ[თა მათ]- თასა დაემკვდ[რონ* წი]- ლით განჴყო სამკვლ[რ]- ებელი მათი შორის] მრავალთა და [მცირე]- თა* და ესე არ[იან ძენი] ლევისნი დასად [დასად] მათა, გერსონ; [დასი]
14		52	
		53	
		54	
		55	
		56	
		57	





58	გერსონ[ისი კაა[თ; [დასი] კაათისი მერა[რი, დასი] მერა[რისი]* ესე და[სნი] [ძეთა] ლევისთანი, დასი [ლობე]ნისი, დასი ქებრონი-	ადისნი, ძისა მაჭირისნი, დასისა მანასსი, ძეთა იოსეფისთა;
59	[და კაა]თ შვა ამრამ* და [სახელი] ცოლისა მისისაჲ [იყო] იოაქაბელ, ასულ-	და ესე არს სახელგბი მათი მალა, და ნუა, და ეგლა, და მეღქა, და თერსა* და დიდგეს
60	[მან ლევისმან, რომელმან უხს- [ნა ესე]ნი ლევის ვგვპტ- [ეს ში]ნა, და უშვა ამა- [რამს] აპრონ და მოსს	2 წინაშე მოსსა და წინაშე ელე- აზარ მდღელისა და წინაშე მთეარათასა, და წინაშე ყოფლისა კრებულისა კართა თანა კარვისა მის საწაუბელისათა, და თქუეს*:
61	[და მა]რიამ, დაჲ მათი* და [ესხნეს] აპრონს ნადაბ [და აბი]უთ, და ელეაზარ,	3 მამაჲ ჩუენი მოკუდა უდაბნოსა ზედა, და იგი არა თანა იყო კრებულსა მას აღ-
62	[და ითა]მარ* და მოკუდა [ნადაბ] და აბიუთ შეწ- [ირვას]ა მას მათსა ცეც- [ხლისა] უცხოჲსასა წინაშე [უფლისა] უდაბნოსა ზედა	დგომილსა წინაშე უფლისა შორის კრებულსა მას კორსსა, რამეთუ ცოდვისა- თვს მოკუდეს და ძე არა ესხნეს მას*
63	[გან მა]თისა ოცდასამ [ათას], ყოველი წული თთვთგან- [ი და მი]მართ, რამეთუ არა აღ- [იხილნეს] შორის* ძეთა ისრაჲლისა-	4 ნუ აღიკოცებინ სა- ხელი მამისა ჩუენისაჲ დასისაგან მისისა, რამეთუ არა ეცა მათ ნაწი-
64	[თაი შორის] ძეთა [ისრაჲლისა]თა* და ესე არს აღხილვაჲ მო- სსსი და ელეაზარ მდ-	5 და მიაწია მოსე საშჯე- ლი იგი მათი წინაშე უფლისა* და ეტყოდა [უფალი მოსეს და] ჰრქუა* მარ[თლ იტყვან]
65	დელისაჲ, რომელთა აღიხ- ილნეს ძენი ისრაჲლისანი არაბოთს, მოაბს, იორ- დანესა ზედა იერიქოთ კერძო* და ამათ შორის არა იყო კაცი აღხილუ-	6 და მიაწია მოსე საშჯე- ლი იგი მათი წინაშე უფლისა* და ეტყოდა [უფალი მოსეს და] ჰრქუა* მარ[თლ იტყვან]
66	ლთა მათგანი მოსსსგან და აპრონისგან, რომელ აღ- იხილნეს ძენი ისრაჲლისანი უდაბნოსა სინასა*:	7 ასულნი [სალბადის]- ნი, ცემით [სცე მათ და]- საპყრობელი სამკვლ- რებელისა[ჲ შორის ძმათა]
67	რამეთუ ჰრქუა უფალმან სიკუდი- ლით მოკუდენ უდა-	8 მამისა მათისათა, და მიგსცე ნაწილი მამისა მათისა[ჲ მათი* და ძეთა]
68	ბნოსა ზედა, და არა დაშ- და მათგანი არცა ერთი, გარნა ქალებჲ ძმ	9 ისრაჲლისა[თა ეტყოდენ, და არ ქუ ჰკაცი ლა მოკუდეს და] ძმ [არა ესუას მას], მის[ცეთ სამკვდრებე]- ლი მისი ასულსა მისსა*:
69	იეფონსი, იძსუ ძმ ნავსი*:	10 უკუეთუ არა ესუ- ას მას [ასული, მისცეთ] სამკვდრებელი მისი ძი- მასა [მისსა* უკუე]-
XXVII 1	და მოვიდეს ასულნი სალბადისნი, ძისა ოფერისნი, ძისა გალა-	



	თუ არა [ესხნეს მას]	[ნასა, რაჟამს მიკდებ]
	ძმა, მისცეთ მამის	კრებული იგი წმიდა
	ძმასა [მისსა*]	ყოფად ჩემდა, არა
11	[უკუეთუ არა ესუას] მას ნა-	წმიდა მყავთ მე წყ-
	[მის ძმად], მისცეთ სამ-	ალსა მას ზედა წინაშე მთა-
	[კვდრებელი იგი] სახლე-	სა; ესე არს წყალი
	[ულსა მან]ლობელ-	ცილობისად კადსსად,
	[სა მისსა], ნათესავი-	უდაბნოსა შინა
	[სა მისისაგან] მან	15 სინასა* და ჰრქუა მოსე
	[დაიმკვდრ]ოს მისი;	16 უფალსა:* იხილენ უფალმან
	[და იყოს ესე] ძეთა	ღმერთმან სულ-
	[ისრაელისათა] სამართ-	თამან და ყოველთა კო-
	[ალ საშჯე]ლის, ვითარცა უ-	რციელთამან კაცი
	[ბრძანა] უფალმან მოსს* 17	კრებულსა ზედა ამას*
12	[და ჰრქუა მოსეს]; აღვედ	რომელ გამოვიდოდის
	[მთასა წი]აღსა ამას,	წინამძღურად მა-
	[მთასა ნაბავ]სა, და	თსა და რომელმან შეიყუა-
	[იხილე ქუეყანად იგი] ქანა-	რნეს იგინი, და რომელმან გა-
	[ანისაჲ, რომელსა] მივსცემ	მოიყვანნეს იგინი,
	[მე ძეთა ისრაელისათა] და-	და არა იყოს კრებუ-
13	[პყრობად* იხილო] იგი და	ლი ესე უფლისაჲ, ვითარცა ცხოვე-
	[შვესძინო ერსა შე]სა,	რი, რომელთა მათა არს მწყემს*
	[ვითარცა შეეძინა აპ]რთნ	18 და ეტყუდა უფალი მოსეს,
	[ძმად შენი ორს მთასა]	და ჰრქუა: მოიყვანე შენ
14	[შინა* რამეთუ გარდა]ჰკ-	თანა იტსუ, ძმ ნავე-
	[ედით სიტყუა]სა ჩემ-	სი, კაცსა რომელსა აქუს
	[სა უდაბნოსა ზედა] სი-	მას სული და დაასხნე

**XXIV 5,1** და საყოფელნი B, 2 შენი abs. S. 6,2 მალნარნი მთანი B; ბორობანნი S] მაგრი-  
 ლობელნი B, 4 მდინარესა S. 6 აღდგნა] აღმართნა B; და არა კაცმან abs. B. 8. წყალთა ზედა  
 B. 7,1 გამოკდეს] გამოვიდეს B. 3 მისისა] თვისსა B; უფლებდეს B. 6 უფროს გუგის B; გუ-  
 გის S. 7 და აღორძნდეს მეუფებად abs. B. 8,1 ღმერთმან გამოიყვანა იგინი ევკატისაგან B.  
 4 მისისა B; შეშკამდეს თესლსა მტერთა მისთასა B. 7 ტვინთურთ abs. B. გამოსწოოს B. 8 ის-  
 რითა მისითა] საისრელობითა B. 9,1 [ინაკ იდგა]და] მიწოლით B. 2 განისუქნოს] B. 7 არიან]  
 იყვნენ B. 8 არიან] იყვნენ B. 10,1 [გულის]წყრომით abs. B. 2 ბალაკი B; ბალამის B.  
 3 დაიტყუღლნა] B. 4 თვსნი] მისნი B. 6 მტერთა ჩემთა B. 8 [კურთხევათ] abs. B. 9 აკურთ-  
 ხენ იგინი კურთხევითა სამგზის B; აკურთხე+იგი S. 11,1 აწ+უტუ B. 2 ვთქუ ვითარმედ  
 პატივ გცემ შენ. ხოლო აწ დაგაკლო შენ უფალმან დრედება B. 12,2 ანუ არა მოციქულთაცა  
 მით შენთა, რომელნი მოავლინენ ჩემდა ვეტყუდი და ვარქუ მათ B. 4 მათ + მეთქი S.  
 13,1 უკუეთუ მომცეს მე ბალაკ საესე სახლი მისი B. 2 თვისი+სავსე B. 4 ვერ კალმეწი-  
 ფების გარდასულად სიტყუსა უფლისასა მცირისა ანუ დიდისა ბოროტისა თავით ჩემით, რაცა  
 მრქუას მე ღმერთმან, იგიცა ვთქუა B. 14,1 და] ხოლო B. 2 მე abs. B. 4 გაზრახო] გითხრა B.  
 6. მაგას abs. B; აღსასრულთა] უკანასკნელთა B. აღსასრულთა დღეთა abs. S. 7 და abs. S.  
 15,3 თქუა: იტყვს ბალამ, მე ბეორისი, იტყვს კაცი ჭეშმარიტი, რომელი ხედაეს B. 16,1 და  
 ესმინ B. 3 და იცინ მეცნიერებაჲ მალლისაგან B. 5 იხილა საჩუენებელით ძილსა შინა, განც-  
 ხადებულ არიან თუალნი მისნი B. 17,1 უჩუენოს B. 2 უნატრო B. 3 მახლობელად] მიიან-  
 ლოს B; გამობრწყინდეს] აღმოკვდეს B. 7 მოსრნეს] დასცნეს B. 9 წარმოსტყუნნეს B. 10 სვი-  
 თისნი BS. 18,2 ედომი BS; სამკვდრებელად+მისსა B. 3 სამკვდრებელად] მკვდრობა B. 6 ძლიერ-  
 რებთი] ძალითა B. 19,4 ქალაქით] ქუეყანით S. 20,2 აღიღო] იხილა S. 3 იგი abs. B. 6 ნათეს-  
 ავი] თესლი B; მათი] მისი B. 21,1 კინაველი B,+იგი B. 3 თვისი] ესე S. 4 მტკიცე] ძლიერ B.





5. და-თუ-სდგა] უკეთუ დაიდგნე B. 6 შინა] ზედა B. 7 ბუდენი შენნი B. 22,1 და-თუ-სდგა] უკეთუ დაიდგნე B. 2 ბევრისი ბუდედ სივერაგისა ასურასტანელთავე წარგიყვანონ შენ B. 3 ძმაცულეებით S. 5 შენ+და იხილა ოგ B. 23,2 # # S; ვინმე ცხონდეს B. 3 ოდეს] ოდეს S რაჟამს B. 24 გამოკვდეს] გამოვიდენ B. 2 ქეტიმელთასა და ბოროტს უყოფდენ ასურთა და ბოროტსა უყოფდენ ებრაელთა B. 6 იგინი] იგავნი S. 25,2 და წარვიდა S; და მიიქცა B. 4 წარვიდა ადგილად თვსა B.

XXV 1,1 და ისრაელი დაადგრა სატიანის და შეიგინა ერი იგი სიძვთა ასულთა მიმართ შოაბისთა B. 2 სანს] სატინს S. 2 და შეიგინა ერი იგი სიძვად abs. S. ნაგებთა] ნახორეუთა B. 3 ნაქორეუთა მათთა] ნაკვრპავი იგი მათი B. 3,1 შეგნ] უგნა] მიიქცა B. 3 უთალი+გულის-წყრომითა SB. 4,7 რისხედა+იგი B. 5,2 მოკალ B. 6,3 [მოვიდა]; და მოიყვანა B. 4 მანდინ. ტელისა B. მის abs. B; საწამებელთაჲსა S. 7,5 და მოილო B. 8,1 და შევიდა] შევიდა B. კეცისასა] პურისასა B. 4 განგუმიონა B. 5 კაცი იგი] კაცი B. 8,9 ისრაელისათაჲსა S. 9,2 მოს-როულნი] რომელნი მოისრნეს B. 4 ოცდახუთი ათასი B. 11,2 აპრონის B. 8 მოკსპენ B. 12,1 არ-ქუ+მას B. 3 მას abs. B. 13,1 მისსა და ნათესავისა მისისასა B. 5 საუკუნოდ B. 14,3 წყლუ-ლისაჲ abs. S. 6 საღმონისა B.

XXVI 41,1 დას დასად მათდა B. 42,2 დას დასად მათდა B. 3 სუამ] სამეი B. 4 სუა-მისი] სამეისი B; ესე დასნი დანისა დასად მათდა B. 43,1 ყოველნი abs. B; სუამისნი] სამეი-სნი B; 5 და ოთხას abs. S. 44—47 მუხლად S-ს მოვკოვება: ძენი ასურისნი, დასად დასად მათა (დასი დასი მათი B) იამმი (იამინ B), დასი იამინისი: იესუჲ, დასი იესუჲსი ბარია, დასი ბარიასი ქუბერი (ქორებ B), დასი ქუბერისი (ქორებისი B) მელქიელ, დასი მელქიე-ლისი\* და სახელი ასულისი ასერისი სასარე (სარა B)\* ესე დასნი ძეთა ასურისთანი აღნილ-ვისაგან მათისა ერგასის (ორმოც B) და სამ ათას და ოთხასა\* (ეს ადგილი B-ში 26—29 მუხ-ლადა წარმოდგენილი; სომხურში კი ის მისდევს მე-18 მუხლს). 48,1 ძენი ნეფთალიმისნი დასად დასად მათა იასულ; დასი იასული(სი) abs. S. 2 დას დასად მათდა B; 3 იასულ] ასიელ B დასი ასიელისი: გონი, დასი გონისი B. 4 იგავნი, დასი იგავნისი S. 49,1 იესუ B, იესურ B. 2 სელლმ B. 50,3 ორმოც ხუთი ათას და ოთხას B. 51,4 ოცდა ოცდაათ S. 53,1 განიყონ B. 2 სამკვდრებელისა რიცხვაკებრ სახელთასა B. 54,1 უმრავლესათვს B. 3 სამკვდრებელი+და მკირეთათვს დაკინონ სამკვდრებელი მათი B. 5 მიეც B. 6 იგი abs. B. 55,2 განეყოს B, 5 და დაიმკვდრონ B. 56,1 და წილით B. 2 განეყო B. 57,2 დას დასად მათდა გედსონ, დასი გედსო-ნისი B. 58,2 ძენი ლევისნი B; დასი] და B; 4 მუსისი] მოლისი S. 59,2 მისისაჲ ამრამისა B] 3 იოკაბელ BS; ასული ლევისი B. 4 უსნა] უშენა B. 6 უშენა B; ამრამს BS. 61,1 და მო-კუდა] მოკუდა B. 3 ცეცხლისა+მის B. 62,1 აღნილვისაებრ B. 4 მიმართ] უხეშთავისი B. 64,4 რომელთა B. 65,1 რამეთუ] და ვინათჲან B, და S; ჰრქუა+მათ S. 65,3 დაშთა BS. 6 და ისუ ძე ნავისი BS.

XXVII 1,5 მანასესისა B. 6 ძისა იოსებისთა B, ძეთა იოსებისთაჲ S. 2,4 მთავართა მისთა B. 3,7 რამეთუ+იგინი B; 9 ძე] ძენი BS. 4,1 სახელი] სახლი B; 3 დასისაგან მისისა, შორის კრებულსა მას B; 4 ი ძე მისა B; 5 გუეცი] მომეცი B; სამკვდრებელი] მემკვდრობა B; 7 ჩუენისა B. 5,2 მათი abs. B; საპყრობული B. 8,2 ჰრქუა S; 3 კაცი თუ B; 5 მისცეს BS. 9,2 მას abs. BS; მისცეს B. 10,3 მამნი B; მისცეს B+სამკვდრო იგი B; მისცეთ იგი S. 11,1 მას abs. B; 2 მისცეს BS; 5 მისსა+და B; 7 მისი] იგი B; 10 საშჯელისა B; 11 მო-სეს BS. 12,1 ჰრქუა+უფალმან B; 2 ამას] მას B; 3 მთასა abs. B. 13,2 შეეძინო B. 14,4 გარდა-ხდებოდა B; 7 მყავ B; 8 მთასა] მათსა B. 15,2 უფლისა მიმართ B. 16,1 იხილოს B; 2 კორც-თამან S; 3 ი კაცი ყოველსა ზედა კრებულსა ამას B. 17,2 წინამძღუარ B; 3 და abs. B; რომ-ელმანცა შეიყუანეს B; 4 იკინი abs. B; 5 მოიყვანეს B; 7 ცხოვარნი, რომელთა არა არნ მწყემსი B; 8 მათა] არა S. 18,3 ისუ BS. 4 კაცი B; 5 მას] მის შორის B.







Н. Кои а в а

## Систематизация и критика буржуазных высказываний о всемирных деньгах<sup>1</sup>

1. Классовый характер буржуазных теорий денег. 2. Систематизация буржуазных теорий денег. 3. Ошибки, общие для всех буржуазных теорий денег. 4. Номиналистическая теория денег. 5. Металлистическая теория денег. 6. Количественная теория денег. 7. Систематизация буржуазных теорий денег в аспекте высказываний о всемирных деньгах. Систематизация и критика буржуазных высказываний о всемирных деньгах.

1. Существуют различные буржуазные теории денег. Читая буржуазную экономическую литературу, особенно периода всеобщего кризиса капитализма, прямо поражаешься изобретательности буржуазного теоретика и богатству вариаций. Каждый старается сказать что-то новое, прямо противоположное тому, что уже было сказано другим; каждый хочет быть оригинальным, каждый хочет перещегоолять другого „свежестью и новизной“ своих идей, „новизной и глубиной“ обоснования уже известных положений. Каждый из них как будто стыдится повторить и признать уже известные положения. Идет безудержная конкуренция в „оригинальничаньи“.

Все эти суждения, зачастую ведущиеся „auf gehirinquälende Weise“, как некогда сказал покойный Г. Майр относительно математической статистики А. А. Чупрова, являются скорее не изобретательностью, а изворотливостью апологета умирающего класса; все эти суждения являются признаком конца буржуазной политической экономии.

Эта теория сочетает все нам уже известные ошибки номиналистической и металлургической теорий денег. Ложность этих теорий нам уже известна. Отметим еще следующее: нет пары различных денег, с различной природой, денег, существующих параллельно в сфере внутреннего и международного оборота. Существуют лишь единые деньги, по природе своей требующие плоти благородного металла. Деньги развиваются в всемирные деньги, в сфере международного оборота они выступают в функции всемирных денег. Всемирные деньги — функция денег, особая форма денег, а не особые деньги и если они имеют и должны иметь золотую плоть, то это говорит о том, что деньги, находящиеся во внутреннем обращении, также должны иметь плоть золота или представлять золото.

Признание этой теорией существования всемирных денег в плоти золота говорит лишь о крахе номиналистической теории денег на мировом рынке и о необходимости признания того, что деньги по природе своей должны быть золотыми.

Остановимся теперь на второй разновидности буржуазных теорий денег — на национальной теории.

Национальная теория денег понятие денег в той или степени, прямо или косвенно, связывает с понятием государства; по этой теории





деньги в той или иной степени являются продуктом деятельности государства. Вне государства нет понятия денег, вне границ государства нет денег. Всемирного государства не существует, следовательно, не существует денег в международном обороте, всемирных денег. Предпосылкой существования всемирных денег является существование всемирного государства.

Как мы уже говорили выше, государство ни в какой степени не является творцом денег, деньги ни в какой степени не являются продуктом деятельности государства. С ограниченной ролью государства в создании денежной системы мы также знакомы.

Деньги созданы инстинктивно в процессе обмена; деньги возникли в процессе стихийного экономического развития. Обмен возник на стыке общин, обмен существовал и существует не только внутри государства, но и между товаропроизводителями отдельных государств; этот последний обмен осуществляется на базе международного разделения труда; этот обмен требует меры стоимости, средства обмена, средства перенесения богатства из страны в страну; таким средством является товар-золото; этот обмен с необходимостью требует денег и такими деньгами, всемирными деньгами и является товар-золото. Как внутренняя, так и международная сфера оборота с необходимостью требует денег. Товар вне противоречия не существует ни на внутреннем, ни на мировом рынке; деньги диалектически разрушают это противоречие — они необходимы в обеих сферах оборота.

Всемирного государства не существует, но всемирные деньги существуют. Отсутствие всемирного государства означает всего лишь отсутствие всемирной денежной системы. Всемирное государство, а вместе с тем и всемирная денежная система, в условиях капитализма, является химерой, а всемирные деньги — реальностью.

Наконец, деньги всемирного государства являются не всемирными деньгами, а внутренними, национальными деньгами. В условиях существования всемирного государства не существует всемирных денег: здесь нет возможности развития денег в всемирные деньги, нет надобности в том, чтобы национальная монета сбрасывала свой мундир перед вступлением в международную сферу обращения, так как таковой сферы нет, есть только одна сфера — сфера внутреннего обращения.

Национальная теория денег не отрицает, и не может отрицать, факта перехода благородных металлов из государства в государство, из одной национальной сферы обращения в другую национальную сферу обращения. В какой же роли выступают благородные металлы в международном обороте, если не в роли денег? Благородные металлы в сфере внешнего оборота, утверждает эта теория, выступают в роли товара;



благородный металл в сфере международного оборота — товар, а не деньги.

Остановимся на этом утверждении.

Мы уже сказали, что международный оборот с необходимостью требует денег. Теперь нам остается показать, что благородный металл в международном обороте не просто товар, не только товар, но и деньги, всемирные деньги.

Деньги товар, но особый товар — всеобщий эквивалент. Деньги существуют в различных функциях, в том числе и в функции всемирных денег. В этой функции благородные металлы действительно снова получают свою естественно возникшую первоначальную форму и опять выполняют свою первоначальную функцию средства обмена. В международном обороте мы действительно имеем дело с товаром — благородным металлом. Но анализ не может быть закончен на этом. Величайшая заслуга К. Маркса заключается в том, что он показал, как этот товар на мировом рынке выполняет роль денег, всемирных денег: „Если золото и серебро, как деньги, по самому своему понятию суть всеобщий товар, то в мировых деньгах они получают соответствующую форму существования — форму всемирного товара. В той мере, как все продукты отчуждаются за золото и серебро, последние становятся превращенной формой всех товаров и поэтому всесторонне отчуждаемым товаром. Материализацией всеобщего рабочего времени они действительно становятся в той мере, как обмен веществ реальных работ охватывает землю. Они становятся всеобщим эквивалентом в той степени, в какой развивается ряд особенных эквивалентов, которые образуют сферу их обмена. Так как в мировом обращении товары разворачивают свою собственную меновую стоимость универсальным образом, то превращенный в золото и серебро образ последней, выступает как мировые деньги“<sup>1</sup>. Яснее не скажешь: золото в мировом обращении не только товар, но деньги, всемирные деньги. Благородный металл в всемирных деньгах получает форму всемирного товара. Роль денег не лишает благородный металл характера товара. Именно на мировом рынке деньги в полной мере функционируют как товар; натуральная форма этого товара есть вместе с тем непосредственно общественная форма осуществления человеческого труда in abstracto.

К. Маркс, анализируя метаморфозы капитала и его кругооборот, указывал, что характер производственного процесса, результатом которого являются товары, не имеет значения: „Поэтому всесторонний характер их происхождения, существование рынка как мирового рынка — вот что служит отличительной чертой процесса обращения промышлен-

<sup>1</sup> К. Маркс, К критике политической экономии, стр. 146—147.





ного капитала. Что сказано о чужих товарах, в такой же мере относится и к чужим деньгам: подобно тому, как товарный капитал противостоит деньгам, только как товар, так и эти деньги по отношению к нему выполняют функции только денег; деньги функционируют здесь как мировые деньги<sup>1</sup>.

И хлеб, и золото, вывозимые за границу, являются товаром, но отличаются друг от друга как товар и деньги.

Итак, благородный металл в международном обороте не только товар, но и деньги, всемирные деньги.

В заключение мы можем констатировать, что буржуазные экономисты в вопросе о всемирных деньгах разбились на два лагеря: одни признают, а другие отрицают существование всемирных денег.

Признание или отрицание существования всемирных денег не является особенностью одной какой-либо теории — номиналистической или металлистической. Как признание, так и отрицание существования таковых мы находим в обоих направлениях буржуазной теории денег.

Буржуазные экономисты, признающие существование всемирных денег, показывают четыре различных понимания всемирных денег:

1. Омотропно-металлистическое понимание: всемирные деньги существуют в плоти благородного металла и имеют одинаковое обращение с металлическими деньгами, находящимися во внутренней сфере обращения.

2. Автотропно-металлистическое понимание: всемирные деньги существуют в плоти благородного металла, но имеют принципиально иное обращение, чем металлические деньги в сфере внутреннего обращения.

3. Номиналистическое понимание: всемирные деньги, так же, как и национальные, номинальны. Всемирные деньги не требуют плоти благородного металла.

4. Автоусиальное понимание: всемирные деньги имеют плоть благородного металла и самостоятельное бытие, независимое от национальных, номинальных денег.

Ни один буржуазный экономист не рассматривает всемирные деньги как функцию денег. Эта ошибка сочетается с целым рядом других ошибок, показанных нами. Буржуазные высказывания о всемирных деньгах абсолютно неприемлемы и притом совершенно независимо от того, рассматривать или не рассматривать всемирные деньги как функцию денег.

Одновременно мы можем констатировать, что среди буржуазных экономистов существуют два понимания роли благородных металлов в международном обороте: одни утверждают, что благородные металлы:

<sup>1</sup> К. Маркс, Капитал, т. II, стр. 94.





в международном обороте выполняют роль товара, а другие утверждают, что они выполняют роль денег.

Каждое направление в буржуазной теории денег должно иметь и имеет свое название. Каждое направление в решении вопроса о всемирных деньгах также должно иметь свое название. Поскольку в настоящей работе впервые дается попытка систематизировать различные высказывания о всемирных деньгах, определить различные направления, существующие в буржуазных суждениях о всемирных деньгах, мы позволяем себе дать им соответствующие названия. Полагаем, что три новых термина, введенных нами („омотропное“, „автотропное“, „автотропное“ понимание всемирных денег), не затруднит, а облегчит задачу критического освоения буржуазных высказываний о всемирных деньгах.



გ. ჩიბაია

## რაჭული სახვნელის უარზლიანი ქუსლი

### I

რაჭის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში სახვნელი იარაღები ორი ძირითადი სახითაა მოცემული: ერთია—„რაჭული სახვნელი“ ფარფლიანი, ოვალურ-გვერდიანი ქუსლით და მეორე—„იმერული კავი“ ოვალურ-ძირიანი ქუსლით.

ჩვენს ერთს ადრინდელ ნაშრომში გარკვეული გვექონდა, რომ რაჭული სახვნელი თავისი ფარფლიანი ქუსლითა და წეწენა-წინამავალათი მეტად თავისებური სახვნელი იარაღის სახეა, რომელსაც ქართველების სახვნელი იარაღების გარეშე სხვა ხალხთა სახვნელებში ანალოგი არ მოეპოება საზოგადოდ და ინდოევროპელი ხალხების სახვენელ იარაღებში კერძოდ<sup>1</sup>.

ეს უნიკალური სახვნელი იარაღი მიღებულია ქართული (თუბალურ-მესხური) სახვნელი იარაღების ძირითადი ელემენტების შინაგანი გაუმჯობესების გზით და უძველესი სახვნელი იარაღის ტიპის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს.

კერძოდ, ამ სახვნელი იარაღის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტის, ფარფლიანი ქუსლის შესახებ ჩვენ ვწერდით, რომ რაჭული სახვნელის ქუსლი სახვნელი იარაღის დაწინაურებული, განვითარების მაღალ საფეხურზე მდგომი ელემენტია, რომელიც გუთნის ფრთის მოვალეობას ასრულებს და სახვნელის გამწვევ ძალას მუშაობას უმსუბუქებს<sup>2</sup>.


ამ მეტად თავისებური სახის ქუსლის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს სახვნელი იარაღების განვითარების ისტორიისათვის და ამიტომ ზედმეტი არ იქნება, თუ მას ერთხელ კიდევ ჩვენი დაკვირვების საგნად გავხდით.

ცალკეულად აღებული რაჭული სახვნელის ქუსლი გვერდიდან კეხს მიემსგავსება, რომელსაც ოვალურად ამოქნილი გვერდები (ფარფლები) აქვს. ქუსლი ხის ერთიანი მორისგანაა გათლილი. მისი ერთი ბოლო (თავში) წაწვერილი და წათლილია, მეორე—გაგანიერებული, ხოლო წელი ნაწიბურიანია. ქუსლს ბოლოში ოთხკუთხედი ნაჩრეტი აქვს „სატარისა“ და „ერქვანის“ გასაყრელად. ქუსლი ქვემოთ ამოღარულია. მას აქაც შუაში ნაწიბური ჩაუდის (ქუსლის ასეთ ნაწი-

<sup>1</sup> გ. ჩიბაია, რაჭული სახვნელი, ენიმკი-ს მოამბე, ტ. I.

<sup>2</sup> გ. ჩიბაია, *op. cit.*, გვ. 290.






ბურს ლეჩხუმში მამაკაცის ასოს სახელი ეწოდება, ხოლო სვანეთში ჩქუსლის სოლს „ყურნა“ ჰქვია).

ამგვარი ქუსლი შემდეგი დეტალებისაგან შედგება: „საშუე“ ანუ „საეშუე“, „ნაწიბური“, „ფარფლი“, „ნაჩერეტი“, „ლაში“, „დიდი სოლი“ და „საჩოჩი სოლი“ (სურ. 1).

ფუნქციის მიხედვით ფარფლიანი ქუსლი სახენელი იარაღის მუშაობის პროცესში რთულ მოვალეობას ასრულებს. ხენის დროს სახნისის მიერ აჭრილი ბელტი ქუსლის საშუედან თანდათან მიჰყვება ქუსლის ფართულ ზემოთ და



სურ. 1. რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი (ს. ღარი).

ფარფლის ოვალური მოყვანილობის გამო, მისი ზემო ნაწილიდან, ბოლოდან— გადაბრუნებული ქვემოთ ვარდება. ამ რთული პროცესის წარმატებით შესრულება ოთხი მონაცემითაა შეპირობებული.

პირველი. ქუსლის ოვალურობა ხელს უწყობს აჭრილი ბელტის მოძრაობას ქუსლის ქვემოდან ზემოთ. ის ამ მოძრაობას აადვილებს და ბელტის გადაბრუნებას უველის.

მეორე. ოვალური ქუსლის მალა აშვერილი ბოლო ნაწილიდან— „ლაშიდან“ ბელტის ძირს დაცემა ხელს უწყობს ბელტის დაფშენას.

მესამე. მუშაობის პროცესში სახენელის ქუსლი მიწაზე ბრტყლად კი არა ძევს, არამედ წაგვერდილია ისე, რომ აჭრილი ბელტი ქუსლის ერთ ფართულ მიჰყვება ხოლმე.

მეოთხე. ქუსლის „საშუე“ ბელტს ჰკვეთს, ჰგლეჯს, რასაც სხვა ტიპის სახენელ იარაღში (მაგ., ფშაურ აჩაჩში) „ხმალა“ ასრულებს ნაკლები ეფექტურობით.

გარდა ზემოთქმულისა, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ქუსლის ძირი გულამოღარულია, ამის გამო ქუსლი მსუბუქია, მის ძირს მიწა არ უძნელებს მოძრაობას და მასში ჩამჯდარი მხარის ბოლო და სოლების თაე-ბოლოებიც ნიადაგზე არ ეთრევა.

იმის გამო, რომ არც მხარის ბოლო, არც სოლების თაე-ბოლოები და



თვით ქუსლის ძირის დიდი ნაწილი მიწას არ ეკარება, და იმის გამოც, რომ ქუსლი ფარფლიანი და გულამოღარულია და ცალ გვერდზე მუშაობს, სახენწელი იარაღის გამწვევ ძალას ერთიორად და მეტადაც უმსუბუქდება მუშაობა. უმსუბუქდება მუშაობა მგუთნავსაც. ერთი სიტყვით, ნაკლები ენერჯის დახარჯვით მეტ ეფექტურობას ვაღწევთ.

ცხადია, ასეთი სახის დაწინაურებული ქუსლი ერთბაშად არ განდებოდა. განვითარების პროცესში მას მრავალი საფეხური უნდა გაველო, ვიდრე სრულქმნილი გახდებოდა. უნდა ისიც აღინიშნოს, რომ რაჭული სახენწის ფარფლიანი ქუსლი სიმეტრიულობით, დამთავრებული ხაზებითა და სტრუქტურით ოსტატის მიერ ნათლად გამიზნულ და მიღწეულ ნაქნარს წარმოადგენს, რომლის შექმნას წინ უძღოდა მრავალი თაობის მუშაობა სახენწელი იარაღის ქუსლების ნაირნაირ სახეებზე. ამ ქუსლის წინამორბედი სახეები პირველ რიგში ქართველი ხალხის სახენწელი იარაღის ქუსლის ტიპებში უნდა ვეძებოთ.

## II

იმდენად, რამდენადაც შესწავლილია ქართული ეთნოგრაფიული სინამდვილე, შეიძლება ითქვას, რომ ამ სინამდვილემ თითქმის არ იცის სახენწელი იარაღის ისეთი ტიპი, რომელსაც მკვეთრად გამოხატული ქუსლი არ ჰქონდეს. გამონაკლისს მხოლოდ ორი შემთხვევა წარმოადგენს.

ერთი შემთხვევაა „თუშური კავი“. ეს თავისებური სახენწელი იარაღი მხოლოდ თუშეთში გვხვდება. 1932 წელს ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა „თუშური კავი“ შეგვესწავლა ადგილობრივ, შემდეგ სოფლებში: ჯვარბოსელი, ფარსმა და დიკლო. ეს იარაღი შედგება: „ტარის“, „ისრის“ (საბეწვე), „ბარის“<sup>1</sup> (ანუ „საკვეთელის“), „ხვრეტის“, „ერქვანას“, „ერქვანას სახელის“, „ხელსაკიდისა“ და „ბობოჩიკისაგან“<sup>2</sup> (იხ. სურ. 2).

ამ იარაღის თავისებურება მდგომარეობს მასში, რომ მისი მხარი ბოლოში ზემოთაა აშვერილი. ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში მოცემულ სახენწელ იარაღებს ჩვეულებრივად მხარი ბოლოში მოხრილი და ქუსლში ჩამჯდარი აქვთ, ან კიდევ პერპენდიკულარულად ხელნაში გაყრილი. გარდა ამისა, თუშურ კავს არა აქვს არც ქუსლი და არც სახნისი. მის მხარში საკვეთლის მსგავსი იალარია („ბარი“) გაყრილი. არსებითად ეს იარაღი მიწის მოხვნასთან დაკავშირებულ ფუნქციას მხოლოდ ამ საკვეთლის, ბარის შემწეობით ახორციელებს.

თუშეთში, სადაც მიწისმოქმედებისათვის თავისებური პირობებია, ამ კავის დანიშნულებაა მაგარი მიწის ნიადაგი „ვაწეროს“, რათა „ვაწერილზე“ მეორე ტიპის სახენწელმა იარაღმა „საკნუელმა“ ადვილად მოხნას. ჩვეულებრივ, ერთი უღელი ხარით „თუშური კავი“ წინ უძღვება „საკნუელს“ და ნიადაგს „წერავს“, ხოლო მას მისდევს „საკნუელი“ ყვეარი ან მეტი ხარით და მიწას ხნავს.

<sup>1</sup> ტერმინი „ბარი“ თონის აღსანიშნავადაც იხმარება.

<sup>2</sup> თავისებური ტერმინები აქვს თუშურ „საკნუელსაც“: მკარი, მკრის ენა, კვიცა, სოლი, საკნუელის კაა, ერქვანა, ერქვანას ტარი, ჯორჯა, ქუსლი, საშრუე, ბუდე, საკნისი.







მეორე მაგალითია „გურული კავი“. სახელწოდება „გურული“ პირდაპირად რამდენადაც ეს იარაღი თითქოს გურიისათვის არის დამოწმებული (სურ. 3). „გურული კავის“ სურათი გამოქვეყნებულია A. Byhan-ის ნაშრომში, *Kaukasus etc.* (Buschan, III. Völk. II., გვ. 620, სურ. 410, 1), იგივე დაბეჭდილია ამ ნაშრომის ფრანგულ თარგმანში<sup>1</sup>, სადაც მთარგმნელის Montandon-ის შენიშვნაში ვკითხულობთ, რომ სახენელის ეს ტიპი ბარ-სახენელის სახეს ეკუთვნის. სხვათა შორის, ფრანგული და გერმანული გამოცემების მითითებები გურული სახენელი იარაღის სურათზე ერთმანეთს არ ემთხვევა. ამ სახენელი იარაღის სურათი Byhan-ს ამოუღია K. Rau-ს ნაშრომიდან „Geschichte des Pfluges“. Rau-ს ნაშრომში არ ჩანს, თუ რა გზით აქვს ავტორს ეს სურათი მოპოებული.



სურ. 3. გურული კავი, Byhan-ით.

გურიის ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ამ სახის სახენელი იარაღის არსებობა არ დადასტურდა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს კორესპონდენტებს არაერთგზის მიეცათ სათანადო დავალება.

ამ სახენელ იარაღს, „გურულ კავს“, განსაკუთრებული სახის „ქუსლი“ აქვს, ის წარმოადგენს ორკაპა კეტს, რომლის წვერზე სახნისი უნდა ყოფილიყო წამოცმული (სურათზე სახნისი ნაჩვენები არ არის), მის ბოლოში სახელურია გაყრილი. ამ იარაღს, მხარის გარდა, პატარა ზომის „ხმალაც“ მოეპოება.

### III

ამ ორი გამონაკლისის გარდა, ქართული სახენელების ქუსლები არსებითად ერთ ძირითად ტიპს განეკუთვნებიან: სახენელის ქუსლი ყოველთვის ჰორიზონტალურ მიმართებაშია ნიადაგთან, მიწასთან. სახენელი იარაღის ქუსლის ეს ძირითადი ტიპი ქართულ ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ნაირნაირი სახეებითა და მრავალი ვარიანტითაა მოცემული. სახენელი იარაღის ქუსლების შესახებ არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ ქართველ ტომებს ქუსლების დაწინაურებისათვის დიდი ყურადღება მიუქცევიათ და მათი მრავალგვარი სახე შეუქმნიათ.

მართლაც, ქართველი ტომების სახენელ იარაღებში, ერთი მხრით, ჩვენ ისეთი ქუსლი გვაქვს, რომელიც მხართან ერთად მთლიანია, ან კიდევ ხელნასთან ერთად მთლიანი. მეორე მხრით, საკუთრად ქუსლად დამზადებულ ეგზემპლარებიდან შეიძლება დავასახელოთ ქუსლების შემდეგი სახეები: ოთხკუთხედი, პრიზმული, აგრეთვე ეშვიანი, ლაშვიანი, საქლემიანი და ყურიანი ქუსლები, ქუსლები ოვალური ძირით, ხერხემლიანი (ნაწიბურებიანი) ძირით, ძირამოღარული და, უკანასკნელად, ფარფლიანი ქუსლი (სხვადასხვა ვარიანტებით)<sup>2</sup>.

ზემოჩამოთვლილი ქუსლის ნაირნაირი სახეებიდან აშკარად ჩანს, რომ

<sup>1</sup> A. Byhan, *La civilisation Caucasiennne*, Paris, 1936, გვ. 50.


<sup>2</sup> შდრ. გ. ჩიტაია, რაჭული სახენელი: ენიმკი-ს მოამბე, ტ. I; მისივე, საქართველოს სახენელი იარაღების ისტორიისათვის: საქ. მუზეუმის მოამბე, ტ. V.





არ დარჩენილა ქუსლის არც ერთი ნაწილი, რომელსაც გაუმჯობესებდეს. ქუსლი  
 არ შეხებოდეს: ა) ქუსლის ზედაპირი, ბ) ქუსლის ბოლო, გ) ქუსლის გვერდები,  
 დ) ქუსლის საშრუვე, ე) ქუსლის ძირი და ქუსლის წვერი, რომელზედაც უნდა  
 მოერგოს რკინის სახნისი (მაგალითად, „საქვიე“ და „სამბილე“).

ქუსლის ძირის გაფორმების მიხედვით ჩვენში რამდენიმე სახის ქუსლია  
 მოცემული: ოვალურად გამოყვანილი ძირი (იმერული კავი), რომელიც ზოგიერთ  
 ვარიანტში პატარა ყურებით ბოლოვდება; ბრტყელძირიანები (ქართლური  
 აჩაჩა, ორხელა), ხერხემლიანი ძირი (ლენხუმი, სვანეთი), ოთხკუთხედად ამოღა-  
 რული ძირი (თუშეთი) (იხ. სურ. 4), ოვალურად ამოღარული ძირი (რაჭული,  
 მესხური, სვანური).



სურ. 4. თუშური საკნუელის ქუსლი (ს. დიკლო).

ამგვარადვე მრავალი სახითაა წარმოდგენილი ქუსლის ზედაპირი: ბრტყე-  
 ლი (მეგრული კავი), ხერხემლიანი (სვანური), საშრუვიანი (გურული კავი), სამ-  
 კუთხედი (მეგრული ოგაფა) და სხვა (იხ. სურ. 5).



სურ. 5. თუშური საკნუელის ქუსლი (ს. ყვავლო).

ასევე ქუსლის ბოლო მოცემულა: ორკაბიანი, ყურიანი და საქლეშინი,  
 ხოლო ქუსლის გვერდები: სწორკუთხედიანი, ნახევრად ოვალური და ოვალური  
 სახისა (იხ. სურ. 6).

ცნობილია, თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქუსლს ხენის პრო-  
 ცესში. არსებითად ეს იყო ძირითადი სამუშაო ნაწილი სახენელი იარაღისა, რომ-  
 ლის შემწეობით წარმოებდა მიწის ღრმად და პირად მოხვნა, მოხნულის დაფ-  
 შვნა, ბელტის გატეხა, ბელტის გადაბრუნება და მუშა-ძალის ეფექტურად გა-  
 მოყენება (მგუთნავისა და ხარების). იმის მიხედვით, თუ რა სახის ქუსლი ჰქონ-  
 და სახენელ იარაღს, თვით სახენელი იარაღიც მეტი თუ ნაკლები ეფექტის მიმ-




ცემა იყო; რამდენად მოხერხებული სახის იყო სახენელი იარაღის დენად ღონიერი იყო თვით სახენელი იარაღიც. რასაკვირველია, ქუსლის ნაირსახეობა წინასწარ შეფარდებული უნდა ყოფილიყო მოსახნავი მიწის პირობებთან, ქუსლი შეგუებული უნდა ყოფილიყო ნიადაგის, ადგილის რელიეფისა და მოსაწვევი კულტურის პირობებთანაც.



სურ. 6. თუშური აჩაჩის ქუსლი (ს. ჯვარბოსელი).

ეფექტიანი მიწისმოქმედების საწარმოებლად ქართველ ხალხში დიდი გამოცდილება და ცოდნა იყო დაგროვილი. მაგალითისათვის დავასახელებთ მიწის მოხვნას მაღალი და დაბალი კავით. რბილ მიწაზე იხმარებოდა მაღალ-ქუსლიანი კავი, ხოლო მაგარ მიწაზე დაბალქუსლიანი. ამის შესაბამისად სახენელ იარაღს პირველ შემთხვევაში „სამბილე სახნისი“ უკეთდებოდა, ხოლო მეორე შემთხვევაში — „საქევი“. სახენელი იარაღის ქუსლის ფორმის შეგუება ხდებოდა აგრეთვე წყალგამტარ და წყლის არგამტარ თიხიან ნიადაგთან. შეგუებული იყო აგრეთვე სახენელი იარაღი და მისი ქუსლი ღრმად და პირად ხვნასთან. იმ ადგილებში, სადაც ნიადაგი ნოტიო და რბილი იყო, აჩაჩა გამოდგებოდა, ხოლო ხმელი და ფიცხი ნიადაგი ღონიერ სახენელ იარაღს მოითხოვდა.




სურ. 7. სვანური ღენწიშის ქუსლი (ს. ლაღამი).

შერჩეული იყო სახენელი იარაღი და მათი ქუსლები ადგილის რელიეფთანაც. ერთს ჩვენს ნაშრომში დადგენილი გვაქვს, თუ როგორ არის შეგუებული სახენელი იარაღი მთის ზოლის, მთის ძირისა და ბარის მეურნეობის პირობებთან. ზემოთ დასახელებულ თითოეული ზოლისათვის განკუთვნილი იყო შესაფერისი კონსტრუქციის სახენელი იარაღი: მთის გუთანაი, ორხელა გუთანაი და ბარის გუთანაი<sup>1</sup>. ამასთან ერთად, წესად მიღებული იყო ანეულად ხვნა, აოშვა, გათერძვა, გახარვა. არჩევდნენ ნიადაგს: ნაცვარალი, რცხალი, ნაჩხატი, ყამირი და კორდი. ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, ხნულსა და ნიადაგთან შეფარდებით, შერჩეული იყო თესლის ჯიშებიც. ამჟამად აღარას ვამ-

<sup>1</sup> გ. ჩიტაია, ქსნური მთის გუთანაი: ენიმკი-ს მოამბე, ტ. V—VI.





ბობთ ყანების სარწყავი არხებისა და ფერდობებში საყანე მიწის წამოქმედების წინააღმდეგ ტერასებურად აგებული ყორეების შესახებ<sup>1</sup>.

ასეთ დიდი სამიწისმოქმედო კულტურას ჰქონდა, და არც შეიძლება არ ჰქონოდა, შესაფერისი სახენელი იარაღები, კერძოდ მიწისმოქმედების მთხონილებებთან შეფარდებული სახენელი იარაღის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი—სახენელი იარაღის ქუსლი.

სახენელი იარაღის ამ ნაწილის აღსანიშნავად ხალხში შემდეგი ტერმინები შემონახული: სახენელი, გუთანი, ქუსლი, კბილა, ჩაფულა, ფიცარი. რაჭული სახენელი იარაღის ფარფლიანი ქუსლი ამ მდიდარი სამიწისმოქმედო კულტურის შენაძენია.

როგორც ზემოთ ითქვა, ფარფლიან ქუსლს წინამორბედებიც მოეპოებოდა.

რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლის წინამორბედი მესხური ჯილდის ქუსლია. უკანასკნელი სახენელი იარაღის სურათი დაბეჭდილია Petzholdt-ის ნაშრომში „Der Kaukasus“ (გამოიცა 1867 წელს). ამ სახენელი იარაღის ქუსლს Petzholdt-ი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ხაზგასმით აღნიშნავს მის თავისებურებას. იგი წერს: „ამ სახენელ იარაღს აქვს განსაკუთრებული სახის ქუსლი. ეს ქუსლი დამზადებულია მაგარი ხის ნაჭრისაგან. ის უკანა ნაწილისაკენ თანდათან განიერდება და მსხვილდება ისე, რომ იქმნება გვერდებისაკენ გადახრილი ორი ფრთა ანუ ყური. ამათ ნაწილობრივ შეუძლია გუთნის ფრთის დანიშნულების შესრულება“<sup>2</sup>. ზემოთქმულს Petzholdt-ი დასძენს, რომ „jedenfalls gehört dieses Hacken mehr unter Zahl landwirtschaftlicher Curiosa“. როგორც აქ მოტანილი აღწერილობიდან, ისე მესხური ჯილდის სურათიდანაც, რომელიც Petzholdt-ის ნაშრომშია მოცემული, ნათლად ჩანს, რომ ამ სახენელის ქუსლი რაჭული სახენელი იარაღის ქუსლის მსგავსია და იმავე დანიშნულებას ასრულებს, რასაც რაჭული სახენელის ქუსლი, სახელდობრ: ბელტი გადააბრუნოს, ე. ი. შეასრულოს ის ფუნქცია, რომელიც დაკისრებული აქვს გუთნის ფრთას (იხ. სურ. 8, 6).


ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მესხურ ჯილდას ზოგიერთ შემთხვევაში აქვს არა ოვალური ქუსლი, არამედ ჩვეულებრივი. ასეთ ქუსლზე მირგებულია გუთნის ფრთა, რომელიც თავისი კონსტრუქციით ოვალური ქუსლის ფუნქციას ასრულებს. ეს შენაცვლება გუთნის ფრთისა და ოვალური ქუსლისა, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის. ასევე შემთხვევითი არ არის ისიც, რომ რაჭული სახენელის ქუსლს ზოგიერთ სოფლებში „ფიცარი“ ეწოდება, ტერმინი, რომელიც დამოწმებულია ქართლშიც (აქა-იქ) ფრთის სახელწოდებად. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს გუთნის ფრთასა და ოვალურ ქუსლს შორის ორგანულ კავშირთან. რაჭული სახენელის ქუსლის მეორე წინამორბედს წარმოადგენს რაჭული „სახენელი“ სოფ. ზნაკვიდან. ამ სახენელის მოდელი დაცულია საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში და გამოქვეყნებულია იმავე მუზეუმის მოამბეში, ტ. V, გვ. 282.

<sup>1</sup> გ. ჩიტიია, op. cit., გვ. 485.

<sup>2</sup> A. Petzholdt, Kaukasus, Lpz. 1867, გვ. 121—122.



სურ. 13. ზნაკური სახენელის ქუსლი იმრიგად არის გაკეთებული, რომლისავე სით ათხრილი ძიწა ქუსლის გვერდებს აჰყვეს და ქუსლის ბოლოში გვერდზე გადაწვეს. ამ მიზნით თავში წაწვერილი ქუსლი ბოლოსაკენ თანდათან მალღდება, განიერდება და გვერდებიც გუთნის ფრთის მოყვანილობას ღებულობს. ამ სახენელის ქუსლს რომ მიზნად ბელტის გადამბრუნება აქვს დასახული, იტიდან ჩანს, რომ, როდესაც ქუსლს ხენის პროცესში ამ მოვალეობის შესრულება უჭირს, მხენელი ხელით შველის მიწის ბელტს გადამბრუნებაში. ზნაკური სახენელის ქუსლი (იხ. სურ. 8, ) პრიმიტიული სახეა მაღალგანვითარებული, რაჭული სახენელი იარაღის ქუსლისა. მაგრამ რაჭული სახენელის ფარფლიან ქუსლს




სურ 8 სახენელის ქუსლების განვითარების სქემა.

წინამორბედი მოეპოვება არა მარტო მესხური ჯილდისა და ზნაკური სახენელი იარაღების ქუსლების სახით, აოაჲდ ასეთი წინამორბედებია აჭარული ჯილდის (იხ. სურ. 8, 1—2) და მეგრული და გურული კავის ქუსლები (იხ. სურ. 8, 3—4). ჩვენ აღარ ვახსენებთ სვანური სახენელის ქუსლს, რომელიც საეცებით ანალოგიურია რაჭული ფარფლიანი ქუსლისა (Merzbacher, Hochregion des Kaukasus, Bd. I).

ამ მონაცემის მიხედვით ისახება რაჭული სახენელი იარაღის ფარფლიანი ქუსლის თანდათან განვითარების საფეხურები—აჭარული ჯილდა, მეგრული და გურული კავი, ზნაკური სახენელი, მესხური ჯილდა და რაჭული სახენელი.





ბობთ ყანების სარწყავი არხებისა და ფერდობებში საყანე მიწის წინააღმდეგ ტერასებურად აგებული ყორების შესახებ<sup>1</sup>.

ასეთ დიდი სამიწისმოქმედო კულტურას ჰქონდა, და არც შეიძლება არ ჰქონოდა, შესაფერისი სახენელი იარაღები, კერძოდ მიწისმოქმედების მოთხოვნილებებთან შეფარდებული სახენელი იარაღის ერთ-ერთი მთავარი ნაწილი— სახენელი იარაღის ქუსლი.

სახენელი იარაღის ამ ნაწილის აღსანიშნავად ხალხში შემდეგი ტერმინები შემონახული: სახენელი, გუთანი, ქუსლი, კბილა, ჩაფულა, ფიცარი. რაჭული სახენელი იარაღის ფარფლიანი ქუსლი ამ მდიდარი სამიწისმოქმედო კულტურის შენაძენია.

როგორც ზემოთ ითქვა, ფარფლიანი ქუსლს წინამორბედებიც მოეპოებოდა.

რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლის წინამორბედი მესხური ჯილდის ქუსლია. უკანასკნელი სახენელი იარაღის სურათი დაბეჭდილია Petzholdt-ის ნაშრომში „Der Kaukasus“ (გამოიცა 1857 წელს). ამ სახენელი იარაღის ქუსლს Petzholdt-ი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს და ხაზგასმით აღნიშნავს მის თავისებურებას. იგი წერს: „ამ სახენელ იარაღს აქვს განსაკუთრებული სახის ქუსლი. ეს ქუსლი დამზადებულია მაგარი ხის ნაჭრისაგან. ის უკანა ნაწილისაკენ თანდათან განიერდება და მსხვილდება ისე, რომ იქმნება გვერდობისაკენ გადახრილი ორი ფრთა ანუ ყური. ამათ ნაწილობრივ შეუძლია გუთნის ფრთის დანიშნულების შესრულება“<sup>2</sup>. ზემოთქმულს Petzholdt-ი დასძენს, რომ „jedenfalls gehört dieses Hacken mehr unter Zahl landwirtschaftlicher Curiosa“. როგორც აქ მოტანილი აღწერილობიდან, ისე მესხური ჯილდის სურათიდანაც, რომელიც Petzholdt-ის ნაშრომშია მოცემული, ნათლად ჩანს, რომ ამ სახენელის ქუსლი რაჭული სახენელი იარაღის ქუსლის მსგავსია და იმავე დანიშნულებას ასრულებს, რასაც რაჭული სახენელის ქუსლი, სახელდობრ: ბელტი გადააბრუნოს, ე. ი. შეასრულოს ის ფუნქცია, რომელიც დაკისრებული აქვს გუთნის ფრთას (იხ. სურ. 8, 6).


ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მესხურ ჯილდას ზოგიერთ შემთხვევაში აქვს არა ოვალური ქუსლი, არამედ ჩვეულებრივი. ასეთ ქუსლზე მირგებულია გუთნის ფრთა, რომელიც თავისი კონსტრუქციით ოვალური ქუსლის ფუნქციას ასრულებს. ეს შენაცვლება გუთნის ფრთისა და ოვალური ქუსლისა, რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის. ასევე შემთხვევითი არ არის ისიც, რომ რაჭული სახენელის ქუსლს ზოგიერთ სოფლებში „ფიცარი“ ეწოდება, ტერმინი, რომელიც დამოწმებულია ქართლშიც (აქა-იქ) ფრთის სახელწოდებად. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს გუთნის ფრთასა და ოვალურ ქუსლს შორის ორგანულ კავშირთან. რაჭული სახენელის ქუსლის მეორე წინამორბედს წარმოადგენს რაჭული „სახენელი“ სოფ. ზნაკვიდან. ამ სახენელის მოდელი დაცულია საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში და გამოქვეყნებულია იმავე მუზეუმის მოამბეში, ტ. V, გვ. 282,

<sup>1</sup> გ. ჩ ი ტ ა ი ა, op. cit., გვ. 485.

<sup>2</sup> A. Petzholdt, Kaukasus, Lpz. 1867, გვ. 121—122.



სურ. 13. ზნაკვური სახენელის ქუსლი იმრიგად არის გაკეთებული, რომელიც სით ათხრილი ძიწა ქუსლის გვერდებს აპყვეს და ქუსლის ბოლოში გვერდს გადაწვეს. ამ მიზნით თავში წაწვერილი ქუსლი ბოლოსაკენ თანდათან მალდება, განიერდება და გვერდებიც გუთნის ფრთის მოყვანილობას ღებულობს. ამ სახენელის ქუსლს რომ მიზნად ბელტის გადამბრუნება აქვს დასახული, იქიდან ჩანს, რომ, როდესაც ქუსლს ხენის პროცესში ამ მოვალეობის შესრულება უჭირს, მხენელი ხელით შველის მიწის ბელტს გადამბრუნებაში. ზნაკვური სახენელის ქუსლი (იხ. სურ. 8, ) პრიმიტიული სახეა მაღალგანვითარებული, რაჭული სახენელი იარაღის ქუსლისა. მაგრამ რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლს



სურ 8 სახენელის ქუსლების განვითარების სქემა.

წინამორბედი მოუპოვებია არა მარტო მესხური ჯილღისა და ზნაკვური სახენელი იარაღების ქუსლების სახით, აოამედ ასეთი წინამორბედებია აჭარული ჯილღის (იხ. სურ. 8, 1—2) და მეგრული და გურული კავის ქუსლები (იხ. სურ. 8, 3—4). ჩვენ აღარ ვახსენებთ სვახური სახენელის ქუსლს, რომელიც სავსებით ანალოგიურია რაჭული ფარფლიანი ქუსლისა (Merzbacher, Hochregion des Kaukasus, Bd. I).

ამ მონაცემის მიხედვით ისახება რაჭული სახენელი იარაღის ფარფლიანი ქუსლის თანდათან განვითარების საფეხურები—აჭარული ჯილღა, მეგრული და გურული კავი, ზნაკვური სახენელი, მესხური ჯილღა და რაჭული სახენელი.





ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება თამამად ითქვას, რომ რაჭულ-  
 ვნელის ფარფლიანი ქუსლი ქართველი ტომების სახენელი იარაღის ქუსლების  
 შინაგანი განვითარებით არის მიღებული. იგი თავისი კონსტრუქციის მიხედვით  
 გუთნის ფრთის ფუნქციას ასრულებს და გუთნის ფრთის წინამორბედია. ამ  
 დასკვნას არამცირე მნიშვნელობა აქვს სახენელი იარაღის განვითარების ისტო-  
 რიისათვის.

## IV

ცნობილია, რომ დასავლეთ-ევროპული კომპლექსური სახენელი იარაღის, გუთ-  
 ნის, ოვალური ფრთა შედარებით გვიანი ხანის შენაძენია. P. Leser-ის აზრით  
 ამ სახენელი იარაღის ფრთა შორეულ აღმოსავლეთში, ჩინეთშია მოპოებული,  
 ხოლო ჩინეთიდან XVIII საუკუნეში ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში იქნა შეტა-  
 ნილი<sup>1</sup>. Jirlow-ი ამტკიცებს, რომ ჩრდ.-დას. ევროპაში შემოღებული გუთნის  
 ოვალური ფრთა არ არის ჩინეთიდან შემოტანილი კულტურის ელემენტი, არა-  
 მედ ევროპაშივე (ალბათ ჰოლანდიაში) XVIII საუკუნეშია წარმოშობილი და  
 შემდეგ მეზობელ ქვეყნებში გავრცელებული. მისივე აზრით გუთნის ოვალური  
 ფრთა არის წარმოშობილი ადრე ჩინეთში, ხოლო შედარებით გვიან დამოუკი-  
 დებლად ევროპაში<sup>2</sup>.

აკად. ივ. ჯავახიშვილს გარკვეული აქვს, რომ I-IV საუკუნეების სა-  
 ქართველოში ფრთიანი სახენელი იარაღი უკვე არსებობდა. პატივცემული ავ-  
 ტორის აზრით ჩვენში სახენელი იარაღის ფრთა რომაულ *binæ aures*-ის შე-  
 მოქმედებითი ზეგავლენით უნდა წარმოშობილიყო<sup>3</sup>. ამავე ავტორის მიხედვით  
 რომაული *binæ aures*-ი მესხურ არონაშია მოცემული.

ზემოთ ჩვენ შევეცადეთ დაგვედგინა, რომ სახენელი იარაღის ფრთას  
 ჩვენში წინ უსწრებდა რაჭული სახენელის დაწინაურებული ფარფლიანი ქუსლი.  
 ეს დაწინაურება მოპოებულია მარტივი სახენელი იარაღების ფარგლებში.  
 იგი უკან სროვებს სახენელი იარაღების ქუსლებს, ისეთებსაც კი, რომლებიც  
 დამატებული ფრთებითა და ყურებითაა წარმოდგენილი.

რომაულ სახენელ იარაღს *binæ aures*-ი ქუსლის შუა წელზე ჰქონდა მი-  
 შაგრებული, ან კიდევ ორი ფიცრისაგან გაკეთებული წვეტკუთხოვნად, გამარ-  
 თული კბილა ედგა. ორივე შემთხვევაში *binæ aures*-ი ქუსლზე დამატებული  
 ელემენტის სახითაა წარმოდგენილი. ჩვენი სახენელი იარაღის ყურები კი დამა-  
 ტების სახით როდია მოცემული, არამედ ყურები ქუსლის ბოლოშია მოქცეული  
 და ქუსლთან ერთად მთლიანი ხისგანაა გამოთლილი. ამასთანავე, ყურები ქუს-  
 ლის ტიპის მთლიან სახესთან არის დაკავშირებული და ამდენად, უთუოდ, ქუს-  
 ლის შინაგანი განვითარების შედეგია. აქ სახენელი იარაღის კონსტრუქციული  
 და ფუნქციონალური ნაკლი დაძლეულია ამავე იარაღში მოცემული ელემენტ-

<sup>1</sup> P. Leser, op. cit., გვ. 137.

<sup>2</sup> R. Jirlow, Till svängda plogvåndskivans historia: RIG, Tjugoandra argängen  
 1939, Stockholm, გერმანული რეზუმე, გვ. 32.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქ. ეკონ. ისტ., ტ. I<sup>2</sup>, გვ. 258—259.





ბის შინაგანი გაუმჯობესების გზით. ამას ნათელჰყოფს ჩვენში დამრწმუნებულნი სახენელი იარაღების ყურების მეტად მდიდარი სახეობა<sup>1</sup>.

ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ქართული სახენელი იარაღების ყურებს და მათ შორის მესხური არონას ყურებს კავშირი არა აქვს რომაულ სახენელ იარაღთან. ამდენად, არც რომაულ ყურებიან სახენელს უნდა ჰქონდეს კავშირი ქართული გუთნის ფრთის გაჩენასთან, თუნდაც არონას მეშვეობით. ქართული გუთნის ფრთის გაჩენის წინა საფეხური რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლია. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გუთნის ფრთა საქართველოში წარმოშობილა და აქედან გავრცელებულა სხვა ქვეყნებში.

რაჭული ფარფლიანი სახენელი, როგორც სახენელი იარაღების გარკვეული სახე, ეკუთვნის სახენელი იარაღების იმ ძირითად ტიპს, რომელიც შექმნილია წინა აზიაში და ეკუთვნის წინა აზიის უძველეს კულტურულ მოსახლეობას, მის უძველეს აბორიგენებს, ქართველების წინაპრებს.

ამგვარად, ყველა ზემოთქმულის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ:

1. რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი ქართული სახენელი იარაღების ქუსლების შინაგანი განვითარების გზითაა მიღებული.
2. რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი უძველესი სახენელების მარტივი კონსტრუქციის ფარგლებში იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც რთული სახენელი იარაღი, გუთანი, თავისი ფრთით.
3. რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლის პროტოტიპებია: მესხურად ჯილის, ზნაკური სახენელის, მეგრული და გურული კავისა და აჭარული ჯილის ქუსლები.
4. რაჭული სახენელის ფარფლიანი ქუსლი გუთნის ფრთის წინამორბედია. რაჭული სახენელის ფარფლიანი (ოვალური) ქუსლი რამდენიმე საუკუნით წინ უსწრებს ევროპული სახენელი იარაღის შედარებით ახალ შენაძენს, ოვალურ ფრთას.

Г. Ч и т а я

Овальная подошва рачинского пахотного орудия

(Резюме)

1. Овальная подошва рачинского пахотного орудия выработана путем постепенного внутреннего развития подошв грузинских пахотных орудий.

<sup>1</sup> საერთო წესს ქართველი ტომების სახენელი იარაღების ყურების შესახებ თითქმის ერთი შემთხვევა არღვევს. ეს შემთხვევა ჩვენ გვაქვს აჭარული ჯილის ერთ ქვესახეში: აქ ქუსლზე ყურები დამატებულია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ეს დამატება მაინც ქუსლის ბოლოშია მოქცეული.





94105740  
2020010333

2. По своей конструкции овальная подошва рачинского пахотного орудия выполняет ту функцию, которая возложена на отвал комплексного пахотного орудия (плуга).

3. Прототипы рачинской овальной подошвы мы имеем в месхской, знаквской, мегрельской, гурийской и аджарской подошвах пахотных орудий.

4. Являясь предшественником овального отвала, рачинская овальная подошва на несколько веков старше овального отвала европейского плуга. Последний—относительно новое приобретение европейской культуры.

G. Tschitaia

## Die ovale Sohle des Pfluges von Ratscha

(Résumé)

1. Die ovale Sohle des Pfluges von Ratscha ist durch die allmähliche innere Entwicklung der Sohlen der georgischen Ackergeräte erhalten worden.

2. Die ovale Sohle des Pfluges von Ratscha, im Rahmen der einfachen Formen der Geräte, erfüllt die Rolle des Streichbretts am komplexen Pfluge.

3. Prototype der ovalen Sohle des Pfluges von Ratscha sind die Sohlen der Pflüge von Meschetien, Snakwa, Megrelien, Gurien und Atscharien.

4. Die ovale Sohle des Pfluges von Ratscha erscheint als Vorläufer des ovalen Streichbretts am Pfluge. Sie ist um einige Jahrhunderte älter als das ovale Streichbrett des europäischen Pfluges, das eine relativ neue Erwerbung darstellt.



„სტალინის სახელობის თ. ს. უ. შრომების“ 1940 წლის  
ნომრებში მოთავსებულ ნაშრომთა საძიებელი

(№№: XI—XVII)

მათემატიკა

1. Э. Цитланадзе, О решениях некоторых дифференциальных уравнений в частных производных (XIII).

ქიმია

1. შ. შარაშენიძე, კურორტ შოვის მინერალური წყაროები (ზემო-რაჭა) (XIII).
2. 

ო. ვეფხვაძე-გურგენიშვილისა,
-----------------------------

 ღვინის დაავადება მანიტით (XIII).
3. Г. Кацитадзе и В. Кокочашвили, К вопросу о катализе перекиси водорода (XIII).
4. ვ. ხუხია, ზემო-რაჭის ზოგიერთი მინერალური წყარო და რკინის რაოდენობის ცვალებადობის საკითხისათვის მინერალურ წყლებში (XIII).

ბეოლოგია

1. Г. Харатишвили, Находка остатков хвойного растения в верхнемайкопских отложениях долины реки Курбы близ Тбилиси (XIII).
2. Н. Татришвили, Диабазы Верхней Рачи (XIII).

ბიოლოგია

1. А. Каландадзе и Н. Тулашвили, Материалы к изучению кузнечиков, как вредителей сельскохозяйственных растений (XIII).
2. Г. Папалашвили, Проблема генетической природы вольтинизма у тутового шелкопряда (*Bombux mori*) (XIII).
3. აღ. პაპავა, საქართველოს ზოგიერთი ძუძუმწოვრელის ქართული ნომენკლატურის შესახებ (XIII).
4. პ. არაშვიძე, მანგის ქრომობომების კომპლექსი (XIII).

ფსიქოლოგია

1. რ. ნათაძე, ცნების შემუშავების გენეზისისათვის (XII).
2. ბ. ხაჭაპურიძე, განწყობის ფაზური მოქმედების თეორიისათვის (XII).
3. დ. უზნაძე, ადამიანის ქცევის ფორმები (XVII).
4. რ. ნათაძე, ტოლობის განწყობის შემუშავებისათვის (XVII).
5. ხ. ხოჯავა, ფიგურის ფაქტორი განწყობის მოქმედებაში (XVII).
6. ბ. ხაჭაპურიძე, ბავშვის განწყობის ზოგიერთი თავისებურება (XVII).





7. ა. ავალიშვილი, განწყობის ტიპის ინტერმოდალური კონსტანტობის საკითხისათვის (XVII).
8. ნ. ადამაშვილი, განწყობის ილუზიის ინტერმოდალური ტრანსპოზიცია (XVII).
9. ნ. ადამაშვილი, განწყობის სიმტკიცე და ირადიაცია (XVII).
10. ნ. ელიავა, განყენებულ მიმართებაზე შექმნილი განწყობის ალკეფის პრეცესი (XVII).
11. ქ. მდივანი, ილუზიის ჩაქრობის პრეცესი ხანგრძლივი ექსპოზიციის პირობებში (XVII).

## ველაზობიკა

1. ს. კაფტანოვი, უმაღლესი სკოლის მორიგი ამოცანების შესახებ (XVI).

## ფილოსოფია

1. სავლე წერეთელი, ისტორიულისა და ლოგიკურის დამოკიდებულების საკითხისათვის კ. მარქსის მოძღვრებაში (XIV).

## ეკონომიური მცენიება

1. ი. მიქელაძე, საქართველოს მრეწველობის განვითარება მესამე სტალინურ ხუთწლედში (1938—1942) (XI).
2. არ. გოციელი, საფინანსო დაგეგმვის არსისათვის (XII).
3. პ. გუგუშვილი, მევანუშობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნეში (XIV).
4. С. Берадзе, О марксистской теории денег (XV).
5. ი. მიქელაძე, საქართველოს სათბობის ბალანსის ანალიზისათვის (XV).
6. პ. გუგუშვილი, საფაბრიკო-საქარხნო მრეწველობის განვითარება ამიერკავკასიაში (XVI).

## ისტორია

1. ა. ფირცხალაიშვილი, თბილისის ამქრების 1865 წლის გამოსვლის ისტორიისათვის (XI).
2. М. Полиевктов, Делопроизводственный генезис и состав документов дипломатических сношений России с Грузией московского периода (XVI—XVII вв.) (XI).
3. ი. ბერაძე, ისტორიკოსი იოანეს ბიკლარელი და მისი ცნობები VI საუკ. საქართველოს შესახებ (XI).
4. А. Киквидзе, Архивные материалы бывшего Кавказского Комитета о Грузии (XII).
5. ს. ჯანაშია, ამხ. ლავრენტი ბერიას წიგნი „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ და ისტორიული მეცნიერება საქართველოში (XV)
6. А. Введенский, Подлог и фальсификация исторических документов в Грузии в первой половине XIX в. (XV).
7. М. Полиевктов, Ревизия Закавказского Края сенаторами Кутайсовым и Мечниковым и фонд дел этой ревизии в историческом архиве в Ленинграде (XV).
8. გ. ნათაძე, სასოფლო მეურნეობის ორგანიზაცია და ტექნიკა ძველ გერმანიაში (XVI)
9. ლ. მელბქსეთ-ბეგი, ნ. მარი და მატერიალური კულტურის ისტორია (XVI).
10. И. Мелкадзе, Большевики Закавказья в борьбе за проведение ленинско-сталинской национальной политики (XVI).

## სამართალი

1. ი. ტალახაძე, ბურჟუაზიული ანუ პარლამენტარული დემოკრატიის არსი (XVI).



## ლიტერატურათმცოდნეობა

1. გ. კიკნაძე, აკაკი წერეთლის პოემათა არქიტექტონიკის საკითხისათვის (XIV).
2. К. Капанели, Генезис эстетического чувства (XIV).
3. თ. ბეგიაშვილი, ახალი მოტივები თანამედროვე ფოლკლორში (XIV).

## ქართული ლიტერატურის ისტორია

1. კ. კეკელიძე, საშუალო საუკუნეების დიდი ქართველი პოეტი და ჰუმანისტი (XI).
2. მ. ზანდუკელი, ვაჟა-ფშაველა ორი ქვეყნის მიჯნაზე (XI).
3. სოლ. ყუბანეიშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ქვლიშური რედაქცია (XII).
4. ტრ. რუხაძე, ძველი ქართული დრამატურგიის საკითხები (XIV).
5. კ. კეკელიძე, ახალი ლიტერატურული წყაროები ლაშა გიორგის ისტორიისა (XVI).

## დასავლეთ-ევროპის ლიტერატურის ისტორია

1. Гр. Хавтаси, Гете в концепции Г. Гейне (XII).

## ენათმეცნიერება

1. ალ. ლლონტი, გრძელი ა-ნის საკითხისათვის ქართულში (XII).
2. თ. გონიაშვილი, უმ-სუფიქსი ჩანურში (XII).
3. А. Шанидзе, Новый труд по армянской диалектологии (XV).
4. Л. М. Меликсет-Бек, По поводу нового труда по армянской диалектологии (XV).
5. ვ. თაფური, ქართველურ ენათა სიტყვაწარმოებიდან (XV).



Указатель к научным трудам, напечатанным в „Трудах  
Тбилисского Государственного Университета  
имени Сталина“ за 1940 г.

(№№ XI — XVII)

МАТЕМАТИКА

1. Э. Цитланадзе, О решениях некоторых дифференциальных уравнений в частных производных (XIII).

ХИМИЯ

1. Ш. Шарашенидзе, Минеральные источники курорта Шови (Верхняя Рача) (XIII).
2. О. Вепхвадзе-Гургенишвили, Маннитовая болезнь вина (XIII).
3. Т. Кацитадзе и В. Кочочашвили, К вопросу о катализе перекиси водорода (XIII).
4. В. Хухия, О некоторых минеральных источниках Верхней Рачи и к вопросу об изменении количества железа ( $Fe^{++}$ ) в железистых минеральных водах (XIII).

ГЕОЛОГИЯ

1. Г. Харатишвили, Находка остатков хвойного растения в верхнемайкопских отложениях долины реки Курь близ Тбилиси (XIII).
2. Н. Татришвили, Диабазы Верхней Рачи (XIII).

БИОЛОГИЯ

1. Л. Каландадзе и Н. Тулашвили, Материалы к изучению кузнечиков, как вредителей сельскохозяйственных растений (XIII).
2. Г. Папалашвили, Проблема генетической природы вольтинизма у тутового шелкопряда (*Bombyx mori*) (XIII).
3. А. Папава, О грузинской номенклатуре некоторых млекопитающих Грузии (XIII).
4. П. Арошидзе, К вопросу о хромозомном комплексе барсука (XIII).

ПСИХОЛОГИЯ

1. Р. Натадзе, Генезис образования понятия (XII).
2. Б. Хачапуридзе, К теории фазового действия установки (XII).
3. Д. Узнадзе, Формы поведения человека (XVII).
4. Р. Натадзе, К вопросу о выработке установки на равенство (XVII).



5. З. Ходжава, Фактор фигуры в действии установки (XVII).
6. Б. Хачапуридзе, Некоторые особенности установки у детей (XVII).
7. А. Авалшвили, К вопросу интермодальной константности типов фиксированной установки (XVII).
8. Н. Адамашвили, К вопросу об иррадиации фиксированной установки (XVII).
9. Н. Адамашвили, Иррадиация и прочность установки (XVII).
10. Н. Элиава, Процесс прекращения действия установки, созданной на чистое соотношение (XVII).
11. К. Мдивани, Процесс ликвидации иллюзии в условиях длительной экспозиции (XVII).

#### ПЕДАГОГИКА

1. С. Кафтанов, Об очередных задачах высшей школы (XVI).

#### ФИЛОСОФИЯ

1. С. Церетели, Об историческом и логическом в учении К. Маркса (XIV).

#### ЭКОНОМИКА

1. И. Микеладзе, Развитие промышленности Грузии в III Сталинской пятилетке (XI).
2. А. Гокиели, К вопросу о сущности финансового планирования (XII).
3. П. Гугушвили, Развитие ростовщичества в Грузии в XIX в. (XIV).
4. С. Берадзе, О марксистской теории денег (XV).
5. И. Микеладзе, К анализу топливного баланса Грузинской ССР (XV).
6. П. Гугушвили, Развитие фабрично-заводской промышленности в Закавказье (XVI).

#### ИСТОРИЯ

1. А. Пирцхалайшвили, К истории выступления амкаров в 1865 году (XI).
2. М. Полиевктов, Делопроизводственный генезис и состав документов дипломатических сношений России с Грузией московского периода (XVI—XVII вв.) (XI).
3. И. Берадзе, Историк Иоанн Бикларенский и его сведения о Грузии VI века (XI).
4. А. Киквидзе, Архивные материалы бывшего Кавказского Комитета о Грузии (XII).
5. С. Джанашиа, Книга тов. Лаврентия Берия «К вопросу об истории большевистских организаций в Закавказье и историческая наука в Грузии» (XV).
6. А. Введенский, Подлог и фальсификация исторических документов в Грузии в первой половине XIX в. (XV).
7. М. Полиевктов, Ревизия Закавказского Края сенаторами Кутайсовым и Мечниковым и фонд дел этой ревизии в историческом архиве в Ленинграде (XV).
8. Г. Нагадзе, Организация и техника сельского хозяйства в древней Германии (XVI).
9. Л. Меликсет-Бек, Н. Марр и история материальной культуры (XVI).
10. И. Мелкадзе, Большевики Закавказья в борьбе за проведение ленинско-сталинской политики (XVI).



## ПРАВО

1. И. Талахадзе, Сущность буржуазной или парламентской демократии (XVI).

## ЛИТЕРАТУРОВЕДЕНИЕ

1. Гр. Кикнадзе, К вопросу архитектоники поэм Акакия Церетели (XIV).
2. К. Капанели, Генезис эстетического чувства (XIV).
3. Ф. Бегиашвили, Новые мотивы в современном фольклоре (XIV).

## ИСТОРИЯ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

1. К. Кекелидзе, Великий грузинский поэт и гуманист средних веков (XI).
2. М. Зандукели, Важа-Пшавела на грани двух миров (XI).
3. С. Кубанейшвили, Челишская редакция «Обращения Грузии» (XII).
4. Тр. Рухадзе, Некоторые вопросы старой грузинской драматургии (XIV).
5. К. Кекелидзе, Новые литературные источники по истории Георгия Лаши (XVI).

## ИСТОРИЯ ЗАПАДНО-ЕВРОПЕЙСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

1. Гр. Хавтаси, Гете в концепции Г. Гейне (XII).

## ЯЗЫКОВЕДЕНИЕ

1. Ал. Глонти, К вопросу о долгом а (ა) в карталинском диалекте (XII).
  2. Т. Гониашвили, Суффикс wo в чеченском языке (XII).
  3. А. Шанидзе, Новый труд по армянской диалектологии (XV).
  4. Л. Меликсет-Бек, По поводу нового труда по армянской диалектологии (XV).
  5. В. Топурия, Заметки по словообразованию в картвельских языках (XV).
-



პ/მ. რედაქტორი ღმრ. დ. ყიფშიძე

---

ტირაჟი 500  
ხელმოწ. დასაბ. 22/III 41  
შე 5621

ანაწყ. ზომა 7×11=50000  
სასტამ. ფორმ. რაოდ. 14,5 საავტ. 18  
სტამბის შეკვ. № 35